


533306 5. 2409

თ თ ი თ ხ ი



ნელიშვილი მეორე

№ 1

ასტანა, 1899



გ თ ა ი ს ი

ლამბაშიძეს ს ც ა მ ბ ა ღ თ ი გ რ ა ფ ი ქ ს გ ა მ ბ ა შ ი ძ ე

1899

Доволено. Печурко. Тифлисъ, 21 Декабря 1898 г.

မြေပို့နည်ရုပ်ပါ.

အောင်ဒ္ဓလှာ ဂန္ဓိစွဲဖွံ့ဖြိုး.

| | | |
|------|--|---------|
| | ချောင်း | ပုံမှန် |
| I | သာဆုတေသနမြတ်—လျှော့ချိန် အကျိုဝင်း | 1 |
| II | ဗုဏ်ဆုတ် သာဆုတေသန၊ မီးစိုက် | 3—12 |
| III | တာဒ. ဘဝါယန် များရှုရေးရာတိုင်း ပေါ် သေး—လျှော့ချိန် ကြုံနှုန်းဖွံ့ဖြိုး | 13 |
| IV | „အုတေသနရာအောင်လုပ် မဝါယန်မှုပါ“—လျှော့ ချိန်—မီးစိုက် အနားမျှော်လွှာ | 14—21 |
| V | „စော်လျော်မှုပါ!“—(ခြုံရွလို) မူ. အကျိုဝင်းပိုင်၌ 22—27 | |
| VI | အကုန်တိုင်းလုပ် များရှုရေးရာတိုင်း၊ နေပါ်လွှာ | 28—48 |
| VII | အုတေသနရာ အုပ်စုမှုပါ: ပေါ်တော် လွှာ လုပ်— အကျိုဝင်း | 49—53 |
| VIII | လျော်စုရောင်—ဒုက္ခလွှာ မီးစိုက် | 54—82 |
| IX | အုပ်စု-အုပ်စု၊ အုတေသနလုပ် လွှာ လုပ်— လျော်စု—ဒုက္ခလွှာ မျိုးမျိုး | 83—91 |
| X | မနတ်-မနတ် မတာဝန် သာမဏေမှုပါ. ဒု-အေး | 92—104 |

မျှော် ဂန္ဓိစွဲဖွံ့ဖြိုး.

| | | |
|-----|---|-----------|
| | ချောင်း | ပုံမှန် |
| I | ကျော်လုပ် များရှုရောင် လွှာ ဝါယ် မိမိအောင်— မီးစိုက် | 1—9 |
| II | သာဆုတ်-သာဆုတ် စုဆောင်ရွက်: အကျိုဝင်း၊ သာလျော်ရှုရောင် လျှော့ချိန်၊ ပေါ်တော်မှုပါ အုပ်စု—မီးစိုက် | 10—32, 40 |
| III | ပေါ်တော် လျှော့ချိန် လွှာ အပောင်းများ စုဆောင်— လွှာ လျော်စုရောင်. ဂျွဲ့မှုပါ နားရှုရောင် လွှာ မီး စိုက်မျှော်လွှာ မီးမျှော် | 33—39 |

ဂန္ဓိနှုန်းဖွံ့ဖြိုး.

საგულისხმოდ.

(არჩევნების გამო)

ამიობენ: მეცხარის მაღლებს
ორფა მოუკათ ჩხურილ;
კერ გააზავებთ ვერბურით,
გინდა აიგროთ შუბიო!

ღოუნენ და ჰემფი!.. სორხოზძი,
ადარ აქვთ უკრთა სმენაო!..
კეღარც არჩევენ ერთმანეთს,
გბენა!.. გპენა და კბენაო!..

მაგრამ მეცხარე, რომ სედავს,
რო არის სხვა საშეკლიო,
კანგები იმასის: „ჰებ მაგას!
სსიო! სსიო! მოვიდა მისილი!“

ეს სმა აუხილების მოჩიუბრების,
თავდება კოლიფერით!
და ერთად ჰქოვენ, გარეშე
რომ მოიგერონ მტერით.

—
ეს რომ უამბეს მცოსანსაც,
სისარისე შემოუებარჩ,
და ქართველთ საგვარეულოად
ლოცვა დასწურა პატარა:

„რადგან მცც ქართველობაზე
ჩვენში დღეს გვილა სტეუარ,
დმერთი მიეცი ქართველოვანს
ძაღლის გრძნობა და ჭკუათ“.



უძრავი სიტყვის მენეჯერი

«ჩემო წალკოტის შვენებავ! რატომ აღრინდულად აღარა ჰყავი? ან ნაყოფს არ იძლევი? და თუ იძლევი, იმასაც უვარგისს?» — დაეკითხა მებალე ხილის-ხეს.

— მიტომ რომ დავჭირდი! — უპასუხა დამკუნარმა ხემ. — მას შემდეგ რალი კი დედა-მიწამ მიღალატა, ცამ დამსეტყვა, ქარმა შემარხია — რალა ძალი უნდა შემრჩენდა? ...

— ეგ კი, მაგრამ განა კოტა მიწამლია შენოვის?

— გიწამლია? ჰმ!.. შენ რომ საჭყაპელიო გარედან მიშხაპუნო, ის შინაგან სატკიფარს რას არგებს? აბა და-აკვირდი ჩემ შტოებს!.. ზოგი გამხმარია, ზოგიც ახლა ჭინება; თვითონაც უნაყოფოა და სხვებსაც უშლის! — შენ კი პირი დაგილია და შემომყურებ. რატომ არ მოიტან ცულს და არ გადამსხეპავ იმ უსაშველო ტოტებს, რომ მათ ადგილზე ახალმა ამოიყაროს? მაშინ ნახავ თუ რა ნაყოფს გამოვიდებ!

— განა ეგ კიდევ შესაძლებელია?

— ჯერ კიდევ, სანამ ძირი მაგარი მაქვს. აბა ნახე ერთი როგორა მაქვს ფესვები გაბაჯაჯგინებული. შენ მხოლოდ ხელი შემიწყვე და სხვა მე ვიციო!“

დაიჯერა მებალემ, ასრულა რჩევა და ხემაც გაიხარა.

დიახ!.. ხემ გაიხარა, მაგრამ შენ რა გაგახარებს, წალ-
კოტის მსგავსო, ჩემო პატარა ქვეყანავ? უმეცრება შენი
შინაგანი წყლულია და უგნურება გტორავს!..
ვინ არიან და სად დღეს შენი მებაღები, რომ სულზე
მოგასწრონ და გამოგაბრუნონ? მართალია, გარს გეხვე-
ვიან, სიყვარულსა და ერთგულებასაც ჩემულობენ შენსას,
მაგრამ ეს ყოლიფერი. მათივე თავმოყვარეობის ნაყოფია,
საპირადო ჩარჩოებში ჩასმული. დღევანდელი ჩვენი წარა-
მარა ლრიალი: „გაუმარჯოს საქართველოსო!“ და „მრა-
ვალუმიერო!“ რა არის, თუ არ საჭყაპელათი შაბიამანის
გარედან შეშხაპუნება? თავ-მომწონედ რომ დამჭერა
შტოებს ვებოტინებით და ფესვები კი ლამჩს ამრვაგდოთ,
ნუ თუ ეს ჭრის გონივრული კირისუფლობა? „მრავლის
მეტყველებით ვერავინ ცხონდებთ“, ბრძანებს უფალი, ტა
ჩვენ კი ცარიელს-იტყვებათა ვართ გადაქცეული!.. აბა ვის
უჭირავს ხელში ის ცული. ის მახვილი, რომლითაც უნდა
ჩვენს დღევანდელ ცხოვრებას გამხმარი შტოები მოაცა-
ლოს, ღვარძლსა და ეკალს ძირი უგდოს, ხორცმეტი
მოჰკვეთოს, რომ დამჭერარი გააჩედლოს? ეს ცული და
მახვილი არის ის შეგნებული სიყვარული და ერთგულე-
ბა ქვეყნისა, რომელსაც თავდადება ჰქვია და სიმართლით
გალესილი, უსასყიდლოდ; უშიშრად, პირდაპირა სჭრის
და ჰქვეთავს!.. ბრალი ვის უნდა დავსდვათ? ვინ უნდა
გავმტყუნოთ? ხალხი თუ მისი მეთაურები? რასაკირვე-
ლია, მეთაურები!.. სვანების დეკანოზსა ჰკიოხეს: როგო-
რი მღვდელი ხარ, რომ არც კითხვა იცი და არც წერა
და საზეპიროებიც გადაგისხვაფერებიაო?

— ეგ ყოლიფერი მართალიაო, მაგრამ, ხილხს რომ
სჯერა, მეცდარწმუნებული ვარ ჩემ დეკანოზობაზეო...—
ეთქვა და ჩამოიხვა წვერებზე ხელი. ვინც ამ სვანის აზრზე

დადგება, ისკ რასაკეთოველია, დფრუერებს, რომე ჩვენ მე
თაურებიცა გვყვანან და მოწინევე დასიც, მაგრამ ჩვენს
კი ჩვენდა თვალ უარის ვჰყოფთ მათ, რომელთაც, მარ-
თლა და სვანების დეკანოზებსავით უჯეროდ ჩაუგდიათ
ხელში წინამძღვრობა და ლირსეულებს წინ ეღლობებიან...
(ჩვენ აქ სახოგადოდ უმეტესობაზე ვამტობთ და არა ის
თვეითმომავლაზე, რომელთაც არ შეეხებათ ეს ზემო
თქმული), ხშირად ნახავთ ჩვენში რომელიმე საერო და
წესებულებაში მისთანა მეთაურისა და წინამძღვარს; რო-
მელსაც არც წარსულში გამოიჩინია თავი და ვერც
მომავალში გამოიჩინის, გიყვირს და ეკითხები შენს თავის
ამ კაცს წინ რა მიუძღვის? — არაფერი! — უკან? არაფერი?
მაშ სახოგადოს საწმინდელის ქანდარაზე რომ ფარშვანგის
ნაცვლიდ წამოუსკუპებიათ და გაფულული ინდაურივით
იქიდან გადმომზრდირებიან, რა მიზეზია? რა მიზეზია და
ის პროადი ეგვიპტობი, ის ჩეჩემიან-შენიანობა“ და ის
„კუჭიაობა“ პრომელიც ჩვენ ცხოვრებას დღეს სახადივით
მოსდებია და სულსა პრდის ჩვენი წინამძღვრების
უმეტესობა ბოლებელის პრდის მიმდევარის
„თუ მე აღარ ვიქნები, კუა კუაზედაც ნულ
ყოფილაო“, და ამ გვარ რწმუნების კაცს განა შე-
უძლია, რომ კუჭს გარეშე სწავლა რამეზედაც იფიქროს შე-
მიტომაც არის, რომ ჩვენი შოწინაფერები შორს ვერასა
პრდვენ, ავჭულა კარგს, თუ მათი სასარგებლობაზე არის, არ
არჩევენ და აღვარმლოდა უკალი ითესვა, გულ-გრილად
შეპყრებენ თითქოს და ვარდიაო, ხშირად გამიგლია
მათგან: „ნადა გვეცა რომ რწმუნებს გამოუდგე-
თო!“ მართალია, ყოველი თესლი ნაყოფზე უფრო პა-
ტარაა; შედარებით წვრილმანია, მაგრამ იმ წვრილმანს
რა შედეგი მოჰყვება, იმშა აღარ უყურებენ. ჯერ კიდევ

ვერ შეუგნიათ, რომ თავის თავად, არც წვრილმანი არ-
სებობს და არც სხვილმანი!.. არც ღიღია რამ და არც
პატარა! ეს ყოლიფერი შედარებითი წარმოდგენა... შე-
დარებით ოთხფეხი მხეცები უფრო ღიღები არიან მორიელ
ასპიტებზე, მაგრამ ეს პატარა მტრები უფრო საშიში და
საფრთხილო არიან ადამიანისათვის. ლომი იმდენს რას
დააკლებს კაცს, თუ გაფრთხილებულია, რამოდენასაც
უძლიური დაუჩინარი პატარა მიკრობი, ანუ „ჭირის-ჭია“,
რომელიც, რალი კი ჩაძრება და დაიბუდებს ადამიანის
გვამში, საშველს აღარ იძლევა. ბევრჯელ დაუკინიათ
ჩვენთვის და ყბათაც აუღივართ, რომ წვრილმან რამებს
გამოდგომია და რა საკადრისია? ჩვენც დაგვიჯერებია;
შემკრთალებართ და შევჩერებულვართ, მაგრამ ის წვლილ-
მანები გაზდილან და დღეს ტვირთად გვაწევან ზურგზე.
რომ ეს ძველი შეცდომები აღარ გავიმეოროთ, ჩვენ გა-
დაესწყვიტეთ, ყოველ-დღიურ მოვლენას მივაქციოთ ყუ-
რადლება და ჩვენი ცხოვრების ავ-კარგი, გინდ წვრილ-
მანიც იყოს, ავნიშნოთ ხოლმე ჩვენს „კრებულში“. ეს
იქნება „შიდა მარგვლა“ ანუ როგორც საზოგადოდ მი-
ღებულია „შინაური მიმოხილვა“. ნურავინ ელის ჩვენგან
ნურც მიღომასა და ნურც უმიზეზო გადაკიდებას. „კრე-
ბული“ ყოველივე საპირადოზე ხელ იღებულია! ხშირად
შეგვხვდება, რომ მოსაწონი ჩვენ პირად-მტერსაც მოვუ-
წონოთ და დასაგმობზე და საძრახზე, მოყვარესაც ფუკა-
ებინოთ!.. რასაც საზოგადო მნიშვნელობა არ ექნება, იმას
„კრებული“ ყურადღებას არ მიაქცევს. ეს არის ჩვენი
რწმენა და ვინც თანაგვიგრძნობს, მასთან ერთობა ჩვენ-
თვისაც სასურველია და ჩვენი რედაქციის კარიც ლის
იქნება მათვის!.. და ვინც არა-და.. შორს და მშვიდო-
ბით! ჩვენ მიინც ჩვენსას არ მოვიშლით. და ვიტყვით რაც

სათქმელია!.. დღეს ჩვენში იმდენი რამ არის წუნსადები, რომ ყველას ერთად ვერ მოვერევით და ავილებთ ცალკალკე, თვე და თვე ასანუსხავად.

ამ პირველ ნომერში, ყველაზე უძალ უნდა ჰილა-პარაკოთ „მეგრელობაზე“, რომელიც ამ ბოლო დროს ზოგიერთებს საპირადო იარაღად გაუხდიათ და ლამის მტრობა და შური ჩამოაგდონ ძმათა შორის...

თუ არ მზაკვარება და უგუნურება, გონიერება და სიმართლე იმას ვერ იტყვის, რომ მეგრელები ქართველები არ იყონ და მეგრულიც ძირითადი ქართული!.. ძველთა „კოლხეთი“ ანუ ბერძნების კოლხიდა, ეს დღევანდელი სამეგრელო, უმტკიცესი და უკეთესი ნაწილი იყო მთლიან საქართველოსი მაშინ, როდესაც ამერ-იმერთა მეფები, აფხაზთა მეფეებათ იწოდებოდენ. როდესაც მონალოლობამ საქართველო დასკარა და ერთიანი საქართველო ორ-სამეფოდ, ამერ-იმერად გაჰყო, მაშინ პატარ-პატარა საერისთვოებმაც დაუმოკიდებელი მთავრობა მოინდომეს და მათ უგნურს და ქვეყნის მავნებელ პირადობას გარეშე პოლიტიკაშ ხელი შეუწყო. ამან გამოიწვია შინაური კინკლაობა. ძმები ერთმანეთს ჩამოაშორა, მაგრამ მაშინ კიდევ არც ერთს სამოავროს, არც გურიას, არც აფხაზთს, არც სვანთსა და არც სამეგრელოს, არ და-ვიწყებიათ, რომ ქართველები იყვენ!.. წირვა-ლოცვა, მწიგნობრობა და სადარბაისლო საუბარი მათი, ყველასი იყო ქართული და ქართული, თავის თავის სხვა ვინმედ წარმოდგენა არ შეეძლოთ, და სხვებს რომ ეთქვათ შეურაცყოფათა და გაკიცხვად მიიღებდენ. მართალია, ერთ-მანეთში, შინაურობაში ხშირად პქნდათ კინკლაობა მაგრამ გარეშეებთან არ ავიწყდებოდათ თავისი ერთ-ტომობა, სისხლ-ხორცობა და კავშირის გაუწყვეტლობა.

ამ ოცდა ათის წლის წინეთ, რომ სამეგრელო იმერეთი შემოუკროვს, სიხარულითა და ლიტანიობით მიეგება შეგნებული ნაწილი ორივე მხრისა!. განსვენებულმა ალექსანდრე მიქელაძემ, მაშინდელმა თავად-აზნაურობის წინა-მძღოლშა, ლხინი გადიხადა და უნდა გენახათ თუ რა ლხინი იყო ის ლხინჩი?. დღევანდელ აღაპის მსგავსს სტუმრობასა და წვეულებას კი არ ჰგავდა, რომელსაც დიდი და პატარა ზარის ხმით „მრავალ-უმიერები“ დაბლა-ვის და ლვინით იწუმპება!.. სძლის პირები, საერო და სასულიერო სხვა და სხვა გვარი „მრავალ-უმიერები“, გურული კრიმანჭულები, შეგრული ტკბილი ლილინი და მრავალ-გვარი სუფრული, ყველა ერთად, სხვა-და-სხვა გვარად მაგრამ საერთოდ კი ნამდვილ ქართული გრძნო-ბა-გონების გამომეტყველ-გამომხატველი, აშვენებდა სუფ-რას და აღიადებდა ლხინს. უნდა გაგეგონათ იქ, მეგრე-ლების მქერმეტყველება და მათი გამტკიცული, გაშენ-დილი ქართული და მაშინ იტყოდით: აი, სად ყოფილან ნამდვილი ქართველები!

მას შემდეგ დიდა ზანმა გაიჩრა და აბა თუ ვინშე იმას იტყვის, რომ მეგრელებს ან სიტყვით და ან საქმით მოეცესთ რამ საბუთი, რომ ჩვენ ვითქვათ: ისინი აღარ ქართველობენ!. პირიქით... ქართველობა დღეს იმათ უფროც ეტყობათ: ჩვენ საზოგადო საქმეებში მეტს მო-ნაწილეობას ისინი იღებენ. ქართულ ურნალ-გაზეთს ისი-ნი მეტს იწერენ, წიგნებს სამეგრელოში უფრო მეტი გასავალი აქვს, ვიღრე საქართველოს სხვა კუთხეებში, გარდა გურიისა; საერო საქმის თანამგრძნობი არიან და მაშ რაღაში მდგომარეობს მათი ჩვენგან განუალკევების სურვილი?.. თუ იმას ვიტყვით, რომ იმათ შინაურობაში (განსაკუთრებით დაბალ წოდების ხალხს) მეგრულ კი-

ლოზე ლაპარაკი ტურო ეხერხებათო, ამითი რა ლაშავდება? სამწერლო და საღარბაისლო ქართული იმათ ჩვენზე ნაკლებ არ იციან?! მართალია, მეგრული კილო ჩამორჩენილი ქართულია, მაგრამ მიუხედავად ამისა, სამაგიეროდ იგივე მეგრული დღეს სალაროა ნამდვილ ქართული სიტყვების. აღმოსავლეთ საქართველოს დაკარგვია ნამდვილი ქართული სიტყვები, მათ ნაცვლად სომხურ-სპარსულ-თათრული შემოულია, რომელიც ქართველის ყურს ცუდათ ეჩირება და გულსა სწყინს.. და მეგრულ ენაში კი შენახულან ობოლ მარგალიტებად ის ძველი სიტყვები... ჩვენ ვურჩევთ ჩვენ მწერლებ-მწიგნობრებს მეტი ყურადღება მიაუკიონ მეგრულს, რომ იქიდან ამოკრებილ სიტყვებით შეისონ დღეს მათი შელახული ქართული ლექსიკონი.—ეს რომ ასეა, ეს ყველამ ვიცით, მაგრამ, წარმოიდგინეთ, რომ ერთმა უბრალო ანირებულობამ, იძულებული გვყო დღეს, რომ „მეგრელობაზე“ ვისაუბროთ: ტყვილა კი არ არის ნათქვამი: „თავდაპირველად მუნი ჭვენად ერთმა თავგმა გააჩინაო“. ამ რამოდენიმე წლის წინეთ ერთმა ვიღაც წინდაუხედავმა კაცმა აიწირა, რომ ჩვენ მეგრელები ქართველები არა ვართ და ჩვენი ენაც სულ სხვა ენა არისო. . ეს არ მოეწონათ მეგრელებს!.. იტკიცეს!.. ვინ ამბობს, რომ ჩვენ ქართველები, არა ვართო?.. მეგრელები რომ ვართ, ეს მართალია და ნურც მოგვიშალოს ღმერთმა ჩვენი მეგრელობა, ისე როგორც გურულს გურულობა, ქართველს ქართველობა, კახელს კახელობა, რაჭვე: რა რაჭველობათ და სხვანიო!.. მაგრამ ამავე დროს ნუ თუ საერთოდ ქართველები არა ვართო? და როდის აგვილია ხელი იმ ღედა-ენაზედ, რომლითაც ღმერთს ვადიდებდით მრავალ საუკუნოების განმავალობაში და სამშობლოს ვემსახურებო-

დითო!.. დაუკაცხანეს იმ ახირებულ ფილოსოფისს და
მოსვენებას აღარ აძლევდენ...

შეგრელების შორს-მჭვრეტელობამ და წინ-დახედუ-
ლობამ კუდი აღარ მოაქნევია უჯერობასა და უსამართლობას...
კუჭის მიმდევარი, ინტელლიგენტები გამოდიან დღეს ა-
პარეზზე, და შფოთს აგდებენ მოძრეთა შორის. ეს სულ
არჩევანების ბრალია!.. კაცს რომ სიმღერის ნება მისცე,
მაგრამ ის პირობით კი რომ პირზე ხელი დააფარო, რა-
ღას იმღერებს. უხეიროდ შემოღებულმა არჩევანებმა
როგორც ბან კისამ, ისე ქალაქისამ დიდი ვნება მოუტანეს
ჩვენ ცხოვრებას.—გაულვიძეს საკუჭო სურვილები, გაუხ-
სნეს მაღა ზოგიერთ ინტელლიგენტებს და ის ჩადენიეს,
რაც საკადრისი არ არის და რაც წინეთ ფაქტადაც არ
მოუვიდოდათ. ყოველ-გვარ საშუალებასა ხმარობენ
ოღონდ კი თავისი გაიტანონ და გაიმარჯვონ!.. მარტო
გამარჯვებითაც რომ აღარ თავდება უსიამოვნება? ბრძო-
ლის დროს, ერთმანეთის პირდაპირობასა და შეხლა-შა-
მოხლის დროს გამოწვეული უსიამოვნება, რჩებათ გულში
და კერძო ცხოვრებაში შეაქვსთ იერიში... ეს კიდევ
არაფერი, რომ ამ კერძო უსიამოვნების დროს, ვნებათა
ღელვა ას აბრმავებდეს მეტოქებს!.. თავისს პაწაწინა
თავმოყვარეობას, წვრილმან კერძობას უფრო მაღლა
აყენებენ საქვეყნოზე და თითქმის ღალატს ჩადიან. მა-
გალითად: მეთაურობის ხელში ჩასაგდებად გამოდიან მე-
ტოქები საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხეებიდან; ერთი
მეგრელია, მეორე გურული, მესამე რაცველი მეოთხე
ზემოური, მეხუთე ქვემოური და ამ გვარად. სხვა რომ არა
მიუძღვისთ-რა, ხრიკებს მიმართვენ ხოლმე და ბრბოს
აბრიყვებენ: მეგრელებო! მე მეგრელი ვარ და ჩემი და-
მარცხება თქვენი შეურაცხყოფა იქნებაო!.. გურულებო!

მეგრელებმა რომ გვაჯობონ, და შე გურული გავ შავდე, თქვენი შერტვენა იქნებაო!.. იმერლებო! — გაიძახის იმერელი შეტოქე — მოგვადგენ მეგრელ-გურულები და აღარ გვზოგვენ... ბუზათაც აღარ გვაგდებენ და ჰკა მაგათ!.. დავანახოთ, რომ ჩვენც კაცები ვართ, ჭრდი გვხურავსო!.. შავი მაგათო! და სხვანი. ამ გვარის ტყუილებითა და უკადრისობით ლამის სხვა-და-სხვა კუთხეს ქართველობა ერთმანეთს, გადაჰკიდონ და საშვილიშვილო მტრობა ჩამოავდონ!.. საჭიროა, ყურადღების მიქცევა... იმას ნურავინ იტყვის, რომ წვრილმანი რამეა და აღარ ლირს გამოკიდებაო. ეს ის ეყალია, რომელიც ეშმაკის ხელით ითესება და შემდეგში გვიჩხულებს და დაგვაწყლულებს!.. ძველათ, ბურთაობისა, ჯირითობისა და სხვა სავარჯიშო შექცევების დროს ორათ რომ გაიყოფოდენ ხოლმე მოთამაშეები, „არჩევანი“ და „არა-დანი“ იცოდენ... არეული იყვენ ერთმანეთში და არა დასდასად დაყოფილი: გურული ცალკე, მეგრელი ცალკე, სვანი კიდევ ცალკე და სხვანი. ამას მიტომ შვრებოდენ, რომ გაცალცალკევებას ცუდი შედეგი არა მოჰყოლოდა რა... და ჩვენ კი დღეს განძრას ვცდილობთ, რომ ერთმანეთს დავაშოროთ და მტერობა ჩამოვაგდოთ როგორმე!.. ოჯ! ეს დიდი სენია!.. და ამ თავითვე უნდა წამლობა!.. ამ საერო ფილოქსერას, ჯერ კიდევ სანამ გარედან აზის დღვევანდელ ჩვენ ცხოვრებას და ფესვებში არ გაჯდომია, შესაფერი საჭყაპელა ეჭირვება. დრო არის, რომ თავი დავანებოთ უაზროთა

და უადგილოდ წარა-მარა „მრავალ-უამიერის“ ბლავილ
და საჭირო, სწორ-გზის დავადგენა. შინკურობაში მივი-
ხედ-მოვისედოთ, „ჩემიან-შენიანობაზე“ ხელი ვიღლოთ და
საიდანაც უნდა იყოს, ვინც უნდა იყოს მოყვარეს მოყ-
ვრულიად. მივეგებოთ და მტერს მტრულიდ დავუხედოთ... ორ,
ამ ახრან დგას „კრებულის“ რედაქტურა და იმედი, რომ
თანამოაზრებიც მხარს მოგვცემენ!.. მათი უარისმოვის
ამ მას არ მოიხსენის და მოფრინეოს ასაკი



თავ. გიორგი მუხრან-ბატონის სახეს.

გიორგი სულ-შეფერფის გით მექის სახეს,
 რემედის გხედა მშეღის, დიდებულს...
 ჭაბუბ მხარზედა მოხუცებულს თავის,
 შეგენიერებას, ზედ დამპირდებულს,
 შებუღის, მოწამეს ჰატიონისების,
 საბორძნის ლამპირისებას სინათლე ყველებულს,—
 სამშაბდოს შენის, შზის შექის მსარეს,
 მაღლობათ გატუვი ას შემცნულს

კალხიდელი.

„მალეოგრაფიული შეხუსები“-ს გამო.

ფარნაოზმა შეკვენა მწერლობა ქართულით. ქართულები სცხოვრობდენ არარატის მთების არემარეზეო და აქ, კლდეებზე, გამოპევეთეს თვისი ისტორია ლურსმებრივ წარწერითაა. ქართველ მეფეებს მიწერ-მოწერა ჰქონდათ რომის იმპერატორებთანაო... .

ამის შემდეგ რაღა დასაჯერებელია ის აზრი, რომ, ვითომ ქართული ანბანი შემოელოთ შეხუთე საუკუნეში ქრ. შ. და ისიც იმისთანა კაცის დახმარებით, რომელმაც ქართული ენა არ იცოდა!

ამ აზრის გამავრცელებლად ითვლება ვიღაც „ცრუხორენელი“, რომელიც თურმე სცხოვრებდა არა შეხუთე საუკუნეში, არამედ მერვე საუკუნის დასაწყისში. მისმა „ისტორიაში“, რომელიც ითარგმნა მრავალს ევროპიულს ენებზე, უკვე დაჰკარგა თვისი წინანდელი მნიშვნელობა და ფასი.

გარნა, ეს ასრეც რომ არ მომხდარიყო, ე. ი. სიყალბე ხორენელის მატიანისა არ დამტკიცებულიყო, მაშინაც დასაჯერებელი არ იქნებოდა მის მიერ გავრცელებული აზრი შესახებ ქართულის ანბანის მოგონებისა მესროფისაგან. ამას, ვგონებ, ამტკიცებს შემდეგი კატენისმური საუბარი.

კითხვა. რა დროს სცხოვრობდა მესროფი?

პასუხი. მექუთე საუკუნეში.

ქ. ამ დროს სამწერლო ნაშთები გვაქვს თუ არა?

ქ. გვაქვს: ფულები და წიგნები.

ქ. ვისი ანბანით არის დაწერილი ეს მე ვ—ვ! საუკ.

სამწერლო ნაშთები?

ქ. ქართულის ანბანით.

ქ. სრულია ეს ანბანი, თუ ნაკლული?

ქ. სრული (სულ. 38 ასთა, ე. ი. იმდენი, რამდენიც დღევანდელს ანბანშია).

ქ. ხელი წერისა როგორია?

ქ. უზენაესად განვითარებული.

ქ. ამ „ხელს“ რამდენ საუკუნეში უნდა ეჭუშავნა, რომ მაგ განვითარებას მისწოდოდა?

ქ. სულ ცოტა 5—6 საუკუნეს მაინც.

ქ. სომხური ანბანიც ისევე სრულია, როგორც ქართული?

ქ. არა, ქართული ანბანისთანა სრული არა თუ სომხური, ევროპიულებიც არ არის!

ქ. ეგ შენი აზრია, თუ სხვისა ვისიმე სანდო მეცნიერისა?

ქ. ბარონ უსლარის სიტყვას მოგახსენებთ: „ქართული ანბანიო—ამბობს ეს მეცნიერი,—უნდა გამოვტყდეთ, აკმაყოფილებს ყოველ გვარ მოთხოვნილებას: კინალამ ეს ანბანი უუსრულესი არ არის ყველა არსებულ ანბანთა შორის“...

ქ. ვითარი მიჩენი დაიდვა საფუძვლად, რომ მესროფმა ჩვენთვის უუსრულესი მოიგონა და თავიანთთვის არა სრული?

ქ. მაგ კითხვის გადასაწყვეტად ახალგორულ თქმუ-

ლებას მოვიღებდით, თუ თვითონვე ცრუ-ქორენელი
შორსმხედველი არ ყოფილიყო და არ ეუწყე ჩენთვის,
რომ „მესროფი“, წარვიდა-რა მცერიაში, ქართველთათვი-
საც შეჰქმნა ანბანი მაღლითა უფლისათაო“.

კ. მრწამს და აღვიარებ, რომ ვისთანაც არის მაღლი
ლვთისა, მას შეუძლია, თუ მოინდომა, დააშროს ოკიანე
და მისი ფსკერი ყანობირად აქციოს, გარნა ვერ გამიგია,
რაისა მიზეზისათვის იგივე მაღლი უფლისა არ შეეწია
მესროფს ანბანისა მის სომხურისა მოგონებაშიაც?..

აღარ გავაგრძელებ ამ კატეხისმოს. დღევანდლამდის
ბევრი ცრუ აზრები ვრცელდებოდა. შესახებ ქართული-
ისტორიისა, ანბანისა და, წარმოიდგინეთ, ნიჭისაც კი!
ბრალი ისევ ჩვენ გვედება.

ისტორია გვაქს და ვერ გამოგვიყენებია!

სამწერლო ნაშთები მრავალია და ვერ შეგვისწავლია!
სიგელ-გუჯარნი გვაბადია და ვერ შეგვიკრებია!

დიდ-დიდი მწერლები გვყავს და დავიწყების კოშკში
ჩაგვიხრჩია!

მისცემივართ სიძაბუნეს და გვძინავს! რის ისტორია,
რაია მწერლობა, რაია სიგელ-გუჯარი, თუნდაც იგი
ხელმოწერილი იყოს თვით თამარ დედოფლისაგან!

— ვარხალალო!

— ალავერდი!

— იახშიოლ!

— შესვი!

— გაამოს და გაუმარჯოს საქართველოს!..

აი, ეს არის ჩვენი საქმე! ვჭამთ, ვსვამთ და გვძინავს,
ხოლო ოდეს გავიღვიძებთ, ვიკან კურებთ ხანჯლებს და
თუ მოყვასმა თუნდაც ერთი ძირი ქინძი არ გაიმეტა
ჩვენი სუფრისათვის, თავსა ვსჭრით!

ტყუილა-უბრალოდ იფრანგება ჩვენს ქონება და
ფუჭად ილევა ჩვენი ცხოვრება, ხოლო წარსული კი, და-
საბაში აშშერისა და მეობადისა, შთება უპატრონოდ და
უპატიოდ.

ტრო კია, რომ ჩქენ უ გამოვილვიძოთ. „საქმე მრავალ
არს და მუშაკ ყოვლად არა!“ ვიმუშაოს ერთად,
ზოგმა გონებრივ საუნჯით და ზოგმა ქონებრივით.

საჭიროა დაიბეჭდოს:

ა) „ქაროლის ცხოვრება“ კარგის რედაქციით, რომ
მასში აღარ იყოს აზრის დამბნელებელი სტუვები და
ფრაზები, ვითარცა ზემონი ზესოსის მაგიერ და ანუ ასე:
ხელებით (უნდა ყოფილიყო სელებით, როგორც ვარიან-
ტებშია), ვაცთა — გაცთა, სიმრავლეთა — სიმთქწალეთა, უაზ-
როსა — უზაროსა, სხვანი — სკანი, მოწამეთა — მოწავეთა,
მსგავსი — მსგავსია, არმონგისა — არმონგისა, ფინონისა —
ფინონისა, მოიხადეს — მიახდეს (=მოუახლოვდეს), ძისა
— ძალისა, ეახლნეს — ისილეს, გაკვეულ — გაჭერულ, თავისთა
— თავისითა, წლისა — წელისა და მრ. სხ.

ბ) „მამათა ცხოვრება“

გ) სიგელ-გუჯარნი

დ) აღწერა ეკკლესიებისა და ძველის ნაშთებისა
მათის სახე-სურათებით;

ე) გამოიცეს ცალკე მეფეთა და წარინებულთა სახე-
ები და სხ. და სხ.

ღიღი ხანი არ არის, რაც ტფილისის საჭკლესიო
მუზეუმში შემოვიდა ერთი ევროპიელი და, სხვათა შორის,
სევენ მიერ შედგენილ „პალეოგრაფიულ მინუშებში“ ნახა
ხელწერილი უკვდავის თამარ დელოფლისა. ამ ევროპი-
ელმა ფრიად გაიკვირვა და წამოიძახა: „სჩანს, თამარ მე-
ფე მითიური არსება არ ყოფილაო!“

უმა თქმით და მე მხოლოდ მხრები ავიჩეჩე.

დია, საკირნა გამოიცეს და გამოქვეყნდეს ყოველივე „რკერძო“ ჩვენის წარსულისა და, შეძლებისამებრ, დაიბეჭდოს იგი (თუნდა მოკლედაც) რუსულსა და ევროპულს-ენეზე, და მაშინ „მითიურა არსებათ“ ყოფილ მოღვაწეებდა ჩაგვითვლიან და ჩვენც პატივით მოგვეყრობიან.

იგულისხმეთ: აწინდელი საბერძნეთი აღადგინა სხვამ არავინ, გრდა სოკიატისა, არისტოკრატილისა და პლატონისა. ღვაწლი წარსულისა მაღამოდ გამოადგა აწყვი სიძაბუნეს!

მართლი „პალეოგრაფიული მინუშები“ შედგენილია იმ წყროების შემწეობით, რომელიც დაცულია საეკულესიო მუზეუმში და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებს სამწიფნობრივში. მთელს ამ შრომაში არის ათასამდე მრავში ხელ-წერილობისა, დაწყებული მე-¹XI საუკ. დასასრულიდან მე XIX საუკუნემდე. მინუშები მე ²XI-X საუკუნისა გადმოდებულია ტყავზედ ნაწერ წიგნებიდან, ხოლო დანაშთენი სიგელ-გუჯრებიდან და აგრეთვე ტყავსა თუ ქალალდზე ნაწერ წიგნებიდან. იმავე შრომაში მოვაჭიერ სახეები ქართველ მეფეთა ფულებისა (³XI-XII-საუკ.). ფულთა კოლექციაში არის სახეები ფულებისა, რომელნიც წოუკრიათ ვახტანგ გორგასლანს, ჯუანშერს, სტეფანოზს, ბაგრატებს, დავათ აღმაშენებელს, გიორგი III, თამარ დედოფლალს, ლაშა გიორგის, რუსულნის და სხ.

ხელწერილობათა განყოფილებაში არის: „ხელი“ მეფეებისა, კათალიკოზებისა, დიდ გვაროვან კაცთა და წარჩინებულ მწერალთა.

ცალ-ცალკე მოყვანილია აგრეთვე ანბანები სხვა და

სხვა საუკუნოებისა (მე-6-40 წლისა, X საუკუნისა) და აგრეთვე ნაწერები ხვეულად და გადამშულად (ასო-ძაგ-რული და მხედრული).

ამ „პალეოგრაფიულ მინუშებს“, თუ დაიბეჭდა, მხა-ვალ ნაირი მნიშვნელობა ექნება, ჩვენის აზრით:

ა) იგი გაადვილებს წაკითხვას ძველის-ძვილ წიგნებისა, ტაძარ-მონასტერთა ზედ-წარწერებისა და მით გაადიდებს საქართველოს რსულის შემსწავლელთა გუნდს.

ბ) გადასწუცეტს იმ კითხვას, თუ რომელ ანბანი უხუცესია: ასომთავრული თუ მხედრული.

გ) მეცნიერთ მისცემს მასალას გადასაჭვეტად იმ კითხვისა, წმ. კირილე სლავიანურის ანბანის შესავსებათ ისარგებლა ქართულის ანბანით თუ არა? (მენიერი აბი-სტი ამტკიცებს, ისარგებლაო. იხ. მისი „Ist die Ähnlichkeit der glagolischen mit dem grusinischen Alphabet in zufall“, Leipzig. 1895 წლ.).

დ) გამოარკვევს იმ კითხვასაც, მარტა ხვეული ასომთავრული მე XV-XVI საუკუნეებდ წანაა არა გვხვდება! (ჩვენს „მინუშებში“ ხვეული ასომთავრული მე-IX საუკ. ჩნდება).

ე) მრავალ-ნაირი ღახატული ასობი, უკველია, წახალისებს ჩვენს მანდილოსნებს, რომელნეც ამ ასოებს მოიხმარებენ ქარგვაში: ეს მხატვრობა დამტკიცებს ბერძენ-რომაელთა მწერლების თქმულებასაც, რომ იცერიაში იციან ისეთი წამლები, რომელთა ფერდები არას დროს არ ხუნდება“. მარტლაც, უყურებ ქრთულს ნახატებს ტყავზედ და ნება-უნებლივდ ეკითხების შენს თავს: ეს საოცარი ხელოვნება გუშინდელია, თუ უწინარეს ათასს წლისა სად სწავლობდენ: ქართველები ამ გვარს თვალ-

წარმტაც ხელოვნებას? სად და სად იყო ის, ჩინ ბული
სკოლები, რომელნიც ჩრდილენ ამ მხატვრებს?

ვ) „გაუცხლებს“ და მკითხველს თვალ-წინ დაუ-
ყენებს მრავალს შოღაშეს, რომლის არსება აქამიმდე
არავის ახსოვდა. და ამ ნაირად ალსრულდება ხვეწნა ხუ-
თასისა თუ ათასის წლის. ამის უწინარეს დროის მწერ-
ლისა, წომ იგი არ დაივიწყოს მომავალმა თაობამ: „ძა-
ნო და სმანო, რათადენიცა მიემთხვნეთ წმიდასა ამას
ჭიგნსა ჭოცა ყავთ“ (იოანე ტატენელისათვს (640 წ.),
სეიმონ კალიკოზისთვს (786 წ.), ეფთვემესთვს (1028 წ.)
ბანაელ მად-მთავრის სვნგელოზისთვს (XI საუკ.). იოანე
მტბევარისის (X ს.).

„კურახეულნო ერნო მომავალნო, ჰირქელნი ჩუენსა
შემდგომად ყრთვად ხართ... ჭირნი დიდნი მინახიან,
ლშერთმან ჭეგაჭერის, სული გრიგოლ პატარისა მოიკ-
სენეთ წმიდასა ლოცვითა თქუენთა“ (ოპიზისა და ტბე-
თის მწერალი მერა საუკუნისა).

„გაბრიელ ხორგაი დიად დაჭიდგეს თანა, ღმერთმან
შეუნდევნ ცოცვანი! ოდეს მიმჭირდის, მათ მიცვიართი,
პურაი მციან, იოვანე გაცუეთშლმან კუტელითა ღვნოდ
მომართვა“ (X საუკ.).

აი ამ ყოფში ამ საწყალ მწერალს გადაუწერია
1300 დიდ ფურულოვანი ტყავის წიგნი და ისიც რო-
გორ? წმინდად, ფაქიზად და ულაქოდ!

ნუ თუ ამათფვებს შეგვშურდება სიტყვა კურთხევისა
და კცონებისა!

დიალ, ვიმეორებ; ჩვენი „პალეოგრაფიული მინუ-

შები“ ბევრნაირად სასარგევლო იქმნება; მისი ~~დაუგვიანესობა~~
ისავა „კრებულის“ რედაქციამ, რომელსაც იტენი აქვს,
რომ ქართველი საზოგადოება დაეხმარება ამ საქმეში.

სამინუშოდ აქვე ვურთავ ხელწერილობას თამარ და-
დოფლისას, მისის ქმარის დავით სოსლანისას, ერეკლე
მეორისას და სხ.

მ. ჯანაშვილი.

— 22 —

1) ეს შესანიშვანე ალბომი ამ წელიწადში გამოვა და უკრ-
ბული*: ს ხელის მომწერთ დაკლებულ ჭავად დეთმობა. რეც.

*) ეს შესანიშვანე ალბომი ამ წელიწადში გამოვა და უკრ-
ბული*: ს ხელის მომწერთ დაკლებულ ჭავად დეთმობა.

*) მე 16 ვვ. მოხსენებულ ახალ გორულ თქმულებას ამ წიგ-
ნის -ბოლოში ნახავს მყითხველი.

ს ი ს უ ღ ლ ე ღ ლ ე . .

(ეტიუდი).

... გუგუნებს ბუხარი, გუგუნებს და მალხაზას მოუთხრობს წარსულს — ბავშვობის ამბავს:

„გასოვს მალხაზ?! — ეკითხება ბუხარი: რა აღტაცებით მოელოდი ამ ღამეს; რა მოუსვენრად, უდარდელად ჰყისკისებდო, როდესაც დედაშენი გოზინაყს კეთებას და უწყებდა?.. შენც ჰუკელოდი; გინდოდა, ჩქარა გაეკეთებინა, საკვლეო ხონჩა დაემზადებინა, რომ დილით, ძალიან დილით, საჭირო ხონჩით შემოჰსულიყავ და მიგელოცნა შენი კერისოვის, მშობლებისთვის. ცოტათი რაკი მოიზარდე, მეკვლეობას აღარავის ანებებდი. მეკვლეობა დიდ ბელნიერებად მიგაჩნდა...“

„...ხა, ხა!.. ისიც ხომ გახსოვს, ხონჩიდგან ერთხელ მოხარშული დედალი გადაგივარდა და ძალომა მოგტაცა?!... დაგაიწყდა მეკვლეობა. ხონჩა ძირს დასდგი და ღრიალით ძალას გამოეკიდე, ხა, ხა, ხა!.. გეგონა, დიდი უბედურება რამ დაგატყდა თავზედ...“

ამ მოგონებაზედ პირზედ ღიმილი მოუვიდა, სია. მოვნებით შეიშმუშნა, და კვლავ ბუხრის გუგუნს ყური დაუგდო:

„...მაშინ, ჩემო კარგო, — გუგუნებს ისევ ბუხარი —

გწამდა ქცელაფერი: გეგონა ახალი წელიწადი მართლა
ახალი იყო; შენც ყოველ ახალ წელიწადის დღეს გაახ-
ლებულად ჰერძნობდი, გეგონა, სულ პხალისდებოდი და
ამისთვის შენს სიხარულს საჩლვარი ფრია ჰქონდა...
ეხლა?!?

«წწ... ფუტუ!.. უეცრივ ერთი ღერო წინ წამოვარ-
და; ჯერ მოუწვევი თავიდგან წამოცრემლა და შიშინი
დაიწყო...»

— ეხლა?!.. ეხლა?!.. აი, ეხლა!.. — წინ წამოვარდნილ
ღეროს ფეხი გაჯავრებით წაჰქორა და აჩქარებით ოთახში
გაიარებამოიარა.

— შენ თუ არ ჩამეკითხე, მე კი არ ვიცი, — ლაპაკ
რაკობს სიარულის დროს მაღხაზა; რანაირად გულს მი-
წამლავს ყოველ გვარი სიმხიარულე...»

ჰო!.. ჰო!.. ჰო!.. — ამშეიდებს ბუხარი და ისევ მხია-
რულად გუგუნებს.

— რა ნაირად მქენჯნის, გულს მისერავს ჩემი არსე-
ბობა, ურწმუნობა და...»

— ჰო!.. ჰო!.. ჰო!.. — ძალა-უნებურად იზიდავს შუ-
ხარი თავისკენ, ეალერსება მაღხაზას და აშლილ ფიქრებს
უქარწყლებს.

ისიც აჩქარებულ სიარულს თან ჭა თან უკლებს,
თავის-და უნებურად ბუხარს უხლოვდება და ჩერა ისევ
სავარძელში გადაწოლილი სიამოვნებით ყურს უგდებს
ბუხრის გუგუნს...»

«ღმერთო, ეს სადა ვარ?!.. სიზმარია თუ ცხადი?!..
არა მჯერა, გენაცეა, არა!.. ნუ თუ ჩემი ნატვრა, ჩემი
ოცნება გამართლდა?!.. ხშირად ჩითქვამს, ჩემო კარგო:
«ოლონდ დამარწმუნეთ, რომ გულ-წრუელად გიყვარვარ

და მაშინ... მაშინ სააქაოს ტანჯვას თუნდ საიჭიოს, თუ კი არსებობს, ჯოჯოხეთის ტანჯვაც ზედ და-ურთეთ, მაშინ მე მაინც ბეღნიერი ვიქმნები; მაშინ თუნდ ყოველ-გვარ საჩიზლრობას, ცას, ხმელეთს, ზღვას შევებრძოლები; მაშინ ჭირი და ლხინი გაერთებული მექნება, სიკვდილიც კი ლხინად მიმაჩნდება მეთქი“. და, აი, თითქო მართლდება ჩემი ოცნება!.. მე მჯერა, გულუ წრფელია შენი სიყვარული!.. არ ვიცი კი, და მჯერა!..

— ტყუილად გჯერა, ტყუილად!.. მე არ მიყვარხარ!.. — პასუხს აძლევს ჯერ ისევ შეუბლალავი, უმანკო არსება და თან თავის პასუხისავე პრცხვენიან, მის მიერ მკრთალ სახეს აღ-მული ასდის.

— ჩაუკვირდი შენს გულს, ჩაუკვირდი და ისე მიპა-სუხე! აბა, რადა სტუუი, რადა? ხომ ეგ არ უნდა გეთქვა?!

— მართალს გეუბნები, მალხაზ, მართალს!

— რად პცბიერობ, ჩემო ელეონორა, რადა?!. მე მჯერა, შენ გიყვარვარ; გიყვარვარ გულ-წრფელად და ამას შენ ვერ უარპყოფ!.. ელეონორა, სარკე მაინც გეღვას წინ; ის დავარწმუნებდა შენი სიტყვების უშინაარსობას!..

— რა ვწნა, არ მიყვარხარ!..

— შეუძლებელია!.. შენ ხომ ჭალი ხარ, ად-მიანის შთამომავალი!.. მაშ ნუ თუ შენზედ გრძნობა გულ-წრფელი არ მოქმედებს?!. კლდეს ააკრემლებს, ლითონს დააღნიობს და...

— არა, სტუუი, გიყვარვარ!.. გიყვარვარ, ჩემო ელეონორა!..

— შენ არ მიყვარხარ, სხვა მიყვარს!.. — წაილულლულა ელეონორამ და თავი ძირს ჩაჰედა.

— ვინ სხვა?!,

— მასაც ფუყვარებარ!..

— სიცრუვეა!.. მე გეუბნები, შენ შე გიყვარვარ... გიყვარებარ მისთვის, რომ მე გულ წრფელად მიყვარხარ. საკმარისია, მეოუნი; ამის თქმა, რომ ყოველი ეჭვი გავაქარწყლოთ.

— მისი სიყვარულიც გულ-წრფელი!..
მაშ უპირატესობას მის სიყვარულს რად აძლევ?!

— მე ეგ არ ვიცი!..

მაღალხაზა ჩაფიქრიანდა. სახე მიეღორუბდა. ძნელი იყო მისთვის, დაეთმო ვისთვისმე ეს განხორციელებული სინაზე, მაგრამ... იდე

— ელეონორა!.. — სასოწარკვეტილებით წამოიძახა: მე არ მჯეროდა, ვითომ შენ სხვა გიყვარდა. ეხლაც მრწამს: ჩემი გულ-წრფელი სიყვარული შენში თანაგრძნობას იწვევს... მაგრამ... რა მეთქმის, როდესაც შენ პირდაპირ ამბობ... იქნება, გგონია, მე ის გავკიცხო?! რა!.. ჩემი მეტოქე. არა და არა!.. მე შემეძლო მეთქვა: მას მოვკლავ, შევმუსრავ, მაგრამ არ ტამბობ, რადგანაც გულ-წრფელად მიყვარხარ. ვამბობ კი არა, არც მართლა მოვკლავ... იკოცხლოს...

ნუ კი იფიქრებ, ვითომ მე არ შემეძლოს იმასთან ბრძოლა? შენის გულისთვის ჩემ ძარღვებში ერთი წვეთი სისხლის მეტიც რომ არ ნაკადულობდეს, იმსაც გავწიორავ; მაგრამ მხრლოდ შენის სიყვარულით უკუ ვსდგები. მე არ მინდა პირუტყვთ დაგადარო...

— რას მეუბნები?!

— ყური დამიგდე: ხომ გინახავს ყოჩა ბრძოლა დედალი ცხვრისთვის?! მე ყოველთვის ყოჩა ბრძოლას მაგონებს მამა-კაცთა სიტყვით, თუ საქმით შებრძოლება

ქალის წინაშე. ორი მებრძოლი მამაკაცი. სკდილობს ერთი მეორის გამასხარავებას, რომ ქალის ყურადღება დაიმსახუროს. ყოჩია შეპხედე; მაგასვე არ სცდილობენ?! თავ პირს იმტვრევენ, ტვინს ილახავენ, რომ ერთმა მეორე შორს გააძეოს და თითონ ხელთ იგდოს დედალი. დედალი ცხვარიც გულის ფანცქალით, ტუჩია ცმაცუნით და ენის სავსავით გამარჯვებულ ყოჩის ქვეშ ეფინება. ქალი?! განა ქალიც მაგავე გრძნობით არ ეგებება შამაკაცა?!.

— გაჩუნდი, მალხაზ!..

— მე არ მინდა ცხოველს შეგადარო და ამისთვის ჩემს მეტოქეს არ ვებრძვი... .

შშვილობით იყავ და გისურვებ ყოველ გვარ ბედნერებას!.. ამ სიტყვების წარმოთქმის შემდეგ მალხაზა გატრიალდა და გული კი ელეონორასთან პრჩებოდა

— მალხაზ, მიყვარხარ!..

— ელეონორა, შენ ამჰობ მაგას?!!. ჩემო, ჩემო, გამაგონე კიდევ ეგ სიტყვა!..

— მიყვარხარ, მალხაზ!..

— ელეონორა, მრწამდა, შენ ადამიანი იყავ და...

— არ გეყურება, რამდენი ხანია ვაბრაგუნებ, მალხაზ!.. — შემოესმა ხმაურობა და კედლის ბრაგუნი მეორე ოთახიდგან... .

— ჰა!.. — დაბნევით წამოიძახა, აქეთ-იქით მიიხედა და... .

სანთლის მერთალი ნათელი, თავის ოთახის კედლები თუალთ წაეჩირა. ბუხარიც კი აღარ გუგუნებდა, ჩანავ-დებულიყო. ელეონორა!..

ელეონორას სიტყვები ისევ ყურში ესმოდა... .

ამის მნახველს გული მოელაფნა და მწარისტ ბიმი.

ლით წამოიძინა: „სისულელეა!.. წრფელ გრძნობას მხო-
ლოდ ოცნება აჯილდოვებსო“...

— არ გეყურება მალხაზ!..

— ეხლავე!.. განა დრო არის?!

— საკაა ახალი წელი ჩემსავით კარებს შეგვინძრევს...

შენს მეტი ყველა აქ არის...

— მეც ეხლავ მოვალ და შეიყოჩაოთ!.. — უკანასკნე-
ლი სიტყვა თითონაც არ იცოდა რად წარმონთქვა, თუმ-
ცა კი თავისდა უნებურად საყოჩაოდ მზადებას შეუდგა...

შ. არაგვისპირელი.

დ. სურამი.

არი ტიკული გენერალი.

(ზანდეგილის ლექსები, 1898 წ.).

ამ უკანასკნელ დროს ჩვენმა ახალგაზღადა «პოეტებმა» ძალიან დაუჭირეს თავიანთ «ხელის-ხელ საგოგმანებელ» ლექსთა თაიგულების ბეჭდვას და წიგნებად გამოცემას. ეს ამბავი, თუ გნებავთ, ერთგვარ ახალ-მოდათაც გადაიქცა და ამის მსგავსი ჯერ ჩვენს ლიტერატურაში არაფერი ყოფილა. ეს, ალბად, დროის ნიშანია და ერთის მხრით სანუგეშოც... მე დარწმუნებული ვარ, რომ კეშმარიტი პოეზიის ზოგიერთს მოტიფიალეს ბევრს მწუხარებასაც მოჰკვრის ეს ამბავი, რადგან ახლად დასტამბულს ლექსთა კონას ბევრჯერ აღტაცებით მიეკებებიან ხოლმე, მაგრამ თითქმის ყოველთვის იმედ-გაცრუებულნი და მწარეულ მოტყუებულნიც რჩებიან. ამდენი ლექსთა თაიგულები გამოცდილს და დახელოვნებულს კიიტიკოსაც კი აუბნევნ დავთარს, თორემ ზერე-ქვერედ აღზრდილს, გემო-გაუხსნელს და ჩვეულებრივს მკითხველს ხომ თავ-ბრუნს დასხავენ და გრძნობა-გონებას დაუბნევენ. მაგრამ, როგორც ყოველგან მოხდება ხოლმე, ისე აქაც ბევრჯელ მწუხარებას მოსდევს იმედი და სიამოვნებაც. პროზულად და

უნიჭოდ დაწერილს ლექსთა ამ ახას-გროვჭში, შესაძლებელია; ჩვენშიაც წაწყდეთ მართლაც ნამდვილი, კეშმარიტი ნიჭის მაღლიანს ნაწარმოებს და ვერ წარმოიდგენთ, რა დიდ სიამოენებას და სიტკებოებას გრძნობს კაცი, როდესაც ლექსებში იხატება ცოცხალი ნიჭი და მდუღარებასაცით მღელვარე გრძნობა, ზეცის ასულის — პოეზიის ცეცხლი. ჩვენ ყოველთვის სიამოენებით მოვკიდებთ ხელს ასეთს სანუგეშო სალიტერატურო მოვლინებას და ვეცდებით მისი შინაარსი გა სამკაულის ღირსება გადავცეთ მკითხველებსაც. ასეთს იშვიათს ლექსთა კონას წარმოადგენს ქნ განდევერლის ლექსქმიც, შომელნიც აუტორმა ცალკე წიგნად დასტაბბა წელს. მაგრამ, ვიდრე ამ ლექსების განხილვას შევუდგებოდე, საჭიროდ მიმართოთ სიტყვით ვუამბო მკითხველს ქართველ ქალთა სალიტერატურო მოღვაწეობის მოკლე ისტორიაც.

ჩვენი ლიტერატურის ახალს გზაზე დადგომისა და აღორძინებისათანავე ქართველი ქალებიც რღებენ ძნურვალე მონაწილეობას ლიტერატურაში. და კაცებთან ერთად შეაქვთ მცირე წვლილი საერთო შრომის და შორის გაწეობის სალაროში. ჩვენი მხცოვანი პოდგრის, რაფიელ ერისთავის და კნ. ბარბარე ჯორჯაძისა, მგონია, პირველი ქალი იყო, რომელიც 1858 წელს გამოვიდა სალიტერატურო ასპარეზზე. და დაიწყო ლექსებისა და მოთხრობების წერა უურნალ «ცისკარში». დრამა „შური“ და კომედია „რა დავკარგე და რა ვნახე!“ აუტორისა მარენ ამ 35 წლის წინად დაწერილი, არა ერთხელ წარმოუდგენით ქართულს თეატრში, ამას თან მოჰყვა 70-ან. წლებში ქვრივი ულად განათლებულ ქართველ ქართველ ქალებისგან სამოსაკითხავ თხზულებათა თარგმანები, რომელნიც უურნალ „კრებულის“ შესანიშნავის კრიტიკოსის სიტყვით, „სწო-

რედ საამო და ბეღნიერი მოვლენა იყო ჩვენ ბედ-შავ
მწერლობაში". ქალების იმ ახალ შრომას მაშინ მიზნად
ქართველი საზოგადოების და ოლტერატურის სიკეთე
ჰქონდა შინ წამოყენებული და, ამიტომაც, ზემოდ დასა-
ხელებული კრიტიკოსიც დიდის სიამოვნებით და აღტა-
ცებით მიეგება ქართველ ქალების სასარგებლო შრომას
და, სხვათა შორის, გამოსთქვა ეს შემდეგი სიტყვებიც,
რომელნიც ბევრთათვის საგულისხმოა დღესაც: "თუ ჩვენ
მართლა გვწამს ჩვენი მომავალის ღირსება და სიკეთე,
ჩვენ ისე მჩატედ და უზრუნველად კი არ უნდა მოვეპუ-
რათ 〈ქართველი ქალების〉 შრომას, როგორც ჩვენი
სკეპტიკები (სკეპტიკების აზრი ამ სიტყვების ზევით აქვს
გარკვეული ივტორს) და ზოგიერთი სხვა ჭირებიც შვრე-
ბიან. ჩვენ არც იმ შემცდარის აზრით უნდა მივადგეთ
ამ შრომას, როგორიც სკეპტიკებს ნიადაგ თავში უძევთ,
და არ უნდა დავიწუნოთ ეს შრომა მარტო იმ საფუძვე-
ლით, რომ ის უნაკლულოვანო არ არის, არც იმგვარად
უნდა მოვეპურათ იმას, როგორც კაცი ბავშის. პირველ
ნაბიჯის გადამდს, ან პირველი სიტყვის გამოთქმას აფასებს,
და არ უნდა გვქონდეს, ის დაფარული აზრი, რომ „თქვენ-
გან, ბავშებიდან, ესეც კარგია“. ჩვენი აზრით, როგორც
ჩვენი მაღლობა შესრულებული შრომისთვის, ისე ჩვენი
იმედი მომავალი საქმისთვის იმით უნდა გამოითქმოდეს,
რომ ჩვენ ნამდვილ გულწრფელობით დავაფასოთ ეს ნა-
წარმოები და მოვეპურათ 〈ქართველ ქალებს〉. როგორც
ტოლი ტოლს, კაცურად, პირუთვნელათ და გულგაშლი-
ლად. ჩვენ იმათ როდი უნდა ვაკადროთ არც ბავშური
თავშე ხელის დასმა, არც ყმაწვილური მაღალ-კილოია-
ნობა. ერთის სიტყვით, ჩვენ მწერლობას მარტო პირდაპირი.

და სინდისიერი სჯით შეუძლია ნამდვილი მადლის გადახდა ჩვენი საზოგადოების მხრით".

ამ დაწინაურებული მწერალის სიტყვებით გამხნევე ბული «ქართველი ქალები» შემდეგში უფრო წინ მიღიან, კეთილს და სასარგებლო საქმეს ჰკიდებენ ხელს და ჩვენს ლიტერატურაში. პირველად იწყებენ დიდს საქმეს. ქართველი ქალები პირველად აარსებენ საქართველოში 80-ან წლებში საკუთარ უურნალ „ქართულ ბიბლიოთეკას“; სადაც ბევრი პატივცემული და ნიჭიერი მანდილოსანი მუშაობს, მხნედ და გატაცებით. ამ ხანებში, განსაკუთრებით ორმა ქალმა გამოიჩინა თავი: ეკატერინე გაბაშვილისამ და პოეტის მიხეილ თუმანიშვილის ასულმა, ანასტასიამ. პირველი არის ნიჭიერი ბელეტრისტი-ქალი, მეორე — ნიჭიერი მთარგმნელი და რედაქტორი, საყმაწვილო უურნალ „ჯეჯილისა“ და საკუთაო განხეთის „კულტისა“. ამავე დროს ლექსებს სწერს და სტამბავს კნ. ნინო ორბელიანისა და რამდენიმე სხვა ქალიშვილებიც მუშაბენ 90-ან წლებმაც არ დაგროვეს ხელცალიერი და მცირე რაზმს ქართველი ქალებისას მიემატა: ნინო ყიფიანისა, ანასტასია ერისთვის ასული და ჩვენი ნიჭიერი, ბელეტრისტი და პოეტი — ლიტერატურისტი — ქალი განდევნილი. აგრეთვა ექვსი წელიწადია მას აქეთ, რაც განდევნილ სწერს თავის ლექსებს „ჯვერიაში“. და „კუალში“. პოეზიის მოტივიალენი დიდის სიამოვნებით ჰკითხულობდენ ხოლმე განდევნილის ლექსებს, მაგრამ საზოგადოება მაინც საკმაოდ

კერ იკანობდა თვტორს, რადგან ლექსებს ძალიან იშეია-
თად ჰქექდავდა. მხოლოდ ამ უკანასკნელ ტროს მან ტა-
იწყო პატარ-პატარა მოთხრობებისა და სურათების თხზვა
და საზოგადოებამაც მიაქცია ყურადღება მის სიმპატიურ
ნიჭეს. თავის ლექსების ცალკე გამოცემის შემდეგ, იმდრია,
უფრო დიდს ყურადღებას დაიმსახურებს ავტორი... ჩვენ
კი, პირადად არ გვსურს და არც ვაკაზრებთ, არც ჩვენ
თავს პატივუფებულს ავტორს, რომ ზოგიერთი ვაუ-
ბატონივით «ყმაწვილური მაღალ-კილოიანობით» მოვეპ-
ყრათ განდეგილს, და აქვე აღვიარებთ, რომ იმისი
ლექსთა თაგული წარმოადგენს უკანასკნელი დროის
ქართულს პოეტურს ლოტერატურაში მართლაც ერთს
სასიმოვნო მოვლინებას.

ქნ განდეგილის ლექსებს, თითქმის ყველას გარეგ-
ნული მორთულობა და ლირისება ძალიან კარგი აქვს და
ალაგ-ალაგ შვენიერიც. მართალია, ის ლექსები, რომელ-
ნიც მას 1893 წელში დაუწერია და ორიოდე სხვაც
კიდევ, როგორც მაგალითად, «მეგობარს» და «არ ვარგა!»
სხვა მის მიერვე დაწერილ ლექსებს ვერ შეეღრძებიან,
რადგან აზრის სილარიბესთან დასახვლებულს ლექსებს
აკლიათ ის ცხრველს-მყოფელი ძალა და ენტუზიაზმი,
რომლითაც გამსჭვალულია დანარჩენი ყველა იმისი ლექ-
სები... ამ ლექსების სისუსტე, ჩემის აზრით, იმით უნდა
აიხსნას, რომ ეს ლექსები დაწერილია სულ წინაპირევე-
ლად, თითქმის ახლად კალმის ხელში აღებისათანავე; შემ-
დევში კი ჩვენს აეტორს დიდი წარმატება და ნიჭის
ცხრველ-მყოფელი ზრდა ეტყობა. ლექსები რითმებით
თან და თან მშვენიერდებიან, მდიდრტებიან და, ბოლოს,
ისეთს მრმჩიშვლელს და შესანიშნავს ლექსებსაც სწერს,

რომელთაც შეუძლია თვალ-საჩინო ადგილიც დაიჭიროს
ჩევნს ახალს ლირიკაში. განდევილის ლექსები თან და
თან წარმატებაში შედიან ფორმითაც და შინაარსითაც,
თან და თან პოეზიის ცეცხლს იმატებენ და მკითხველზე
ძლიერად მოქმედებენ თავის უბრალო და გულ-შრფელად
გრძნობათა გამოთქმით.

განდევილი მომეტებულად ცუდ გუნებაზეა და მოწ-
ყენილი. იმის გრძნობათა გამოთქმის, პოეზიის მოტივები
ტურფა სამშობლოს მთა-ბარის, ბუნების ჩაფიქრებული,
ჩუქი სიყვარული და ალერსია და ამ აღერსის დროს
იყი გრძნობს მარტო-ხელობას, ოდესალაც ბედნიერი, მაგ-
რამ დაკარგულის წარსულის მოგონებით იბრუნებს სულს
და ისე მოთქვამს თავის დარღებსა და გულის ნადებს:
მართალია ისიც, რომ ეს მოტივები ყველა პოეტებისათ-
ვის საერთო და საზოგადოა და აქ განდევილის ნიჭე არ
ეტყობა ორიგინალობა, დამოუკიდებელი ფეხის გადაღმა.
ამ მოტივებს, ჭრილობი ლირიკოსების გარდა, ბევრი ამ
დროის გულ-აჩვილებული და სანტიმენტალური გრძნო-
ბით აღძრული ვითომ და პოეტებიც დამღერიან და სოფ-
ლად თავის მარტოხელობაზე, დაკარგულ ბედნიერებაზე
და უიმედო სიყვარულზე: ლექსების წერით და ბეჭდვით
თავს გვაძეზრებენ. და, ასე გასინჯეთ, ეს ვითომ და პო-
ეტებიც ბაზარსაც პიოულობენ, სახლსაც იძენენ და
მკითხველების გულსაც იგებენ და იზიდავენ!..

ქ-ნი განდევილი ასეთს გაცემილს ფაქტებს როდი
ეტანება. იმისი პოეზია მის საკუთარს სულშია, მის ამ-
დაუტანებლად გამოკვერილი და ამ ცოცხალი მთის წყა-
როს წყალიდან ჩერიალით გადმოდის ცხოველ-მყოფელი,
წმინდა გრძნობანი და აზრები. . ეს გრძნობანი და აზრები

იქნება თავში სახეთქს, დიდ-დიდ ფილოსოფიას და სიბრძნეს არ წარმოადგენენ, მაგრამ ჩვენი პოეტისათვის თვისი აზრები მეტად უძვირფასესი და ყველაზე უსაყვარლესი არიან ამ ქვეყანაზე. განდევგილი არავის ძალას არ ატანს, არავის იდეალად არ უსახავს ამ თვის აზრებსა და ფიქრთ. არა, იგი მარტო თვით ეტრფის და მოწონებით ეტანება თავის საკუთარ აზრებს, თავის შეხედულებას, თავის გრძნობათა გამოთქმას, იმიტომ რომ ეს აზრები და გულის ნადებნი მარტო და მხოლოდ ჩვენი ავტორისათვის არიან უძვირფასესნი და მკუდრეთით აღმდგენელნი...

გადაშალეთ განდევგილის ლექსები და, აბა, ნახეთ, თუ პირველი გვერდიდან ბოლომდე ზედი-ზედ სიამოვნებით არ ჩაიკითხოთ სულ მთელი წიგნი. იქ თქვენ ერთს ლექსსაც ვერ გამოტოვებთ, რადგან პირველი ლექსივე იწვევს თქვენში სასიაშო შთაბეჭდილებას, რომლის გამოწვევა შეუძლია მხოლოდ ნამდვილი და კეშმარიტი ნიჭიერი მწერლის ნაწარმოებს..:

წაიკითხეთ, მაგალითად, ლექსი „სააღდგომოვ“; სადაც დილის სურათი ლამაზად არის ჩამოსხმული; დახატულია ის წამი, როდესაც აღდგომა დილას ცის კიდურეთს გადაჭვრია მთელი გუნდი თეთრის გედის და საერთო ბეიარულებას ბანს აძლევს:

ტ მ ბ ძ ს ა

„ცა, ქვესკნელი, ზღვა, ხმელეთი..; ნა, და და
მოქარიალდა გაზაფხული ..; კუთხე და და
„სატრფიალო, საყვარელი..; მა, და და
„შრავალ-ფერად იმოსება
„მთა, მინდორი, ტყე და ველი.
„მწვანე ბალას დილის ნამი
„შარგალიტებრ ზე აყრია,

„პატარძლურად თავ-დახრილი
„ველს აშვენებს ნაზი ია...
„მზემ კაშაში იწყო მკვირცხლად,
„მოეფინა ზღვა და წმელთა,
„შეთამაშდა და ჩინჩხლები
„სტურცნა ციაგს — შეუერთა...
„მთას ბუმბერაზს ნისლით მოსილს,
„მსწრაფლ მოეხსნა შავი ფარდა, --
„ლაუგარდ ცაზე გედის გუნდიც
„შეტრიალდა, შენავარდდა!..“

სულის ამგვარი მდგომარეობა, რომელიც გამოუწევია მართლაც მხიარულად გაბრწყინვალებულს აღდგომის იშვიათს დილას, შეადგენს ნიშნობლივს თვისებას განდეგილის ლექსებისას. განდეგილი ნამდვილი ლირიკოსია. იმისი ლირა არ არის უშინაარსო, უშნო, გაცვეთილ ოხვრათა და ყალბი ფრაზების უგანაჩენო რახა-რუხი, არც უმნიშვნელო, უაზრო და მშრალი აღწერა მზისა და ლაუგარდი ცისა. მართალია, ბუნების საიდუმლოებისა და პროცესის დიადს სურათს იგი ისე გასაოცრად ვერპხატავს, როგორც ნ. ბარათაშვილი და გრ. ორბელიანი, შაგრამ, სამაგიეროდ, იგი ეხება უბრალო, ჩვეულებრივს ბუნების სურათთა რეალობას, როგორც მაგალითად, აღდეგომის დილით გამხიარულებულს არე-მარეს, კაცის გულს, მის აღტაცებას და სიყვარულს და შემდეგ სევდა-კაეშანსაც, რომელიც მუდამ წმინდა, ქალწულოვანსა და მდიდარს მოტივებს შეადგენენ ჩვენს ლიტერატურაში უკვდავის ნ. ბარათაშვილის შემდეგ...

სწორედ ამავე საგანზე კიდევ ერთი ლექსია დაწე-

რილი, სადაც საკმაო ზელოვნებით, მარტივად და აღ-
ტაცებითვე გამოთქმულია იგივე გრძნობა:

„დილა არის.. ცა ლაქვარდი
„მზისა სხივით იფერება
„და ქურდულად მიმალულა
„თვით მთვარე დჲ ვარსკვლავთ კრება.
„მობიბინე ვარდ-ყვავილი
„გულ-მკერდს იშლის, იფურჩქნება,
„გაიღვიძა მთა და ბარმაც?
„სამეჯლისოდ ემზადება.
„ველს გაჰკივის იადონი,
„ია კრთება, მორცხვობს, ნაზობს,
„მას ნამს აფრქვევს კლდის ჩანჩქარი,
„მოცელქობს და მოკისკასობს.
„მიჯნურივით გაულიმა
„ქვეყანამ ცას, ცამ ქვეყანას
„და ორივე მწყობრად ჰგალობს
„საამქვეყნო გამოცანას:
„დღით მზე ნათობს, ღამით მთვარე,
„დღე ღამეს სდევს, ღამე დღესო,
„თუ წყვდიადი არ გინახავს,
„ფასს ვერ დასდებ სინათლესო.
„ვინც წარსულს დროს სტირს და მოსთქვამს,
„ის აწმყოსაც ინანებსო,
„მკვდარს ტირილი ვერ აღადგენს,
„მოვლა უნდა საღს და მრთელსო.
„მშეიღობის გზა მთვარე-ვარსკვლავთ
„ქებათ-ქება მნათობ მზესო;
„ვაშა, ვაშა ბუნების წესს,
„რომ ნათელი მოსდევს ბნელსო!..“

აქაც, ამ დილის სურათის აღწერაც ნაზი, მყუდრო
და ტკბილი გულის მღელვარებით აქვს პოეტს დახა-
ტული, რომელიც მოქმედებს მჭითხველზე და არწმუ-
ნებს მას, რომ

„თუ წყვდიადი არ უნახავს,
„ფასს ვერ დასდებს სინათლესო...
„მკვდარს ტირილი ვერ აღადგენს,
„მოვლა უნდა საღს და მრთელსო...“ და
შეჰერის ბუნების წესს, რომ ჩათელი მოსდევს ბნელ-
სო!..“

შეტად ლამაზია მესამე ლექსიც პოეტის:

„დილა არის... ტყე და ველი

„იზმორება, იფშვნეტს თვალებს...“

პოეტი ხშირად მიუბრუნდება თავისს საკუთარს
გულს, რომლის სიცოცხლე მოუშხავს სიკვდილის
მწარე წარმოდგენას და აჩრდილს და ეუბნება:

„დამშვიდდი! შენსა სატრფოსა...“

„გაუბრწყინდება გონება

„და, უიმედოდ მძგერალისა...“

„ისევ ის ჩაგეეონება...“

ან. კიდევ: „ბევრჯერ მინახავს შავი დღე...“

„და ბევრი ცრემლიც მდენია...“

ამ ცელქს, მხიარულს, ხან კი სევდიანს ხმებში
თქვენ არ გესმისთ ჩვეულებრივი უსაქმო, მოწყენილი
აღამიანის მწუხარება, ან უდარდელობა. აქ არის ცო-
ცხალის სიტყვებით დახატული გაცრუებული სიყვარუ-
ლის გრძნობა ლამაზად და შნოიანად, რომელიც აძლევს
განდევგილის ლირიკას ძლიერებას, მხნეობას და სიცოც-
ხლეს. სიმართლეს რომ არ ვუმტყუნოთ, აქვე უნდა
შევნიშნოთ, რომ განდევგილი სიყვარულის დიადს

გრძნობას ლრმად ვერ ხატავს; შიოლოდ იმის ზედა-პირს
ეხება, მაგრამ ამ ლექსებშიც მკაფიოდ არის დასურა-
თებული შეყვარებული გულის მწეხარებანი. ასეთი
ლექსები ბევრიც არა აქვს განდეგილს და, ამიტომაც,
ადვილი შესაძლებელია, ზოგმა ვერც დააფასოს მათი
შედარებითი ლირსება.

ლექსნი: „ჴა, შენთვის გული,

ტახტად დადგმული...“

და აგრეთვე „ვნახე ლამაზი

„ნარნარი, ნაზი...“

„ჩემს მტანჯველად გაჩერილი

„ხარ შვენიერი...“

ან კიდევ: „ნუ მეჩვენები, ველარ ვუძლებ შენსა
სიტურფეს...“

და: „ერთხელ კიდევ გამილიმე ტკბილად...“ შვენიერი
ლექსებია.

სიყვარულის ცეცხლით აღგზნებულს პოეტს დიდი
იმედი აქვს თვისი თავისა, თვისი ნიჭის აღმაფრენისა.
მაგრამ ეს ვიწრო თავმოყვარეობის, ან გაამარტავნე-
ბული გულის კაპრიზები როდია. არა; ეს გრძნობა
წმინდა გულწრფელება, ნამდვილი, ანგელოსური სურ-
ვილებია პოეტის გულის უანგარო სიყვარულისა:

„გავნასკვავ სიმსა გაწყვეტილს,

„ავაკვენესარებ ძალადა,

„გავკრავ-გამოვკრავ თითებსა,

„ხავუხმატკბილებ წყნარადა.

„გულს ტალად ვიქცევ, სულს კვესად,

„გრძნობას-მწველ ნაპერწერალადა,

„აბედათ - მთელსა არსებას,

„გარდაქმნილს ყინულ-სალადა.“

„ცეცხლს მოვიკიდებ, მის გუგუნს“

„ვიხმარ ტკბილ მოძახილადა;“

„ავაფრთვანებ ოცნებას,“

„ასე მივარდნილს ძილადა.“

„გავანავარდებ ციხაკენ,“

„შევუკამათებ მთვარესა,“

„მივურაყიფებ ალიონს,“

„კეპლურად მონარნარესა.“

„მზე რომ ცას ისარს შესტყორცნის,“

„შეუთამაშებს სხივებსა,—“

„მეც ჩემს ფერფლს იმის ციმციმში“

„ჩავქარგავ, როგორც მძივებსა“. „

სამშობლო ქვეყნის დიდი სიყვარულიც ღრმად აქვს ჩვენს პოეტს გულში ჩამარხული. ეს ის დიდი საგანია, რომელსაც გარეშემო უტრიალებს და ეალერ-სება განდევგილი, რაც იწვევს მასში, ხან აღტაცებულს მხიარულებასა და იმედს, ხან კი ჩაწყვდიადებულს გამ-წარების ხმებს. ყოველს ლექსში, სადაც იგი ეხება ამ საგანს, მარტლად არის გატარებული ქვეყნის უბედუ-რებით ერთხელვე დატანჯული გულის გოდება. და ეს გოდების და მოთქმის ხმები იმ წამსვე გაგრძნობინებთ, რომ თვითოუეული ხმა შოსიყვარულე გულის სილრმიდან არის წარმომსკდარი, და ეს გრძნობაც ძლიერადა განუცდია ჩვენს პატიოსანს მშრომელს მამულიშვილს. აქ, ასე გასინჯეთ, ისეთი ლამაზის და ტკბილი რითმე-ბის პატრონიც, როგორიც არის განდევგილი, ყურად-ღებასაც არ აქციებს სიტყვებს, რომ მომხიბელელად, დიდის ეშით, დიდად დამარგალიტებულის დახატვით გამოსთქვას თავისი ვულის ნადები. ავტორი ცდილობს, რაც შეიძლება მალე, დაჩქარებით გამოხატოს გულზე

მოწოლილი გრძნობა — სამშობლოს სიყვარული, რომ
გულს თავისუფლად მოეშვას და განიცადოს სიტკბო-
ება... და ლამაზი, თვალის მომტრელი იქნება ლექსი,
თუ არა — ამაზე იგი თითქმის არც კი ფიქრობს. მაგრამ
ეს გულგრილობა, ასეთი დიდი საგნის გარეგნული
ლირსებით მოურთველობა და მოუკაზმელობა, დამერ-
წმუნეთ, არც კი დასტუობია განდეგილის ჩინებულს
ლექსებს. და ეს იმიტომ, რომ ქ-ნი განდეგილი შვე-
ნივრად ფლობს და ხმარობს ქართული სიტყვიერების,
ჩვენი სალიტერატურო ენის მღიღარს ფორმას, რომე-
ლიც შოთა რუსთველის, ნ. ბარათაშვილის და აკაკის
ლირიკის წყალობით აღვიდა უაღრეს წერტილამდე...
განდეგილისათვის საჭირო იყო მხოლოდ, რომ თვისი
საკუთარი წმინდა გრძნობებისა და აზრებისათვის, ფიქრ-
თა და განზრახულებისათვის მიეცა მეტი ძლიერება,
მეტი გულწრფელობა და იგი, ვით ბუნებისგან საჯმაოდ
ნიჭით დაჯილდოებული მწერალი, სწორედ კეშმარიტს
პოეტურს სურათს ჩამოასხამდა ყოველთვის. წაიკითხეთ,
რა ტკბილი ლექსებით ამჟაბს თავის სამშობლო ქვე-
ყანას, „ივერთა მხარეს“ ჩვენი პოეტი:

- „მთა-ბარს მოეხსნა შავი მანტია,
- „ნათლით მოირთო ტურფა ბუნება,
- „აჯყვავდა ველი, ვარდს გადაშლილსა
- „გრილი ნიავი ესალბუნება...
- „...მძლავრი, ამაყი. კავკასიონი
- „მტრის თვალის ეკლად ამართულია,
- „ვით პატარძალი, სპეტაკს სამოსში
- „თავით ბოლომდე გახვეულია!“...
- „თავზე ადგია თეთრი გვირგვინი
- „დრო-უამისაგან დაურღვეველი,

„მტერთა გამგმირი, სასიქადულო,
„შეუბლალავი, შეურყეველი!
„და ძველის-ძველი ივერთა რუქა
„გულში აქვს კავკასი ლრმად ჩამარხული,
„მას ვერ ამოპგლეჯს ვერა-რა მტერი,
„იქ არის ჩვენი სული და გული!...“

ხან კი ამ ტურთა მხარეს ედემად წარმოიდგენს
იგი და იმას შეჰყეფს, ეალერსება:

„...გადაიქცევა წალკოტიდ
„კუნძული, სალი კლდიანი,
„დაუშვენებენ ხეივნებს
„ვარდ-ყაყაჩონი, იანი-
„კლდის ნაპრალიდან ანკარა
„წყარო დაიწყებს დენასა,
„ბულბული, ვარდის ტრფიალი,
„ბაღს მორთავს ჭიკჭიკ-სტვენასა...
„დაპბერავს გრილი ნიავი,
„ააბიბინებს მდელოსა,
„ვარდის სუნს ბულბულს აყნოსებს,
„რომ გული გაუმრთელოსა!..“

ხან ხედავს „სამშობლოს აყვავებულს, სადაც მთასა
და ბარს ფერი უცვლია

„და თვით გელათის ნისლისა და ბურუსს
„შორს, შორს ჰფანტავდა ციური ძალა!..“
კაი ხანია საქართველოს უბედური მდგომარეობა
ჩვენს პოეტს გულში ლახვრად სობია და უბედურის
სახე წინ უდგას:

„ზამთრისსუსხი დგას: მთა-ბარსა
„თეთრი ზეწარი ჰფენია,
„სავარდ-ყვავილო ბულბულსა
„ჯერ არსად დაუსტვენია“...“

დიალ, თუმცა „სავარდ-ყვავილო ბულბულს ჯერ
არსად დაუსტვენია“ საქართველოში, მაგრამ განდე-
გილს დიდად უყვარს თავის წინაპართა სისხლით მორ-
წყული მშობელი ქვეყნის მთა-ბარი, უყვარს სამშობლო
დიდი რუსთველის და ჰამარისა, აკვანი მეფე ერეკლე-
სი და გმირის კახაბერისა

„დედა თორნიკე ერისოვის“

„და იოვანე ბერისა...“

„...და ვისაც მისებრ არ უყვარს.“

„სავანე გმირთა ძვლებისა —“

„ის დამგმობია რჯულისა,“

„და წინაპართა მუნებისა!..“

ზოგჯერ ჩვენს პოეტს სიმბოლიური ლექსებიც
ემარჯვება. სიმბოლიური პოეზია, როგორც განმარ-
ტვენ მას საფრანგეთის უკეთესი კრიტიკოსები, არის
ყოველ გვარ სხვა დანარჩენ პოეზიაზე უფრო გაცილე-
ბით უზენაესი, უნარნარესი და უტკბილესი. ჩვენს ლი-
ტერატურაში ნ. ბარათაშვილმა და ნამეტურ აკაკიშ დაუმ-
კვიდრა მოქალაქეობა ამგვარ პოეზიას დაგასაშტერებელის.
საოცრებით დახატეს ოვისი საკუთარი ინდივიდუალური
კაეშნის ხმები... აწინდელს, სულ ახლანდელს ლიტე-
რატურაში აკაკის შორი ახლოს კი არა, თითქმის ძა-
ლიან ახლოსაც უდგის გვერდში ჩვენი უნიკიტერესი,
მაგრამ ძუნწი მგოსანი გრ. ვოლოსკი (უმწიფარიძე),
რომელისაც ძალიან ეადვილება მკვეთრი, ნარნარი და
მღიდარი რითმებით შვენივრად გამოხატვა სულის ოხვ-
რათა და გულის ნადებთა, იმიტომ, რომ პოეტს აქვს
შესანიშნავი გრძნობიერი და ღიღათ მოსიყვარულე,
ფაქიზი გული, რომელიც ეოლის ქნარივით ბანს აძლევს
ყოველს ინდივიდუალურს და საქვეყნო მაჯის და გულ-

შკერდის ფეთქვას და მოძრაობას. ამ შესანიშნავს ახალს მგოსანს მისდევენ ნიჭიერი პოეტები: გრ. აბა-შიძე, ცახელი, რუს-იმპერელი და განდევნილიც, რომელთაც სიმბოლიური პოეზია თითქო არ ეხერხებათ, მაგრამ აქა-იქ ფრთხილი შეკითხველი იმათ ნაწარმოებშიაც წაატყუდება ასეთი ხასიათის ლექსებს, რომელნიც საყურადღებო არიან თავიანთი სინაზითა და სინარჩარით... თავის უბედურს სამშობლოს განდევნილი უდარებს მზეს და მთვარეს და მლერის:

„ერთხელ კიდევ რომ ვნახავდე
„ჩემს მზესა და ჩემსა მთვარეს,
„არ შევკრთები, თუნდ იმავ წამს
„მოველოდე შავს სამარეს...
„იმისი ხმა რომ მომესმას
„კუბოში მყოფს, სუდაროსანს,—
„გრძნობის ჰანგათ ამამლერებს,
„დამამსგავსებს ხმა-ტკბილ მგოსანს...“

მისი ცრემლი რომ დაეცეს მგოსანს ამირანებრ განკუთღება და კავკასიონიდან გადმოსძახებს

„ზლვას და ხმელეთს ჩემს სიყვარულს,
„ტრფობის დროშად აღვამაღლებ
„ყორანთაგან დაფლეთილს გულს,
„რომ საყარო ტკბილის ჰანგით
„მას უმლერდეს ციურ ნანას.
„თვით ზესკნელიც ქედს უხრიდეს
„სიყვარულის გამოცანას...“

ან კიდევ: „გული მართლად მაქვს, ვერ შეიძლებ შეეხო იმას...“

რალაც ძლიერი ენერგია და სულის გამამხნევებელი ხმები იხატება ამ ანგელოსურს პოეტურს ენტუ-

ზიაზმში და მისი შვენიერი მელოდიები და შუსიკალურ
გრძნობანი იმორჩილებენ აღამიანის გულს. განდეგი-
ლის ლექსები ჰარმონიული და ტკბილი ლექსებიც და
მუდამ ორი-სამი დიდი საგნის გარეშემო ტრიალებენ—
სიყვარული, სამშობლო და მისი ბუნება, კაცთა გაუ-
ტანლობა და გულის ჭრელობა—კაეშანი.

კაეშნის ხები უფრო ადამიანის უმსგავსო მოქმე-
დებას, კაცის გაუტანლობას ხატავენ და ძლიერადაც
მოქმედებენ ადამიანზე. ჩვენ ხომ ზევით ვსთვეით, რომ
განდეგილი მომეტებულად ცუდ გუნებაზეა და მწუხა-
რეო. ეს მწუხარება სწორედ უკაცურს საქციელს, ახ-
ლანდელის დროის გაუტანლობას და „ეამთა სიავეს“
გამოუწვევეთა და აქ მას თითქმის სასოებაც წარუკვეთია-
ამიტომაც, ამ საგნის შესახებ დაწერილს ლექსებში
განდეგილს ატკვია პესიმიზმის ხასიათი. აქაც არ არის,
რასაკვირველია, იგი ისეთი ღრმა და ძლიერი პესი-
მისტი, როგორც ნ. ბარათაშვილი, აკაკი და გრ.
ვოლაძე, რომელსაც უარ-უყვია სიხარული, სიყვარუ-
ლი, ცა ფირუზი, ზღვა-ხმელეთი და, ასე გასინჯეთ,
„მზე ბრწყინვალე, მზე დიალიც...“

განდეგილის პესიმისტობას მოკლე საზღვარი აქვს,
ჯერ იგი კაცს, ადამის ძეს ჭრელ გველზედ უსაძაგლე-
სად სახავს:

„გაცივდა გული მგზნებარე,
„გარდიქცა ყინულ-სალადა,
„ოუნდა გენიაც შეუნთო,
„ალარ გათბება ძალადა!..
„რაც მწამდა, იგი აღარ მწამს,
„რაც მწამს, უარ-ვჰყოფ მასაცა,
„სისხლის მსელ მხეცად მივიღებ,
„ოვით ლვიძლზე ნადებ ძმასაცა...“

ხან კი გულით. შეპხრის „კაც ნაშროშ-ნამა
გარსა“ და ასეთი ტკბილსა და შვენიერს ლექსები
მღერის:

,,ვრთ ჯოჯოხეთის კუპრ-ნისლი—
,,კაც ცოდვით ადულებული—
,,ისე მეტ ვშფოთავ, ვმობოქინობ,
,,ვაღელვებ გრძნობათ ზვიროებსა:
,,ხან ცას ავხედავ; ხან ქვესკნელს;
,,ხან ბართ შევმახი, ხან მოებნა,
,,ხან მძაფრ გრიგალად ვიქცევი,
,,ვეპვეთი კლდეთა ნაპრალსა,
,,ხან ცის-სარტყელებრ მოვიხვევ
,,ცის შვიდ-ფეროვან საფარსა,—
,,მსურს ლვთის კურთხევა მივუძლენა
,,კაც ნაშრომ ნაამაგარსა!..

თუმცა შხამს ბოლოს მაინც დაატანს და გულ-
გახეთქით იძახის:

,,სად არის საქმე კეთილი
,,კაც სისხლით შეუბლალავი?!..

აქ იხატება ავტორის მაღალი შეხეტულება ზნე-
ბაზე. მას საშინელი ძლიერი ლექსი აქვს იქ, სადაც
პოეტი ეხება სხვა დროის, ალიონისა და განთი-
ადის მოახლოებას, როდესაც მის ტკბილ ოცნებას
ფრთხები შეესხმის და სიყვარულის ნათელს დროს
მიუაღერსებს:

,,გავნასკვავ სიმსა გაწყვეტილს
,,ავამკვნესარებ ძალადა,
,,გავკრავ-გამოვკრავ თითებსა,
,,ჩავუხმატკბილებ წყნარადა...
ჩვენ ზევით ამოვწერეთ ეს ლექსი სრულად იმის-

ტომ, რომ მკითხველისათვის დაგვენახვებინა, სხვათა შორის, განდეგილის ლექსთა ცხოველ-მყოფელობა და რითმათა სიმდიდრე. ეს ლექსი და მასთან მეორე უკანასკნელი ლექსი, აპოეტის „ფიქრი“, რომელიც ავტორს დაუწერია 1898 წელს, ფრიად შესანიშნავი და კეშმარიტი პოეზიის მადლით არის აღმეცდილი. ჩვენ, მადლობა ღმერთს, ჩვენი შესანიშნავი მგოსნების: შოთა რუსთველის, გრ. ორბელიანის, ნ. ბარათაშვილის და აკაკის ლირიკის წყალობით, ქართული ენის უძვირფასებმა სიმდიდრემ, გათამამებამ, ლალად ცელქობამ, ნავარდმა და ცის კამარაში აღმაფრენით ძლიერად განშლილობამ იმდენად გაგვიფაქიზა გრძნობა და გემოვნება, რომ კეშმარიტი პოეტის ხმების სიტურფეს ძალიან ადვილად მივხვდებით და მცირეოდენი უდარდელობა და მარცხიც კი ამ მხრით ჩვენში აღძრავს და გამოიწვევს ძალიან ცუდს შთაბეჭდილებას და ზედ-მოქმედებას... ამ შევნიერებასთან ერთად განდეგილის ლექსებს, როგორც ვსთქვით, აზის უბრალოების, სიმარტივის, გულის სიმართლის და გულ-წრფელების ბეჭედი, რომელნიც ანიჭებენ მის ლექსებს კეშმარიტი პოეზიის ნაწარმოების სახელს. მის ლექსებში ნათლად სჩანს, რომ განდეგილის მდელვარე სულს ატყვია, რომ იგი სამხრეთის, საქართველოს ქვეყნის ცის და ბუნების შეილია, რომელშიაც სჭარბობს აღმოსავლეთის ელემენტი... მის ლექსებში, თუ არ ვსცდები, ნამდვილი ქალის გულის თქმა და სურვილებია გამოთქმული გულ-ახდილად და სიმართლით...

ახლა ჩვენ ამოვსწეროთ სრულად დასახელებული უკანასკნელი ლექსიც და ჩვენი შენიშვნებიც განდეგილის ლექსთა კონის შესახებ დავასრულოთ:

„ხან შეუპოვრად მკერდით ვაპობ ცისა კამარას,
ვარსკვლავთ ციმციმში ვასრიალებ დაულალავ ფრთებს.
ღამისა გუშაგს სალამს უძლენი კრძალვა-რიდებით
და მზისა ტახტსა მსხვერპლად ვწირავ გრძნობათა ზეირთებს;
ხან ქართა ლრიალს ბანს კუმწყდბრებ, ვკვნესი და ვკმინავ,
ხან ფოთოლთ შრიალს მეც ჩურჩულით ვეალერსები,
ხან ზღვაში ვცურავ, აღმა-დალმა ვჰყვები მის ტალღას,
ხან ხელეთზე ვარ, მთა-ბარს ვუმლებ, ტრფიბით ვიგზნები.
ხარ სულ ყველაფერს ვგმობ და ვწყევლი, მძაგს ტვით სამყარო
მძაგს ლვთის ხარებაც: კაცი, მეფე მთელის ბუნების,
მეფე ზეიადი, მაგრამ მონა თავისის მონის,
ქვეყნის გვირგვინი და... გვირგვინი ლალატ-ცლუნების;
და რომ მშათა ვარ ავა და კარგს ძლიერის ხელით,
ხმალი მღვეუსვა გასამუსრად, ვით სამყალს ცელი
„შენც კაცი ხარ!“—ო ჩაშომძახის ხმა იღუმალი
და ორივ ერთად მიჩლუნგდება— ხმალი და ხელი“.

ყოველგან, ყოველს თავის ლექსში, რასაც კი
უნდა ეხებოდეს განდევილი— ბუნებას, თუ სიყვარულს,
სამშობლოს, თუ კაცთა საქციელს, ბოროტებასა, თუ
კეთილის ვითარების დიდ-დიდ საგნებს — ყოველგან იგი
პირადი გრძნობისა და გულის ნადებთა გამომხატველია—
და ამ გამოხატვას ატყვია წმინდა სუბიექტიური ხასი-
ათი. განდევილი გამომხატველია მხოლოდ თავისი გუ-
ლისა და სულის სუბიექტიური ცხოვრების. ადვილად
შესაძლებელია, ჩემს მკითხველს მოსწონდეს პეიზაჟები,
მაგრამ ეს გარემოება ხომ არ მიშლის მე შევიყვარო
ეანრის, ან პორტრეტების შევნივრად დამხატველინი.
რაც შეეხება განდევილს, ჩვენ უკვე ვსთქვით, თუ რა
ხასიათისა იმისი პოეტური ტალანტი.

შესაძლებელია ისიც, რომ ამ გვარი ხასიათის
პოეზიის შესახებ ჩვენ ზოგიერთმა დოქტრინერმა შე-
ნიშვნა მოგვცეს და საყვედურით გვითხრას, რომ მაგ

გვარ პოეზიას დღეს ფასი დაეკარგა და განდეგილი, რომელიც მწუხარე ხმებს მოსთქვამს და ამიტომ ტან-ჯვას თუ გვიმატებს, თორემ არ გვისუბუქებს და, მაშა-სადამე, ტყვილად გარჯილა თავის პოეზიითო... აბა ასეთს ვაჟბატონს რა უნდა მოვახსენოთ? კაცი, გრძნო-ბა-გონებით ისე როგორ უნდა დაჩლუნგდეს და გააბ-რაზოს ცხოვრების უკულმართობამ, რომ სხვის, მოყ-ვასის მწუხარების და იმის საკუთარ გრძნობათა გა-მოთქმის წინააღმდეგ გაილაშქროს? იმ კაცს, რომელ-საც მოძულებია სხვისი, მეორე ადამიანის, მოყვასის გული და სული და მხოლოდ და მარტო თავი თვისი გაუკერპებია, ჩვენც გვერდს აუვლით დიდის მწუხარე-ბით. იგი დაშხამავს და დასცინებს ჩვენს გრძნობებს, ჩვენს აზრებს და რწმუნებათა, მით უფრო ჩვენს გუ-ლის აღტაცებას და, რა თქმა უნდა, მძულვარებითაც გადისვრის შორს განდეგილის ლექსებსაც. ამისთანა ვაჟბატონებს ესაჭიროება მხოლოდ მყვირალა და დიდ-დიდ ფრაზებით, ლიბერალიზმით გაბერილი ლექსები ან. ფურცელაძისა, მაჩანელ-ევდოშვილებისა და ვილაც დავითიშვილებ-ნინოწმინდელებისა...

ხერიგა და დროება.

არც წვიმაა და არც ქარი!.. მაშასადამე არც ტალახია და არც მტკერი! ამისთანა დროს ქუთაისი, მართლა, რომ საუცხოვა. შუა დღეა. შემოდგომის ზარმაცი მზე ტკბილად იკბინება და სახლიდან გარედ იტკებს კაცს. ბულვარი გაჭედილია. განაპირობა დგანან ავყიები: ხრიკა და ლრიკა.

ხრიკა. — შე ურიის ხვედრო, არ გესმის, რომ გელაპარაკები?

ლრიკა. — შენ კი, შენმა სიცოცხლემ, თუ არ დაგიშლია, თამარ-მეფის ან დავით ალმაშენებელისა ხარ?!.. მე თუ ურიის ხვედრი ვარ, შენც ხომ სომხის არშივი ხარ. და ხომ გაგიგონია ახმედა და მახმედა ორივე თათარიაო!

ხრიკა. — მართალს აშბობ, მე და ჩემმა ღმერთმა! — ერთი შეწვი და მეორე წასცხე!.. აღარც ერთისაგან აღარა გამოდის რა — ავის მეტი! —

ძველად ჩვენი მამა-პაპები ურიებს რომ გამოართ-

მევდენ, სომხებს გაისტუმრებდენ და სომხებისაგან რომ
ისესხებდენ ურიებს აძლევდენ.—და ამგვარი მოარული
ვალი ვის შეაწუხებდა? დღეს კი ვისგანაც უნდა ისეს-
ხო, ჯერ სანამდი სრულად მიიღებდე, ბოქაული კარზე
გადგია... და რაც მიიღე იმას კი არა... რაც გუნებაში
გედვა მიგელო, იმასაც კი გახდევინებენ.

ლრიპა.—ვაი ჩემი ბრალი, რომ სომხის ხელში
ვარ, თვარა შენ რა გუჭირს, ურისა გმართებს. და
ურია ხომ უერუსალიმიდ ვერ დადგება.—ერთხანს
გაცლის, გაცლის და რომ ველარას გახდება, დაჰკრავს
ფეხს და გაუტევს იერუსალიმისაკენ სალოცავად!

ხრიპა. აგრე ჰყითხე?!.. ვინ ყოტილა, რომ აქ მო-
ვალე გაეშვას და ისე წასულიყოს? სანამ სულს არ
ამოხდიან და ქრისტიანის სულს საგზოლათ თან არ წა-
იღებენ, ფეხსაც არ იცვლიან აქედან!.. აი, ხომ ნახე,
ჩემმა ედიშალამ რა მიყო? სანამ სულიან-ხორციანად
არ გამცალა, სულ ამ ბულვარში ქსელავდა და მერე
კი სულის საქმესაც შეუდგა... მიაშურა იერუსალიმს.

ლრიპა. მაგას ხომ ჩვენებიც შვრებიან?!.. ტარა-
კუჭა ჭიქუინაშვილი არ იყო, რომ ამ დღეებში იერუსა-
ლიმში ამოჰყო თავი?

ხრიპა.—ეგ სულ სხვა არის!.. ურია—სომეხთან
რა მისადარებელია? ის აქაც ახირებული იყო და იქაც
ახირებულობამ გაიტყუა... წავიდა: მიიღლის-მოივლის,
გადახალისდება და დაბრუნდება.

ლრიპა.—ღმერთმა მშვიდობით მოიყვანოს; მაგრამ
გადახალისების კი რა მოგახსენოთ!.. არ გაგიგონია,
რომ იერუსალიმში ნიორი წაიღეს და რომ დაბრუნ-
დენ და უკანვე მოიტანეს, ნიორს ისევ ნივრის სული
უდიოდაო?.. იმას რომ ახირებულობა მოაშლევინოს,

ჯერ მისთანა ხატი არსად გაჭედილა და ვერც იქ ნახავს...

ხრიკა. — აბა, რაღად მიდიოდა?

ლრიკა. — ამბობენ, შვილებმა გაგზავნესო. უთქვამთ: იქიდან თუ რასმე მოგვეხმარება შენი ლოცვა, თვარა აქაური ვერას გასჭრისო.

ხრიკა. არაო, თვითონ წავიდა იქ შვილების გადასაცემათ, რომ უფრო ძლიერად უწიოსომ?!.

ლრიკა. ეჲ, იმერეთია, რას არ იტყვიან? ეს კი ნამდვილია, რომ ელიშალას გაცყოლია.

ხრიკა. არა. ელიშალა იმან წაიყვანაო.

ლრიკა. ეგ სულ ერთია ვისაც ვინ უნდა წაეყყანოს, ღმერთმა უშველოს, კარგი უქმნია!.. ჭირს სატკივარი წაეტყუება და ქვეყანა სახადს გადარჩენია...

ხრიკა. შე კაცო! რას ერჩი რომ მაგრე ცუდათ იხსენიებ? მართალია, ახირებული ჭიქყინა იყო, მაგრამ, აბა, ვისთვის რა დაუშავებია?

ლრიკა. მეცი ყელში?!.. მე რომ დაგასწარი, მიტომ ჯავრობ, თვარა შენ გინდოდა მაგის თქმა!.. სიტყვაა, თვარა იმდენი წელიწადი იცოცხლე, ნუ გენაღვლება, რამდენჯერ მე მისი საღლეგრძელო დამელიოს, პირში მექოს!... და ერთხელაც რომ ზურგს უკან წავიხუმრო, რა ცოდვა? დაწუნება ყოლიფრის შეიძლება? — ცუდი ყველაფერზე ითქმის, მაგრამ საქმე კილოა; ცუდიცაა და ცუდიც! იმ სულ სხვა არის კრულა მიგმიაშვილი — ახალს საქმეს რომ შეუდგა...

ხრიკა. — არც ეგ გამკვირვებია!.. ჩვენი ძველებიც მაგრე არ იქცეოდენ? სიბერისა და სხეულის უძლურების გამო, რომ საამქვეყნო საქმეს დააგდებდენ, ღმერთს შესთხოვდენ, მათგან ხელალებულ სარბიელის წარმატებას...

ღ 60 პა. — ვაი შენს მტერს, თუ ჩვენი მიგმიაშვილიც მაგ გზას დაადგა!

ხ 60 პა. — „სიბრძნე-სიცრუის“ მელა მაგონტეჭშა: სალებავის კურპელში რომ ჩავარდა და ლილმს ფერი დაედვა...

ღ 60 პა. — ფრინველები რომ დაიმოწაფა ჭი დამოძლერა?!.. ვაი! მისი მოწაფეების ბრალი!!..

ხ 60 პა. — ტყუილად კი არ არის ნათქვამი: „ადგილის კურდლელს ადგილისვე მწევარი დაიკერსონ“. აქვე რომ დარჩენილიყო, იმას კი გამოუჩინდებოდა შესაფერი ოფოფი და იქ კი იმ საბერივოში რა უკირს!..

ღ 60 პა. — უეპველია!.. უეპველი!.. ნახავ თუ რა ქმნას იმან.

ხ 60 პა. — მაგისი რა მოგახსენო და „კირილეოსონის“ გამოთქმა არ გაუკირდება: აქაც რომ იყო სულ „კირილეს“ იძახოდა და ახლა მხოლოდ ერთი აისონი“ მიემატება.

ღ 60 პა. იცი, რომ სულაც იმ კირილეს გამოისობით გადავარდნილა აქიდან? მე ჩემი დღე და სოფელი ცოდვის ტაფაზე ვიხრაკებოდი და ერთი ქახიც ვერ ავიშენეო — უთქვამს — და იმან კი სარაია ააშენა და ისიც სხვებისთვის!.. ალარ ლირს ამ ჩვენ ქვეყანაში ტანჯვა-წვალება და ცხოვრებაო!...

ხ 60 პა. ასეთ თუ ისე, ღმერთმა ხელი მოუმართოს! შორს და შშვიდობით. კმარა მათზე საუბარი!.. მაინც, ჩვენც რომ ამ გადახვეწილებს გამოვლეომივაროს; ამქაურები ცოტა გვყავს მოსახსენებელი?!

ღ 60 პა. იმდენი იცოცხლე! — მაგრამ, ხომ გაგიგო-

ნია, ხანდახან მკვდრებსაც საკურთხი უნდაო. დღეს
რაცა ვსთქვით, ეს იმ წასულების საკურთხი იყო და
დღეის აქით კი აქაურებსაც, დარჩენილებსაც დაუდ-
გათ ხოლმე ტაბლა.

ხრიპა. კეთილი და პატიოსანი. ჩვენი ხელობაც
ეგ არის და გულს. ნურავის დავსწყვეტო!... ყველა
მოვიხსენიოთ, თვარა, თუ ვინმე გამოვტოვეთ, გული
დაწყდება. იტყვის: „კაცად არ ჩავუგდივართო!“

ლრიპა. აჲ, აჲ, აჲ! მაგას ნურავის ვათქმევინებთ!.
ვეცადოთ, რომ არავინ დაგვრჩეს და ეხლა კი შშვი-
ლობით!

შკაკი.

ისტორია იმპერიის ოზ

ისტორია

କୃତ୍ୟାମନିବିଦୀ

ଶାଖାପତ୍ରିକା

ପ୍ରକାଶିତ

1879 ଫ.

ଅଧ୍ୟାତ୍ମିକ ପରିଚୟ:

ବିଜ୍ଞାନ.

ବିଜ୍ଞାନ.

ବିଜ୍ଞାନ, ଗିର୍ଜାଗର୍ହ କ୍ଷେତ୍ର.

ବିଜ୍ଞାନ, ମିଶନ ପ୍ରାଣୀ, ମାନୁଷ ଏବଂ

ବିଜ୍ଞାନ, ଇମ୍ପ୍ରେଣ୍ଟ୍‌ର୍ ଏବଂ ମିଶନ୍‌ର୍ ସାଥୀ.

გულიაობა.

სუენა წარმოადგენს გიორგეს სახლის ზალას, რ. მელსაც, შუა კა-
რების გარდა, ორი კიდევ სხვა კარებიცა აქვს — ერთი მარტხნივ და
მეორე მარჯვნივ

გამოსვლა პირველი.

ბაბალე და ბაბა!

(ბაბალე შემოადგენს სიცილით: ტანხე გიორგის ფრავი აქვს წარმო—
ხმული, და უკან არესტო მოსდევს ჩორქით ხელში).

ბაბალე. ხა! ხა! ხა! ხა! ხა! ხა! ხა! ხა!

არისტო. ვაი შენ და შენს ხითხითს!

ბაბალე.. ხე! ხე! ხი! ხი! ხი!

ას. როივე როგორ იქნება?

არ. ასე კი არის და...

ბაბ. მაშ რაღა განსხვავებაა?

არ. დიდი! მარცხენა ლოყაში კოცნას ტლოშანი ჰქვია
და მარჯვენაზედ კი ტლაშანი.

ბაბ. არ მესმის!

არ. მაშ გინდა გასწავლო? აბა, დახუჭე თვალები!

ბაბ. (ხუჭავს თვალები). ესე? — აბა, რა უნდა ქნა?

არ. (ჰქოცნის). აი, ამას ჰქვიან ტლოშანი!

სჯობია! ვაცხონე მამის სული! დედა, დედა! რა
გშვენის, რა გიხთება ეს ოხერი. ერთი შემოხედ-
ვით უკანიღამ ვაჟბატონსა გავხარ.

ბაბ. მართლა? წინადამ?

არ. წინადამ ქალბატონს!

ბაბ. იო! (შეხცება, ფრაკს ძირს დაგდებს და გაიქცევა). ხა! ხა!
ხა! კიდევ მიჩქმიტე. მეტი აღარ შემიძლია! ხა! ხა!
ხა! ვეღარ გაგიჩერდები და რაც გინდა ის ჰქენი!
ხა! ხა! ხა! ხა!

არ. რა ეშმაკი გიხიცინებს. მგონია პილპილი გიჭამია
ამ დილას, თვარა რას ხტუნამ, რომ ხტუნამ?

ბაბ. არ შემიძლია და რა ვქნა? მეღიტინება.

არ. აბა ნუ გავათავებთ! დაგვრჩეს გაუწმენდელი!

ბაბ. შენ წამოისხი და მე გავსჩიოთქავ.

არ. კარგი, ბატონი ხარ! მანგრე იყოს, ჰ!... ; წამოისხამს
ფრაქს, მაგრამ კარგათ კა.

ბაბ. (მიიტანს ჩოთქს, გადააბრუნებს და ურტყავს ზურგში). უჰ!
უჰ! როგორი მტვერი ავაყენე! ტფუ! (აფურთხებს
ზურგში).

არ. თავს ნუ იგდებ თვარა; მე ვიცი, შენ...
შენ გრიგორი.

სოსო, გიორგის ქვისლი.

სოფიო, მისი ცოლი, მაიკოს და.

არისტო, იმერელი | მსახურები.
გაგალე

მაიკო. არისტო?

ა6

არ. კი ბატონო!

მაიკო

მაიკო. რა ამბავია?

ა6

არ. არაფერი, ბატონო!

მაიკო. მაშ რა ხმაურობა იყო?

არ. არაფერი, ბატონო, მე გახლდით, კარებს უცებ
თავი ვახალე!

მაიკო. ტუტუცო! კარები არ გამიფუქო! ახლა რაღას
აკეთებ მანდა?

არ. დალაგება მინდა, ბატონო! მტვერი დამდგარა.

მაიკო. განა დღეს დილით არ გაგიშვენდია?

არ. კი ბატონო, მაგრამ ისევ შემოყრილა ის ოხერი
მტვერი!

მაიკო. ჰო, მაშ კარგათ მიალაგ-მოალაგე!

არ. (თავისითვის). „მიალაგ-მოალაგე, გაწმინდე!...“ ასე
ჰვინია აღვილი იყოს... აბა ერთი იყადროს და
თვითონ სინჯოს!

მაიკო. (ოთახიდან) არისტო! თუ ვაუბატონი მობრძან-
დეს, აქ არ შემოვიდეს ჩემთან; მოახსენე, რომ
ქალბატონი გამწყრალია-თქო!

არის. ვე თბოზ იქნება?

რჩ. ასე კი არის და...

გაბ. მაშ რაღა განსხვავებაა?

არ. დიღი! მარცხენა ლოყაში კოცნას-ტლოშანი ჰქვია
და მარჯვენაზედ კი ტლაშანი.

გაბ. არ მესმის!

არ. მაშ გინდა გასწავლო? აბა, დახუჭე თვალები!

გაბ. (სუტანი თვალების). ესე?—აბა, რა უნდა ქნა?

არ. (ჭირცნას). აი, ამას ჰქვიან ტლოშანი!

არ. საწმენდი მაქვა!

გაიკო. მალე! მალე!

არ. ბატონი ხარ! (ხადხისჭენ). არა, რა პირობაში!
 სისულელე არ იქნება ახლა, რომ წმენდა დავუწყო? ხომ ისევ დაეყრება მტვერი და ეს სულ ქალბატონის ბრალია! ის დალოცვილი კაპასობს დილიდან საღამომდინ! რომ კაპასობს, სიცხე აჭერა! სიცხე რომ აჭერს სცხელა, და რომ ცხელა გაგრძლება უნდა! გაგრძლება რომ უნდა, ფანჯრებს აღებს და გაღებულ ფანჯრებში ქუჩიდან მტვერი იყრება!.. იმას რა ენაღვლება? მოდი და სწმინდე არისტო! ბდლვირს ადენსო, რომ იტყვიან, აბა სწორეთ ეს არის! არ აამტკვერა აქაურობა ამ დალოცვილმა!? (სცენაზე საჭარელს იდგამს, დაჭდება, შინკო საღამოსაბუნ აქებს) სულელია ჩემი ვაჟბატონი, თვარამ ამდენს რავა აბედვინებს! დედაკაცს ხანდახან მოუხთება შეხურვება! გასიამოს, ასიამე! გაწყენიოს, აწყენიე! ამას რა დიდი ლარი და ხაზი უნდა! მაგრამ ლობიო რომ გამოვა კაცი ის არის! (ეს დროს ბაბალუ შემთხვის და ფეხასკრეფით გრძარება).

გაიკო.

სოსო, გიორგის ქვისლი.

სოჭიო, მისი ცოლი, მაიკოს და.

| | | |
|---------|---------|------------|
| არისტო, | იმერელი | ქვისლი |
| გაბალე | | მსახურები. |

არისტო. ვისა და შენ, შენ კი გენაცვალე.

ბაბალე. მერე და შენი გასალახავი ვარ, შე ღვიძი-
კელო!

პრ. რას ამბობ, გოგო? ხომ არ გაგიუებულხარ! რო-
გორ თუ გასალახავი!

ბაბ. მაშ, შენ არა სთქვი, რომ ტლაშანს გავადუნო?

პრ. ჰო, მერე მანდ რა არის ცუდი?

ბაბ. როგორ თუ რა არის, არ იცი ტლაშანი რა არის?

პრ. რა არის?

ბაბ. რა არის და ყბაში სილა!

პრ. ხა, ხა, ხა, ხა, ხა, ხა, ხა, ხა, ხა, ხა! რა ოქვეეს
ეს დედა ჩემო! ხა, ხა, ხა, ხა, ხა!

ბაბ. ჰო, რას იცინი, ტყუილია?

პრ. ხა, ხა, ხა! სულ არ იციან კორტოხს აქეთ ჭარ-
თული! ტლაშანი ყბაში გარტყმა პგონებია! ხა,
ხა, ხა!

ბაბ. მაშ რა არის?

პრ. რა არის და კოცნა!

ბაბ. ტლოშანი?

პრ. ისიც კოცნაა.

ბაბ. ორივე როგორ იქნება?

პრ. ასე კი არის და...

ბაბ. მაშ რაღა განსხვავებაა?

პრ. დიდი! მარცხენა ლოყაში კოცნას ტლოშანი ჰქვია
და მარჯვენაზედ კი ტლაშანი.

ბაბ. არ მესმის!

პრ. მაშ გინდა გასწავლო? აბა, დახუჭე თვალები!

ბაბ. (სუჭავს თვალები). ესე? — აბა, რა უნდა ქნა?

პრ. (ჰქოცხის). აი, ამის ჰქვიან ტლოშანი!

- ბაბ. (კითომ გაფავრებით). რა თავს იგდებ?! დახეობამ
იმერელს! როგორ ჰგედავ?
- პრ. აბა არ უნდა მესწავლებია?
- ბაბ. ტუტუცი! ტუტუცი! მეორეთ რომ ეგა ქნა, სი-
ლას გაგარტყამ. (სიჩუმეს). აბა ახლა ტლაშანი რაღა
არის?
- პრ. (ღრუჭით). დახუჭე თვალები და...
- ბაბ. (ხეჭაგი). არაფერი გაბედო კი.
- პრ. (შოუგლის მარჯგნით და აკაცები). აი, ტლაშანი ეს
არის!
- ბაბ. (გაჭავრდება). კიდევ? უზრდელო, უზრდელო, მარ-
თლა და იმერელო! გადი იქიმ! (სედის ჟერაგი).
- პრ. თუ გწყინს და წუნობ, უკანვე დამიბრუნე.
- ბაბ. გაჩუნდი ერთი, ნუ წაგიტლეკია ენა! შენი არც
ტლაშანი ვარგა და არც ტლოშანი! რომ არც კი
გცოდნია, რა არის ტლაშანი!
- პრ. თუ მე არ მცოდნია, აბა შენ მასწავლე!
- ბაბ. კარგი, აბა დახუჭე თვალები.
- პრ. აბა ჰე! (ხეჭაგს თვალები).
- ბაბ. (შიაფარებს ლოუზე სედს და თავის სედს ჟერუნას).
აი, ამას ჰქვიან ჩვენში ტლოშანი!
- პრ. ეგ არის თქვენი ტლოშანი? არაფერი ყოფილა!
ერთ ჩხირათაც არ ვიყიდი! შენ რომ შენს ხელზე
იკუცნო, მე რაო? მითი მე ფოჩვი არ შერგება. და
წვენი!
- ბაბ. ასეა და რა ვქნათ! ტლაშანი კი სხვა არის.
- პრ. აბა ეგ მაინც რაღა იქნება, ვნახოთ!
- ბაბ. დახუჭე თვალები!
- პრ. (ხეჭაგს აუდადებს). ჰა!
- ბაბ. (სიდის გაარტყავს). აი ამას ჰქვიან ტლაშანი!

არისთო. ომ! თქვენებური ორივე ღმერთმა შეარცე
ვინოს ტლაშანიც და ტლოშანიც! (დოყაზე ხელს
ისვამს).

გაგალე. იწყინე?.. ეგეთები ხართ იმერლები აი, ალერ-
სიც არ იცით!

არ. იმე! რას ამბობ, გოგო! კბილების ჩამტვრევა რა
ალერსია?

გაბ. დაიკარგე იქით, ლვიტიკელო! თქვენ რა გაგეგე-
ბათ ალერსისა.

არ. იმე! ვერ ხედავთ ამ გომბიოს! ყურის ძირი, გმიწვა
და კიდევ ქვე ჯავრობს!

გაბ. რაო? ვის უბედავ მაგას? შენი გომბიოები კორ-
ტოსს იქით გეყრება!

არ. კიდევ ქე ილებ ხმას? რა გულზედა ხარ თუ იცი!

გაბ. იწყინე? მაშ კარგი, მშვიდობით! დღეის იქით
შერცხვეს შენი ხმის გამცემი.

არ. მე კი შეგხვეწები, შენმა სიცოცხლემ!

გაბ. ვნახოთ თუ არა!

არ. ა, ალდგომა და ხვალეო! ვნახოთ, რომელი უმალ
მივა და გასცემს ხმას.

გაბ. უმორჩილესად გთხოვთ მომშორდეთ და ხმას ნუ
გამცემთ. (დაიდგავის სცენაზე ხელის და ზურგუშექმნებით
დაჭდება). ტუტუცი! ხუმრობაც არ იცის!

არ. (დაჭდება ზურგუშექმნებით). ნურც თქვენ გამცემთ
ხმას! კაითქვენ მოგივათ, კაი ალერსი და სიყვარული
აქეთ გცოდნიათ ქართლელებს!

გაბ. (თავისოფას). შეხედეთ, მართლა იბუტება! მე ეს
ქალი აღარ ცყოფილვარ, თუ ვერ შეგიხვეწო.

არ. (თავისოფას). ვერა ხედავთ, პირაქეთ მებუტება!'
არისტო აღარ ვიყოს თუ არ მოგიყვანო ჩემთან.

- ბაბ. (თავისთვის). ვნახოთ ვისი ჯინი აჯობებს!
- არ. (თავისთვის). ვნახოთ ვინ გაიმარჯვებს!
- ბაბ. (თავისთვის). ნეტავი აქ რას უუცდი? ერთი წავიდე სამზარეულოში და ვნახოთ თუ პირიქით არ შევიხვეწიო! იქ ვეღარ გაბედავს ბუტიაობას (შიდის).
- არ. ერთს შტუკას ვიზამ: ჯერ თავს ჩავკიდებ, ცოტა ხანს მერე უცბათ ტირილს მოვიგონებ და თუ მოვიდა ჩემს სიახლოვეს, ვეცემი და ერთს კარგათ დაებუჯლნი. (ჭერ ჩაჭერდების თავს და ბოლოს ამოუშვებს ზღუშენს). მე მისი სიყვარულით ვკვდები და ის კი უსამართლოთ მეპყრობა...

გამოსტლა მეორე.

არასტო და მარკა.

- მაიკო. (გამოდის და გადარჩებული მიდის არისტოსის). ქა! რა დამართნია ამ უბედურს კორტოხელს? — ხომ არავინ მოჰკვდომია! არისტო! რას შვრები, რა დაგემართა? (სედსა ჭრავს).

- არისტო. (უფათ წამოვარდება და მთესხმა). ვაი შენ კი გენაცვალე! დაგიჭირე, დაგიჭირე! აწი შენი გაშვება აღარ შეიძლება.
- (ამ დროს შეა კარგბში გამოჩნდება გიორგი; გაგვირგებით იუქრება. ბოლოს მიითვარებს თვალებზე სედს და გაბრუნდება).

- მაიკო. უი, უი! რას შვრები, ბიჭო? გაგიუდი? არისტო, არისტო!

- არ. (დაისახავს დაფილუშებული). ვაიმე! არუი ქალბატონი

ყოფილა! დევილუპტ' (გაიქცეა და გავარდესა მარწვენივ გარებში).

მაიკო. (შეშინებული). გაგიუებულია ის უბედური! რა დამართნია? (შეგარდება საწლლ ათასში და წამოჰქმდება გარები).

გამოცელა მისამი.

გილოგა და მაგარა.

გიორგი. (შემთდის თავზარდაცემული). ეს რა ვნახე! სიზ-მარია თუ ცხადი? — რა ამბები ყოფილა ჩემს თავზედ. ეს-ლა მაკლდა!... თავისი ცუდი ხასიათები რომ ალარ მაკმარა, ლეჩაქის გვირგვინიც დამაღვა თავზედ! ნეტავი ჩემს თვალით მაინც არ მენახა! რა იქნენ? საღ წასულან? (მიდის საწლლის გარებთან და აჭერას). ეს კარები ვის დაუკეტია? გააღეთ.

მაიკოს ხმა. რა გნებავსთ?

გიორგი. კარები გამიღე.

მაიკო. ვერა.

გიორგი. რატომ?

მაიკო. არა მცალიან.

გიორგი. მე გიბრძანებ, რომ ჩქარა გამიღო!

მაიკო. ვერ მოგართვით!

გიორგი. გამიღე, თორემ არ ვიცი, რას ვიზამ!

მაიკო. არ შეიძლება, საქმე მაქვს.

გიორგი. ვიცი, რაც საქმე გაქვს!

მაიკო. მაშ რაღათ მოდიხარ?

გიორგი. მაშ არ გამიღებ კარებს?

მაიკო. არა.

გიორგი. არა?

მაიკო. არა და არა. ვერ შეიტყო.

გიორ. ახ! ვერა ხედავთ, რა მემართება? ჰმ! მისი ოჯახი ამოვარდეს, ვინც კაცის ცოლის შერთვა უჩინებს! დასწუყევლის ღმერთმა ის, ვინც ყმაწვილი კაცი ააგულიანოს და ცოლის შერთვა არ მოუშალოს. რა გრძეს ქხელა. ჩემი მდგომარეობა? (ცხარას). სიკვდილი არ მირჩევნია ამ სირცხვილს? არა, არა, ამდენს ვეღარ მოვითბენ! ან ის უნდა იყოს და ან მე რათ მინდა ამისთანა სიცოცხლე?!! უნდა მოვჰქოლა! მე და მისი ცოლ-ქმრობა აღარ მოხერხდება! უნდა... (უფრაო დაშიშვილდება) მაგრამ ან კი რას ვმხეცულბ? პირველი არ ვარ და უკანასკნელი; მასთანაც, თითქო საშუალ საუკუნოების კაცი ვიყო. აბა რა ნება მაქეს, რომ მოვჰქოლა? აღმართ მე აღარ მოვწონვარ. (დაფიქრდება). კი, მაგრამ საწყენი ის არის, რომ ვიზედ გამცვალა! ჩემზედ უკეთესი რომ ვინმე ეპოვნა, კიდევ ჰო, იტყოდა კაცი, მაგრამ ვიღაც იმერელი ბიჭი... ფუ'... არა, არა, ეს დიდი შერცხვენაა ჩემი! ეს არის, რომ მკლავს! (დაფიქრდება). არა, ეს სულ ერთია, აქაც მე ვსტუუ! განა მოსამსახურე კი კაცი არ არის? სირცხვილია ჩემთვის ამისთანა აზრის გამოთქმა... მეცხრამეტე საუკუნის კაცის სთვის.... მაგრამ რა ვქნა, რომ თავში დამშვიდებული მეცხრამეტე საუკუნეა და გულზედ კი საშვალი საუკუნები შემომაწვნენ... რა ცეცხლში ვარ!! (ჩაჭდება საჭარბელში). კარგი, თანახმა ვარ... შემიძულა, აღარ მოვწონვარ, ეს მისი ბრალი არ არის, გულის ბრალია!... კარგი, მაგრამ რაზ მატყუებდა? მაშინ სულ სხვებრ იქნებოდა საჭმელი!

განა მოტყუებრით ღალატი ეკადრება მეცხრამეტე
საუკუნის ქალს? თუ ჯერ არ დამდგარა მათთვის
მეცხრამეტე საუკუნე!?

ფერ-უმარილის ცხებაში
გამოეპარათ!?

ოხ, ქალებო, ქალებო!

თქვენი პროგრესი!

(თვალებზე, ჩელის მიაღვარებს და
თავს ჩაჭრიდებს).

გამოსვლა მართხვა.

ცეკვის დრო და მიზანის დრო

- ბაბალე.** (რომელიაც არის ტრ ჰერნია საეკრედიტაცია...
ლიტრათ მოაქვს წესადი და წამოეპარება გიორგის). ეს ც
შენ! არ მოიშლი ბუტიაობას? (ასე ქვს წესადი).
- გიორგი.** (წამოვარდება შეშინებული). რა ამბავია? რა...
- ბაბალე.** ვაიმე, ბატონი!
- გიორგი.** გაგიჟდი!
- (გამოვარდება. შევარდების გამანერში).

გამოსვლა გესახვ.

მათგა (მარტო).

- გაიკო.** (რომელიაც უყურებდა ას სცენას) ამას რას ვხე-
დავ! ჩემი ქმარი გოგოს დასდევს?
- უი, დამიღეს
თვალები!
- ეს-ლა მაკლდა!...
- (მიღის სცენაზედ).
- ეს ეხლა კი ვიცი, თუ რად შემაშინა იმ ბიჭშა.
- ქმარი რომ გოგოებს დაუწყებს დევნას, რასაკვირვე-
ლია, მაშინ ბიჭიც გაგიჟდება და აირევა ოჯახის.
- აი ოჯახის არევა... ვიშ, ვიშ, საყვარელო!
- აწ მე.
და მაგის ცოლაქმრობა აღარ მოხერხდება. ეგ უსი-

ნიდისო რას მემართლება? წელიწადი არ არის, რაც
ჯვარი დაგვიწერია და ეგ კი გოგოებს დასდევა!
მე კი მაგის სიყვარულითა ვგიედებოდი, და ეგ
დახეთ რას ჩაღის! მაგრამ სულ ეგეთი არიან კა-
ცები! აჲ, გასწყდეს თქვენი სახსენებელი, კაცებო!
თქვენ გაუტანლებო და მოლალატენო!... გასწ-
ყდეს... სსსუ! მოდის! (გაჩერდება მარცხნივ).

გამოსვლა მემკვეთ.

მარკო და გაორგი.

გიორ. (გაჩერდება მარჯვნივ). გაგონილა ამისთანა ოჯა-
ხის არევულარევა! მაგრამ ქალბატონი რომ თუს
ვერ დაიქერს რიგიანად, მაშინ ვაუბატონსაც იგ-
დებენ! (შენიშვნა ცოდნა). გამობრძანებულა, აშფო-
თებული კი არის ეტყობა, რცხვენია. ვნახოთ რას
იტყვის, როგორ იმართლებს თავს და ან რალა
დროს თავის მართლებაა!?

მაიკო. ძალიან დარცხვენილი კი არის ეტყობა...
წყალიც გადაუსხავს თავზედ, ვითომ და აქ არა-
ფერი ამბავიაო, არაფერი შემატყონო! ვნახოთ;
რას მეტყვის ეგურცხვი!

გიორ. ჰმ! (სხეულები).

მაიკო. ჰმ! (სხეულები).

გიორ. ვგონებ, რალაც გნებავთ, რომ მიბრძანოთ?

მაიკო. ვგონებ, თქვენა გაქვსთ სათქმელი?

გიორ. დიახ... უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენი ცოლ
ქმრობა აღარ მოხერხდება.

მაიკო. მეც ეგრე მგონია.

ՑՈՉԻ. օյ Ցցոնուառծ ալար ովեցիք... Հռագցեսաւ դա
ուարչա ալար միությունցիք.

ՑԱՐՑ. Կիսական!...

ՑՈՉԻ. Ցուսամսաեցրենցեւ հռմ և յայի մովարցեիք...

ՑԱՐՑ. (աշխատացու) Վելար Ֆուլուաս! (Եմամագլու) Ըստ,
հռագցեսաւ Ցուսամսաեցրենցեւ մովարցեիք, Ցա՛ն...

ՑՈՉԻ. (աշխատացու) Վելար Ֆուլուաս! (Եմա մագլու) Հաջան
որովցետցու Կիսակա, Միջուցեսու յրտմանցու Ցու-
Շուկա... Օմցարու Կոլո-յիմրուած Ռալա Տաեմարուա?

ՑԱՐՑ. (աշխատացու). Ըստեւ ամ Մուսուրպեցուուս, Ի՞ւ ալ-
վուլուած մուսէրմրցեիք?! յրտ Ցումիումի Ցուվունուս!
Մացրամ ասց ալվուլուած առ ովեցիք Սայմե! (Եմամագլու)
Ը ան, ՑուցՇուռցետ, Ցու տցուուն ալար Ցույրս տյացե-
տան Կրեցրցեիք... Անլազ Ցուցալ Տեցան...

ՑՈՉԻ. (աշխատացու) Վեր Մուսուրպեցետ ամ Մուսուրպեցուս, Ի՞ւ
Ցուլլ-Ցուլլած Ցուուցեիք? յրտս Օմերյուլ Ցուշնցեւ
Ցուվունուս!.. (Եմամագլու) Ցուցուունուտ!

ՑԱՐՑ. Ցունցուրած! Ցու հիմ Ցարցս Քայալցենցեծ ըստ Քայ
Վալ. Ցուցուունուտ!

ՑՈՉԻ. Ըստ, տյացենու Ցարցու Քածրմանցու. Ցուցուունու-
ծուտ!.. Տոնուունու արաս Ցուցալցեատ?

ՑԱՐՑ. Ցուցուունուտ!—Տոնուունու արաս Ցուցալցետ? (Ցու-
ցուն աշխատացրեմանու).

ՑՈՉԻ. Օմանչցեիք Կո, Վաբուռծ. Տոնուունում Հասաչա...
Հռմ Ցունանցեցես, Կուցա Ցուունցեիք Վալուած Ըստ:
Ցու Վաձարուցեիք... Քայուց յրտու Ցուցալաւարայու.
(Ցուշնցեիք Տավու առանու).

გამოსვლა მეშვიდე.

ხრასტო (შემთვა თავის ბარებით).

არისთო. ჩემი აქ დგომა აღარ შეიძლება. უნდა გრ-
ვიპარო აქედან.

მაიკოს ხე. რა გინდა, რომ მოდიხარ? აწ რაღა საქმე
გაქვს ჩემთან? გადი აქედან და როდესაც მე წა-
ვალ, ვინც გინდა შემოიყვანე!

ზიორ. ხე. აპა, ღმერთო! პირაქეთაც მიწყონები?

არისთო. (უკრის უგდები) ჩუ! იქ რა ამბავია!

მაიკო. აბა, როგორ გეგონა? შენს საძაგლობას გულ-
გრილად მოვითმენდი?

გიორგი. შენი მითხარიო და გული მომიკალიო, ეგ
არის. გაგიჟდი, თუ დამცინი?

მაიკო. არა, შენ ნება არა გაქვს, რომ დამცინო!...
უსინიდისოვ, გარყვნილო! გადი, თორემ თრევით
გაგიყვან!

გიორგი. რაო? შენ ძალიან ნებას აძლევ შენს თავს?

არისთო. აქ სახუმროდ აღარ არის საქმე: თავს ვუჟ-
ველო, სჯობია.

მაიკო. რაო? ხელებსაც შიკერ? აბა კარგი, ეს შენ!
ეს შენ! ესეც შენ! (სიტკერებს რაღაცაბი) ჩემი მოც-
ვლა გინდა? მომცლეს!.. მიშველეთ!

არისთო. ვეიპლეჩ, გვარიანი ბუნტია!

გიორ. ნუ გაგიჟდი, ქალო! გამიშვი! (გამოფარდება სცე-
ნაზე; თავისიდას ეჭვიანი ფირი ტლებს და უქისაცმიერს; თანაც
ტირილის ხმა არმის.) უმ! ეს ღა მაკლდა! გაგიჟდა
ჩემი ცოლი! სახუმრო აღარ არის, ისტერიკაც

შოუვიდა! იქაურობა დაანგრია. რაც ტყვია-წამალი
ჰქონდა, დახარჯა. აპა, უკანასკნელი ფეხსაცმელიც
კი მესროლა! (აღვენი). მაღლობაღმერთს! ეს უკანას-
კნელი სროლა იყო; ხელში აღარაფერი მოჰყვება
ახლა... უკანასკნელი ფეხსაცმელი ეს-არის და ფე-
ხებს ხომ ვეღარ მესვრის? წავიდე ერთი, გიურა,
ფეხშიშველა არ გამოვარდეს ამ ზალაში. (შედის
ძაბინეთში).

გამოსვლა მიხაელი

სოფ. (შემთხვის ქადაგით წერილი).

სოფიო. არავინ არის? — უჭი, რა დავიღალე! უჭი! მძლივს
არ გამოვეპარე!... ასე სჯობია: მართალი მასწავ-
ლა დედა-ჩემმა: — ქმრის ხელში დაჭერა თუ გინდა
ყოველთვის ნებაზე ნუ დაჰყვებიო. საბრალო-ჩემს
ქმარს დღე-დღე ვეჩხებები და სალამ-სალამობით
შევრიგდებით ხოლმე... ჩხუბის შემდეგ შერიგება
გემრიელია, და მართლაც არ ვარგა ერთგვარობა
ბუნებაში! მხოლოდ სხვა-და-სხვაფერობა, სხვა-და-
სხვა-ნაირობა არ მოეყიდვება ადამიანს, სხვა კი
ყველაფერი!... ჩოგ: ასე არ შექნა, აქამდი ჩემს
ქმარს შეძულებული ფეფოლებოდი. და ახლა კი
ჩემზედ ლოცულობს.

გამოსვლა მესამე

იგიგე. და არასაცო.

სოფიო. ჩემი და შინა ბრძანდება?

არ. სსსუ, ქალბატონო!

სოჭ. რაო? რა ამბავია? ავად ხომ არავინ არის?

არ. არა, ბატონო, მაგრამ საქმეა ცოტა.

სოჭ. ვისა აქვს ეგ საქმე?

არ. მე, შენი ჭირიმე!

სოჭ. ვისთან?

არ. თქვენთან, შენი ჭირიმე!

სოჭ. რაო?

არ. საიდუმლოა, არ მინდა სხვამ რო გაიგონოს!

სოჭ. რა არის?

არ. ერთს პატარა რამესა გოხოფ და უარს ნუ მეტყვით,
თქვენი ჭირიმე!

სოჭ. რასა?

არ. რასა და წელან ქალბატონთან დავაშავე და გავა-
რისხე.

სოჭ. რას ამბობ, ბიჭო?

არ. კი ბატონო, ბაბალე გოგო მეგონა.

სოჭ. გაგიჟდი?

არისთო. არა, ბატონო! უცბათ მოვეხვიე და ბუჯღა
ლავუწყე და მერე, ქალბატონად რომ ვიცანი, შე-
მეშინდა და გავიქეცი.—შემარიგეთ, თქვენი მუხ-
ლების ჭირიმე და თქვენი გულისთვის მოვაკლები.
სოჭ. მართლა ამბობ! ხა; ხა, ხა!... საუცხოო! მერე
შეშინდა ჩემი და?

არ. შეშინდა კი არა ნამეტანიც მოუცილა! მე აქეთ
გამოვიქეცი, და ის იქ შევიდა საწოლში. ახლა
ბეჯითად გაჯავრებული იქნება ჩემზედ და თუ
თქვენ არ დამეტმარეთ, დავიღუბები, თქვენი ჭირი-
მე! თქვენი მუხლების ჭირიმე, ნუ დაიჩარებთ
ჩემთვის. (მუხლებზე ესვევ):

(აშ დროს სასახ. ქარებზე შთადგება. და უკურების).

ცოც. კარგი! კარგი! წამოდი აბა, და ახლავ შეგარიგებ. (შთადიან საწყლო თათასში ისე, რომ გერ შენიშვნები საჭიროს).

გამოსვლა მეათე.

ცოცო. (შარტო) ააა! ამას რასა ვხედავ?! გამწყრომია ლმერთი და შემრცხვენია ულვაშები! ბარემ და-მიღეს თვალები! ეს რა ნახა ჩემმა თვალებმა?! აააა ახლა კი მესმის, თუ რათ მებუტება ჩემი ქალბატონი დილილან საღამომდე! რატომ აღარ დგება ჩემთან და ან რათ დაცუნცულებს აქეთა იქით? თურმე საქმე ასე ყოფილა! ხა, ხა, ხა! ეს-ლა მაჟლდა! ერთ ვილაც იმერელ ბიჭს, ამ... ასე მოურიდებლობაც გაგონილა? მაგრამ ვნება ფარდა ყოფილა თვალებისათვის. ვეღარც კი შემნიშნეს! ეს რა ამბავია? სიზმარში ვარ, თუ ცხადია?!... პჲ! ცხადია, ამაზედ უცხადესი რა იქნება?... (ჭადის გაშვითოვებულია).

გიმოსვლა მეთერთხმეტე.

იგივე ჭ გათარგი

გიმორგი. რა ამბავია? რას აუშფოთებიხარ? (დასწერს).

ცოცო. სიკვდილი მერჩია ამ სიცოცხლეს!

გიმორ. რა დაგმართნია? რას აუღელვებიხარ!... რა ამბავია, ძმაო?

ცოცო. ოჲ, შენა ხარ გიორგი! სირცხვილი შენოვის, შენს სახლში მოხდა ეს!

გიორგი. რა ამბავია?

სოსო. ის, რომ... იქ არიან ორივე...

გიორგი. (თავისითვის). ვაი ჩემს შერცხვენას, ამასაც უნახავს! (სის შაღლა). მაშ შენც დაინახე? არ გებრალები?

სოსო. მე კი დავინახე, მაგრამ შენ როგორდა დაინახე, რომ ახლა აქ არ ყოფილხარ?

გიორგი. ახლა კი არა, წელინ დავინახე.

სოსო. როგორ? წელინაც?.. (თავისითვის) მეშე ეს მეორედ! (სის შაღლა) წელინ კი არა, ეხლა შევიდენ ეს არის...

გიორგი. როგორ თუ ახლა? (თავისითვის) მაშ ახლა ხელმეორედ,—ეს კი ნამეტანია!

სოსო. შენს ოჯახში არ უნდა მომხდარიყო ეს ამბავი.

გიორგი. გიურა! მაშ სხვაგან უფრო არ მომექრებოდა თავი? მადლობა ღმერთს, რომ კიდევ აქ მოხდა და კერ საქვეყნოდ არ არის საჭმე!

სოსო. ძალიან კარგი ნუგეშია!..

აგიორგი. ისე შენმა მტერმა ინუგეშობა! აგერ გავგიფები.

სოსო. (თავისითვის) ვერა ხედავთ ამ ჩემს ქვისლის? ეს რომ ასე ცოლის დაზედ თავს იქლავს, მე რომ სისხლის მაგიერა, თხლე არ მედგას ძარღვებში, თავს უნდა ვიკლავდე! (სის შაღლა) არა, აღარ მინდა თავი ცოცხალი!

გიორგი. (თავისითვის) დახეთ! ეს რომ ასე მრისხანებს თავის ცოლის დაზედ, მე რომ ძარღვებში მახობი არ მედგას სისხლის მაგიერა, ერთი ამბავი უნდა მოვახდინო.

სოსო. აქ თავი უნდა მოვიკლათ და სირცხვილი კი არ უნდა დავსთმოთ!

8006. შენ რათ ცხარობ მაგრე, ჩემი უმავ, ჩემი შეტ-
ლისთვის?

სოსო. როგორ თუ შენი გულისთვის? მე თვითონ მი-
კვირს, რომ შენ მაგრე გულ-მხურვალედ თანაუგრ-
ძნობ ჩემ საქმეს.

8007. როგორ თუ შენ საქმეს?

სოსო. მაში? ჩემი ცოლი და ის იმერელი იქ არიან.
(ჩელს უშეენს). ამ 26 ლეიქონის

8008. (გაგვირვებით). შენი ცოლი! მე კი ჩემს ცოლზედ
ვამბობ. წელი ას იმას ეხვეროდა. (თავისთვის). და-
ხეთ, იმ იმერელს! ერთ დას რომ აღარ სჯერდება,
ორ-ორს ჰკიდებს ხელს.

სოსო. (გაგვირვებით). შენი ცოლიც? ეგ ვიტევ სხვა
ამბავია! [თავისთვის]. ორივე დები შეურცხვენია!...
ერთს აღარ ჯერდება!

8009. ცერ ხედავ, რა დღე დაგვდგომია! რაღა ჭართ
ახლა?

სოსო. სწორედ უბედურები ფართ! ამ ქვეყანაში პრინ-
დაგვედგომება.

8010. მაშ უნდა დავიკარგოთ?

სოსო. კი, მაგრამ ჯერ უნდა შევიტყოთ, თუ...

8011. რატომ არ ვიცოდით, რომ ასე დაგვემართე-
ბოდა. განა ცხადი არ იყო, თუ რა დედოს შვი-
ლები იყვნენ? რათ შევირთქოთ?

სოსო. ვის ეგონა, თუ რაც დედა იქნება, ის შვილები.
ვაი სირცევილო!

8012. რა ცუდი ცოლი გყავს!

სოსო. რა ცუდი ცოლი გყავს!

ორივე. რა ცუდი ცოლი შვეულისა?

8013. როგორ შერცხვი!

- სოსო. როგორ შერცხვი!
- ოჩივე. როგორ შევრცხვენილვართ!
- გიორ. აქ დასადგომი პირი აღარა გაქვს!
- სოსო. აქ დასადგომი პირი აღარა გაქვს!
- ოჩივე. აქ დასადგომი პირი აღარა გვქონია!... (მო-
აქმით ტირიან).

გამოსვლა მითოჩერი

იგინიღებ არასკო.

- არ. (გამოდის). მაღლობა ღმერთს, რა აღვილად გადავ-
რჩი,
- ზიორები და სოსო [ურთად მიგარდებიან]. რაო? რაო?
გადარჩი? (სტაცებუნ სედს და მოათოვებენ).
- არ. (შემანებული). ვაიმე, ბატონო! რას მერჩით? ფრა
დავაშვე?!

- გიორ. როგორ თუ რა დაშვე? შენ რა გიქნია?
- არისტო. (თავისითვის). ვაიმე! ვინ უთხრა ამ ოხერს?
ვიცი მომკლავს. [ჩა მაღდა]. დამნაშვე ვარა ბა-
ტონო, მაპატივე! არ მინდოდა, მაგრამ შევსცდი,
ბაბალე მეგონა!

- გიორ. რაო! დახეთ ამ საძაგლს, რაებს ბოდავს!
- სოსო. (გამოისილებს სედიდან) აქ მობძანდი! ჩემს ცოლ-
ზედ რას იტყვი?
- არ. თქვენ ცოლზედ რა უნდა ვსთქვა, შენი კირიმე!
მოვეხვივ, შევეხვეწე...
- სოსო. მოეხვივ! განა იქაც შესცდი?
- არ. არა ბატონო; განხრახვით მივედი, გულ-ჭიჭულ...
ვიცოდი ჩემს თხოვნას უარს არ ეტყოდა... ი 16

სოსო. რაო? უნდა მოვკლა! (აღთქმის).

არ. ვაიმე! მიშველეთ! მიშველეთ!

გიორ. არა, ჯერ ნუ მოვკლავთ! ჯერ აღსარებასავით
ვათქმევინოთ თავიდან, თუ როგორ იყო ეგ ამბა-
ვი და მერეც მოვერევით. (გამოგდეს ხელიდან და
მიათრევს მარჯვნით). აბა, დაიჩოქე და მომიყენი!
შენ ძმაო, მანდ მოიცა ცოტა ხანს, ჯერ ჩემი ცო-
ლისას ვიკითხავ. (აჩქებს არისტოს) აბა ახსენე
ღმერთი, პირჯვარი გამოისახე და მოჰყევი რაც
იცი!

არ. რა უნდა მოვყენე, შენი ქირიმე! დანაშაული მაქვა!
მაპატივეთ!

გიორ. თავიდან მოჰყევი, რაც იცი! თავიდან... ჰმ!..

არ. მე და ბაბალე ვბუტიაობდით; მე თვალებზე ხელი
მივიფარე და ზლუქუნი დავიწყე, მისი მოტყუება
მინდოდა; თურმე ის გაპარულიყო, და მის მაგიერ
ქალბატონი გამობრძანებულიყო და თავზედ დამ-
დგომდა; მე გოგო მეგონა, ვსტაცე ხელი და
მოვეხვივ.

✓ გიორ. მერე? მეტი?

არ. მეტი აღარაფერი. ქალბატონი შეშინდა და შევარ-
და საწოლში.

გიორ. შენ?

არ. მე კი სამზარეულოში გავიქეცი.

გიორ. მე რომ ქალბატონის კარებს ვუბრახუნებდი,
შენ სად იყავი?

არ. რა ვიცი, ბატონო... სამზარეულოში ვიყავი დამა-
ლული...

გიორ. მართლა?

არ. კი ბატონო! გთხოვთ მაპატიოთ!

სოსო. (შიგარდება და წაშლათოებს არისტოს მარტინზე). ამ-
დენ ხანს როგორ ვერა ჰქითხე? აწ მეც უნდა
შევიტყო!..

გიორ. დაანებე თავი! ნულა ჰქითხავ! ვიცი რაც ამბა-
ვი ყოფილა!

სოსო. მერე შენ რომ იცი. მე რაო? მეც მინდა შე-
ვიტყო!..

გიორ. (თავისითვის) უჰ, შადლობა ღმერთს! ხელახლა
ვიბადები! მე რა მეგონა და რა ყოფილა! თუ სუ-
ლელი არ ვიყავი, როგორ შევიტანე ეჭვი იმ
ანგელოზ ქალზედ! იმას მისი უმანკოება სახეზედ
აწერია. განა არ ვიცი, რომ მე ის ხვანთქარზედაც
არ გამცვლის? ვინც იმაზე ცუდს იტყვის, თვალი-
თაც რომ ნახოს, ჩემი არ იყოს, ის გარყვნილი
იქნება და უსინიდისო!

სოსო. სოქვი! ნუ ჩაგვარდა ენა! მოჰყევი!

არ. რა მოვყე, ბატონო? ყელში მიჰერთ ხელს და
მგუდავთ.

გ. (თავისითვის) გამოჰყითხე, თორემ ბევრს სასიამოს კი
გაიგონებ, შენ საბრალოვ! საწყალი ჩემი ქვისლი!
რა საქმე მოუვიდა! აბა, როგორ ეკადრებოდა ჩემი
ცოლის დას ამისთანა საქმე! არა ჰგავს მისს დასუ!
მართალი ნათქვამია: „ერთის ხიდან ბარიც გამო-
ვა და ჯვარიც!“ ფუ!...

ს. მისჰყევ, როგორ იყო!..

არ. რა უნდა ყოფილიყო! ქალბატონთან შერიგება
ვთხოვე, იმანაც წამიყვანა და შემარტივა...

ს. მეტი არაფერი? (გასარებული).

არ. რა ვიციდი, თუ ეს თქვენთვის საწყენი იქნებოდა!

ს. [ხელს უშვებს] მაშ კარგე! (მომრუნწელია, არისტოს და-

- ჩოქალი რჩება: მადლობა ღმერთს! კინალამ ტყვილაში
არ გადავიროვ! არ გამიკვირდა! ჩემს ცოლს ჩემს
მეტი ყეყნიც არ უნდა, თორემ... არა, მეც არა
ვსთქვი! იმას მისი უმანკოება თვალებში ეხატება;
მაზედ ეჭვის შეტანა უნამუსობაა... დიდი,—დი-
დი!.. მაგრამ; საბრალო ჩემი ქვისლი!—ფუ: მის
ქალობას! როგორი ჩემი ცოლის-და არის მისი
ცოლი, მაგრამ მართალი ნათქვამია: „ერთი ხიდან
ბარიც გამოვა და ჯვარიცო!“... მივიდე ერთი ეს
საბრალო ვანუგეშო!
- 8: (თავისითვის) აქ! სასაცინო არა არის-რა! მაგრამ მე-
ცინება კი მისი საქმე, ხა, ხა, ხა, ხა' ძალიან
საქმე მოსვლია!...
- 9: (თავისითვის) საწყალს მეტი ჯავრით ისტერიკა მოს-
დის. რა გულით იცინის! მეც სიცილი მივარდება,
ხა, ხა, ხა! ამისთანა... ხა, ხა, ახირებული საქმე...
- 8: ვაი. ამისთანა სიცილს! გაგიუდა. [მიდიან ერთმანეთთან]
კეშმარიტად გულითა და სულით ვსწუხვარ და თუ
ვიცინი, მეტი მწუხარებისაგან...
- 6: მჯერა... ეგ სიცილი მწარეა!
- 8: დარწმუნებული იყავით!.. მაგრამ ვხედავ, რომ
თქვენი სიცილი უმწარესია და ის მიკლავს გულს.
- 6: რა გაეწყობა? განათლებულმა კაცმა უნდა. მოით-
ბინოს.
- 8: (თავისითვის) თავს ნუგეშს აძლევს. (სის შადლა) დიახ,
მოთბინება ვალია განათლებული კაცისა.
- 6: [თავისითვის] როგორ მალე დამეთანხმა! (სის შადლა)
მადლობა ღმერთს! რა გაეწყობა?
- 8: რასაკვირველია! რა გაეწყობა? საჭიროა გულიც
სიმაგრე... დიახ!

სოს. მე ვეტყვი ჩემს ცოლს, რომ თქვენი ცოლი და-
არიგოს, და თქვენც ურჩიეთ, რომ მისი დის
კვალზედ იაროს.

8. (შეშინებით) ღმერთმან ნუ ჰქნას! უმჯობესია, რომ
შენმა ცოლმა მიშბაძოს ჩემს ცოლს.
9. (შეშინებული) რას ამბობ? რა დროს ხუმრობა!
ღმერთმა დაიფაროს!
10. როგორ თუ ღმერთმა დაიფაროს? რა აქვს ჩემს
ცოლს დასაწუნი?

სოსო. ის, რაც თქვენი თვალით ნახეთ, სხვა არაფერი.

გიორ. ჰმ! ვნახე, მაგრამ კი ვერ ვნახე კარგად. უბრა-
ლო შეცდომა გამოდგა.

- სოსო. მართლა?.. ისე, როგორც ჩემი ცოლისა?
11. არა, თქვენი ცოლის საქმე სხვებრ იქნებოდა.
12. როგორ თუ სხვებრ? იქაც ცოტა რამ შეცდომა
იყო.
13. მართლა! მაშ როგორ არა გრცხვენიანთ, რომ
ცილი ტასწამეთ...
14. თქვენ კი შეამკეთ თქვენი ცოლი თუ?!
15. ეჭ! მაშ ამდენი აყალ-მაყალი სულ ტყუილი იყო?
არ შევრცხვით!?

16. მართლა რომ შევრცხვით და ეს უბედური ბიჭიც
ტყვილად დავტანჯეთ!

არისტო. (წამოვარდება ფეხზე) რასაკვირველია, ტყვილად
დამტანჯეთ. (გიორგის) თქვენ რომ მირტყით, მე
პაჭა ჩამვარდა, ლაზარეთში უნდა წავიდე, მაგრამ
ფული არა მაქვს. ვინ მიპატრონებს აქ? დოდა არ
მყავს და მამა! (ტირის).

გიორ. საბრალო იმერელი! კარგია ახლა, რა გაეწყობა!
აჲა, ეს შენი იყოს! თავს მოუარე! (ასლენე ფულის).

არ. მადლობელი ვარ, ჩემო ბატონო! კაჭებს თქვენის
კირი წაულია, მაგრამ გული უფრო მაწუხებს: ამშე
რომ ყელში ხელი წამიკირეს, გული ამომივარდა
მაშინ... ვინ მომივლის? ცოლი მე არ მყავს და
შვილი.

სოსო. კარგი, ახლა რაღა გაეწყობა? არ მომხდარიყო,
კარგი იყო! ჴა, ეს შენ! (აძლევს ფულებს). ჩენ
ახლა როგორდა მოვიქცეთ, ჩემო ძმა?

გიორ. რაღა დაგვრჩენია მეტი, წავიდეთ და ბოდიში
მოვიხადოთ ცოლუბთან. ცოლუბთან

სოს. კარგი, მაგრამ აქედან რომ არ შეგვიშვებენ? წინა
კარები დაკეტილოთა.

8. ეგ ცუდია ძალიან.

ს. უკანა კარები არა აქვს ამ ოთახს?

8. როგორ არა.

ს. გაშ კარგი, მოვუაროთ. [შილიან].

არისტო. (მარტო). იმე! ჯერ მოკვლას მპირდებოდენ
და ეხლა კიდეც გამაკეთეს... ახირებული თუგინ-
და, ეს არის! თურმე უფრო მარჯვედ რომ ვყო-
ფილიყავი, მეტსაც მაჩუქებდენ.

გამოსვლა შეცვალება:

იგინივე, მააკო ჯ სოფია (ოთხიდას გამოდიან).

გაიკო. არა, შენმა გაზდამ; არა ვსცდებოდე. ჩემის
თვალითა ვნახე და არც ვაპატიებ ჩემს დღეში.
იმ უნამუსომ ბაბალეზედ გამცვალა!

არ. რაო? მგონია ჩემს ბაბალეს ახსენებენ.

სოც. გოგოს ვერ უნდა გაებედნა, თორემ კაცები ხომ, ა
მაიკო. გოგო რას დაეძებს! მაგრამ ბატონშა არ უნდა
დაიმდაბლოს თავი.

არ. ვაიმე! ეს რა მესმის. ჩემს ბაბალეზედ! მიღალატა?
ვაი მის დღეს, თუ მართლა მისი ბრალია, და მო-
უქლავს არ გადავარჩენ, და თუ ბატონის, ერთს კარგად
შევზურგავ იმ დალოცვილს და ზე მოვე-
ვლები ბურთივით კორტოსს.

გამოსვლა გეთოთხევთვე.

იგინივე და ბაბალე:

ბაბალე. ქალბატონო, გთხოვთ გამიშვათ! მე აქ დასად-
გომი პირი აღარა მაქვს.

მაიკო. დიახ, ქალბატონო, მეც ვიცი! მემართლები?
ერთი მუჭა ჩემს ხელში გაზდილხარ.

ბაბ. რა ვქნა ქალბატონო, შევსცდი!

სოც. როგორ თუ შესცდი, შე ურცხვო! როგორ გა-
ბედე?

ბაბ. რა ვქნა, ბატონი. არისტო მეგონა.

არ. შეხე, რას ამბობს ეგ უნამუსო! მე რავა ვეგონე?
ველარ მიცნო რწყილივითულიკეთ ჩემი ბატონი კი
კოლოტს ჰგავს!

მაიკო. იმიტომ დაასხი თავს ლახვი?

ბაბ. არა, ბატონი! წმინდა წყალი გახლდათ, ლიტრით.

სოც. როგორ?

ბაბ. არისტო მეგონა ჩამჯდარი, მოვეპარე და თავზედ
გადავასხი ცივი წყალი.

მაიკო. მერქე?

ბაბ. მეტე, გამიწყრა და გამომიღება გასალახავაღ, მე
გვევექეცი და სამზარეულოში დავიმალე.

სოჭ. მეტი არაფერი? ეგ იყო? (მაივანი) ხა, ხა, ხა, ჩე-
მო დაო, გესმის?

ბაბ. მეტი რა უნდა გხლებოდათ... გთხოვთ მაპატიოთ!

არ. იმე! არ გესმისთ? რა ყოფილა და მე კი ტყვილა
უბრალოთ ვწიწმარიტობდი! არ გამიკვირდა! ჩემი
ბაბალე—ვენაცვალე იმას,—ბატონში რავა გამცვ-
ლიდა?—ეს კი მიამა შენ... (შეხტება).

მაიკო. უიმე, დამიღება თვალები! მაშ ტყვილად გავ-
ლანძლე ჩემი ქმარი? უი, ჩემ თავს! წავალ ახლავე,
ბოდიშს მოვიხდი. შენც მომექმარე, სოფიო!

გამოსავლა მეთხოთში

იგანიგე, გიორგა და სოსო.

გიორ. მაიკო, შენ გეთაყვანე, დამნაშავე ვარ, მაპატივე!

სოსო. დანაშაული გვაქვს, უნდა გვაპატიოთ!

სოჭ. შენც ბოდიშს იხდი?

მაიკო. მე ვარ დამნაშავე, თქვენ კი არა. გთხოვთ
მაპატივოთ!

გიორ. შენ რათ იქნები, მე ვარ! შევიტყე, რომ ტყუი-
ლი გამოდგა...

მაიკო. მეც ეხლა შევიტყე, რომ...

გიორ. არა, შენ იცოდი, შენი კირიმე' აწ კი შეც-
რიგდეთ.

მაიკო. დიდის სიამოვნებით.

გიორ. კი, მაგრამ, რომ არ დაღამებულა?

მაიკო. დაღამებას რას უცდით!

სოსო. ეჭ, კმარა ამდენი უბრალოდ პყალ-მაყალი!
ჩვენც შევრიგდეთ. წავიდეთ, დაღამებას ნუღარ
მოვუცდით!

სოსო. თანახმა ვარ, მით უფრო, რომ ზან-და-ზან დღი-
თაც კარგია შერიგება. (შიდიან).

გამოცლა შეთვევების

არასტო დაბადე

პრ. ახლა ჩვენ რაღა ვქნათ, ჩემო ბაბალუკო?

ბაბ. რაღა უნდა ვქნათ? წავიდეთ სამზარეულოში...
რადგან ბატონები აქვე შერიგდნენ, ჩვენ იქ შევ-
რიგდეთ.

პრ. აქ რა გვიჭირს, რომ შევრიგდეთ!

ბაბ. გვიყურებენ!.. დაგვძრახავენ, ჩვენი საქმე სამზა-
რეულოა!

პრ. კი, მარა ფარდა ჩამოვაშვებიოთ, ეი, ბიჭო! ფარ-
და ჩამოუშვი, ბატონის ბრძანება! (ფარდას უშვებენ)
ოი, შენ კი გენაცვალოს არისტო! (მოუნდოშებას
ბაბადეს მოხვევნას; ბაბალე პაშეცხვა და არისტო უბან
მასდევს).

(ფარდა დაეშვება)

ბ კ დ თ ბ ჩ.

სამესხეთოში წარმართობიდგანვე მოყოლებული შესანიშნი სამ ნაირი დღე იყო და არის კიდევაც დღემ-დის, პოლიტიკურად დიდ პატივდებაში მიღებული, ყოველი კაცის სიცოცხლეში სახმარად გამოსადევი: თუმც ბევრით განსხვავებული წარმართობისავან და ქრისტიანობასაც. დაშორებული ზოგიერთას მხრით.

ა) შესანიშნი დღე წლის დასასრული დღე იყო, ენკენისთვის წინა დღე, რომელსაც შვიდფერობის დღედ ამბობდნენ ჩვენი წარმართნი წინაპარნი: იმ დღეს შვიდ-ფერად შემოსავდნენ თავიანთ კერპებს, თავიანთ წვრილ-შვილს, თავიანთ სახლობასა და შვიდფერ საჭმელ-სას-მელს მოაზადებდნენ თავიანთ შეძლებისამებრ, და შვიდ-შვიდი მოსახლე შეიკრიბებოდნენ ერთად. იმ დღეს, საღილ-ვახშამზედ საღ-ხინოდ!

რომელ სახლშიც უფრო წლოვანი მოხუცებული იყო, მის სახლში შეიკრიბებოდნენ თვითოვეულად, დი-დით წვრილამდის მოსახლენი; შესვლისათანავე დახვდებო-დათ სახლის-უფალი მხურვანი, სამფეხა სკამზედ დასკუ-ჭული. მისცემდნენ თვითოვეულად საღამსა და პირა-

მღიმარედ ეტყოდნენ: ჩემმან მზემან დიდად მიხარის, რომ გნახეთ ისევ დღეგრძელებაში ტანმრთელი, შვენი-ერი და მამაცი დღევანდელ დღეს, ჩვენის ლხინ-სიხა-რულის მეთაურადო! მაღლობას მოახსენებდა და უპა-სუხებდა: მზემან გაბრწყინოს, სული, გული გაგით-ბოსთ, გაგაძლიეროს და ჩემს დროთ მოგყაროსთო!

რა კველანი მოვიდოდნენ, ჩარიგდებოდნენ კაცები თავთავიანთ სასხდომ მერხებზედ დიდით წვრილამდის, მოხუცებული მოხუცებულთან, ვაშკაცი ვაშკაცთან და ყმაწვილები—ყმაწვილებთან: ასრევე დედაკაცნიცა თა-ვიანთ წყებაში ჩამწკრივდებოდნენ დიდაპატარაობით ქალასძილნი და ყმაწვილ-ქალნი რიგ-რიგად; მოვიდოდა წინ გაწყობილ ხონჩებზედ რაც ებადათ ყოველი სა-წუთრო შვიდ-ფერამდის, უფრო წველეულება ტკბილე-ულება ყოველთ ხელმისაწდომი, ვისაც შეეძლო ნამცხვა-რეულება, ხორცეულობა და ხილეულობა. როგორც დღესაც ხმარებულია, კვახი, თაფლი, რძე, მაწონი, კარაქი, სულ თაფლ-მოსხმული, ერბოკვერცხი, კონ-კიანი (კაიღანა). ხილეულში—გოზინაყი, ლელვი, ჩურ-ჩხელა, ტკბილის-კვერი, ვაშლი, მსხალი, სხვა-და-სხვა ხილეულის ჩირი, ხორცეულში—ხარშო (იაპნი), ყა-ლია, ბრინჯით გატენილი ქათამი, კრავი, ინდაური, მწვადი, საციო და მისთანანი. სვამლნენ ზედ ღვინოს და იწყებდნენ ლხინ-სიმღერა-გალობებსა.

მოლინედ სახლის პატრონი იქმნებოდა, პირველ სუფრულს ის იტყოდა თავის თავზედ, როგორც მო-მაკვდავი, თქმულია ძველთაგან ასრე სახალხოდ:

დაჭირდი, მშვიდდი ძირს დაჭდეს,

შაღლა მთაში ძეგს სადამექ,

დაღწება, ქერქი გასმერქია.

არ შიადგენა შეს სადმექ:

(თქმა არის, უწინდელი ჩვენი წარმართნი წინა-
პარნი სულ მაღალ მთის წვერებზედ იმარხებოდნენ,
სადაც საკერპოვები ჰქონდათ წმინდა ჰაერში, ვარდ-
ყვავილებითა და ხეივნებით შემჯულ-მორთული). მერმე
მისი მიმტანო მოხუცებული უპისუხებდა:

დაჭბერდი და დაგრეუსურდი, წევრა შემექნა ჭადარა,
გარ ბატონის აღარ ვარგივარ, შინაც უნდივარ აღარა,
ისეც არა გარ შოხეცდა, გედაც დავუპრა ნადარა.

მესამეც ვაშკაცურად მოილერებდა ყელს და
დასძახებდა:

სამომიქსექნ, არჩილ შეფეხ, ფის დაგიდტბ ძაღაანსა,
მოკუწევი, ხმადს შემობტავ, ისარს გქივრი შხმიანს!
ნაფარსა სულ დაგიდანტავ, ალიანს თუ ჩადანსა,
ცექნ-ჯორებს დაგურევინებ, ქუსადებ ლალიანს!

ვინ არჩილ მეფეა, არა სჩანს; ხომ წარმართობი-
სასაც ყოფილან ამ სახელით მეფენი, რომელნიც სულ
საზღვრების ნაპირებზედ დავლააკლებით ცხოვრებდნენ
თავიანთ დღენი.

ეხლა მცირე-წლოვანი იწყებდა სამღურავს გულ-
დაკლებით:

მთად თოვლით, იარად ეინუღთ, გალივი და გამიმჭი შინა,
წახედა და არ წამიეგანე, მარტო გამიშვი შე შინა,
რა გარ იუთ წაგეეგანე, მომდგარი მტერი შეშინა,
შენ მშეილდაისრა გესროლა, შე ხმადი წამოშეშინა.

თქმა არის: ჯერ ნება არ ჰქონია მტერზედ საპრ-
ძოლად გასვლისა და გულადობა კი მოუთბენლობაში
აგდებსა ემდურება უფროსებსა სახლში დატოებისა-
ოვის.

ჩვენ მოკლედ გავიკლით რაც უფრო შესანიშნია,
არ შევალთ ყოველ წარმართულ ცრუ-მორწმუნეობათა

განხილვაში, რომელიც ჩემს უთქმელადაც ცხადად გას-
ჭვირს მრავალგვარ მთიულების ეხლანდელ ცუდ ჩვეუ-
ლებებში: უფრო შესანიშნია, რომ თავიანთ თავს ფი-
ცულობდნენ: ჩემმა მზემ, შენმა მზემ, იმისმა მზემ და
სხვაც ერთად. მზის სხენება ამტკიცებს, რომ ჩვენი
წარმართი წინაპარნი მნათობთ მსახურნი ყოფილან,
როგორც საჭობის შემდგომნი, ე. ი. ზეციერ მაღალ
ძალთა, ამას ამტკიცებს ბევრგან ძველებურ დაბებთ
სასაფლაოების სახელები, რომ დღესაც საბუზარა სახე-
ლით იწოდებიან: ს. ხიზაბაერის საბუზარა რომ ცალკე
გორა არის, დადეშის საბუზარა და ზადენ-გორის საბუ-
ზარა ვარხენის მახლობლად. მეორე: ჩემმა მზემ, ჩემმა
სიცოცხლემ და ჩემმა დღემ, ნიშნავს კაცის საკუთარს
არსობასა, რომელიც ხშირად დღესაც ხმარებულია
ყოველგან ჩვენს საქართველო-სამესხეთოში.

როგორც ჰსჩანს, შვიდ-ფერობის დღეც წარმომდ-
გარია მზის ბუნებითი შვიდ-ფეროვნებისაგან, რომელიც
სჩანს ცის-სარტყელაში შემდგარი სხივების ფერებისა-
გან, ანუ ბრწყინვალე თლილ ჭიქებისა და ყინულის
ჭვირებში შემდგარი მზის ფერებისაგან უფრო შვენიე-
რად: სახელდ. ლურჯი ფერი, ცის-ფერი, სოსნის ფე-
რი, ალის ფერი, ყვითელი, მწვანე და წითელი ფერი.
ლურჯი ფერი ეკუთვნოდა კრონოსს, როგორც ღმერ-
თების მამას, მოხუცს, მომასწავებელს დღეგრძელობისა
და შრავალ უამიერის სიცოცხლისა. ცის-ფერი ეკუთვ-
ნის არმაზს, როგორც ცისა და ჭვეყნის მპყრობელს,
რომელიც არის ძლიერი, შვენიერი და შემკული სიწ-
მილით და სისუფთავით. სოსნის ფერი ეკუთვნის ჰერ-
მეს, რომელიც არის ენა-პიროსნობის და მჭევრ-მეტ-
ყველების ქალ-ლმერთი. ალის ფერი ეკუთვნის ათინას;

შეცნიერების ქალ-ღმერთს. ყვითელი ფერი აპულონს ეკუ-
თვნის, როგორც მზის მატარებელს ეტლს, როგორც
მოლექსობის და მესაკრაობის ქალ-ღმერთს. მწვანე ფერი
ეკუთვნოდა არტემს, მონადირეობის და მხიარულების
ქალ-ღმერთს, რომელსაც ჰრთავდნენ ხშირის ვარდ-ყვავი-
ლებითა. წითელი ფერი ეკუთვნოდა არისს, როგორც
ბრძოლისა და გამარჯვების ქალ-ღმერთს; ისე დიდათ
მიღებული ჰყოლიათ ჩვენ წარმართ წინაპართ ეს არი-
სი თავიანთ გამარჯვებით მტრებზედ, რომ არსებად
აღუარებიათ.

ასრე შვიდ-ფერობის დღეს ჩვენი წარმართნი წი-
ნაპარნი დგადის ლხინ-სიხარულით ისტუმრებდნენ ძველ
წელს და ახალ წელის მოლოდინით ნატრობდნენ თა-
ვიანთთვის დღეგრძელობასა, ტანზრთელობა-შვენიერე-
ბასა, ენა-პიროსნობასა, სწავლა-მეცნიერებასა, საქმე-
ყოფაში გამჭრიახობასა, მხიარულება-მონადირეობასა
და ომ-ბრძოლაში გამარჯვებასა.

ქრისტიანობის დროს უფრო გაბრწყინდა შვიდ-
ფერობის დღე. რა სიმართლის დღე გამობრწყინდა და
მოჰყინა თავის განმაცხოველებელი სხივნი მთელ ქვე-
ყნის წარმართთა ქრისტიანობით, აღავსნა ყველანი
სული წმიდის შვიდის მადლებითა: სიბრძნითა, გონიე-
რებითა, მართლ-მსჯელობითა, სიმწნითა, მეცნიერები-
თა, ღვთის-მსახურებით და ღვთის შიშითა,—ამით იყვ-
ნენ გამსჭვალულნი ჩვენი წინაპარნი ქრისტიანენი და
დიდის მადლობით ესალმებოდნენ ძველ წელსა;
რადგან საშობოდ აღსარების თქმითა და ზიარების
მიღებით ყველანი განწმენდილი იყვნენ, და წმინდა
სინიდისით შოელოდნენ ახალ წლის ბედნიერ დღეებსა,
ღვთის მოწყალებით აღსილოსა, თავიანთ დასამშვენებ-

ლად. როგორც ღმერთზედ მინდობილნი იყვნენ ღვთის მოშიშობით და ღვთის მსახურებით, ისეც ღმერთი იცვედა და იფარავდა შათ ყოველის განსაკრელისა და ბოროტისაგან.

ახლა კი წყევა-კრულვითა და გინებით ეთხოებიან ჩვენი მწერალნი ძველ წელსა, და ახალს კარგის გულით და პირთამდის სავსე ცრუ იმედებით წინ ეგებებიან, მარტო ცარიელა სიტყვით და არა გულიანის მართალის საქმეებითა—რაც ცხადი ნიშანი არის ღვთის მსახურებაზე გულაგორების და გაგრილებისა.

8). შესანიშნავი დღე არის ახალ-წელი, სახელ-წოდება იესო ქრისტე უფლისა; ღილითვე ყველანი მხიარულის გულით იღვიძებენ, ბევრგან ჩვეულებად აქვთ: სახლის პატრონი დედაა თუ მამა, ახალ წამომდგარს შვილებს თუ უმცროსთ უცეცხლო. თაფლში ჩაწებილ პურის ხევსს მიართმევენ და მიულოცავენ ყველას, ასე ტკბილად დაგვიძერდი კეთილის ცხოვრებითაო. გლეხები არა მარტო თავიანთ შვილებს, მსახურთ და მოახლეთ ასე მიულოცავენ ახალ წელსა, არამედ თავიანთ პირუტყვთ, ცხვარ-ძროხათა და შენაურ ფრინველთაც არ დაივიწყებენ—მხიარულის გულით მისცემენ სარჩო-საკენკასა და გულით დალოცავენ.

ღილით პირველ ადგომისათანავე ცდილობენ ყოველნი ნათესავნი მოყვარე-მეგობარნი და მეზობელნი, ერთმა მეორეს დაასწრონ მილოცვა. შედის ყმაწვილი კაცი ან ყმაწვილი ქალი მისალოცავად მოსახლისა, აძლევს ჯერ სალამს ასრე: ქებულ იყოს უფალი ჩვენი იესოს სახელი და ამბობს: შემოვდგი ფეხი, გწყალობდეს ღმერთი, ფეხი ჩემი და კვალი ანგელოზისათ და მიართმევს ტკბილეულს საკვლეველსა ხილეულია-

ნად. სახლში დამხდომნიც დიდ მაღლობას ეტყვიან, მოემშვიდობებიან და დასმენ პატივისცემით, მიართმევენ საკულტურული საქართველოსა. ჩატებარუნებენ პირს ყოველ ნაირი ტკბილეულობით და ხილეულობით აუგვებენ უბეჯიბესა და ეგრეთ გაისტუმრებენ. თუ სახლში სასძლო ეგულებათ, ან ნათლული და ან ნათლის-დედა, უკულევენ ცალკე ოქროებ ჩარჭობილს ვაშლსა ან ვეცხლის ფულებიანს რამე ზილსა, თურუნჯია თუ ნარინჯი, ან ბროწეული. თუ სახლში ვერ ნახეს თავიანთ გულის სტუმარი და ეკულესიაში მოახერხეს, იქ მიართმევენ თავიანთ საკულტურულსა.

ლოცვა-წირვის მოსმენისას მღვდელი ულოცავს ერს ახალ წელსა, დალოცავს ყოველთა და ეგრე მოხარული ქალით კაცამდის მიდიანთ ავინთ სახლებში, უეჭველად მოყვრები მოყვრების წვეულნი არიან, მეგობრები მეგობრებისა და ნათესავნი ნათესავებისა. სოფლებში შვენიერად დაკულია მამა-პაპური ჩვეულებანი, ახლანდელი ქალაქ დაბების შემოსული ევროპიული მსუბუქი მოდები ვერ შეედრებიან ადგილობრივს კეთილწესიერებათა.

მაჰმადიან შესხებსაც კიდევ ახსოვსთ ქრისტიანული ჩვეულება--დღესასწაულები, ბევრგან წმიდად ასრულებენ შვიდ-ფერობა დღეს, ახალს წელსა და ბედობის დღესაცა. აწყვრის გაზრაში, ქვაბლიანისა, ხერთვისისა და კახეთის სოფლებში, სადაც ადგილობრივი მცხოვრებნი დაშთენილან, სადაც შერეული მაჰმადიანები არიან ქრისტიანების სოფლებში, დიდის თანაგრძნობით ულოცვენ ქრისტიანებსა და უკულევენ ტკბილეულსა; ბევრნი ლხინსა, სიხარულსა და წვეულება თამაშობაშიდაც კი მონაწილეობას ღებულობენ. ოსმალოს შემდგომ რუსო-

ბისა ამ 40 წლის წინად ოშორელი მაპმაღიანები ხიზა-
ბავრელებთან საშობაო ალილოზედ შეერთებულნი
დალიოდნენ თურმე ქრისტიანების სოფლებში. ახლაც
თურმე შევნიერად იციან სუფრული ქართული გალო-
ბანი და მოძახილი მაყრული.

გ) შესანიშნი დღეა ბედობის დღე, ახალწლის
მეორე დღე. ამ დღეს ყოველი კაცი, ქალი, მოხუცე-
ბული, ბებერი, ზანტზარმაცი თუ საპყარი, დიდი, პა-
ტარა სულ მოძრაობაში და საქმეში არიან, ამბობენ
უსაქმურობა არ დავვებედოსო. ერთმანერთს აგულიანე-
ბენ, მეტად ბრთხილობენ, რომ არავინ დასძრახონ, არც
გაჰკიცხონ, პირითგან უპატიური სიტყვა არ წაიცდინონ,
ბევრი არ ილაპარაკონ და არც იჩხუბონ რამეზედ.
ერთი სიტყვით ყოველი თავშეკავებული კაცი თუ ქა-
ლი საქმებურად ატარებს ბედობის დღესა; თავშეუკავე-
ბელი ადამიანი ხომ სხვა არის: „ავი კაცი აღდგომასაც
ავიაო“ — როგორც უთქვიან ჩვენთ წინაპართა.

ძველადგანვე ხმარებულია სვე-ბედი, რომელიც
მოგვაგონებს სვეტს ბედთანა. თქმა არის, წარმართნი
ბედის მომასწავებლად ქვის სვეტებს არჭობდნენ; მართ-
ლაც ბედის ძველს თვალ-ახვეულს აკეთებდნენ წარმართნი,
ხელთ ეპურა თხის რქა უხვების ნიშნად და იღგა
ფრთხებიან ქვეყნის გუნდზედა. სწორედ ამისთანა არის
ხიზაბავრისა და თოკის სოფელს შუა მდებარე ნასოფლა-
რი წერტუნტა (წერაყუნტა), აქ დღესაც სჩანს მისთანა
ქვა, თავ-პირ მომტკრეული, რომელიც ჩვენ წარმართ
წინაპართ დიდ საწამებლად ჰქონიათ.

სვე-ბედი და წერა ერთი თქმა არის. სულ პირვე-
ლად სვეტები თუ ბოძები უხმარიათ ბედ-იღბლის მო-
მასწავებლად, რომ ყოველ გამარჯვების შემდგომ საქ-
მელ სასმელს შესწირვიდნენ თურმე. ამისთანა ბოძები
იყო დადგმული აბოცის მთაზედ, ბოძეებს რომ დღე-
საც არის წმინდა კაცის კლდისაგან მოქრილი, ს. დი-
ლვირში ერთ საეგნზედ მაღალი; ამ ნაირივე არიან
ბევრგან როგორც ნიჯორის ქვაბებთან, ვანისა და სხვაც.

როცა მირდატ ევპატორმან გაიმარჯვა რომაელებზედ თავის სვებედის სამალლობელიად დაათაკრვინა სამ კუთხად შეშები, დაასხმევინა ზედ ღვინო, თაფლი, რძე, ერბო, საქმელი და სხვა-და-სხვა საჭმელი, მიაცემინა ცეცხლი და დაიწვა მთელი თავარა, რომლის ალი ასი მილის სიშორიდგან სჩანდაო, სწერს აპიანო.

ასეთ ბედ-ილბლის სვეტებს ეგვიპტელებიც ხმარობდნენ. სადაც გაემარჯვებოდათ, უთუოდ იმ აღილას თავიანთ დადგმულ სვეტზედ გამოსახავდნენ დედაკაცის ასოს. და თუ აღგილობრივ მცხოვრებთ გაემარჯვებოდათ ეგვიპტელებზედ, მაშინ პირობით შეეცვროდნენ ძლიერ მცხოვრებთ, რომ მარტო გზა ჰქონდათ მისვლა-მოსვლისა თავიანთ დაჭერილ ქვეყნებისკენ და ამის ნიშნად ამართავდნენ ქვის სვეტსა და ზედ გამოაქანდაკებდნენ მამაკაცის ასოსა. სწორედ ამ ნაირი სვეტი დგას დღესაც ჯავახეთს, ახალქალაჭის მახლობლიად ს. მერჯახეთსა, ერთ საუენზედ მაღალია.

ქრისტიანობის დროს კი აღარავითარი მნიშვნელობა აქვს სვებედსა თუ კაცის წერასა,—კარიელა სახელია. ყოველი კაცის ბედი, წარმატება მისავე ხელშია: გამრჯე, გამაცადი, გონება-ხსნილი, გამჭრიახი კაცი, მუდამ ბედნიერი იქმნება; ზანტი, ზარმაცი, მოზარული და უნაღვლო კაცი მუდამ უბედურად იცოცხლებს და არსად მოეწყობა წელი. საზოგადოდ ღვთის მოშიში, ღვთის მსახური კაცი თავის მოვალეობას ოჯახობას, საქმე-ყოფას არაოდეს არ ულალატებს, თავის გარჯის დაგვარ რასაც ღმერთი მისცემს სიმართლის გზით, მიიღებს კმაყოფილებით. არ ეგვანება ბევრის ავად თუ კარგად შემძენ, გაუმაძღარ მდიდართა, რომელნიც სააქაოსვე ჯოჯოხეთურ ტანჯვაუწვალებასა და მოუსვენებობაში ატარებენ თავიანთ უბედურ, უბაღრუე ცხოვრებასა; არც თავს არგიან, არც მონათესავეთ და არც ქვეყანასა. დღიურად მცხოვრები მუშა უკეთესად იცხოვრებს უფრო ანგარი მდიდარისა.

გინმე შესრი.

შრო-ერთი მთავარი საზრუნო.

ადამიანის ქვეყნად არსებობის თავი და თავი მიზანი რა უნდა იყოს—ამას ვერც ერთი ბრძენი, ვერც ერთი მეცნიერი ვერ გვიხსნის ისე, რომ ეს აღსნა ყველასათვის სარწმუნო და გარდაუვალი იყოს. ვისაც როგორ უნდა, ისე სწამს ეს. ვისაც როგორ უჭრის საკუთარი განვითარება, შეგნებულება და პირადი შეხედულება—ყველა იმას ადგია. ზოგი ნიადაგ უზენაესს რამეს ეტრფის, ზოგსაც წვრილმანებზე ფიქრსა და ოცნებაში ელევა თავისი დღე და წუთისოფელი, და ამ ორ უკიდურესობის ჭდებში არის მოთავსებული ის განსაცვიფრებელი აზრ-მიმართულების ნაირ-ნაირობა, რომელიც მთელ დედამიწის ზურგზე იშვიათად იძლევა ორ ადამიანს საცხებით ერთნაირად შოაზრესა და ერთი მიმართულების მიმდევარს. თვით ეს ნაირ-ნაირობა, რომელიც ბუნების ერთ-ერთ მთავარ კანონად არის დადგენილი, არ არის წუნ-დასადები, მაგრამ ესეც დროსა და საზოგადოებას გააჩნია... ის, რაც რიცხვ-მრავალ ქვეყანაში და ერში თავი-და-თავი საზრუნავია, ჰატარა ქვეყანაში და ერში სულ სხვანაირადაა მისათვალი!... რაც ერთში სასარგებლოა ჭ სასიხარულო— მეორეში ხან-და-ხან თავში-საცემი და საგლოვი გამო-

დის. კიდეც ამიტომ არის, რომ ხშირად პატარა ქვეყანაში და ერში უფრო მეტი წინდახედულებაც მართებს ადამიანს: მეტი სიბრთხილე უნდა სამუშაო ასპარეზის არჩევას და მეტი გამჭრიახობაც საზოგადო მუშაობის წარმართვას,—რასაკვირველია, თუ ადამიანს საზოგადო კეთილდღეობა უღვივის გულში და არა მარტო პირადი, ცხოველური არსებობა. ამიტომაც ყოველთვის უნდა გვქონდეს გათვალისწინებული, თუ რა განსაკუთრებული მოთხოვნილება გვედება თანამედროვე ჩვენი ვითარებისაგან, და ეს უნდა დაედოს სარჩულად ყოველ ჩვენ საზრუნავსა და სამუშევარს.

თუ ეს პატარა შესავალი წავუმძლვარეთ ჩვენს სათქმელს—ამით სრულიადაც არ ვაპირებთ რაიმეს საბოლოოდ გარდაწყვეტას. და არც ადამიანის არსებობის თავ-მიზანს შევბედავთ გამოსარკვევად. საზოგადოდაც ძნელი გარდასაწყვეტია ეს კითხვა და კერძოდ ქართველი ადამიანისათვის ხომ მით უფრო ძნელი და როულია, იმ სხვა-და-სხვა გარემოებათა გამო, რაიც უკანასკნელმა ხანმ თავს დაგვატეხა... თუ რა უნდა იყოს ჩვენი მთავარი საზრუნავი—ამას ხომ მოკლედ თქმა არ მოეხერხება. ერთ-ერთ საზრუნავად კი ყველაფერი დაისახვის, რასაც ჩვენსა და ჩვენის საზოგადოების ცხოვრებაში რაიმე მნიშვნელობა მიუძღვის. ჩვენ არ ვეჯუთნით მათ გუნდს, ვისაც მხოლოდ ერთი რაიმე აქვს დასახული და ყველას და ყველაფერს, რაც ზედგამოჭრით მათი მგვანე არ არის, უარყოფენ და უმნიშვნელოდ აღიარებენ. ბევრი რამ არის საჭირო საზოგოებისათვის. გაკეთებული ვიკითხოთ, თორემ გასაკეთებელს ვინ მოსთვლის, რამდენია!... სამუშაო გზაც, საერთო მიზნისადმი მიმყვანი, მრავალნაირია წლ მუშაორის.

ბაც მრავალუფეროვანი. და თუ საბოლოო, საერთო საწადელს შეესაბამება აღამიანის აღრჩეული მიმართულებაცა და საქმიანობაც, მაშინ ამნაირი ვინმე დანარჩენთაგან საგმობი და ხელშესაშლელი არ უნდა იყოს, ჩვენის აზრით. ამისათვის არა გვგონია, ვინმემ გაგვამტყუნოს, ან და აგვითვალშუნოს, თუ ჩვენც კერძოდ აგვირჩევია ერთ-ერთი ბილიკი, და მის მიყოლას სასწრაფო წერტილისაკენ თვალსაჩინო მნიშვნელობას ვუმისებთ.

ბოლიშს ვიხდით სიტყვის გაგრძელებისათვის და პირდაპირ გადავალთ მაზედ, რაზედაც გვწადია ამ უამაღ სიტყვის ჩამოგდება, და რაც დიდ-მნიშვნელოვან საქმედ მიგვაჩნია ჩვენთვის და ჩვენი ქვეყნისათვის. ამით ახალი რაიმეს თქმას არ ვაპირებთ, მხოლოდ ერთ-ერთ კითხვას უნდა შევეხოთ, რომელიც ყველასაგან მიყრუებული არის. ეგების ბევრს კიდეც უფიქრია ამ კითხვაზედ, შეიძლება მისი განხორციელებაც უნატრია, მაგრამ დღემდე კი ეს საქმე ოცნებად არის შთენილი, და როგორც ბევრი სხვა სასარგებლო რამე, ესეც ჩვეულებრივს წყვდიადს არის მიცემული. ჩვენ, რასაკვირველია, არც ეხლა ვოცნებობთ, რომ ჩვენი გახსენების შემდეგ ეს კითხვა ჩვეულებრივს ობს მოიცულის და განხორციელების გზას მიეხელება... საამისო მსწრაფლი გამოფხიზება და მხნედ საქმის დაწყება—ან კი სადაური ჩვენი თვისებაა, რომ ეხლაც ამის იმედად ვიყოთ!... მაგრამ მაინც ვიტყვით სათქმელს და შეიძლება ისედაც არ იყოს დაკნინებული ჩვენი ქვეყანა, რომ ათასში ერთს მაინც არ ჩააჩნდეს მექსიერებაში და არ დაეზაროს მცირეოდენი თანაგრძნობისა და, თუ შესაჭლოა, დახმარების გაწევაც.

ჩვენი უბედურება, სხვა ბევრთან ერთად, ისიც არის, რომ ჩვენ არავინ არ გვიცნობს. და უარესი უბედურება კი ის უფროა, რომ თვით ჩვენვე არ ვიცნობთ თავის თავს!... ამ სამწუხარო მოვლენას ისე შეჩვეული ვართ, რომ არც კი ვთაკილობთ ამას... თუ ვინმედ მეზობლის ამბავი არ იცის, და არც ცდილობს ახლობლების ვითარებას გაეცნოს — ეს ძალიან გასაკვირლად მიგვაჩნია. ამნაირ ადამიანს როგორლაც ათვალწუნებით ვუყურებთ და მის თვისება-ხასიერთაც უტნაურობას ვეძახით. და თუ ვინმე ასეთსავე გულგრილობას იჩენს მთელი იმ საზოგადოებისა და ქვეყნისადმი, სადაც იგი დაბადებიდანვე ყოფილა და სადაც იგი უნდა დარჩეს მთელ თავის სიცოცხლეს — ამას მაინცა და მაინც წუნს არა ვსდებთ და არც გასაკიცხავ საქციელად ვსთვლით!... საზოგადოების წევრად რომ იყოს ადამიანი და ამავე დროს სრული უვიცი იყოს მისი ვითარების — ეს ჩვენ თითქოს ჩვეულებრივ მოვლენად მიგვაჩნია! თვითეული ქართველი მარტო კერძო ბედნიერების ძებნაშია, ამისა-თვის შრომობს და ზრუნავს დღე-ნიადაგ, და ამ კდეს იგი ვერ გაშორებია: ვერ მისულა იმ ზენა საფეხურამდე, რომ თავისი კერძო ცხოვრება და მიზანი საზოგა-დოების საერთო მიზანს შეუფარდოს, ერის საზოგადო სიხარულში პიონერდეს პირად სიხარულს და ერისავე საზოგადო მწუხარება მიაჩნდეს საკუთარ ტანჯვალ-ყველაფერი ეს ჩვენთვის მხოლოდ შორით სატრ-ტიალო ოცნებად გამხდარა, და სინამდვილე კი სულ სხვა სურათს გვაძლევს, ფრიად შემაღლონებელს და გულ-გასაგმირს... არა გვიცნია, რომ სადმე დედამიწის ზურგზე მოიძებნებოდეს სხვა ერი ჩვენისთანა მარჯვე და ყოველმხრივად ხელშეწყობილი თავის თავის დავიწ-

კედაში! სხვა არავინ გვეგულება ჩვენზედ უფრო ქედ-
დადრეკილი, გარემოების უზომოდ მორჩილი და მსწრაფლ
ცვალებადი—ამაში ბადალი არა გვყავს!...* თითქოს,
სხვა რამეში ჩვენ დამჩაგვრელს და გაძუნწებულს ბუ-
ნებას, მარტო საამისოდ მოუცია ჩვენთვის სიუხვე და
სიჯიუტე!...

ჩვენ თუ კი ვერ ვიცნობთ ჩვენ თავს, რა გასა-
კვირალია, ორმ უცხოეთს და უცხოეთელ აღამიანს
სრულიადაც არ ვახსოვდეთ! და ასეც არის. მთელი
ევროპა რომ შემოიაროს ქართველმა, ვერავის წატყ-
დება ისეთს, რომ საქართველოს და ქართველს იცნობ-
დეს ცოტაოლნადაც არის მაინც. ძველ საქართველოს
თუ იცნობენ ზოგიერთები და მასაც მხოლოდ ორიოდუ
სამიოდე სიტყვით, თორემ თანამედროვესი ხომ არსე-
ბობაც კი არ იციან. აქანიქ, თითოუოროლა ღრმად
განსწავლილი მეცნიერი თუ გვიცნობს—ეს ხომ ჩვეუ-
ლებრივ მოვლენად არ არის მისათვალი. განათლებული
ევროპიელის საზოგადო ცნობიდან კი სავსებით აღმო-
ხოცილი ვართ. ეს კი ჩვენთვის მეტად დასანანებელი
უნდა იყოს! მეცნიერებას თავი მოაქვს და არაფრის
დატოვება არა სურს შეუსწავლელად და გამოუკვლე-
ველად. რა ძნელ მისადგომ კუნძულებს არ მიუწია
თავისის მკვლევარის თვალით, და ჩვენ კი არაფერი გვე-
შველა! მართალია, ჩვენი ქვეყნის შესახებ ბევრი რამე

*) რასაკვირველია, ჩვენ აქ მხოლედ იმსაირ ერების ვგუ-
ლისხმობი, რომელთაც ჩვენსაფიო ჭირიათ და აქვთ ისტო-
რიული წარსული, რომელთაც ენა, მწერლება და სხვა წარსული
ცხოვრების საგანძიურიც მოქმედებათ და საერთო პატიორიაბის
ცხოვრებაშიდაც ასე თუ ისე წილ-დასადები არან.

იწერება, მაგრამ მარტო ისეთი ერთი რომ გვიცნობდეს, რომლის ცნობას თუ უცნობელობას არავითარი მსოფლიო ფასი არა აქვს, და რომლის ენასაც და მეცნიერებას მეთაურობა არ მიუძღვის განათლებულ კაცობრიობაში—ეს ან კი რა სასარგებლოა ჩვენთვის? ევროპიულ ენებზე კი ამ უამაღ არაფერი საგულისხმო აღარ იწერება ჩვენ შესახებ. თითო-ოროლა მოგზაური თუ რამოდენიმე სტრიქონს გვიძღვნის ხოლმე—ეს არის და ეს!... ისევ ყველა, ვისაც კი ჩვენი მხრის შესახებ რაიმე ცნობების შეტყობა სურს, ძველად გამოცემულ თხზულებებით სარგებლობს და ამით იკმაყოფილებს ცნობის-მოყვარეობას. ამნაირი თხზულებანი კი თუმცა საკმაოდ მოიძებნება ფრანგულსა, ინგლისურსა და გერმანულ ენებზე, მაგრამ მათი მოპოება არა თუ საყიდელად, წიგნთ-საცავებშიდაც კი საძნელო არის. რასაკვირველია; ზოგი მათში მეტად საყურადღებოა და მართლაც მეცნიერულად დაწერილი—ასე-თია უმცირესი ნაწილი,—უმრავლესობა კი სუსტი კალმის ნაწარმოებს წარმოადგენს და მხოლოდ ნახეს-ხებსა და უხერხულად გამოკრებილ მასალაზედ არის აგებული. მაგრამ, ასეა თუ ისე, თანამედროვენი მაინც ამ მასალით სარგებლობენ და ერთის შეცდომა მეორის გასამეორებლად ხდება. ამნაირად, ერთხელვე ფეხ-მოდგმული შეცდომა ყოველ სამეცნიერო წიგნში ანუ გამოკვლევაში ასევე ნაკლოვანად შედის, თუ კი სადმე თითო-ოროლა სტრიქონი დაუთმეს ჩვენი ქვეყნისა და ხალხის აღწერილობას. მერე ვინ არის ამაში დამნაშავე? რასაკვირველია პირველი ბრალი მას ედება, ვინაც სინიდისიერად არ იკვლევს საგანს, მის ყოველ მხრივად გაცნობას არ ცდილა ჭკვისაც თავის აჩქარებული კალმით

ერთხელვე რაიმე შემცდარი აზრი დაუსტამბავს. მეორე ბრალი კი, თუმცა უფრო ნაკლები, მას ედება, ვინც ერთხელვე დაწერილს უტყუარ სინამდვილედ გულისხმობს და დამწერს ყველაფერში ერწმუნება. და მესამე ბრალი კი, ყველაზედ უფრო დიდი და შეუწყნარებელი, თვით ჩვენვე გვედება, რადგანაც არ ვცდილვართ გაგვეგო ის, რაც ჩვენზედ თქმულა უცხოეთში და არც ჯეროვანი პასუხი გაგვიცია! ასე განვლო ხანგრძლივმა დრომ და, თითქოს რომელიმე მოსპობილ ერზე იყოს ბაასიო—ჩვენი საკუთარი ხმა არსად არ გასულა, არსად არ დაძრულა და არც იძრის, ვითომ და ცოცხლებში არც კი ვერიოთ! რასაკვირველია, ჩვენ ბევრ რასმე დავსდებთ ბრალს: თუ გარემოებას, თუ ევროპიულ ენების უცოდინარობას. მაგრამ, რაც უნდა თავი ვიმართლოთ, ისევ ჩვენი დაუდევნელობაა ამის მიზეზიც. სხვა ხალხი იმ დროს კი არ უცდის: აბა, როდის მოვა ვინმე და გამოიკვლევს ჩვენ კუთხესო. იგი თვითონ კისრულობს ამ შრომას და აქვეყნებს მას ევროპის მეცნიერთა საყურადღებოდ. ჩვენ არა თუ ევროპიელთათვის არაფერს ვსტამბავთ, არამედ აქაც; კარზედ რომ მოგვადგეს ვინმე, ჩვეულებრივ შეყუულად ვართ და არც მივეკარებით ამგვარპირთ, რომდავაკვალიანოთ იგინი ჩვენი ქვეყნის დათვალიერებაში და საკმაოდ გავაცნოთ მათ ჩვენი მხარე. თუ თვითონ მოვიდა ჩვენს ოთახში—მართალია, გულზე ხელს არა ვჰქრავთ, მაგრამ ჩვენით კი, ძალიან ახლოსაც რომ იყოს იგი, არავითარ ყურადღებას არ ვაპყრობთ. ამიტომაც ჩვენში ჩამოსული უცხოელი მკვლევარი სულ სხვა, ჩვენთვის გარეშე პირებს, უვარდება ხელში. ესენი კი სარგებლობენ ამგვარი შემთხვევით, ხშირად თავის გუ-

ლის წყრომას, ჩვენზედ უსაფუძვლოდ მოხლვავებულს; საზღვარს ვერ დაუდებენ და ბევრს უსამართლო რამე-საც წარმოსთქვამენ ხოლმე ჩვენ შესახებ. (ამის მაგა-ლითებს ჩვენ მერე დავინახავთ, როდესაც დაწვრილე-ბით მოვიხსენებთ ზოგიერთ ცნობებს, რომელიც უცხო ენებზე გამოსულა ჩვენ შესახებ). რომ კიდევაც არ სურდესთ განზრახ რაიმეს გადასხვაფერება, შეცდომებს მაინც ვერ აიშორებენ, რაღანაც ან კი საიდგან უნდა იცნობდნენ ჩვენ ვითარებას! მარტო ის ხოშ არ არის საკმარისი, რომ ჩვენში ნამყოფი იყონ! განა ცოტა არის, რომ საჭართველოში იბადება; აქვე ბერდება, მაგრამ სრულებით კი არ იცნობს ამ კუთხეს? მარტო წვრილმან მხარეს რომ იცნობდეს კაცი ჩვენი ცხოვრე-ბისას — ამას ხომ საფუძვლიან ცნობას. ვერ ვეტყვით!...

არა და, რა ჰქნას უცხოელმა ჩვენში ჩამოსელისას! ვის მიმართოს, რომ გაიაღვილოს ჩვენი ქვეყნის დათ-ვალიერება და შესწავლა? ჩვენ ხშირად გვაუწყებენ ხოლმე გაზეთები — ესა და ეს მეცნიერი მოღის ჩვენში სამოგზაუროდო, მაგრამ არასოდეს არ გვსმენია: ქარ-თველიბა როგორ დახვედრია, და ან რანაირად დახმა-რებია ამ მკვლევარს თავის სამეცნიერო მიზნის მისაღ-წევად. შემთხვევით თუ შეხვდება ვინმე მეცნიერი ჩვე-ნების კრებულს, მაშინაც მხოლოდ ლხინითა და სუფრის სიუხვით — მხოლოდ კუჭის დღესასწაულობით, მივგე-ბებივართ, თითქოს და ამით დიდად თავ-მოსაწონ რა-მეს ჩავდიოდეთ!... დანარჩენი რამე კი: ჩვენი სულიე-რი ავლადიდება, ჩვენი ქვეყნის ავარგი და სხვა არსებითი თვისებები, — რაიც ყოველ ერს აძლევს თავის საკუთარს სახეს — ყოველივე ეს იღუმალებით მოცული რჩება. ამიტომაც, მთლად რომ გადავავლოთ თვალი მას,

რაც კი ჩვენ შესახებ დაწერილა ევროპაში — ყველა-
ფერს ნახავს კაცი ჩვენ შესახებ და არა ამ მთავარ
მხარეს ჩვენის ცხოვრებისას. ამით წყვდიადს წყვდია-
დივე ემატება და დასასრულ, ჩვენი ცნობა ევროპიელე-
ბის მიერ, ისევ უცნობელობას უახლოვდება.

სურვილი კი ჩვენი გაცნობის და შესწავლის ძა-
ლიან ბევრს ჰქონია და ბევრსაც აქვს. ძალიან აღვი-
ლადაც იბადება ეს სურვილი. სულ მცირეოდენ ცნო-
ბებსაც რომ მოჰკრას შეგნებულმა ევროპიელმა ყური
ჩვენ შესახებ, შესწრაფლად ელვიძება ცნობის-მოყვარე-
ბა: იგი მაშინათვე მიმართავს საენციულოპედიო თხზუ-
ლებებს, ჯერ ამით გაირკვევს რამოდენიმე ცნობას და
მერე ცალკე თხზულებების ძებნასაც შეუდეგება ამავე
საგნის შესახებ. ამნაირად ირჯება იგი ყოველი სხვა
ახალი კითხვის შესახებაც, — ეს ძირითადი ჩვეულებაა
განვითარებული ევროპიელის, ეს მისი ცოცხალი გო-
ნების უუსაჭიროესი მოთხოვნილებაა. ვისაც უნდა ჩა-
მოუგდოთ ლაპარაკი ჩვენ ვინაობაზე, რომ კიდევაც
არავითარი ცნობა ჰქონდეს ჩვენი წარსულისა და აწ-
მყოის, მაინც მეტისმეტი ყურადღებითა და თანაგრძნო-
ბით ისმენენ ჩვენს ამბავს. ბაასის დასასრულს დაგევით-
ხებათ: „აბა რომელ წიგნს მირჩევთ ისეთს; რომ მასში
მოთავსებული იყოს დახასიათება საქართველოის, მისი
წარსულიცა და აწმყოც. მართალია, ზოგიერთი წიგ-
ნები მეც გამიგონია, მაგრამ სრული და უტყუარი რომ
იქნეს — ასეთი რამე ამომირჩიეთ“ — ღ... რა უნდა გასცეს
ადამიანმა ამის საპასუხოდ? ვისაც პირადად არ გამო-
უცდია, იგი ვერ წარმოიდგენს, თუ რამდენად გულის
დამწყვეტია ამისთანა კითხვაზე მხრების აჩეჩით უარის
თქმა!... მრავალ წიგნებში ერთსაც ვერ შეხვდება კაცი

იმნაირად შედგენილს; რომ საამისოდ გამოადგეს მკითხველს, ვერც ფრანგულ თხზულებებში, ვერც ინგლისურში და ვერც გერმანულში, თუმცა მათი რიცხვი ორასს აღემატება. ამნაირად რჩება ადამიანი ისევ იმ მცირე ცნობების ამარად, რომელიც სხვა-და-სხვა ენციკლოპედიურ თხზულებებშია მოკლედ მოთავსებული და ბევრის შეცდომებითაც აღსავსე. (ამის დამამტკიცებელ მაგალითებსაც მერე განვუზიარებთ მკითხველს).

ეს ასეა და ასეც იქნება, სანამ თვით ჩვენვე არ ვეცდებით საკუთარის შრომითა და ზრუნვით ამ მიერწყებული მოვალეობის გაძლოლას. მით უფრო საჭიროდ უნდა მიგვაჩნდეს ეს, რადგანაც სულ მციროდენი რამ გამოქვეყნებული ცნობაც კი საკმარისია ხშირად, რომ ამან ევროპიელს სურვილი აღუძრას ჩვენი ქვეყნის შესწავლისა და გამოკვლევის. ამის მაგალითები ძალიან ბევრია. ყველაზედ უფრო განსაკვიფრებელი ჩვენი დაუვიწყარი ბროსეს მაგალითია: ბ-ნს მარი ბროსეს, ე. სენ-მარტენის თხზულების ზოგიერთმა აღგილებმა, და ერთმა მოკლე მიმოხილვამ გერმანულ ენაზე გამოსული თხზულებისამ—აღუძრეს ქართული ენის შესწავლის სურვილი. რიგიანი ანბანიც კი არა ჰქონია, ქართულ დაბადებაში და ბერძნულში საკუთარი სახელების პირველი ასოს ერთმანერთთან

*) თრი წიგნი უპევ იყო ამ დროს ქართული ანბანიანი.

1) წმ. პოლაგასდის მიერ დასტამბული ქართული ანბანი დოცებანით 1629 წლ. და 2) ფრ. მარ. მაკიოს ქართული დრამატიკა და სიტუეარი, 1643 წ., თრივე რომში დასტამბული, მაგრამ ბროსეს ამით ვერ უსარგებლება.

შედარებით გაუტკვევია მას ჩვენი ენის პირველი ცნობანი. ამნაირ რთულ მუშაობას არ დაერიდა იგი და მართლაც მიაღწია თავის მიზანს, რითაც დაუფასებელი ლვაწლი დასდო ჩვენ ისტორიასა და არქეოლოგიის კვლევაძიებას!

თუმცა ნაკლებად გვიცნობს ევროპიელი, მაგრამ ყველა, საქართველოზე ბაასის ღროს რაღაც თანა-გრძნობით იმსჭვალება ჩვენდამი. ეს გრძნობა ცხადად გასჭვირს მის სიტყვასა და ყურადღებაში. ერთის სიტყვით, თამამად შეგვიძლია აღვიაროთ, არ ვეკუთვნით იმ ერებს, რომელთა ხსენებაზედაც რაღაც უსიამო გრძნობა ებადება ევროპიელს და ვისდამიც რაღაც უნდობლობის გრძნობით იმსჭვალება თითქმის ყველა. არიან საყოველთაოდ ამნაირად ცნობილი ერნი — საბედნიეროდ, ჩვენ მათ რიცხვში არა გვაქვს ადგილი! მით უფრო დასაშურებელია ვისარგებლოთ ამით და არ გავაქარწყლოთ ეს გრძნობა ჩვენის მიჯინებულის დაუდევნელობითა და ხმის-გამოუღებლობით...

ნებას ვითხოვთ მკითხველისაგან, მოვიხსენოთ აქ ერთი პატივცემული პროფესორის ზოგიერთი სიტყვები, ნალაპარაკევი ამ სტრიქონების დამწერთან. (ეს პროფესორი არის „კოლლეჯ დე ფრანს“-ში და ცნობილ ისტორიკოსად ითვლება აზიის შესახებ. მისი თხზულება: „აზიის ისტორიის შესავალი“ თვალსაჩინო ნაწარმოებად არის აღიარებული მეცნიერებაში). — „როგორც მოსპეციალე, აზიის ისტორიის ვმუშაობ, და გულახლილად უნდა გითხრათ, რომ თქვენი მხარე ერთ-ერთ საიშვიათო და შეენიერ მხარედ ჩივარდება. დიადია თქვენი წარსული, თქვენი ისტორიული ლვაწლი... სამწუხაროდ, თვით საქართველოში არ შემხვედრია ყოფ-

ნა. აზის მრავალი კუთხე დამივლია, თვით დაღესტ-ნამდე ავსულვარ, მაგრამ საქართველო კი უნახავი დამრჩა, აქარის სამხრეთ-დასავლ. ნაწილსა და ლაზისტანს გარდა. მაგრამ, მერწმუნეთ, საქმაოდ ვიცნობ ამ ძვირფასს კუთხეს. სულითა და გულით მსურველი ვარ თქვენი ბედ-ნიერების... დიახ, დიადია თქვენი წარსული... ცოდვა არის, ეხლა ისე მივიწყებული იყოთ, როგორც თქვენა ხართ! დიდი შეცდომაა ევროპის ამნაირი ყურადღების მიუქცევლობა! დიდი შეცდომაა ევროპის კულტურისაც, რომელიც ხშირად ვითომ დახმარებას უწევს რომელი-მე ერს, მაგრამ მის განსაკუთრებულ თვისებებს კი სპობს და თვითარსს სახეს უკარგავს. იმის დანაცვლად, რომ შეარჩინოს იგი და ხელიც შეუწყოს მის დაცვასა და შენახვას!.. ეს არ არის კულტურის, წინ-მცვლელობის დანიშნულება!.. ასეთი უზნეური რამ კაცობრიობის გონიერ ნაწილს არ შეშვენის, ეს მის სიტლანქეს მოწმობს და არა დაწინაურებას!.. სულითა და გულით მნატვრელი ვარ თქვენი ბედნიერების და გთხოვთ, თუ კი რამეში გამოგადგებათ ჩემი დახმარება—სასამსახუროდ მიიღოთ ჩემი თავი! რა ვუყოთ, რომ ხნიერი ვარ, ჭალარა კაცს მუშაობას არ დაუშლის!... დიდის სია-მოვნებით შევუდგებოდი ქართული ენის შესწავლასაც, რომ ამით უფრო გამოგდომოდით, მაგრამ, ეს ორი თვეა, რაც ალბანურ ენის შევუდექი. მათ ზოგიერთ რამეში დახმარება მოხვევს, და მათი ენის უცოდინარი ხომ იმდენს ვერას გამოვად-გებოდი! თქვენ რომ შეგხვედროდით სამი თვის წინად, ეხლა ქართულის შესწავლა დაწყილი მექნებოდა... მა-ინც, რითაც და როგორც შემეძლება, თავს არ დავი-ზოგავ... თქვენც, მომუშავე გუნდმა ქართველობისამ,

უნდა მოგვაწოდოთ ყოველგვარი ცნობანი,—რაც მეტად სასარგებლო იქნება ოქვენთვისაც და მეცნიერებისთვისაც „... ამით გაათავა მოხუცმა ჭაბუკურის გატაცებით მოლაპარაკემ,—მე კი ვეხარბებოდი ასეთ ჭაბურას და მხოლოდ ოცნებაში დავეძებდი. მის მიერ დასახელებულ „მომუშავე გუნდს ქართველებისას“.

დასასრულ, რომ მეტად არ შევაწუხოთ მკითხველის ყურადღება, მოკლედ გავიმეორებთ უმთავრესა აზრს ამ წერილისას:

1) უნდა გავითვალისწინოთ, რაც რაშე შასალა მოიძებნება ეფრთხიულ ენებზე ჩვენ შესახებ. ვიგულისხმოთ, რაც საგულისხმოა, გავცეთ შასები მას, რაც შემცდარია, ზედ დაურიოთ, რაც აკლია, და ასე მიგაწვდოთ იქაურ შეითხველს;

2) უნდა შევიძუშვათ ქართული ენის შესასწავლად სახელმძღვანელოები: ქართულ-ივრანული, ქართულ-ინგლისური და ქართულ-გერმანული; ამნაირივე ლექსიკონები, თუ გრაფიკა, შოკლე შაინც;

3) უნდა გადამითარგმნოს ქართულად, რაც რამ საგულისხმოა სხვა ენებზე, და გადაითარგმნოს ეფრთხიულ ენებზე, რაც კი საუკრადებოთ რამ გვაბალია;

4) უნდა გიქონითთ ერთ-ერთი ჟურნალი ეპრობიულ ქაზე, შორად ცნობების მიმწვდომი.

სოფელი კურთა

ხელი და დოკუმენტები და მას მის მადაბეჭიდები (*).

ს. ქურთა არის გორის მაზრაში დიდი ლიახვის მარჯვენა ნაპირს, შვიდი ვერსის მანძილზე დაბა ცხინვალიდგან. სამხრეთით საზღვრავს მას და მის მამულებს მუმლის ხევი, რომელიც ზემო აჩაბეთს ჩამოუდის გვერდზედ; აღმოსავლეთით დიდი ლიახვი, ჩრდილოეთით ს. კეხვის, მიჯნა და დასავლეთით თირის მონასტრის მიჯნა. ქურთა თავის სახნავ-სათესით იქნება დაახლოებით ხუთი კვადრატი (ჩორსო) ვერსი, თითქმის თანასწორის სიგძისა და სიგანის. ქურთა სძევს დაცემულ ვაკე ადგილას, ლიახვიდგან გამოყვანილ რუს ორივე ნაპირას. სკხოვრობს 49 კომლი გლეხი და 7 კომლი თავადი მაჩაბელი. რუს სისწორივ მისდევს სამხედრო ოსეთის გზა. მდებარეობასა ჰყოფს ნარუალი, ყაიბულა

*) „გრებული“-ს რედაქცია უგულითადეს მადლობას უდევს ბ. ალექსანდრე დავითის ქან მაჩაბელი, „სოფელი ქურთა და იმის მიდაბეჭიდას“ აწერისა და აქმა შეკრებილ ზეპარკადშეცემების მოწოდებისათვის. სწორეთ ისე შეუდგენა, როგორც ჩვენი პროცენტუალური სატოგადოდ მოითხოვს.

ორ ნაწილად, მის აღმოსავლეთით ვაკე დაცუმულ აღგილსა, დასავლეთით კი ორ ტერრასიან ფერდობს. უმეტესი სახნავ-სათესი აღგილი ქურთელებისა ამ ფერდობებზეა. ეს ფერდობი იღრანტება სამ ალაგას ხევებითა. ყველაზე უდიდესი ხევი ბრმა ხევაა, რომელსაც სათავე უძევს ძარის კლეისთან. ეს სახნავი (უმჭტეს ნაწილს ღუდათი ჰქვიან) ახალი გატეხილი შამულია; თხუთმეტი წლის წინად სახერხი ხევი იქრებოდა, ახლა კი აქანქ შეხვდებით მარტო ჯირკვებს, ასე მოისპონ იქ ტყე-ები. მეტად ნაყოფიერი შავი მიწაა; თითქმის ნახევარ არშინის სისქეთ აძევს შავი მიწა. ვაკე აღგილი კი ლამისაგან შესდგება და ნაკლები სისუქნე აქვს, მშიერი ლაბია. ეს ადგილი წარმოადგენს უწინდელ ლიახვის ძირსა, მაგრამ ლიახვი აღმოსავლეთისკენ მისწოლია და ეს ადგილი დაუტოვებია.

ჰავა, მიუხედავად იმისა, რომ შედარებით ზღვის შდებარეობასთან მეტად შალლა სძევს და უმთავრესი კავკასიონის მთა-გრეხილი მუდმივი თოვლით თავს დაჰყურებს, მეტად ზომიერია. აქ ზამთარში სიცივე არ იცის; 15° სიცივე დიდი იშვიათია. ზაფხული გრილია, აქაური დიდი სიცხე ერთი თვეა: მკათათვის ნახევრიდგან მარიამბის თვის თხუთმეტამდე. სუფთა და გრილი ჰაერი ხელს უწყობს სალიანობას. ახლო-მახლოს არსად დამპალი ჭაობები და წყლები არ მოიპოვებიან. მარტო ერთ აღაგს ორი დღის ადგილია სკელი და გვალაზი. დიდი ქარები იშვიათი მხვდლენაა, მხოლოდ გამაცოცხლებელი ტილის ნიავი ზეკარა, რომელიც კავკასიონის გთებიდგან უბერავს და ზაფხულის ქვენაქარი ამოძრავებს. აქაურ ჰაერს და ბუნებას; მაგრამ ესენიც მუდმივ არ უბერავენ, ბევრჯერ კვირის-კვირობამდე

გასანიავებელი ხვავი ჰყურია კალოზე უქარობით. დასავ-
ლეთის მხრიდგან მოპქრის „იმერულა“, რომელსაც
სინოტი და ავდარი მოაქვს აქა. ეს ქარი ასე ხშირად
არა ჰქონდა, სანამ ტყეები გაიჩეხებოდა. ეხლა კი
ხშირად ჰქრის გაზაფხულზე და ნამეტნავად შემოდგო-
მით. აღმოსავლეთის მხრიდგან, რაკი მთა აფარია,
მყუდროა.

სოფელშია ერთი ქვითკირის ეკკლესია წმ. გიორ-
გის სახელზე აგებული და ერთიც ხის, დაქცეული მთა-
ვარანგელოზის ეკკლესია. აქვებ ოთხ-კუთხიანი ხუთ-
სართულიანი მაღალი კოშკი, ჯერ ისევ მთელია და
ურთხლის კოჭები აქვს გაყრილი. მცხოვრებლების უმე-
ტესობა ნაოსრები არიან, რომელნიც დიდი ხანი არ
არის, რაც მოსულან, მესამე თაობანი არიან: კაუაშვი-
ლები, ჯოშვილები, ცხოვრებაშვილები; თითორაშვი-
ლი, ელბაქიძე, ყოჩიშვილები დი სხვა. არიან რაჭიდ-
გან გადმოსახლებულებიც: ხაჭაპურიძები და მაისურა-
ძეები, ჯოხაძე. მხოლოდ ადრინდელ დროიდგანვე ბასი-
შვილები არიან მკვიდრი მცხოვრებნი; ესენი და მაჩაბ-
ლები ერთ დროს არიან მოსულნი. ერთმანერთთან
განწყობით ცხოვრობენ. მახვილი გონების ხალხია. მის-
დევენ ხვნა-თესვას, მებაღეობას, მევენახობას და მე-
ბოსტნეობას—თითქმის სულ თავიანთ საჭიროების გუ-
ლისთვის. თუმცა რთვილი ბევრჯერ ისრიმს მოასწრებს
ხოლმე და ვენახს დაუმწიფებელს სტოვებს, მაინც ბე-
ჯითად მისდევენ მევენახეობას. ეხლა ძალიან ამრავლე-
ბენ ვენახებს. უვენახო არავინ არის. ხილის ბაღებში
მთელი სოფელი ჩამალულია, მაგრამ ის ძველები და-
ბერდნენ და ახალი ხილის გაშენებას უფრო ბეჯითად
ეკიდება ხალხი. ასე მსწრაფლ არსად არ იზრდება ხილი;

არავითთანი გაპატიება არ უნდა ხილისათვის გამზადებულ აღგილს. იმისთანა დიდი ვაშლისა და კაკლის ხეები იზრდება, რომ თითო ძირზე ურემი, ურემ ნახევარი ნაყოფი ჩამოდის. მაინც აქაური უმთავრესი ნაწარმოები ხილია. უმეტესობა აქაური ხილისა რუსეთში მიდის. ხილის ვაჭრობა მეტი წილი პატრონების ხელშია, სხვისგანაც ყიდულობენ და ჰყიდიან. აქაური აღგილობრივი ვაშლი განთქმულია: აბილაური, თურაშაული, კიტრა, თეთრი სირმა და სხვა, დიდხანს ინახება. შავი მსხალიც საზამთროა; საზაფხულო ხილი: გულაბი, საენკენიო, სახელო ქლიავი, ჭანჭური და სხვა მრავალია. თუთის ხეებიც ბევრი იყო, მაგრამ რაյი ჭიის მოყვანას თავი გაანებეს, ისიც თან-და-თან მოისპო. საქონელი უსაძროვრობის გამო, მცირეა. ამ ცოტა ხანში ფუტკრის მოშენებას მიჰყვეს ხელი. კაცები დიდი გამრჯვლები არიან, ქალები მინდორში არა მუშაობენ, გარდა უპატრიონებისა. მათი საქმე სახლშია, მაგრამ არც აქ უარგან, უსუფთაოდ აქვთ შენიანული სახლუკარი. ტანისამოსის დაკერება არ იციან; რაკი ერთს ჩაიცმენ, ეგ არის, სულ ფარატინებათ ჩამოცვივათ. კაცები იცმენ სხვილი შალის ჩოხებს, ერედვული და ოსური შალისას, მეტი წილი თეთრისა. ახალუხი, განიერი შარვალი, ჩითის პერანგი წინდა-პაიჭი-ჭილამანი შეადგენს მათ ჩაცმა-ტახურებს.

სახლები მუხისა აქვთ; შესდგება დარბაზიდგან, თავის გვირგვინით და დერეფან-ბოსლიდგან და მარნი-დგან. პურს გოდრებში და ბელლებში ინახვენ.

დაღონებული ხალხია. ღილიც და პატარაც თვის გაჭირვებას გრძნობს და ნაღვლობს; მოხუცებულები უფრო მხიარულები არიან, თუნდ დიდ ჭირ-გამოვლი-

ლებიც იყვნენ. მარტო ყველიერში იციან ბავშვებმა თამაში. სხვა დროს არა სცალიანთ, საზოგადოთ თითქმ ეთაკილებათ თამაშობა. მათ გასართობ თამაშს შეადგენს წყვილ-პანტობია, ჩალიჩი და ზედადგრობა, ძვირათ ბურთის და რიკის თამაში.

ქორწილი სამ დღეს იციან, ძალიანაც თვრებიან; არ იღლებიან ამ სამ დღეს არც სმითა და არც სიმღერით; სიკვდილზე დიდი ხარჯი იციან, უვალოდ არავინ გადარჩება. კვირა-უქმეს წმინდათ ვერ ინახვენ, მხოლოდ პარასკეობით გუთანს არ შეაბმენ, მიწას არ სძვრენ, ქარ-სეტყვის უქმეაო. დიდ დღესასწაულებს გულ-გრილად ეგებებიან. ეკვლესიაში სიარული არ უყვარსთ, მხოლოდ საკვირაძლოებს რომ მიიტანენ საყდარში, მაშინ დასალოცათ დაპატიუებენ ერთმანერთს. ქურდობა სძულთ.

შესანიშნავია უწინდელი ნარუალი ყაიბულა, რომელიც უხსოვარ-დროში ყოფილა ამ რუს შემწეობით გაყვანილი წყალი დიდი ლიახვიდგან, კეხვის თავში. რუს დასრულებამდის დღესაც შვენივრად ეტყობა რუს კალაპოტი. იგი გაივლიდა ს. ქეხვს, ქურთას და აჩაბეთს სერ-სერ, მერმე კი თამარაშენ-დგვრისის მინდობს, გადუხვევდა ტბეთისკენ. და აქედგან ირწყოდა წუნარის მიღამო, (ნაწისქვილარი ეხლაც ეტყობა, აქედან ფრონეში ჩადიოდა) ჩაჰყავდათ ყვავის საყდარასთან, (ნასოფლარი) და საღთვისის, ტახტიძირისა და ლირბის მინდორი ირწყოდა. ეხლაც კი ეს უშველებელი ალაგი ურწყავია! ეხლანდეს რუს, რომელიც ქურთას ჩამოდის, ათი ნაბიჯით ქვეით აქვს სათავე ყაიბულადგან. ლიახვმა დაბლა დაიწია; უწინ ამ ყაიბულაზე იყო გაშენებული სოფლები, რომლებიც მწერივად მისდევ-

დნენ მის პირებს და მალლობ აღგილებზე იდგნენ, ეხლაც კარგად ეტყობა ნასახლარები, ნაოხარი-ქვევრები და სხვა. მაშინდელი ბალები ჯერაც არიან, მაგალითად: ბასიშვილები მდგარან ბალებში; ისინი აყრილან შემდეგი უბედურის შემთხვევისა გამო: შობა დღე იყო, შვიდი ქმა ბასიშვილი თავიანთ ცოლ-შვილით გულიანათ შეექცეოდნენ სამხარს, ვახშამიც ზედ მოაბეს, რასაკვირველია ღვინოც ბევრი დალიეს, სოჭვეს, ამაღამ მაინც რიგიანად მოვისვენოთო, მგონი არავინ გატყვრეს ამ სიცივეშიო. მაგრამ, როცა მაგრად დაიძინეს, უცბად დაესხნენ ლეკები, შვიდ ქმას ყელები დასკრეს, და ცოლ-შვილი ტყვედ წაასხეს. ერთი კვამლი და დარჩენილიყო, აიყარა და ძირს ჩამოვიდა. უწინ მათი მეზობლები იყვნენ: (ეხლა ალარა სცხოვრობენ იქა) ხაბარლები, ნეკაშვილები, გაგნიძეები, კერესელიდე, ყანაძე და სხვები, ესენი მწერივად იყვნენ დასახლებულნი ყაიბულაზე. ეხლანდელი მცხოვრებინი თითქმის სამოთხ წელიწადში არიან ერთად დასახლებული. ხაჭაპურიდე გადმოვარდნილა რაჭიდან შემდეგი შემთხვევისა გამო: ბატონი მისულა ღვინის წამოსალებად, უჩვენებიათ ერთი ქვევრი, არ მოსწონებია, მეორე—არც ისა, მესამე—არც ისა; მერე აუხდიათ ოც კოკიანი ქვევრი, და, რომ ჩაუხედნია შიგ მათ ბატონს, აუწევიათ, თავდაყირა ჩაუგდიათ შიგა, დაუხურავთ ზევიდგან, და გამოქცეულან და ყანაძის მამულზე დასახლებულან. ორნი მმანი ყოფილან, ეხლა მესამე თაობა იცვლება და ექვსი კომლია.

საზოგადოთ ცხინვალის ხეობაში ნახევარზე მეტი ახალი მოსული ხალხია: ან ნაოსრები არიან, ან რაჭველები. ამიტომ ძველი ამბავი ნაკლებად იციან. მეფე-

ებზე არც კი რამე ისმის, მხოლოდ „აი უწინ რომ
ნეფობა ყოფილაო“—ასე ამბობენ ხოლმე. ლიახვის
მარცხენა ნაპირს მცხოვრები უფრო დიდი ხნის მო-
სახლეები არიან. აქ ისევ იმ ძველ ხასიათ-ჩვეულებიანს
ხალხს ნახავთ.

ქურთაში შემდეგი სახელები ჰქვიანთ მიწებს: ღუ-
დათი, ნახევარი ქურთის მამულია, დასავლეთის მხრივ.
იფნიანი, ნასისხლი მიწა, გოგილის მიწა, გალავანი.
ციხე-გალავანი ყოფილა, ნანგრევები მოსჩანს; სათხე,
ლეკიჯვარი, აქ მაღლობ ადგილს ორი მუხა დგას, ამა-
ზე დიდი ხის ჯვარი აყუდია, რომელიც მიუყუდებია
მაისურიად ლეკია, ლეკების ტყვეობიდგან განთავისუფ-
ლების შემდეგ.

ქურთის გარშემო შესანიშნავი იდგილები: თირის
მონასტერი, აგებულია, როგორც ამბობენ, თამარ მე-
ფის დროს. გრძელია; საბძლურად დახურული საგან-
გებო ლომიტინით, მთლად თლილი ქვისა, მრავალის
წარწერებით და მშენიერის ჩუქურთმებით; მთელია,
წინ უდგია გუმბათიანი, ორ-ძგიდე სამრეკლო. კლდე-
ში საბეროებია. სოფელი თირი შესანიშნავია მრავალის
ხილითა და საუცხოო მდებარეობით, სახაზინა. სცხოვ-
რებენ მარტო ზოზიაშვილები.

აბო წმინდა, სამხრეთ-დასავლეთის მხრივ ქურთიდ-
გან, ნასოფლარია, წმინდა აბოს დაქცეული საყვარია;
სცხოვრობდნენ მელაძეები (ეხლა ძლევიჯვარში დგანან)
ხაბარლები, და სხვანი. ზემო აჩაბეთი, შესანიშნავია
ძველი ციხე-გალავნით; მის გარშემო მიწებში მრავალ
ისრების პირებს ჰპოულობდნენ ხოლმე. ს. კეხვი, სულ
ქართველები დგანან, ახალი ჩამოსული არავინ არის;
სახაზინოა, შესანიშნავია ხეხილითა და ძველი ციხე-

სიმაგრეებით, აქ არის კეხვის ციხე, შიგ კეხვის ყელში აშენებული მთაზე; ხალხის სიტყვით აუშენებია გორგა მეფეს (ალბათ ვახტანგ-გორგასლანს), დაუყენებია თოფ-ჩად ბლიაძე და ერთიც კახნიაშვილი. (რაკი კახნიაშვილი და ბლიაძე თოფჩად დააყენეს, უთხრეს, თუ გინ-ტათ ბატონისგან გაგანთავისუფლებთო, შაგრამ არ ინ-ღომეს, ბატონი გვირჩევნიაო). ამ ციხეს კარგა ღრმა ხევი, კეხურა ჩამოუდის; ამ ხეობაში შესანიშნავია სა-ხიზნი ადგილები. აგებულია ტყეში დედა-ლვთის ექ-კლესია; მის გარშემო ნასოფლარია, დიდი ქვითკირის გალავნის ნანგრევები მოსჩანს; მის პირდაპირ გალმა ნანგრევია, საბეროს ეძახიან. ამ ტყეში სახნავ მიწების სამზღვარ სირონები ეტყობა. უწინ მთელი კეხვისა და თირის მთა საძოვარი ყოფილა, ჩრდილი მხოლოდ ერთ ალაგის იყოო; სადაც პატარძლის რცხილას ეძახიან, იქ სწველიდნენ საქონელს პატარძლებიო. ეხლა ის რცხილა ალარ არის, მის ბაღლად სხვა ამოსულა. კიხ-ვის ციხის ჩრდილოეთ მხარეს არის პატარა ეკკლესია, დედა-ლვთისის ნიში; იქ მუხაზე მრავალი საქონლის რკალებია ჩამოკიდული. მცხოვრებთ რწმუნება აქვსთ, ძროხას ან მაწოვარ ქალს რომ რძე გაუშრება, უნდა რკალი შეიძიას, ილოცოს იქა, და რძე მოუვაო. ლოც-ვის შემდეგ რკალები იქა რჩება.

ციხის სამხრეთ-დასავლეთის მხარეს კიდევ ერთი ნანგრევი ეკკლესია. მისი დღეობა აღდგომის მოდის; შვენიერ მაღალ აღგილას არის აშენებული, აყრილ ტყეში, და ძირს ღრმად კეხურა მიშეუის. საუცხოო წყალ-ვარდნილია კეხურაზე. საყდარს უკან სახელოვანი თავის გემრიელი წყლით „ასმათას წყაროა“, უფრო ხევი. შიგ კეხვშია ეკკლესია და კოშკი; კოშკს ძირი

აქვს გამოთხრილი, ამბობენ ლიახვს უდენია ძირში და გამოუთხრიაო. შესანიშნავია იქცე თავის სიღიადით კეხვის კაკალი, შეუა ალაგას დერო თორმეტი არშინის სისხოა ირგვლივ, ძირს და ზევით მოქმეტებული. ორი უზარმაზარი ტოტი ამაყად ჰაერშია გატყორცნილი; ერთი, (მესამე) მოტექილა. (აქნობამდის ამ კაკალზე ბალი ხარობდა, ჰკრეფდენ ხოლმე, მერე კი მოსკრეს: ხეზე ხე არ ვარგაო). დიდი ციხესა ამ ხეობაშივე, ქემერტისა, კიდევ არის ქურთის გასწვრივ გალავანი ლიახვის პირზე. მტერი რომ შემოვიდოდა ცხინვალის მხრიდან, აშინ ცხინვალიდგან საყვირს (ბუკა) დააყვირებდენ, ან გძელი თოფი ყოფილა ციხის, იმას გაისროდნენ; მიაწვდიდა ხმას ზემო აჩაბეთსა, მერე იქ გაისროდნენ თოფსა, იქიდან გაღმა ლიახვის პირს გაიგონებდნენ; მერე იქ, იქიდგან კეხვის ციხიდგან გაისროდნენ და მერე ქემერტიდგან — ეს ნიშანი იყო მტრის შემოსევისა, მთელი ხეობა დახიზნავდა ხიზანს და საომრად შეიკრიბებოდა ერთად.

ქვეწარმავალი, მფრინველი, ოფხფეხი, ცხოველი, მცენარე და სხვა თავისებური არა იცის რა, რაც სხვა კუთხეში მოიპოვბა, აქაც ის არის ირმისა და მშვლის გარდა; ამ ოცდა ზოის წლის წინად კი ესეც ყოფილა.

უბა-თეოტი გეორგელი. *) მარტინი
მარტინი კართლში გაამდეონ და თავისი ქალი
მარტინის ეროვნული გვარი.

ისე და გოგია მაჩაბელი დააბეჭდა ბარძიმ მაჩა-
ბელმა მეფესთან, (მგონი ერეკლესთან) რომ ესენი უპი-
რებენ თავიანთი ქალი იმერეთის მეფის შვილს მიათ-
ხოვონ, მერმე ქართლში გაამდეონ და თავისი ქალი
გაადედოფლონ. ამაზე ჩამოართვეს ყმა და მამული
ისეს და გოგის, გამოგზავნეს ამილახვარი მდივანი,
რომ ხალხი დაეფიცებინა ბატონის ორგულობაზე, რომ
სამსახური აღარ გაეწიათ. მოვიდა ამილახვარი ხეითში,
არავინ დახვდგ. ავიდა ძარწემს, ვერც იქ იპოვა კაცი.
მოვიდა სვერსა და ეს ერთი ყბა-თეთრი მეტრეველი
იპოვა; უთხრა: უნდა ჯვარზედ და სახარებაზე დაიფი-
ცო, რომ მაჩაბლებს ყმა და მამული. ჩამოერთვა და
მეფის ერთგული უნდა იყოო. ყბა-თეთრმა მეტრეველმა
აიღო ხელი და სთქვა: „მაგ ჯვარის და სახარების მაღ-
ლმა ამომწყვიტოს, თუ მე მაჩაბელს ორგულობა გაუუ-
წიო როდისმეო“.

*) მამა აქთ იმ გიორგი მეტრეველისა, რომელიც ქეშერ-
ტელურის ედნად გაუკავნეს, რესის ჭარი რომ ქეშერ შე-
მოვიდა.

ამილახორს გაუკვირდა ისეთი საქციელი, ბევრი შესთათხა, მაგრამ არ იქნა. მერე გაატიტვლებინა; წაუსვა თაფლი და მზეზე მიაკვრევინა ხეხედ. ის ეუბნებოდა, გინდა მამკალით, არ დავიფიცავო. რომ შეწუხდა ძალიან, უთხრა: „ამიშვით, უნდა დავიფიცოო“. აუშვეს, აიღო ხელი და დაიფიცა: „ამ ჯვარისა და სახარების მადლი მრისხავდეს, თუ მაჩაბელს მე ორგულობა გავუშვიო ორდისმეო“. გაუკვირდა დიდათ და გაბრაზებულმა სთქვა: „ამ მაჩაბელმა რა გიყოთ ისეთი, რომ მაგრე თავუგადაკლულები ხართ მაგათვის; ჯერ არის და ერთი კაცი ვერ ვიპოვე სოფლებში, მერე ეს ვიპოვე და ესეც ასე მიჰქარავხო“. მას უკან მოკითხული ქნეს, ყველა დაბეზღება სიცრუე აღმოჩნდა, და ისევ ყმა და მამული უკან დაუბრუნდათ. ამ ხეობაში ყბა-თეთრი მეტრეველი და მისი შვილი გიორგი პირველი კაცები იყვნენ.

ამილახორის და ამბრი

(ჩ. ქემიურტში გაგთხილათ მე ქუქნიაშვილისაცან).

ერთი გმირი სუმ, სახელად ამბრი ერქვა, მეტად ღონიერი რამ იყო; მისი ქება ცამდის იყო: ასული; ჯერ არავინ გამოჩენილიყო ამბრის დამძალავი. მასთან შებმა და მისი ვაშვაცობის გამოცდა. ამირანს ენატრებოდა, მაგრამ ვერსად შეხვდა. გავიდა რამდენიმე ხანი, ამბრი გზაში მოკვდა. დაუდეს ურემზე ორგორც იყო მახლობელმა ხალხმა ამბრი და წამოიღეს სახლში დასთან. დამ რა გაიგო ძმის სიკვდილი, გამოეგება. პატა-

რაობას დქეთ აღარ ენახა თავისი ძმა, მჩხი გმირობა კი
გაფონილი ჰქონდა. რომ მივიდა და მიუტირა, საცდე-
ლად ცალი ფეხი ძირს ჩამოულო; ფეხმა სიმძიმით მიწა
მოხნა. ამ დროს ამირანი შემოეყარა წინ. ამბრის დამ
უთხრა: „მადლია შენთვის, ასწიე ეს ფეხი და გაუსწო-
რეთ“. ამირანმა ასწია, მაგრამ ვერ მოერია, რომ ფეხი
ურემზე შეედო. მაშინ ამბრის დამ გაუსწორა ფეხი და
ამირანს ასე უპასუხა:

აშინისა შეემა, აშინანწერ ზა... : ცა

შენ აშინისა გერ ედარები, არ არ ედარები

ცოცხალისა სისოფედი მუქარას,

მაგდარსაც ვერ დაედარები!... არ არ ედარები

უაჩალი ივანე ჭვრივიშვილი.

(მისგანვე გაგონილი)

ერთი ყაჩალი იყო, ივანე ჭვრივიშვილს ეძახდნენ,
იშის. დედას იმის შეტი არავინა ჰყავდა. განებივრებულმა
შვილმა ყაჩალმა დაიწყო. ინანურს, ზემოთ გზაში ჩა-
საფრებული იყო. ამ დროს მოდიოდა ხევსური თავის
ცოლით, ჩეანე წინ გაუდგა; ეუბნებოდა: „მე ივანე
ჭვრივიშვილი ვარ, შენი ცოლი მე უნდა დამანებოო“.
ხევსურმა უთხრა: „კაც, თავი დამანებე, შენ თუ
ივანე ხარ, მე ხევსური ლეგა ვარო“. ამოიღო ორი
აბაზი და უთხრა: „ამაზე, მეტი არა მაქვს რა; აპა წაიღე“.
ტაგრამ ივანე არ ტშვებოდა; ბოლოს ხმალსე მიდგა
საქმე: ლეგამ აჯობა, მოკულა, არ შეარცხვინა არც
იმისი. და არც თავისი ვაშუაცობა, გაუშალა ქვეშ ივანეს

ნაბადი, დააწეინა, ზევიდგან თავისი ნაბადი დახურა, და
წამოვიტა ღუშეთში შეატყობინა. გაიგო საბრალო
ივანეს დედამ და იტირა:

დედამ შესტირა ღუშეთსა:
„ღეგაჭ, რად კამატიაღე?“ ა ცა
— „რას ამბობ, დედავ, რას ამბობ,
ივანე დაგიჭივიანე, —
ვაძლიერ არი აბაზი,
„დამექსენ, ჩემი ივანე“.
ჩემსას მოსიფედა დიაცეს,
თავისიც გაუტიაღე, ასე ასე მართოს
ასასური და ღუშეთი სულ თავქეუ ჩადაგრიაღე“.

გატონი და ურია, შისი შაბ.

(ივგე გაგონილი)

ბატონი თავის ყმა ურიიტ მიღიოდნენ გზასა,
გზაზე წყალი დახვდათ გასასვლელი. ხიდი არსად იყო.
ბატონმა უბრძანა:

— „შედი წყალი დაფონე.
— არა შენი ჭირიმე, მე ბატონის წინ როგორ
წავდგამ ფეხსა, არა ჩემი რჯულის. მაღლმა, მე წინ
წასვლას ვერ გავბედავო.

ბატონი წყალში შევიდა, წყალმა წააქცია და თავ-
ქვე წაიღო: ურიას აქეთ-იქით უყვიროდნენ; — „შენი
ბატონი გამოიყვანე, იხრჩობაო.

— ჩბატონი, თავის ანებაა, თუ უნდა გამობრძანდება თუნდ არაო, და თუნდ მალლა იზამს ფეხს თუნდა დაბლაო!..

პური მარცვალი.

(შეწისქვიდის ხასმისდის)

არაკი

ერთ სახელმწიფოში, იპოვეს ვარიის კვერცხის ღდენი პურის მარცვალი, გაუკვირდათ ყველას. მიუტანეს თავიანთ ხელმწიფეს; ხელმწიფეც დიდათ გაოცდა, ამოდენა პურის მარცვლის მნახველი არ იყო. გაგზავნა თავის კაცები, უთხრა: იპოვეთ ვინმე, იქნება იცოდეს თუ რამ მოიყვანა ამ სისხო პურიო. იარეს ბევრი, შემოიგრძეს სახელმწიფო, მეღრე, მესამე, მაგრამ, ვერც მცოდნე კაცი იპოვეს, და ვერც მომსწრე. ბოლოს გაასწავლეს: ამრ და ამ სახელმწიფოში სცხოვრობს სამი ძმა კაცი, იმათი ხნისა ქვაც აღარა გორავს, თუ ეცოდინებათ, იმათ ეცოდინებათო. წავიდნენ, მივიდნენ იმ სახელმწიფოში; სადაც ის სამი ძმა კაცი ცხოვრობდა. შევიდნენ სულ უმცროსი ძმის სახლში; ისე დაბერებულიყო, რომ სიბერისაგან ხავი მოჰკიდებოდა და სოკოები ამოსვლოდა სახეზედ. აჩვენეს ეს პურის მარცვალი, ჰქითხეს: მომსწრე ხომ არა ხარ, რამ გაზარდა ამოდენიო? მაგრამ იმან მიუგო; „მე არც მომსწრე ვარ, და არც გამიგია რამე, წალით, აგერ იქ ჩემი უფროსი ძმა დგას და იმასა ჰკითხეთო“. ესენი წავიდნენ, მივიდნენ იმისას, ისე უარესი დაბერებუ-

ლი იყო. ვერც იმან უთხრა რამე და თავის უფროს
ძმასთან გაასწავლა. უფროსთან რომ მივიღნენ, დერე-
ფანში ტახტი იდგა და იქ ეძინა. იმისთანა შავი თმა
და წვერ-ულვაში ჰქონდა როგორც გიშერი, ჯერ
ერთი ჭალარაც არ გამორეოდა და არც სახე დალმეჭო-
და. ცოლი გამოეგება, პკითხა ვინაობა და რა უნდოდათ,
იმათ მიუგეს, გვინდა ვკითხოთ რამეო. ცოლმა გალვი-
შება ვერ გაბედა, ჩაიცვა ქოშები და ბაკაბუჟით გაიარ-
გამოიარა მძინარის გვერდით. კაცს ფეხის ხმაზე გამო-
ელვიძა, წამოდგა — რას მაღვიდებ, რა გინდაო? ცოლმა
შიუგო: „ხელმწიფის გამოგზავნილი კაცები გეახლნენ,
საკითხავი აქვთ რამეო“. მოჰკითხა ცოლს სარკე, ჩაი-
ხედა, გააქნია თავი და სთქვა: „ჩემს უნებურად რაკი
გამომელვიძა, ერთი ბერვი გამითეთრდაო“. ბოლოს მი-
უბრუნდა ამ კაცებს და უთხრა: „რა საკითხავი გაქვსთ,
რად გარჯილხართო?“ ამათ აჩვენეს ეს პურის მარცვა-
ლი, და პკითხეს: „მომსწრე კაცი ხარ; გვითხარ რამ
მოიყვანა ამისხსო პურიო?“ ამან დახედა და სთქვა: მე
შზა ვაშკაცი ვიყავ, გუთანს ვეკიდე, როცა ეს პური
მოვიდა; რომ დავთესეთ, მაისის თვეში ამინდმა ხელი
შეუწყო, დამე წვიმდა სულ მუდამ და დღე დარი იდგა.
არც ავდარმა გალახა და არც კაი დარმა, მაშინ მო-
ვიდა ეს პური. წისქვილმა რომ ვეღარ დაფევა, სხვა
წისქვილები შემოვიდეთ და ისე ვფქვავდითო“, ამათ
მადლი უთხრეს და წამოვიდნენ, გზაში იფიქრეს: ბი-
ჭოს, რატომ ის კი აღარ ვკითხეთ, თუ ის ორი უმც-
როსი ისე დაბერებულიყვნენ, ეს უფროსი კი რატომ
არაო; იმას არა ეტყობოდა რა სიბერისა, მოდი, წავი-
დეთ ვკითხოთო. გამოტრიალდნენ, მივიღნენ. ამ კაცმა
უთხრა: „რა იყო, რაღად დაბრუნდითო?“ — „არაფერი,

შენი ჭირიმე, გვინდა გკითხოთ, რა მიზეზია, რომ შენ
უფრო ახალგაზდა ჩანხარ შენს უმცროსს ძმებზედო?“
— „ოჲ, ნეტავ არ გეკითხათ, მაგრამ რადგან მკითხეთ
გეტყვითო! — მაგათ, მაგ ჩემს ძმებს ვერ შეხვდათ შესა-
ფერი ცოლები, სულ ქმრების წინააღმდეგ საქმეს ჩა-
დიან, სულ უსიამოვნება აქესთ, და, ჯავრმა გასტეხა. და
დააბეროთ; მე კი ჩემი მორჩილი და მოსიყვარულე ცო-
ლი შემხვდა, ჩემს უსიამოვნოს არას ჩაიდენს, ავ სიტ-
ყვას არას მეტყვის, თვალსა და წარბში მიყურებს, აცა
რა ესიამოვნებაო. ვცხოვრობთ ტკბილად და არა ვბერ-
დებიო. აი ეხლა ეს ერთხელ ჩემს უნებურად გამომე-
ლვიდა და აგერ ერთი ჭალარა გამომერიაო“. მადლი
უთხრეს, და წამოვიდნენ თავის ქვეყანაში კაცები,

ცხრა პაცის მავლენი.

(არაგი ქურთაში გაგრძილი)

იყო ერთი ბოროტი კაცი, სულ ერთ-თავად დოკ-
ზე იდგა უველასთან და ეჩეუბებოდა; იმას ცრა კაცი
შემოაკვდა, მეათესთან მოუვიდა ჩხუბი, ამის მოკვლაც
დააპირა. მოვიდნენ ხალხი დასაკერათ, გაექცა, გამო-
უდგნენ. ეს კაცი ბილიქს გაძყვა, რომელიც ყანაში
შედიოდა. შევარდა ყანაში ამ ბილიკით, უნდა გავარ-
დნილიყო საითმე, მაგრამ ბილიკი სწყდებოდა და გზა
აღარ იყო, ყანის გადათქელა არ ინდომა და გაჩერდა;
მივიდნენ, დაიჭირეს და საპყრობილეში ჩააგდეს. გა-
დაუწყვიტეს დახრჩობა, გამართეს სახრჩობელა, მიიყვა-
ნეს ეს კაცი და გააყოფინეს ოკუში თავი: როცა ხელი
ჰქონდა ჩამოსახრჩობად, უცბად ამოვიდა ორი ჭვავი,

ერთი აქეთ ფეხში მიეცა, მეორე იქით და ძირს აღარ
დაუშვა, რომ დამხრჩალიყო,—ყველას გაუკვირდათ.
მოსჭრეს ჭვავები, მაგრამ კიდევს სხვა ამოვიდა და ფე-
ხებში მიებჯინა, კვლავ მოსჭრეს,—კიდევ, არ დაუშვეს
ჭვავებმა დასახრჩობათ. სუსველას გაუკვირდათ, იკითხეს
რა ამბავია, რა სასწაულიაო? კაცის მცვლელმა უამბო,
რომ რაკი ყანა არ გავთქელე, და მუშაცაცის მარჯ-
ვენის ნამუშევარი არ წავახდინე, იმისი მაღლი მეწე-
ვაო. ადგნენ მერე, ყველა დანაშაული აპატიეს და
გაუშვეს.

ს ი ს ხ დ

ძველი ბეჭედი და ამბები.

(მ. ქართველი მეცნიერებების სამსახური. ს. ქურთაში ჩაწერილი).

სუფრულა.

გვიბძანე ჩვენო ბატონო,
გახლავართ თქვენი ყმანია,
თქვენი მტრის სისხლში მრავალჯერ
ჩვენ ხელი დაგვიბანია,
მებრძოლეს თქვენსა ძლიერსა
გავაყრევინეთ თავია,
მოვლვაროთ სისხლი მღვარავი,
ზღვაშია შესართავია.

თე მშობ ა თხი ცოლუნი ა ღრ ჩედი ია ს
ხუგობრივი და უღა ა უ ჭ გ ა ს.
დ ა კ უ მ ი ა მ ე ლ ტ მ ი ა
კ ე რ ი ა დ მ ე რ ი ა მ ე რ ი ა დ
კ უ რ შ ა გ ა ვ გ ზ ა ვ ნ ე ს ა ნ ა დ ი რ ი ა ფ ე ბ
ნ ა დ ი რ ს მ ო ვ ე ლ ი ს ა ს ა დ ი ლ ი ა თ,
ჩ ე მ მ კ უ რ შ ა მ , კ უ რ ნ ი ს ა ლ ე კ ვ რ ,
შ ე ნ რ ო მ კ უ რ დ ლ ე ლ ს ა ყ ე ფ ი თ მ ი ს დ ე ვ დ ი ,
კ უ ლ ი ს ა ს ო რ ი ს ა ფ ე ბ ი თ ა ს თ ხ რ ი დ ი !
კ უ რ შ ა ს ნ ა ხ ტ ი მ ი დ ი დ ი მ ი ნ დ ი რ ი
დ ა ნ ა ფ ე ხ უ რ ი კ ა ლ ი ს ა დ ე ნ ი .

ხ ა ბ ჟ რ ი .

05 შ ე ც უ ლ ტ ტ ე ნ ი შ ხ ე ლ ი თ ვ ა ლ ი ტ ი ს
ჩ ვ ე ნ ვ ი ყ უ ბ რ ე ნ გ უ ლ ი ს მ ა ნ ი ა ,
ჩ ვ ე ნ დ ა ვ ს ვ ა თ ჩ ვ ე ნ თ ვ ი ს ხ ე მ წ ი ფ ქ ,
გ ა რ ს შ ე მ რ ვ ა რ ტ ყ ა თ ხ მ ა ლ ი ა ,
ჩ ა ვ უ ხ ტ ე თ მ უ ხ რ ა ნ - ბ ა ტ ი რ ნ ს ა ,
თ ა ვ ს დ ა ვ ა ქ ც ი ი თ ბ ა ნ ი ა !

ა ს ე ს თ ქ ვ ა მ უ ხ რ ა ნ შ ა ტ ი რ ნ შ ა :
კ ა ც ი ს ს ი ც ი ც ხ ლ ე რ ა რ ი ,
ვ ი ნ ც რ ო მ ჭ ა დ ი - ჯ ე ა რ ს მ ი კ ვ დ ე ბ ა ,
მ ი ს თ ვ ი ს ს ა მ რ ა ნ ხ ე მ ხ ა უ რ ი ! *)

*) ს. ჭ ა დ ი - ჯ ე ა რ ზ ე ჭ ე რ ი ნ ი ა თ ჩ ე ს ე ბ ა რ შ ა ს მ უ ხ რ ა ნ ბ ა ტ ი რ ნ ს ა , დ ა მ ს ა შ დ ე ბ ი რ ი თ თ ა ვ ი ს ი ს ე მ ა ნ ი გ ა უ მ ხ ე ნ ე ვ ე ნ ი ა , თ ა უ შ ც ა პ ი ჭ ა დ ი - ჯ ე ა რ ზ ე ჭ ე რ ი წ ა რ ი მ ე ს ი ა .

ქადაგრებში ეჭვით გლეხი.

ნადარბაზევში მოგარე ერთი გაკეთებული გლეხი. მას სწვევია მეფე ამალით; კარგა დახვედრია მეფეს და ამალას. ღამე სუყველასთვის ცალ-ცალკე ლოგინი გაუშლია, ორი ერთად არავინ დაუწვენია, სუყველას-თვის მდიდარი ლოგინი დაუგია. „მეფე ნასიამოვნები დარჩენილა და უბძანებია: თუ გინდა აზნაურობას გიბოძებო“, იმ გლეხს ასე მოუხსენებია:

„განა არ მოგეხსენება,—
კვერნაკი დიდი მთა არი, კარგი
ძმა და ძმის წული ცხვარში მყავა
მოშალავათე სხვა არი,
შე დალოცვილო, ბატონო
აზნაურობა, რა არი,
ათასს სულს ცხვარსა მოგარომევ,
ვითომ ჩებიჩი თხა არი“.

სამაჩაბლოს ლეკები შემოესიენ, დამარცხებულნი გირქნენ და თავის ქვეყანაში სამაჩაბლოს ხალხი ასე შეაქვს:

ცხინვალისთანა ხეობა
არსად იქნება, ვალაო,
შუაზე მოსდით ლიახვი,
გალმა-გამოლმა ჭალაო,
ბიქი გამოდის მისთანა,
დალისტნის ლეკისთანაო.

რას ვაქნევ ბარის ქვეყნებსა,
ქურდსა და ყაზახიანსა,

ვერ ნაწვენ ხმელ შემს თვალით
ცეცხლს დააყრიან წივასა,
დიდი ლიახვის ბიჭები,
ირემს ჰგავს ქორ-ბუდიანსა.

ქართველი ბიჭი...
(ლექსი)

ქართველი ბიჭი მივდივარ,
ცოლი მიმყავდა ძმისასა,
წინ ერთი კაცი დამიხვდა,
ის უბედური დღისასა,
პური მთხოვა და ვაჭამე,
ვურჩევდი ქაბაბისასა,
ღვინო მთხოვა და ვასმევდი,
ვურჩევდი ბადაგისასა,
ხორცი მთხოვა და ვაჭამე
ვურჩევდი კაკაბისასა,
ცოლი მთხოვა და ვერ მივე,
ჩემი ვარჩიე სხეისასა!
არ დაიშალა, აკოცა
ნაწნავსა გიშრის თმისასა...
მაშინ შესტირა ლამაზმა:
—ვაი უღონო ქმრისასა!
ჩემ ლეკურს ხელი ვავიკარ,
წვერი უწია ქვიშასა,
ერთი იმანაც გაღმომკრა,
რისხვასა ჰგავდა ღვთისასა,
აქეთ მე მოვკვდი, — იქით ის,
ცოლი წავიდა სხეისასა.

ნიშანი დობა მიღია დაუძლია ჩემი და დაცეს
ართია მარცის თემაზუ ზვანი. ეს კი მა არ
ართია არა გამოიჩინა და არა გამოიდის მარცის გამო
გამოიჩინება, ერთისაგან ყორანი გამოდის, მეორისაგან
ძალლის ლეკვი, რომელსაც ყურშა ჰქვიან. რაკი ნა-
ხავს, რომ ლეკვი მას არა ჰგავს, აიღებს და გადმოაგ-
დებს. ვინც იპოვის და გაზდის, საუცხოვო მონადირე
ძალლი გამოდის, რომელსაც არაფერი ნადირი არ გა-
მოეპარება. ერთი ამგვარი ლეკვი გაზარდა მონადირემ
ქარცისის თებრუ ივანემ.

ივანე დადიოდა სანადიროთ თავის ყურშათი, და
თან ორი კვირის საგზალი პური მიპქონდა ხოლმე.
ერთხელ წავიდა სანადიროთ, დაისვენა ერთ მთის წვერ-
ზე, ამ დროს იძრა მიწა და გარეშემო შემოერლვა და
შემოეცალა იგი; ეს ივანე კი თავის ყურშათი შერჩა ამ
მთას უვნებლად. გასასვლელი გზა არსად იყო, შერჩნენ
ერთათ ამ უდაბურს აღგილს, მშველელი არსაიდან
სიანდა, არც ჩამოსვლა და არც გადმოხტომა არ შეიძლებო-
და. გაუთავდათ საგზალი, და დაიმშნენ. გაჯავრებულმა
ჩვანემ ყურშას შესახა:

შექუეფე, ყურშავ, ტიალო,
შენ, შავი პატრონისაო!
ან გაიგონებს მეცხვარე,
ან მონადირე მთისაო,
მთასა ვკიდივარ ფეხითაც
ფურაბეწვის ქალამნითაო!

შეჰყევთა ყურშამ საზარლად დიდის ხშითა, მაგრამ
არავინ მოეშველოს რა გაჭირდა მოჟამე შიმშილითა,
ყურშამ ანიშნა პატრონს: მე დამკალ და შემქამეო,
ეგებ მანამ მოვიდეს ვინმე და გიშველოსო. ივანემ
შორს დაიკირა, მაგრამ სული ტკბილია, ძალიან რომ
მოშივდა, დაიწყო ტირილი, გამოეთხოვა ყურშას,
დაკლა, დაკვესა კეცხლი, დაამტვრია მშვილდაისარი,
დაანთო ცეცხლი, შესწვა და შესკამა. რაკი და ივანემ
ამოდენა ხანი დაიგვიანა, და სახლში აღარ დაბრუნდა,
ძმა წავიდა საძებნელად. ბოლოს იპოვა მთაზე შერჩე-
ნილი თავისი ძმა და შეუძახა:

ივანე, ქვარციხის თებრუა
შენ მონადირე მთისაო!
შენი შვილდი და ბოძალი
დევაგმირთა დამაღნობელი...
— შვილდიცა დავწვი, ბოძალიც,
ცეცხლი დავანთე ისრისა,
დავჭალ ყურშა და შევჭამე,
ვაძე, წამწყმედს მე ისა!
— გაღმოხტი თუ გაღმოხტები,
შე უბედური დღისაო!...

მაშინ შეჭამა მიწა, ისკუპა ივანემ, გაღმოჰყვა
კლდე-ლოდი და დაიმსხვრა ერთიანად, დაუდეს საკა-
ცეზედ მკვდარი, წაიღეს სახლში და ძმაშ რძალს შესტირა:

ივანე რომ გაღმოფრინდა,
ვით შავარდენი ცისაო,
იმას რომ ლოდი დაეცა,
დევნი ვერ აუდგებოდა,
სისხლისა ნაგუბარზედა
ზედ ნავი მოცურდებოდა!
ივანე დამარხეს ყველამ დიდის გლოვითა.

“ უფრო ცილი თუ ამ კოტ ბევრი ის —
ოთმიერ დაქმუშავ ზოგადერ მდინარეების მეტობა

ყოველის წყლისა ბატონის, მაცხოვი
მტკვარი არის ხემწიფენი, არაგვი
არაგვს ხელი გადახვია, შენ იყავ ძმობილი ჩემი,
შენ მოიტანე შამფური, მე მოაქვს სამწვადე ბევრი დღეს
ამილახვრიანთ მეჯუდას, უფრო უფრო
უფრო უფრო მოაქვს და რიყე ბევრი, ისეთი მოიკავება,
როგორც მარიობის გუელი, და ასეთ
მოგლიჯა ერთი საყდარი, შიგ სწირავდა თრი მლვდელი,
უკან მისდევს დიაკვანი, ჯერ წირვა გვაქვს მოსასმენთ.

სოდომის პრინცის ჩემიშვილი.

სოლომონ ბრძენს ცოლი გაექცა, რომელსაც თა-
ვისივე მწყემსი შეეყვარებინა და იმას დასდევდა. შე-
მოვიდა ერთ დღეს მწყემსი სოლომონ ბრძენთან და
ნახა სოლომონი მწარედ დალჩნებული და მომტირა-
ლე. მწყემსმა თაყვანი-სცა და მოახსენა: „რა იყო, ბა-
ტონო, რამ დაგალონა? — რაღა რამ დამალონა, კაც
ერთი ცოლი ჰყავდეს და ისიც გაექცეს, მაშ რა იქ-
ნებაო?

— რა დაგემართა, შე დალოცვილო, მეტე ვიყო; მაგოდენი სიმდიდრე შექმნდეს და ვერ მოვიყვანო?

— ამა, ეს სიმდიდრე და ყოველი უფლება, თუ მოიყვან, მომიყვანეო.

— ძალიან კარგი, უთხრა მწყემსმა..

დააწერინა ნების ქალალდი ყველგან მგზავრობის; ვითომ და ვაჭარიც არის, შეაბმევინა ურმები, ჩაჯდა შიგ, თანაც ბევრი ფული წაიღო და, რასაკვირველია, ვაჭრულად ჩაიცვა და წავიდა სოლომონ ბრძნის ცოლის სამშობლოსკენ. იმ დროს მისი ცოლი იქ იმყოფებოდა. დაიკირა მოჯამაგირე ნოქრები, მისცა ერთოორი ფასი სამოჯამაგირო, მიუსია სოფელ-ქალაქებსა და რაც შინაური ფრინველი იყო, სულ აყიდვინა. ყველაში გადაჭარბებულ ფასს აძლევდა. უკვირდა ყველას, თუ რად უნდოდა ამოდენა წვრილ-ფეხი. გაიგო ეს სოლომონის ცოლმაც და დაიბარა ეს ვაჭარი მწყემსი. მან ვაჭრულად ჩაიცვა ახალ-ახალი ტანისამოსი და ეხლა. სოლომონის ცოლმა ვერ იცნო.. მერე ჰქითხა:

— რა კაცი ხარ შენაო?

(ამ დროს შემოდის ნესტორია, შეჩერდება და გაბრუნებას დააპირებს. ნანა მსწავლიდ გადას უფრე გარება).

356. შემოდი, ნესტორ! შენთან ო საიდუმლო უნდა მქონდეს? ნეტორ, უთუოთ მიმხედარი იყავი, ომგ ეს ქალი მიყვარდა... და ახლაც შენს შემოსვლამდი კიდევ შევატყობინე ჩემი გულის პასუხი მტონია მასაც უნდა ვუყვარდე...

357. (დამიღით). დღეს ძალიან გამარჯვებით ხარ—გარეთაც და შინაც!..

358. დიალ, ჩემო მეგობარო, მართლა კაი დღეა ჩემთვის... რაღაცა განსხვავებულ სულის სინათლესა და ნეტარებას ვკრწობ... .

359. მესმის, მესმის შენი გრძნობა..., და უნდა ვსთქვა: სასიამოვნო სანახვია, როდესაც შენისთანა კარგი ახალგაზდა მაგისთანა ლამაზ გოკონას შეიკვარებს. მაგრამ ერთი კი უნდა გითხრა: მაინც და მაინც რაინდული საქციელი არ არის მასპინძლის ქალის შეყვარება... და ოჯახის არევა... .

360. რას ამბობ, ნესტორ? როგორ არ გრცვენია!.. შენ, ალბათ, არ გეამის არც ჩემი გრძნობა და არც ჩემი განზრახვა!..

361. როგორ არა! მეს მის და, ძალიან კარგადაც მემის... ჯერ შეიყვარებ... გეყოლება ერთს ხანს... შეჭვიცავ საუკუნო სიყვარულსა და ერთგულებას და მერე კი, რომ მოგწყინდება, დასტოვებ ღვთის

- ანაბარათ. მაგრამ ეს ამიხსენი: ნინოსთვის რა
არის შენი სიყვარული?!.. მაგას საქმრო ჰყავს;
იქნება არც კი იცოდე?
- ვარ. (გაფლებით) პირველათ მესმის... ვინ? დღ
- ნინ. აი ის ცმაწვილი, დღეს რომ გვახლდა, სარდიონი.
- ვარ. მე ეს არ ვიცოდი...
- ნინ. როგორ არა!.. აქ ყველის ისე გონია, რომ ეგ
შეირთავით... საკვირველია, რატომ ვერ შეამჩნიე!
სარდიონს ძალიან ეტყობა, რომ ნინო უყვარს.
- ვარ. სარდიონს კი, ვსთვათ უყვარს, მაგრამ ნინო!?!.
- ნინ. ნინო შორს იქერს თურმე საქმეს... მაგრამ მამა
თანახმაა, ამბობს: კაი აზნაურიშვილია, თითონ
ბიჭიც კარგია, და შექლებას მე მიუსცემო.
- ვარ. მერე ნინო რას ამჰობა!?.
- ნინ. ნინო კი უარზე სდგასო... მაგრამ იმედი აქვთ,
რომ დაიყოლებენ...
- ვარ. არა მკონია, ნინომ სარდიონი არჩიოს ჩემ თავს!..
- ნინ. როგორ! შენც შერთვას აპირობ თუ?!? დღ
- ვარ. განა მე ისეთ კაცათ მიცნო!, რომ საპრალო,
უმანკო ანგელოზს ქალს გული მოესტაცო—სიყ-
ვარულის თანხმობა დაისტყუო და შემდეგ თავი
დავანებო?!.. ძალიან ვწუხვარ, ჩემო ნესტორ, რომ
ცუდი განზრახვა შემწამე!..
- ნინ. ჰოო... ეგ სულ სხვა ამჰავია... მე ეს არ მეგონა...
მაგრამ...
- ვარ. მაგრამ რა?
- ნინ. ისა რომ, ცოტა არ იყოს აჩქარებულხარ!.. სხვა
მიზეზებს გარდა მამა შენს რას უპირობი.. და-
ფიქრდი კი ამაზედ კარგათ?!
- ვარ. (გადაუხვივა). აი, ძმაო, აბა ახლა მევირვება შენი

მეგობრობა!... უნდა წახვიდე მამა ჩემთან, და როგორმე დაითანამო, რომ ნება მომცეს შევირთონინო.

306. ბატონი ხარ, მოციქულობას არ დაგამადლი, შენ-
თვის ცეცხლში ჩავდგები, — მაკრამიცოდე, ვარდე
ეს ძალიან ძნელი საქმეა!.. შენ კარგათ იცი ზა-
ქარის ხასიათი და აზრი... იმას უნდა სულ სხვა
ქალი შეგროს... მდიდარი, განათლებული ოჯა-
ხის შვილი...

307. რას ამბობ, ნესტორ! ნინოს გარდა ღმერთმა შევა
ცოლი ნუ მომცეს!..

308. გარწმუნებ, გულით მოვინდომებ, მაგრამ ნინო!-
თან ხომ გათავებული გაქვს საქმე?.. ხომ დარწ-
მუნებული ხარ, რომ იმასაც უყვარხარ და თანა-
ხმაა?.. წელან რომ თვალი მოვკარი ნამტირალევი
იყო... გაიგო კი, რომ შერთვა გინდა იმისი და
ცული რომ განზრახვა არა გაქვს?!

309. აა, მაუას როკორ იფიქრებდა! ნინო უთუოთ
მიხვდა ჩემს აზრს, მარამ რა ჯვიპირს მოვიხმოთ
და შენ თითონ დარწმუნდები...

310. ნინო, ნინო! ერთს წამს აქ შემოდი!

გამოსვლა მჩურთი.

ნესტორ, ნახია და კარდენ

311. (აღელფებული დადის. მარდით მისგაბეჭია შემთხვევის ნი-
ნოს და მოკიდების ხედი). ჩემო ძეირფასო, ნინო!
აი ამ ჩემს მეგობართან მინდა გაგენდო: აწ უშე-
ნოთ სიცოცხლე ილარ შემიძლია, და თუ შენც

გიყვარვარ და თანახმა ხარ—მე მსურს საუკუნო
მეგობარი იყო ჩემი ღძულათ შეგირთო. (ნაით
სულ თავდახრიდა იუთ და რა ეს სიტყვები გაიცინა,
თავი ასწია, თავადი თვალში გაუქარა გარდენს, შიგარდა
და ხელზედ აკოცა).

ვარ. რას შევები, ქალო? შენ კი არა, მე უნდა გიხდი-
დე მაღლობას, რომ ასეთი უზომო ბედნიერი გამ-
ხადე. (მისხუტებს გულზედ და აკოცებს).

გემოსავლა მემჭველი.

იკანთვე, ქარანტენი ბიჭი (შემთდინან)

ვარ. სასახლიდგან ბიჭი მოვიდა, ვარდენ, შენი კირიმე!
ბატონის წიგნი აქვს.

გიზი. (მოართმევე; წერილი). ბატონშა გაახლოთ.

ვარ. მშვიდობაა ხომ?

გიზი. დიალ, ბატონო, მშვიდობით გახლავან.

ვარ. წადი, შეისვენე, დალალული. იქნები... (ბიჭი გა-
დის. წიგნის კითხვაზედ გარდენი თან და თან. მოიწუნის;
დაგუჭაფს და ჯიბუში იდები).

მარ. რა ამბავია, შვილო, ცუდს ხომ არაფერს იწე-
რება?

ვარ. რა იქნება, გადია!.. მამა ჩემი მწერს: „რას აკე-
თებ ამდენს ხანს მანდ, ხომ არ გადაყევი ხოხებ-
საო“. რა გაეწყობა, უნდა წავიდე.

მარ. წადი, შვილო, წადი, რაკი გიბრძანებს; მამის
ურჩობა არ ვარგა!

გამოსვლა მეზობელი.

იგინივე და ტამათუ (შემთდის).

- ტ08. ბატონო, ვახშამს აღარ მიირთმევთ! გათენდა...
319. ურჩობა არ მინდა, ჩემო გადია, მაგრამ ვაი რომ
ბოლოს მეტი ღონე აღარ იქნეს?.. (გადასედავს
ნერცონის) წავიდეთ ვახშმათ...

გამოსვლა მერვე.

სარდარი (შემთდის, უფელებანი კადინ, გარდა სარდიონის,
რომელიც მივა და ბუხას მაუჯდება),

- ს16. როგორ ამეცუშა და ამენგრია ეს. უკულმართი
ცხოვრება?!.. მთელი ჩემი ახალ-გაზღობის ბედი
ერთს წაში გაპქრა... ააე მონია, გულის ცემა
შემიჩერდა და ტეინი გამიშრა მეთქი... რა იყო,
რა ვნახე!.. სიზმარში ვარ თუ ცხალია?!.. ნინო,
ეს უმანკო არსება, ეს ანგელოზი, რომლის შე-
ხედვასაც კი ვუკრძალებოდი, ჩაკვრია გულში მაგ
განებიცრებულ ბატონის შვილს!.. რატომ არ და-
მიბარებება ეს დასავსები თვალები, (ოვალებზე უდი-
სებები მიიღებს) მერე კიდევ სხვასთან... რომ ჩემის
თვალით არ მენახა ხოშ არ დავიჯერებდი?.. აქ
ხომ აღარც სირცხვილი სიანს, აღარც სინიდისი...
ვიფიქრებდი განა ოდესშე, რომ ასეთ რასმეს ჩაი-
დენდა... ოჲ, ოჲ!..

6069. (შემთდის მხიარული) ვახშამს გიცდით! ყმაწვილო;
არ მოდიხარ?

სარ. აქ მობრძანდი ერთი... გმაღლობ, მე არ გიახლიშ-
ბი და ვინც კარგ გუნებაზე იყოს — იმან მიიჩოდას...
ლვინოც დააძალე... კარგია ლვინო გაბეჭულობას
მოუმატებს!..

ნინო. არ გესმის, ყმაწვილო, რაზედ ლაპარაკობ?

სარ. არ გესმის?!.. ეს არ გესმის; რომ უნამუსობა და
უტიფრობაა, როცა შენისთანა ქალი თავის ბა-
ტონის შეილს ჭავეკვრება გულში და კოცნას და-
უწყებს?!.. ეს არ გესმის, რომ შენის ყოფაქცევით
საბრალო მამაშენის. ხაპატიო, ოჯახს არცხვენ და
ჩირქსა სცხებ?!.. თოთონ შენც ხომ გაბაძლები,
გახდები თოთით საჩვენებელი... დაიღუპები... და
ესეები არ გესმის განა?!.. გინდა მე ამიბა თვალი
და გამასულელო, თუ გაგიუდი?!

ნინო. მერე შენ რა გინდა, რა ჭირისუფალი ხარ
ჩემი?..

სარ. რატომ ვაურ! მართლის თქმას რა ჭირისუფლო-
ბა უნდა?.. დღემდის, მგონია, უკან არ ვიყავი
შენთვის... სხვა ცველა იმედი თუ ჩამიკალ გულში
— ეს მაინც უნდა გახსოვდეს, ნინო, რამდეჯ ერ
ვითქვამს ჩემთვის: „ძმაო სარდიონო!“

ნინო. ძმობა თუ მითქვამს ეგ კიდევ არ გაძლევს მი-
ზეს, რომ მოძღვარსავით აღსარება მათქმევინო
და გამირისხდე... რა შენი საქმეა, მე როგორ
ვიქცევი?!

სარ. ნახავ, ნინო, მაგისთანა ლაპარაკით რახაც მო-
იგებ? გახსოვდეს თუ შენ თავი არ დაიღუპო!

ნინო. ვნახოთ...

საჩ. დამიფარე, წმიდაო გიორგი! რა მესმის, რა პა-
სუხია... მაშ თუ ასეა, ანლა მე ვიცი, ჩემო ქალ-
ბატონი!.. თუ მე აღარაფერი არა ვარ შენთვის,
კაცი არ ვიქნები, თუ არ დაგამწარე სიცოცლე!..
(შიახედავს გარებისაბენ) და შენ კი, ჩემო თავადო...
გამიფრთხილდი!..

გამოსვლა მიცხერე.

გარდენ. (შემოდის და, რომ შეხედავს აღდღებულ
ნიხოსა და სარდაონის, შეკროგბა).

ფარდ ა.

რამდენ

მოვალება მორის.

(სცინა წარმოადგინის თაფაფის ზაქარიას დარიაშვილი).

გამოსაფეხ პარველი.

ას ქარახ და მოურავი.

ზარარია (მრისსაქო) მერე კინ ბძანდება, ჩემს ტყეში
რომ შესულა და მიორება!

მოურავი. სარდიონ კლდიაშვილი გხლებიათ... ხეების
დაჭრას თქვენი კირი წაულია—ტყის მცველი გახ-
ლავს მძიმეთ დაჭრილი...

ზარ. ტყის მცველი არის დაჭრილი?!

მოურ. დიალ, ბატონი, აგერ ერთ კვირაზე მეტია—
მაგრამ ვერ გაგიბედეთ მოხსენება... ვცდილობდი
მთავრობის ხელში ჩამეცდო ის ავაზაკი—სარდიონი,
ზარ. მერე რა ქენი?

მოურ. ახლა დაჭრილი გახლავს, ორი დღეა, რაც და-
აკავა ბოქაულმა და ჩვენს კანცალარიაში არის
დამწყვდეული.

ზარ. რა ფაიდაა!.. ეყოლებათ რამდენსამე დღეს და-
ჭრილი... დახარჯავს და გამოუშებენ...

მოურ. მეც ასე მგონია, ბატონი... რაც დაიკირეს, მას
აქეთია ყოველს ლამეს იმისი და რომ გახლავსთ,
ნინო, სმალაძის ქვრივი, ურიდლათ დაიარება ძმას-
თან; და ის დედაკაცი ისეთი მარჯვეა, ჩვენებასა
და მოწმებს ისე გამოაწყოს, რომ ველარაფერს ვერ
შეეუკალთ! ძალიან მოხერხებული ქალია!..

ზაქ. მამასახლისი რალაში უკურებს, აკაზაკთან რომ და-
დიან და თათბირობენ?..

მოურ. მამასახლისა გონია, ალპათ, თქვენ ვერ შეუტ-
ყობთ და იმას კი იმადლიერებს...

ზაქ. მადლობა ღმერთს, რა დროს მოვესწარი!.. ვი-
ღაცა გაფცევნილი აზნაურიშვილი, რომ ჩემს მა-
მულში მიხდებოდეს, კაცებს მიკლავდეს და მე
„საპრისტავოთა“ და სამამასახლისოთ მქონდეს საქმე
გამხდარი?....

მოურ. რა გაეწყობა, ბატონო, „დრონი მეფებენო“
ნათქვამია... მე ასე მკონია, პირდაპირ „სუდ-
ში“ უნდა შევიტანოთ არძა „უფლების დარღვე-
ვაზედ“.

ზაქ. ღმერთმა შენც შევარცხვინოს და... შენი არძა...
სანამ პირში სული მიდგას, მე არავის არ ვუზივ-
ლებ; აქეთ ვაჩივლებ სხვებს ჩემხედ!.. არა! რო-
გორ გულზე არ გასკდება კაცი!.. მე ზაქარია
ლომიძე უნდა შევეკედრო მართებლობას: მიშვე-
ლეთ, ვიღაცა ბიჭმა ამაოხრა, კაცები დამიხოცა,
მიმადლეთ თქვენს ღმერთს, დამიფარეთ მეთქი...
კარგი დრო დალგა, კარგი, თქვენმა მზემ!.. (ხარ-
ხარებს გესლიანასა).

მოურ. ძალიან გაკვირვებული ვარ, თქვენი რისხვა ნუ
მომეცემა, როვორ გაპედა სარდიონმა ამისთანა
საქმე... არ გავდა ურიგო ბიჭს... „კამბეჭის მარ-
ქენალ ხარს რქები არ შერჩებაო“, ნათქვამია. მა-
გრამ მე აქ სხვა რამესა ვფიქრობ.

ზაქ. აპა, რასა, სთქვი!..

მოურ. ეს სულ ტიმოთეს მოხერხებული უნდა იყოს...
მართალია, მე იმ გლეხის კმაყოფილი არა ვარ—

ჩემი შვილისათვის ქალი ვთხოვე და უარი მითხ-
რა—მაგრამ, მაშინ თქვენს ღალატში გავერიო,
რომ მტროპით რამე მოგახსენო...

ზაქ. განა არ ვიცი!.. მერე?

მოურ. იმას მოგახსენებ, რომ ეს ამბავი სულ ტიმო-
თეს ბრალია... სარდიონი უიმისოთ ლუკუმას არ
ჩაიდებს პირში—მამასავით შესცემერის და ყოველ-
თვის იმას ეკითხება... ამპოპენ: იმისი ქალის შერ-
თვა უნდა და მამაც თანაბმა არისო, ამიტომ მო-
გახსენე, რომ აქ იმ ბებერი ტურის ოინი რამ
უნდა იყოს მეთქი.

ზაქ. ვიცი, ჩემთ თეთორე, რა ერთგულიც არის ტი-
მოთე ჩემი! მაგრამ, რას იზამ ამ წყეულს დროში?..

მო. დიდი ხანია, ბატონი, მინდოდა მომებსენებია თქვენ-
თვის, რომ ის გლეხი ერთობ თავგასული გაბლავს...
სულ რომ არა ვიყო რა, მაინც თქვენი მოურავი
გახლავარ, და რომ შემხვდება საყდარზე, ან საცა
კი ხალხია—ისე მექუევა, თითქოს იმის ტოლი
ვიყო, სულ არაფრათ არ მაგდებს... ძალიან ცუდ
დროს შევესწარით, თქვენი რისხვა არა მაქვს...

ზაქ. რაც დრო უნდა იყოს, მე ჩემს აგდებას არ მო-
ვითმენ!.. ვნახოთ აბა!..

მოურ. ახლა, ბატონი, გიტრახევნ. თქვენი შვილი
აგერ ორი კვირაა იმისას სტუმრათ არის და ისე
ემახურება თურმე, მეფეს ეკადრება... ახლა რომ
თქვენ იმ გლეხის შესახებ რამე ცუდი ინებოთ,
არ ივარგებს...

ზაქ. (ჩაფიქრდება) მართალს ამბობ, მოურავო... ვიცი,
ვიცი რაცაც მოახწავებს ეგ სამსახური და ერთ-
გულება... უთუოთ ტიმოთე ასე ფიჭრობს: „დიდი

ბატონი მოხუცდა და აწ ახალგაზდა ბატონს შევაყვარებ თავსაო“, მაგრამ, თუ მამი՞ემის შვილი ვარ, დავანანებ ბედს... მე ჯერ კიდევ ცოცხალი ვარ!..

მოურ. ერთობ თავგასულია. ბატონო, ერთობ!.. აბა ვინ გაასწორა მთა და ბარი!.. ორმ მიბძანდე, თქვენ ნუ მომიკვდები, ისე დაგიხვდება, ორობრი პირველი ოჯახის თავადისშვილი: ჩაი, დანა-ჩანგალი, კიქა-აინი, სახლის მორთულობა და მასთან უკვი და წმინდა სუფრა... ერთის სიტყვით, სავანგებოთ გაგიმასპინძლდებათ.

ზაქ. მერე რა ცუდია? ჩემი გლეხი ორმ შექლებული იყოს, ჩემთვის ეს სასიამოვნო არის, საქებიცა და თავმოსაწონებელიც... მაგრამ, ვნახოთ, თუ ჩემის რისხვისაგან დაიფარავს ტიმოთეს მისი სიმღიდრე. მე, ღალატს არავის არ შევარჩენ...

მოურ. რაღაც მინდა მოგახსენო ბატონო, მაგრამ მეშინია არ გამიწყრეთ...

ზაქ. სთქვი, რათ გავიწყრები!

მოურ. მოგახსენებენ, ვარდენს ტიმოთეს ქალი შეუყვარდა და ისე შემოაცვის ბადე, ორმ... შეიძლება კიდევ შეირთოსო.

ზაქ. რას ბრანდავ, სად გოვოს შეუვარება და სად ცოლათ შერთვა, რა სათქმელია?!.. მე სულაც არ ვუშლი... რა ცუდია, ყმაწვილმა კაცმა ცოტას ხანს თავი შეიტკიოს... მაგრამ ტიმოთეს კი დაესხა თავს ლაფი, ორმ თავის ოჯახი შეუვალი ციხე ეჭონა და იტყოდა ხშირათ: „ჩემი სახლი უდაბნო არის; ზოგიერთი თავადიშვილის ოჯახივით როდია არეული და წამხდარიო!..“ შეიტუოს ახლა

რა უდაბნოც ყოფილა... მე, ეს ამბავი კაი ხანია
ვიცოდი, რომ ვარდენს ტიმოთეს ქალი უყვარდა,
მაგრამ რას დავუდევდი!..

მოშრ. არაფერს, ბატონო, ისე მოვახსენეთ, ტყუილათ.

გამოსვლა მოოჩი.

(შემთხვის ვარდენ და ნიუსტონ. ვარდენ შადის და შო-
ებება შაშას):

ზაქ. მადლობა ლმერთს, შეილო, რომ მოიფიქრე სახ-
ლში დაბრუნება! ნესტორს გაუმარჯოს!

ვარ. როგორ ბძანდებით, ბატონო მამა ჩემო?.. (თე-
ღორეს სადამს აძლევეს).

ზაქ. ვარ, შეილო, როგორც შეეფერება ჩემს ხანს...
მოხუცდა ზაქარია ლომიძე და ცოველი კაცი მე
მებალება, მამულს მართმეს.

მარ. როგორ შეიძლება?.. ვინ გაბედავს, ბატონო!..
მე არაფერი შემიტყვია.

ზაქ. კიდეც გაბედეს და კიდეც შეიძლეს, შეილო...
მაგრამ ესეები შენი საქმე არ არის... როდესაც
ოჯახში ჩადგები, უსიამოვნება მაშინაც გეყოფა!
ახლა მიამჰეთ, როგორ წაატარეთ დრო? როგორ
ინადირეთ?

ვარ. ჩინებულათ, უკეთესი ალარ შეიძლება...

ნეს. ისეთი ხოხბობა გვჭონდა, თქვენ ნუ მომიკვდე-
ბით, რომ ბევრჯერ ვინატრეთ: ნეტავი ბატონი
აქლა აქ ბძანდებოდეს მეთქი...

ზაქ. მისპინძლელი ხომ კარგი გყავდათ, კარგათ გემსა-
ხურავ?

ვარ. ძალიან რიგშანი და შეძლებული ოჯახის კაცი ყოფილა... ვერ წარმოვიდგენდი, თუ ჩვენებური გლეხისას. ისეთი წესი: სიწმინდე და სიუხვე იქნებოდა...

ზაქ. კარგია ნადირობაცა და თავის შექცევაც, მაგრამ ახლა შენ ვაჟყაცი ხარ, დროა მომავალს შენს ცხოვრებაზედაც იფიქრო... სამი დღე გავატერეთ თავადის ნიკოლოზის მოციქული. მწერდა: „თუ გავათავებთ საქმეს, ბარემ მოერტეთ ამ აღეპამდის, თორემ ჩემი ქალის მთხოვნელი მრავალი მყავს და აღარ დავაყოვნებო“... ხომ იცი, შეიღო, როგორი სამოყერო კაციც არის ნიკოლოზი!? სხვა რომ არა იყოს რა, ხუთასი ქცევა სახნავი მიწა აქვს მის ქალს მჩითევი... ახლანდელს ჩვენს მდგომარეობაში, როდესაც არ ვიცით, როდის გაგდიციდის ბანკი ყოველისფერს, რაც გაგვაჩნია, დამიჯერე, ძალიან საჭიროა ეს ქორწინება! აბა, იფიქრე, შვილო...

ვარ. მამა ჩემო, მაგაზედ ახლა ლაპარაკი არ შემიღლია... ნესტორი ჩემი მევობარია და ეს მოგახსენებს ყოველივეს (გადის).

ზაქ. ეს რაღა ახალი ამბავია! ჩემი შვილი თითონ ვერ მეუბნება, რაც სათქმელი აქვს და მოციქული დასკირდა ჩემთან?! რა არის, ნესტორ?! (ნეკროს მიისულავს შოურავისაკენ). მოურავო, დაგვაცადე... (შოურავი გადის).

ვესტ. მე კარგათ მესმის, რა ძნელი და უჩვეულო საქმეც არის, რაც მინდა მოგახსენოთ, მაგრამ თქვენის ოჯახის ერთგულება მაპედვსნებს...

ზაჲ. (გააწევეტინების). რა საჭიროა ეს წინასიტყვაობა? რაშია საჭმე?

ნესტ. ვკურდალვი მოგახსენოთ, მაგრამ რადგანაც საჭმე იქამდის არის მისული, რომ მობრუნება აღარ შეიძლება, ამისათვის გაებედავ თქმას: თქვენი შეკლი ვარდენი გთხოვთ, ნერა უბოძოთ, რომ ცოლი შეირთო!...

ზაჲ. მერე მაგას მექოდიშები, კმაწვილო?! ჩემი სურვილიც ეს არის. მადლობა ღმერთს, რომ გონზედ მოსულა; აქლავე შევატყობინებ თავადს ნიკოლოზს და ვთხოვ ქორწილის დღეც მალე დანიშნოს.

ნესტ. არა, ბატონი, ვარდენი ნიკოლოზის ქალს არ შეირთავს, მე ვიცი...

ზაჲ. რატომ?

ნესტ. იმისთვის, რომ თქვენს შეილს სხვა ქალი უყვარს და გთხოვსთ ნება უბოძოთ: ჯვარი დაიწეროს...

ზაჲ. მერე ვინ არის ჩემის ოჯახის შესაფერი სასძლო, მიბანეთ...

ნესტ. (გაუჭირდება) ვარდენი გთხოვსთ, ნება უბოძოთ ტიმოთეს ქალი შეირთოს...

ზაჲ. (გაოცებით) ვერ გავიგე კარგათ... ვინ მთხოვს?.. ჩემი შვილი... მერე ვისი ქალის შერთვა ნებავს... ჩემს შვილს?

ნესტ. ტიმოთე რომ გახლავსთ, შალვაძე, იმის ქალი ნინო უნდა...

ზაჲ. ჩემი დროებით ვალდებული გლეხის ქალი სურს ჩემს შვილს შეირთოს ცოლათ?.. საუცხოვო ამბავია, თქვენმა მჩემ, საუცხოვო. ტუტუშება გერლიანი

სიცილი.) ეს რაღა უშედურება მოვლინა ჩემს
ოჯახს! არა, ერთი მიბანეთ, როდესაც
ჩემი შეილი გავალებდათ მაგ მოკიტულობას, სრულ
ჰყუაზედ იყო?.. არა, არ მჯერა, რომ ვარდენს
მაგნაირი სიპრიყუ შემოეთვალოს!..

ცესტ. რაც მოგახსენეთ, ბატონო, მეტწმუნეთ, ყოვე-
ლიცე ნამდვილია და, არა მგონია ამისი დაშლა
შეიძლებოდეს, გადაწყვეტილი აქვს...

ზაქ. შეუძლებელი რა ჭირი, ყმაწვილო! რამდენს
ქალს ყმაწვილი კაცი გაეცუმრება, განა ყველა
უნდა შეირთოს?

ცეს. აღბათ თქვენს შეილს რაიმე მოვალეობა აწევა
სინიდისის წინაშე...

ზაქ. მერე, შენ როგორ მოგწონს ეს საქმე?

ცეს. მოწონებით არც მე მომწონს, მაგრამ რა გაეწ-
ყობა!..

ზაქ. ისა რომ, სანამ ცოცხალი ვარ და ზაქარია ლო-
მიძეს მექაჩიან, ჩემ რალად, ჩემისაც გლეხის ქალს
არ მოვიყვან!.. ვნახოთ, აბა, როგორ შეირთოს...
აი, ახლანდელი განათლება, თავისუფლება და თა-
ნაბაშორობა, როგორცა სწერენ გაზეთებში... აი,
შედევი ამ საქებურის თავისუფლებისა და თანა-
სწორობისა... ტიმოთეს ქალი უნდა გახდეს ჩემის
ოჯახის პატრონათ და ბატონაზ!.. ღმერთმა შე-
არცხვინოს ამნაირი განათლებაცა და ამნაირი
დროც... ვიფიტრებდი განა ოდესმე, რომ ამ დღეს
მოვესწრებოდი! ამ, ღმერთო, ღმერთო, რა და-
გიშავე!

ცეს. დამშვიდდით ბატონო... გაიხსენეთ, რომ თქვენც
ყოფილხართ ყმაწვილი, თქვენც გყვარებიათ ქალი

და, უთუოთ, იმ წამს ყოველივეს შესწირვედით
სიცვარულს... განა არ მოგეხსენებათ, რომ შეკ-
ვარებული ადამიანი და დამთკრალი—ორივე ერ-
თია. ძალით ვერაფერს გააწყო? კაცი, ისევ სჯო-
ბია დამშვიდდეთ და გულდაწყნარებული განსპ-
ავოთ... რომ მობრუნება შეიძლებოდეს ამ საქმისა
არც მე გირჩევთ დაეთანხმოთ, მაგრამ ვარდენი
გაშმაგებულია იმ ქალის სიყვარულით... ამასთან,
ერთიც უნდა შოგახსენოთ—ოღონდ გლეხის ჭა-
ლია, თორემ უკეთეს გასითხვაორ ქალს ახლა მე
არ ვხედავ. დარწმუნდით, ყოველისუერ სიკეთეს
დაიშვენებს და მოუხდება კიდეცა...

ზაპ. (ეკირის) ხომ არ გაგიჟდი, ყმაწვილო! მართლა
გინდა დამაჯერო, რომ ნება მივცე ჩემს შეილს ამ
სამარტვინო ქორწინებისა, თუ როვორ არის შენი
საქმე! დღეს ყველანი გაგიჟდით... მომშორდი,
ბატონო, ამ ჩემ ოჯახში აღარ მაყენებთ, თუ რა
ამბავია!.. მე უფრო ვიცი, რა სჯობიაჩემთვის და
ჩემის ოჯახისათვის... მგონია აქ მე ვარ ბატონი...
(ტარუქი შემოდას).

პარ. (აღელექისული) რა ამბავია, მამა' ემო? ამ კაცს რას
ერთი? თუ რაზე გნებავს, მე მიბძანე!..

ზაპ. (შეაცროთ). მაშ ეს მართალია, რომ შენ ტიმოჟე
ქალი გინდა შეირთო?

პარ. დიალ, ბატონო, ეს ჩემი გადაწყვეტილი ახრია.

ზაპ. (მოდბება). მერე, ყმაწვილო, თუ ცოლის შერთვა
გინდოდა, უკეთესი ვერავინ მონახე, რომ შენი
გლეხის ქალს არ გადაკიდებოდი! ვინ არის, რომ
ჩემს შეილს ქალს დაუშერდა!.. აი, თავადი ნიკო-
ლოზ, თითონ მეხვეწება, დამიმოყერდიო და მთე-

ლი თავისი ქონება უნდა გადასცეს თავის ქალს
აქლავე. რატომ იმ ქალს არ ირთავ?

ვარ. იმისთვის, ბატონო, რომ ის ქალი მე არ მიყ-
ვარს!..

ზაჲ. რა ვიცი, ძალიან კი ეტრფიალებოდი, აქ რომ
გამოიარეს, ამას წინეთ და...

ვარდენ. გაიგე, მამაქემო, რომ ის ტრფიალება სხვა
იყო, და ეს სულ სხვა გრძენბაა...

ზაჲ. კი, მაგრამ, მამაშენი რომ არ დაკეთანხმოს, მა-
შინ რას ინებებ? კაი სუმრობაა, თუ ფიტრობ, ვი-
ღოც გოგო მოგაყვანინო აქ, ჩემს ძველს ოჯახში
და ოძლიათ დაგასმევინო?! (გამოიცვლის კილოს,
ტებიდათ). ვარდენ, შვილო! ნუ თუ მამაშენი, რო-
მელმაც შენ შემოუწირა თავის სიყმაწვილე, აღა-
რასფერი არ გაუვა შენთან?.. არ მჯერა, შვილო,
ასე მომიტულო და სამარცვინო ცოლ-ქმრიბაზე
გასცვალო მამიშენის პატივისცემა და სიყვარუ-
ლი... არა, არ მჯერა... შენ ყოველთუის კარგი
შვილი იყავი...

ვარ. დავანებოთ თავი, მამაზემო, ამაზედ ლაპარაკის: ვინ
არის ჩეენში მართალი—თქვენ, თუ მე? იქნება
თქვენ მართალიც იყოთ, იქნება ცუდს საქმესა
ვშერებოდე, მაგრამ, გაიგეთ, არ შემიტია სხვა-
ნაირად მოვიწცე... .

ზაჲ. რატომ, შვილო?

ვარ. იმიტომ, რომ მიყვარს!..

ზაჲ. მერე, შენ გგონია ეს სიყვარული დიდხანს გაგ-
ყვება? ნუ თუ წუთიერს გულის-თქმას და მორე-
ულს ვნებათა-ლელვას უნდა შესწირო შენი მო-
მავალი, შენი ოჯახისა და მამის სახელი!

- ვარ. ვთქვათ, რაცა ბძანეთ, სწორეთ ასეა. მერე, განა
თქვენ გვინდით, რომ ჩემს ცოლს თქვენ საპატ-
რონოთ მოვიყვან და მით დაკირდევთ თქვენის
ოჯახის მყუდროებას? დამშვიდდით, ბატონო, მე
თუ ცოლს შევირთავ, ბინასაც ვიშოვი...
- ზაქ. მაშ გათავებულია?!.. არ გინდა შეიბრალო შენი
მოხუცებული მამა! გინდა უკანასკნელი დღე გა-
მიშვარო და შემარცხევინო!!.
- ვარ. რა ვქნა, მამა, გვიან არის...
- ზაქ. (უკრაო გამოიცველის ჭიდოლი) რადგანაც ასეა, მაშ
კარგი!.. შეიტყე, რომ შენი საცოლო უუდი ყო-
ფაქცევის ქალია... რომ დაკირცხებოდი, უთუოთ
შეამნევდი. არ მინდოდა მეთქა, ყმაწვილი ხარ,
შეგაწუხებს, მაგრამ რა ვქნა!
- ვარ. (ალექსეიბული). რას ბძანებ, მამაჩემო! როგორ გე-
კადრება ასეთი უშსავსო ჟორის მოგონება?!?
- ზაქ. დარწმუნდი, არ გეტყოდი უსაბუთოთ, ვიცი არ
დამიჯერებ...
- ვარ. საბუთი?!?
- ზაქ. დიალ, საბუთი... საბუთი... ვითომ, რა ძალიან
გაგიკირდა ქალისაგან ლალატი!..
- ვარ. არა, ეს შეუძლებელია, საძაგელი ცილისწამებაა,
უკადრისი და უაზრო!..
- ზაქ. (გულმრთელავით). გნებავს, დაგიმტკიცო?
- ვარ. არა თუ მნებავს — ვთხოულობ!..
- ზაქ. მაშ დამაცადე რამდენიმე დღე და თითონ დაი-
ნახავ, როგორ თვალ-აბმული ხარ?
- ვარ. (სასაწარმეტეთი). მოდი ახლა და გა'ძელ ამის-
თანა ხახლში! (გადადეს და ნესტორ გადიას).
- ზაქ. ბიჭო! (შემთდის ბიჭი) მარინეს დამიძახე, აქ მო-

ვიდეს!.. (ბიჭი გადის) არ, პლანდელი განათლებული კაცები... ჰეი, ჰეი! როგორ უკუღმა დატრიალდა ჩემი განზრახვა და იმედები!.. ვფიქრობი, ჩემს ვარდენს მდიდარს ქალს შევრთავ, ვალებს გადავიხდი, ოჯახს და სახლ-კარს გავამშვენიერებ, ისე რომ მტერს თვალი დაუდგეს მეთქი... და ამე-ების მაგიერად, ჩემი იმედი ვაჟი-შვილი ნებასა მოხვეს, რომ გლეხის ქილი შეირთოს ცოლით!.. ახ! ახ!.. მაგრამ ჯერ კიდევ არ არის გვიან... თუ ეს ეშმაქი დედა-კაცი მარინე ჩემსკენ იქნა, ისეთ ხაფანგს მოკუწყობ, ვარდენისთანა ყმაწვილი კი არა, უფრო გამოცდილი კაციც გაებას!.. (შემო-დის შარისე) შენ, ქალპატონო, ჩემი ოჯახის ღალა-ტში შედიარ?! ამდენს ხანს იმისთვის გააჩერეთ ჩემი შვილი თქვენსა, რომ შენი ძმის-წული გაგე-რიგებინა ცოლათ?!.. შენ კი წინ და წინ ამო-ბპანდი, ვითომ და მე არაფერს შუაში ვარო!..

შპრ. (გათცებით). რას ბძანებთ, ბატონო! ვინ მოვახსენა მაგისთანა ახირებული ამბავი! სად თქვენი შვილი — სად ჩემი ძმისწული, რა სათქმელია?..

ზპრ. არა, მე უერ გამაცურებ, ეს შენი და შენი ეშმა-კი ძმის მოხერხებულია... თქვენი მანქანებაა, კულიანო!.. მაგრამ გაფრთხილებ, მარინე! მე რომ გული მომივა, ცუდია, ძალიან ცუდი! იმ შენი ძმის ნამოსახლეზედ ტურებს დავაწყებინებ ჩხავილს და თითონ ბატონს ტიმოთეს ციმპირში ამოვა-კოფინებ თავს!.. ღმერთო კი მომკალი! როგორ გამიპედეთ, როგორ ამიგდეთ ასე მასხარათ?!.. გა-ვენებთ თქვენ სეირს, თუ მამიქემის შვილი ვარ! შპრ. თუნდა მომელათ, ბატონო, მაინც ვერ დაიგე-რებ, რომ ეს მართალი იყოს... .

- ზაქ. გაგიუღი, დედაკაცო, თუ? თითონ ვარდენმა მითხრა ყოველისფერი თავის პირით... არც ასლა გჯერა?!.. -ტიმოთეს ქალი ნინო უნდა შევირთო, უთუოთ, და ნება მომეციო". გესმის?..
- შარ. ასე მგონია, თქვენი რისხვა ნუ მომეცეშა; სიზმარში ვიყო... .
- ზაქ. (გაშოაცვლის სმას და უფრთ ფირბიერათ.) მარინე, ერთხელ შენ ჩემი ოჯახის ერთგული იყავი... .
- შარ. ასლაც ისე ვარ ამ სულს ვფიცავ. (შიძებს აჭთათს ტუჩებზედ). .
- ზაქ. მაშ, თუ მართალს მეუბნები, დამიმტკიცე საქ- მით.
- შარ. მიბძანე, ბატონო... .
- ზაქ. იცოდე კი, ერთი ნამცეცი ლალატი და სიცორტე რომ შეგამჩნიო, არც შენს სამსახურს გავიხსენებ და, არც შენს წლოვანებას! იმ შენს დიდებულს ოჯახს და სახლ-კარს ერთიანათ დავანგრევ და დავძუგავ. ხოლო შენ... სამათხოვროთ გაგაგლებ გარეთ და ეთრიე ხოფელ-ხოფელ! ეს ტყუილი მუქარა არ გეგონოს. მე ერთი შვილი მყავს და იმის ბედნიერებისათვის არავის არ დავზოგავ!..
- შარ. (შეშინებული.) რა ვქნა მე ბედშავმა! რა წყალში ჩავარდე! თუ მიბრძანებ იმ უბედურ გოგოს კაში ჩავაგლებ... თქვენს ოჯახს შემოევლოს ჩემი თავიცა და ჩემიანებისაცა.
- ზაქ. აბა, იფიქრე, მარინე, ჰქუიანი დედაკაცი ხარ, თუ ემსგავსება რასმეს ჩემი და ტიმოთეს დამოყვრება?!. .
- შარ. რა სათქმელია, ბატონო... .
- ზაქ. მაშ ასლავე წალი შინ და ისე მოაწყვე საქმე, რომ

სარდიონი ზეგ უთუროთ ნახოს იმისმა დამ ნინომ...
ნონი ქვია ხომ სარდიონის დას?

მარ. (გაოცებული.) დიალ, ბატონი... გიახლები... მარა...

ზაჲ. (შიაჭვირების). მარა, რა! ახლავე გაიხარე
განა?!

მარ. გიახლები მეთქი, მოგახსენე, მარა არ მესმის, რა
საჭიროა!..

ზაჲ. რა საჭირო არის — ეს ჩემი საქმეა!..

მარ. ვეცდები, ბატონი, გავგზავნო...

ზაჲ. ეცდები რომელია! უთუოთ ზეგ-ლამ სარდიონის
დამ ნახოს თავისი დატუსაღებული ძმა... შენ თუ
მოინდომებ, რა იქნება, რომ არ მოახერხო!..

მარ. კარგი, ბატონი, გავგზავნი...

ზაჲ. მაგას გარდა, შენის ძმის-წულის ცხენითა დაუნა
გრით უნდა წავიდეს სარდიონის და, გესმის?

მარ. გავიგე, ბატონი!..

ზაჲ. მაშ ახლა წადი და სიტყვა არავისთან წამოგცდეს!
გესმის? თორემ ურა ცხენის კუდზე მიგაბამ და
ისე დავაფულეთინებ შენს თავს. (შარინე კადის).
თუმცა ამას „ნემსით კვლა ქვია“, მაგრამ შენ ხე-
დავ, მამაო ზეციერო, რომ შვილის სიყვარული-
სათვის ჩავდივარ ამ ცოდვას (ადიშერობს ხელს.) შე-
მინდე უფალო, ყოველთა მოწყალეო!.. მაკრამ...
როგორ მომილბა გული!.. ოლონდ ჩემი ოჯახი
კი გადავარჩინო ამ შეურაცხოფას და ყოველის-
ფერი მეპატივება!.. მაშ ვნახოთ ახლა, ჩემო ძვირ-
ფასო შვილო, როგორ გამოგადგება მამიშენის
ურჩობა!

მოძალურა მისამა.

გამოსავლა შერტყელი.

სცენა წარმოადგენს სოფლის კანცელარიას, რომელსაც გაქვდი
აიგანი აქვთ. წინ ეზოა, აქა-იქ ჩეუბი. ცოტა მარცხითა დიდი
ცატხეა, ამ ხეს სმოვარებია ნესტორ და შოურავი. კანცელა-
რის საპატიორო თოხია აქვს რგინის სარკმლებიანია; აიგანზე
ზის ნაბეჭდისა დარჩევი თოვითა და სოფლებში, მთვარიანი დამწა.

გარდენ (შემოდის)

356. აი სანამდის მიმიკანა გულში ჩაწვეთებულმა
იქცემა. რას დავეძებ და რა მინდა შევიტყო? ნინო,
ეს სინათლე ჩემის სულისა, ეს კეშმარიტი უმან-
კოება „გლალატობსო“, მიბანა მამა-ჩემმა და შეც
მოვსულვარ, რომ ჩემის თვალით ვნახო ეს ლა-
ლატი. ღმერთო, რა სიმდაბლემდის დავეცი და
რას ჩავდივარ! მე, რომელსაც გუშინ ნინოზედ
უკეთესი არა გამაჩნდა რა, რომლის სიყვარული
მასულებელებდა და ზეცას ავყავდი ნეტარებით,
ახლა მოვსულვარ მზვერავათ. და სხივს მართლი-
სას დავეძებ ამ წყვდიადში! საპრალო ქალო! შეპ-
ლალულო და შეგინებულო! ტყუილი კი არ უთ-
ქვამს ინგლისის დიდებულ პოეტს ქალზედ:
„თველზედ სპეტაკი რომ იყო და ყინულზედ გულ-
ციპი, ცილის წამებას მაინც ვერ ასცდებიო“. მხო-
ლით აქლა ვგრძნობ რამდენათ მართალია ეს

სიტყვები... მაგრამ დავიცადოთ, საცაა გამოაშვა-
რავდება ყოველივე...

306. მოურავო, ძალიან დაივიანა იმ ქალმა; იქნება
ამაღამ არც კი მოვიდეს? დარწმუნებული ხარ,
რომ ბეჯითათ დადის ტიმოთეს ქალი სარდიონ-
თან?

307. ურავი. (მოდის ამათიან). რასა ბძანებ! განდა რომ
ბეჯითათ არა სცოლნოდა ბატონს ზაქარიას, ამ
სიშორებები ტყუილათ გამოგვეგზავნიდა?

308. არა! არ მჯერა, არა, რომ ნინო მე მღალატობ-
დეს!..

309. ღმერთმა ქმნას, რომ ტყუილი გამოდგეს, მაგრამ
ამაღამ რომ ვერა ვნახოთ-რა, ამას იკმარებ?

310. სრულიათ... და დაკრწმუნდები, რომ თითონ მე
ვყოფილვარ საზიზარი, რადგან ასეთი იჭვი შე;
მეპარა გულს...

311. და ეგ არის ძნელი, რომ იჭვი დაგბალებია და
რაკი ერთხელ ფეხი მოიდგა ამ გრძნობაშ შენს
გულში, ძალიან ძნელია მისი ამოფხვრა. რაც უნ-
და ძალა დაატანო თავს, ის მაინც თავისას არ
იშლის და კიასავით ხრავს ადამიანის გულს! მე ეს
ცეცხლი გამომიცდია და ვიცი რაც არის შეყვა-
რებულის იკვიანობა! (ამ დროს საჭარიმრის კარები
გააღება და გამოჩენდება სარდაონ),

312. სსუ! რაღაცა ამბავია!..

313. (ერთხსნის ჩუმავ იხედვება გარეთ, რკინებზედ ხელჩავდე-
ბული, შემდეგ დააწეუს სევდიანას დიღისს: „ჩემთ თა-
ვთ ბედი არ გაწერია“-ს. სიძღვრას შემდეგ დააძინები):
გაბრიელ, გაბრიელ!

გაბრიელ (უცნავ გამოედვიძება) რა გნებავს.

- სარ. რას შერები, კაცო, გძინავს! ცხ
- გაბ. აბა, რა გავაკეთო?
- სარ. შენისთანა დარაჯს კი რა უთხრა! ბიჭო, რომ
გავიტცე? ას
- გაბ. გაქცევა რას გიშველის, თორემ მე არ გაკაცებ!
- სარ. ამბავი ხომ არა გაგიგია რა, გაბრიელ?
- გაბ. რა ამპავი?
- სარ. გამომძიებელი თუ ჩამოსულა?
- გაბ. დიალ, ჩამოსულა და ჩეუნებაც ჩამოურთმევია, და-
კრილისათვის.
- სარ. მერე, რა უთქვამს, თუ შეიტყე? ცხენ
- გაბ. აბა, კარგს რას ეტკოდა ის კაცი, რომელსაც
თოფი ესროლე და დასჭრიო!
- სარ. ღმერთი ხომ მოწამეა, ზრალი არა მაქვს... ვუძა-
ხე: „დამეთხოვე, აღამიანო, შენთან რა საქმე მაცვს,
თავს ნუ შემაკლავ“ მეთქი! არა გამოციდა რა!
დავასწარ, თორემ ბეჯითათ მომკლავდა.
- გაბ. ექიმს უთქვამს: საშიშარი არა აქვს რაო... ბატონ
კნიაზს წერილი გაუგზავნია გამომძიებელისათვის.
- სარ. რის თაობაზედ?
- გაბ. შენზედა სწერს თურმე: „თუ სარდიონ კლდია-
შვილი თავდებით გამოუშვი, მთავრობასთან ავა-
ლო და მაშინ—ან შენ იქნები და ან მეო! მაგას
გარდა ტიმოთეს დამუქრებია, თუ თავდებათ დაუ-
დექი სარდიონსო.
- სარ. ძალიან ვაუკაცობაა მე შენ გითხრა, ჩემი მორევა
იმისთანა კაცისაგან... ეჭ, ძალლი კი ჩააკვედა ამის-
თანა სიცოკხლეს!.. ბარემ მოკეცალი იმ ოჯახ-
დაქცეულს!..

გაბ. (გააზმორებს) ეჭ, ეჭ, ეჭ, რა ვქნათ, ბატონო, ასეა
ეს სოფელი: დიდი პატარას ერევა! მოდი ერთი
დუქანში შევიდე...

სარ. მერე რისა გეშინია, წადი. მართლა ხომ არა
გგონია, რომ გავიკეცევი.

გაბ. არა, მეშინია მამასახლისმა არ მომასწროს და ხა
თაბალა არამ არ ამიტებოს, დარაჯობას თავი რათ
დიანებელ?!.

სარ. დარდი ნუ გაქვს, წადი, მე გავცემ პასუხს მამა:
სახლისს, მე და ის მოვრიგდებით.

გაბ. მაშ წავალ... თუ მოვიდეს შენ იყი... მალე დავ:
ბრუნდები... (გადის. სარდიონ დაიწუებს „ჩემთ თავთ
ბეჭი არ გიწერას“-ს; ამ დროს შემოვლენ აივანზედ
შამასახლისა და სარდიონისა და ნანთ.- ვარდენს გამო-
სვდა უნდა, მაგრამ სესტორი და მოურავი არ უშ-
ვებენ).

ნეს. თუ აქეარდი ვეღარაფერს ვერ შევიტყობთ...

მოურ. ბატონო, ცოტა მოთმინება იქონიეთ და მალე
დარწმუნდებით, რომ მამათქვენის ნათქვამი მარ-
თალია...

გამოსვლა მოორი.

სარდიონ, მამასახლისი და ნანთ.

სარ. (დაციქლდება და იცნობს დას) ნინო! ნინო ხარ შენ!
ოჭ, შენ კი გენაცვალოს შენი სარდიონ! რა კარგ
დროს მოხვედი!.. (შამასახლისი ადებს სეჭატიშრო
ქარებს. სარდიონ გამოდის, შიეგებება დას, გადაეხვევა).

მაგასახლისი. საუ! კაცო, ხომ არ ქავიუებულხარ, რა
გაყვირება! იცი რა მომელის, რომ შემიტყონ ეს
ამბავი? ციმბირს არ მაკმარებდნ! მაგრამ რაც იქ-
ნება, იქნეს! თქვენის საცოდვაობით გული მიკა-
დება. მაშ მალე მოილაპარაკეთ; მანამ მე დუ-
ქანში შევალ.

სარ. გმადლობ, ღმერთმა გადაგიხადოს მაგიერი ჰატი-
ვისცემა. თუ გადავრჩი, გემსახურები; იქ დუჭანში
გაბრიელ დაგხვდება და ნუ გაუწყრები, ეს-ეს არის
წავიდა.

მაგ. კარგი, არა უშავს... (გადის და სტოფებს და-შას
შარტო).

მოურ. ახლა ხომ თქენი თვალით ნახეთ, მაღლობა
ღმერთს!.. ჭალს, ბატონო, არაუერი არ დაეჭვ-
რება.

ხესტ. კმარა, თედორე, რაღა საციროა ამის ლაპარაკი,
განა გერა ვხედავთ, რაც ამბავია!..

ვარ. ვხედავ, ვხედავ, როვორ დაბრმავებული ვყო-
ფილვარ... გამიშვით, შევალ... ოჯ, ღმერთო,
რისთვის მომალწევინე დღემდის!.. მაშ ასე, ჩემო
ჭალბატონო, კარგი!.. (შიდის, ნესტორ და შოურავი
აჩერებენ).

ხეს. ვარდენ, შენი ჭირიმე, გონს მოდი, არ გეკაღრე-
ბა, რომ ვიღაც გოგოსა და ბიჭის გამო საქვეყნო
სკანდალი მოახდინო... დაანებე თავი, ამოირე-
ცხ მაგ გარყვნილ ჭალის სიღვარული გულიდგან.
წავიდეთ...

ვარ. არა, უნდა ვნახო, გამიშვით!..
(ხელ-ახლავ იჭრუნ).

၆၀၆. အလာရာ လိုက် သူ ဇာတ်ခြား၊ ဇာမိချော်ရှု! ဗျာမိ ရပါ၊
သာရုတွေ့နဲ့၊ ရုက္ခဏ် မိုဖွော်စာတဲ့ အာ ရာ ဤတွေ့ဖျော်ပြာ
သာရ ဖျော်၊ နှောဂါလွှေ... အဆုံး သူ ဒုကြား၊ ရုက္ခဏ်စာပြု
ပြုခြားပို့ ဖျို့ဝှက်သွေး အာ ဂာမြေသွေ့ကြတော်တော်. (မိုးလာနဲ့ စိုး
ဖွဲ့၊ ရုက္ခဏ်ပြု ဖြော်ခြားပို့ ဖျို့ဝှက်သွေး နောက်များ)
၆၀၇. ဘဝါး၊ ဒုက္ခဏ် သူ ပြုခြားပို့?
၆၀၈. ရုမြေတွေ မှုလွှာင်း ဂားလွှာသွေ့၊ ပားလွှာနှာ.
၆၀၉. မြောရ သူ ဖြုန်စွာ?.. သူ နာလိုင်း ဖြုန်အက်စွာ လာလာ?
ဒုက္ခဏ် မြောရသွားနော်?
၆၁၀. သူ၊ ပားလွှာနှာ၊ ရုမြေတွေ၏ နာလိုင်း ဂားလွှာသွေ့၊ နိုင်း၊
ဒုက္ခဏ် ဖြုန်အက်စွာ စာနာသွားသွား.
၆၁၁. အမိုင် မြောရတဲ့ အာ သူ ဖြုန်အက်စွာ?
၆၁၂. ရုက္ခဏ် အရာ၊ ပားလွှာနှာ၊ မြို့မြို့ရှာ လာလိုင်း.
၆၁၃. (အဖွဲ့ဝင်း မြို့မြို့ရှာ) အောင်၊ သူ အရာင် နာလိုင်း ဖြုန်အက်စွာ
လာ စိမာရတွေ့! အောင်၊ ရာ စာရှုံးနှုန်းလောင်း!.. အောင် ကို
နှောဂါလွှေ...

ဖွားလွှာ.

გამოსვლა შირველა.

გზაზედ დუქნია, ერთ სუფრაზედ ეწიაში სიკედან კარ-
ჯენ და ნეტორ).

606. ხაჯეირველია შენი საქმე, რა დაგემართა! ავათ
ხომ არა ხარ?

356. არა, როგორდაც ქეითზედ არა ვარ...

606. ქალაქში კარგათ იყავი?

356. უნდა გითხრა, ძალიან ცუდ გუნებაზეთ დავდე-
ჭი... ვგონებ, ნაცნობი ალაგები რომ დავინახე,
იმან მომავლნა წარსული დრო და დატდები ამე-
შალა...

606. როგორ არ გრცხვენია, რომ აღარ გაათავე ეს
ძველი ამბავი?.. აյი ამბობდი, სრულიათ მოვრ-
ჩიო!.. შე დალოცვილის შვილო, ამდენს ხანს კა-
ცი საყარელ ცოლს გამოიკლოვებდა, და შენ რა
დაგემართა, რომ ერთს სოფლის გოგოს გადაყევი!..

356. არც მე მინდა, მაკრამ რა ვწნა, რომ ვერ დავი-
ვიწყე; რომ ველარაფერი ვერ მოვუხერხე ამ ოხერ
გულს!.. შენ რა გვონია?! ამ ორ თვეს გიჟივით
რატომ ვქეითობდი? სწორეთ იმიტომ, რომ მინ-
დოდა თავი დავიწყებისთვის მიმეტა; მინდოდა ნი-
აღაგ ბურანში ვუოფილიყავ, თორემ რასა ჰგავდა
ჩემი კოფაცევა ამ ხანებში! დღე სადმე სარდა-
ფუში ან ბალში უნდა დავმოკრალვიყავით, მერე

უნდა ჩაკმისდარვიყავით „ფაეტონში“ და ვიუებივით გვეჭენებინა... საღამოს ძალზედ ნაღვინევები ან თეატრში შეცვინდებოდით, ან საღმე ნაცნობოჯახში... გალექებულნი, გამხეცებულნი... ყველანი სწუხდენ, უთუოთ ჩვენს ასეთს ყოფას და გვერიდებოდენ... შენ გვონია, ნესტორ, მე არ მესმოდა, რომ ასეთი ქცევა უკადრისი და უმსგავსო იყო?.. მაგრამ რას ვიზამდი!.. გეუბნები, მინდოდა დამევიშეა აოველიფერი... სხვებიცა და ჩემი თავიც... ასე რო არ მექნა, ბეჯითათ, ან მოვკუდებოდი, ან გავგიუდებოდი.

ნეს. კარგი. შენი ჭირიმე, ვარდენ, დაანებე მაგ წყეულ ამბავს თავი... აგერ შინ მივალთ, ცოტა შევისვენოთ და მერე სანადიროთ რომ დაგვპატიუეს, იქ წავიდეთ, ძალიან შეიქცევ თავს... ნადირობაც ჩინებული გვეჭნება და დროს გატარებაც... ამბობენ: იმ აქლო-მახლო სოფლებში მრავალი მშევნიერი ქალია, იქნება ღმერთმა ქნას, მოგეწონოს ვინმე... და შეგიყვარდეს კიდევცა.

ვარ. არა, ნესტორ, ჩემი სიყვარული გათავდა... ვათავდა სამუდამოთ. მე ახლა აღარც სიყვარული მჩრაშს და აღარც იმისი სიწმინდე... განა წარმოვიდგენდი ოდესებ, რომ ნინო მე მიღალატებდა და სხვაზედ გამცვლიდა!?. არა, მე და სარდიონი ამ ქვეყნათ ერთათ მაინც არ ვივარგებთ...

გამოსვლა მეორე

ქეშოდის მეჯუქნე და სარდიონ. ქარდიონ ტაიგლის ისე, თითქოს ეკრა ხედავს გარდენს, მიდის და შეორენს სუზედ ჭდება).

ვარ. (შემოუტება) ჰა, ესეც მობძანდა!

- ნეს. დამშვიდლი, ვარდენ, შენი ჭირიმე, რა შენი საქმეა
მაგას თავი გაუტოლო?!
- ვაჩ. არა, უნდა გამოველაპარაკო!
- ნეს. გეველრები, ვარდენ, თავი დაანებე, დაწყნარდი!
სხვა დროს, როდესაც გნებავს, რაც გინდა ისა
ქენ, ოლონდ ამ დუქანში არა შეგემთხვეს რა! შე-
ნი ოჯახის შეილი და დუქანში წეუბი, აპაიფიქრე,
რას ემსგავსება?..
- ვაჩ. კარგი, კარგი, მართოლს ამბობ... გავუძლოთ
ამასაც...
- საჩ. ბიჭი, შენ როდის გააღე ეს დუქანი? დაგწყვევ-
ლოს ღმერთმა, ხან სოფლის დარაჯი ხარ და ხან
პირველი სოვდაგარი!... შენსას კაცი უერაფერს
გაიგებს.
- მედუზებ. შენი დარაჯი რომ ვიყავი, მაშინაც მქონდა
დუქანი, მაგრამ სოფლის სამსახურის ჩიგმა მომი-
წიგი და იმიტომ გახლდი იქ. წელიწადში ორჯერ
შემხვდება ხოლმე და მაშინ მეტი ღონე არ
არის, დუქანში ჩემ მაგიერათ სხვა ვინმე უნდა
დაცტოვო.
- საჩ. ძალიან მაღლობელი ვარ შენი; შენ რომ არ
უაფილიყავ, ვგონებ, იმ საქმიდგან თავს ვერ და-
კისხნიდი.
- მედ. ჩემი კი არა, ჯერ ღვთისა და მერე შენის დის
მაღლობელი უნდა იყო. ძალიან მოხერხებული
ქალია ის შენი და, მე და ჩემმა ღმერთმა.
- საჩ. ეჭ, ჩემო გაბრიელ, ან კი რა არის ეს ჩემი გა-
დარენა და თავისუფლება!.. რა ჯანდაბათ მინდა?!.
ძალიან ცუდ ვარსკვლავზედა ვარ დაბადებული!

- შეს.** ცოტა რამ გამიგონია შენი ამბავი... ვიცი...
მართლა, როგორ არის ტიმოთეს ქალი, რას ამ-
ბობს ექიმი, გადარჩეპაო?
- სარ.** ძალიან უიმედოთ არის... ღმერთმა კითხოს ვისიც
ბრალია, იმის ასე დაღუპვა!.. (ვარდენ და წერო
უკრს დაუგდებენ).
- ნის.** ვინ არის, სარდიონ, ავათ, ბარემ ჩვენც გვითხა-
რი! ჩემთან მაინც რა სამდურავი გაქვს?
- სარ.** რას ბძანებთ, ვისთან რა სამდურავი უნდა მქონა-
დეს!.. ჩემთვის ხომ არავის არა დაუშავებია რა?!.
სხვას თუ რამ უბედურება შეამთხვიეს,—ეს ხომ
იმის ჭირისუფლის საქმეა!
- ვარ.** არ შეიძლება, ცმაწვილო, გვიამბო ეკ რაღაც
საიდუმლო ამჟავი?
- სარ.** რატომ არა, ბატონო... მოგახსენებ... მაგრამ
ძალიან საზარელი ამჟავი გახლავს...
- ვარ.** მერე, სოჭვი მაინც.
- სარ.** ვითომ, ვიფუირე უსიამოვნო ამბავია მეოქი...
მაგრამ ესეც კია, ჩვენ რა შეგვერება?! (შეაწერდება
გარდენი). ჩვენ ხომ... არავითარი მონაწილეობა არ
გავაქვს... ამ საქმეში და სინიდისი არ დაგეტან-
ჯავს?!
- ნის.** ეკ შენი ქარაგმით ლაპარავი არ გვესმის... პირ-
და პირ სოჭვი, კაცო! რა მოხდა ასეთი?
- სარ.** დიდი არაფერი... სულ უბრალო საქმეა: ჩვენს
ახლო ერთი გასათოვარი ქალი იყო, ეს ქალი
შეუყვარდა იმავე სოფლის აზნაურის შვილს იმ
წმინდა გრძნობით, რომელსაც მხოლოთ ანგელო-
ზი ჩაგონებს ადამიანს... საგულისმოც იყო, რომ
ეს ორი ახალ გაზღა ბედნიერნი იქნებოდენ

საუკუნოთ ერთმანეთის სიყვარულით, შეგრამ აქ
ერთმა მოულოდნელმა შემთხვევამ ჩაშალა საქმე...
ნის. სთკვი, სთკვი, საუცხოვო ამბავია.. (ფარდენი
სტენათ არის გადაქცეული).

სარ. დიალ, ამ აზნაურიშვილს იმედი ქონდა ეს ქალი
შეერთო, მაგრამ ამ დროს ერთი გარეწარი, ახალ-
გაზღდა თავიდისშვილი, განათლებული კაცი, შე-
უწინდა ქალს და მოსტაცა გული თუ არა იმ საბო-
რალოს, იმ წამსვე შეიძაგა და ჟურგი შეაქცია.

ვარ. ვიზედ ამბობ მაგას, უმაწვილო, არ მესმის...

სარ. ეს, ბატონო, სულ გარეშე ამბავია... ჩვენ ხომ
სინიდისი წმინდათა გვაძვს და თუ ვიმეს საძაგლო-
ბა რამ ჩაუდენია, ჩვენი რა საქმეა?!. ჩვენ რა
გვენალვლება...

ვარ. მერე, მერე...

სარ. დიალ, რომ დარწმუნდა აქლა კი ნამდვილათ
ცუკუარვარო, ადგა და მისწერა ქალს: „დღეის
ამას იქნეთ მე შენ აღარ მინდებარ, გარუცვნილი ხარ
და მღალატობო“... საბრალომაც, მიიღო თუ არა
ეს უნამურო ბარათი, იმ წამსვე მდინარისაკენ გა-
იქცა და წყალში გადავარდა, თავს ირობდა...
ძლიერ ცოცხალ-მკვდარი ამოიყვანეს, და ახლა ან-
თებით კვდება!.. უნდა მოგასენოთ, ჩემო ბატო-
ნო, რომ იმ ქალის დანაშაულობა მაღლოდ ის
იყო, რომ დიდი კაცის შვილს მიენდო და თავი
შესწირა...

ვარ. მაშ შენ ნინოზედ ლაპარაკობ?!

სარ. (წამოდგება და მრისხსნება) დიალ, ნინოზედ მოგან-
სენებ... და თქვენს კაი კაცობრზედ, წემო ბატო-
ნის შვილო... შენ რომ სირცხვილ-ნამუსი გქონ-
დეს, იმ ქალის სახელს როგორლა ასენებდი!..

316. შენ, კუაწვილო, ვგონებ, დაცვიწყებია ვისთანაც
ლაპარაკობ! ჯირევი კარგათ წაუფიქრდე რასაც
მეუბნები, რომ მერე სანაცებლათ არ დაგირჩეს!
317. კარგი, შენი ჭირიმე, ვარდენ, დაანებე თავი, რა
დღოს ჩეუბია და მერე ისიც დუქანში! სარდიონ,
შენ გახდას, მოგვშორდი, რა გინდა აქ რომ
მოახდინო!
318. მე ცუდს არაფერს ვამჰოპ!?. ხოლო თქვენ, თა-
ვადო, მახსოვს ვინცა ბძანდებით... თქვენა ხართ
ის კაცი, რომელმაც შეიწირეთ მსავერპლათ საპ-
რალო ქალი, თქვენთვის თავდადებული... ის გა-
გიუებული იცო თქევნის სიყვარულით .. და თქვენ
კი უარ ყავით იმისთვის, რომ გლეხაკაცის შვი-
ლი იყო! ფარისეველი და მასხარა! კიდევ მე მი-
ბედაც მუქარა!
319. მაშ, მე გასწაული როგორ უნდა ჩემთან ლაპარა-
კი! შენ რაც გეკადრება მე ვიცი!.. (წამოუსკამის
მასრახეს ჩედის). იმ დროს სარდიონ იშიშედების სანჯადს
ვარდები შათრასს გადააგდები და რევოლუცის ამთადების
ბეჭიდებან და რომ შახლოვდება სარდიონ, ვარდენი
შათრახების): გაჩერდი, თორემ მოგკალი! (სარდიონ
სანჯადით მოდის. გადარდება რევოლუცი. სარდიონ წა-
ბარმადება და სანჯადი სედიდგან გაუგარდება. ხესტორ,
რომელმაც ვერ მოახერხა გაშედება, მივარდება და ხედის
შობიდების).
320. აკი მომკლა ამ ოჯახ დაქცეულმა!..
321. ნუ გეშინია, სარდიონ, აგერ ნაბაღზედ წამოწე-
კი... (წაიუგნებ და დაწეუნებ საბაღზე სცენაზედ. მე-
დიქნეს შემთაქეს უნაგირი და შეუდების თავ-ქეცემ). ახ-
ლავე ექიმს მოგიყვანთ, არა გიჭირსრა...

- სარ. ოოპ მოკვდი... (წაიგდები გუდჩედ ხელი). სარ.
356. (რთმელაც მიმშორებათ სდგას ხელებ წაგდებული ომებში, თათქმა ეძინა და ახდა გაშოთგისათ, შეხედვის მუკის მხლებელს და ეტეჭის): ახლავე გასწი, აჭერე ცხენი და ექიმი მოიცავნე. ჩემ მაგიერ უთხარი... ჩემ ცხენზედ შეჯერი... ოპ, ღმერთო, რა საზარელი საქმე ჩავიდინგ!
- სარ. რათ იწუნებ თავს, ჩემი ექიმი ახლა მე ვიცი... აი (ანგენებს ტეკათ თვალს). იქ არის... მე კაცი ვეღარ მიშველის... (გუდი წაუგა).
358. წყალი, წყალი ჩეარა!.. (ცანისამასის შეაჭრიან და სისხლიანი მპერდი გამოუწენდებია... ვარდენი მიიღის მსწრაფლათ).
359. რას შერები, სარდიონ? როკორა ხარ?!
- სარ. კარგათ, კარგათ... მაგრამ ტყუილათ კი მომკალი, ვარდენ!.. ღმერთია მოწამე, მე შენთან დანაშაული არ ვიყავ...
360. რა ღროს მაგის ლაპარაკია... წყალი დალიე. (ასმეგინ და ასეურებენ სახეზედ).
- სარ. ნებრორ! იცი რიცთვია გამომიმეტი ვარდენმა ასე? უთუოთ მე მწამობს რასმე იმ საბრალო ქალის საქმეში... ახლა მიქვედი... მაკრამ, ხომ იცის უფალმა, იმ ქალთან არავითარი ცოდვა არ მიძღვის, ისე როგორც ჩემ და ნინოსთან...
361. ჩემი და ნინოვო?!
- სარ. ღიალ, როგორც ჩემ და ნინოსთან.
362. როგორ თუ შენ და ნინოსთან?
- სარ. ვფიცავ ამ სიკვდილის უამს: ტიმოთეს ქალთან არავითარი ცოდვა არა მქონოდეს...

316. მაშ დაკერილი რომ იუავი და შენთან დადიოდა
ცოკელ ღამეს?!

სარ. არც ერთხელ არა ყოფილა ჩემთან ტიმოთეს
ქალი...

გის. ჩვენის თვალითა ვნახეთ ერთ ღამეს, რომ მოვიდა
შენთან — იქვე ვდარაჯობლით, გაძრახებული იყო
გარდენი. შენ და ტიმოთეს ქალი დიდ ხანს დარ-
ჩით ერთათ.

სარ. მაშ, რა უპრალოთ მოგიკლავს, ვარდენ, ის ქალი
და მეტა... ის ტიმოთეს ნინო კი არა — ჩემი და
ნინო იყო.

318. რაგორ თუ შენი და ნინო!.. (სარდიონ მწარეთ
გაიღიმების და აქნეების თავს).

მედუმი. დიალ, ბატონი... მე გახლდით მაშინ დარა-
ჯათ და ის ქალი, სწორეთ მაგისი და ნინო იყო!..
სხვა იქ არავინ მოსულა.

319. აა! ახლა კი შესმის!.. მესმის ყველაფერი... რა
ბიროტება ჩავიდინე მე ლმერთ გამშურალმა!.. აქ
ეს უბრალო კაცი მოვკალი და იქ ჩემთვის უძვირ-
ფასები ადამიანი... (დაუჩრედები სარდიონის და აკა-
ცების შეუბლებელ ცრემლე-მორულება) შემინდე, ძმაო,
შემინდე!.. დამიჯერე, შენზედ უბედური მე ვარ...
შენ პირნათლათ წარსდგები უმაღლეს სამსჯავროს
წინაშე, ხოლო მე, მე ჩემი სიცოცხლე მწარე
სინანულში უნდა დავლიო.

სარ. შეგინდოვა ლმერთმა... იმასაც შეუნდოს, თუ ჩემ-
თან დანაშაული ქონდება... იცოდე კი ნინო შენ-
თან დამნაშავე არ არის... მშეიდობით... მშეიდო,
ბით... (კვდებია).

ფარდა.

გამოსილება ნარჩენა.

სცენა წარმოდგენის ტამთოეს სიხდის. ნინო აფაღმულია
ჩაცმული წესის ტახტზედ. მაგიდაზედ წაძლიანი შეუძირი
სდგას.

ნინო (კამთახედს ოვალებს და სხეზედ ხელი გადისიგამს). რა კარგს და საინოვნო სიზმარში ვიყავი... ნე-

ტავი არ გამლვიძებოდა! აბლა აღარაფერი მიუირს,
მოვრჩი, მოვრჩი... ასეთ გუნეზაზედ ჯერ არა ვყო-
ფილვარ... მამა, შენა ხარ?

ტიმ. მე ვარ შეილო, შენი უპედური მამა, მე... რო-
გორა გრძნობ თაქს, შეილო?.. მართლა უკეთა
ხარ, თუ მე მანუგეშებ?..

ნინო. არა, მამა, ნამდვილათ უკეთა ვარ... ოჟ, რა
სანატრელ სიზმარში ვიყავი... არა, ეს სიზმარი
არ იყო... ცხადი იყო, ცხადი!.. რატომ არ გი-
ხარია, მამა, ჩემი ბელნიერება?.. შენ ხომ გიყვარს
კიდევ შენი ნინო... (მოხვევს ხელს კისერზედ).

ტიმ. დიმშვიდდი, შვილო, დამშვიდდი... ღმერთი მო-
წყალეა... რა დაგვიშავებია მისთვია!.. (ადაპურობს
ხელს) შენ თითონა ხარ მოწმე, ზეციერო მამავ,
რომ არავისთვის ცუდი არ მიქნია ჩემს დღეში;
მხოლოთ მქიმე შრომითა და შენის მოწყალებით
შემიძენია ყოველივე რაც გამაჩნია... შეიწირე,
უფალო, რაც წყალობა გიპოძებია ჩემთვის, თვით
ჩემი სიჯოცალეც-კი, ოლონდ ეს საბრალო ბავშვი
მანუქე! (სტირის).

606. (განვირებით) მამა, მაშ. ძალიან ავათ ვყოფილ-
ვარ, შენ რომ ასე გეშინია?

607. არა, შეილო, მე ეს ისე ტყუილათ მომივიდა, რა
გივირს, შენ შემოეეცლოს ზამა შენი!.. ღმერ-
თი ისე როგორ მომიძულებს, რომ შენი თავი
წამართვას!

გამოსახლა შეორე

იგინივე და მარანე (შემთდის დასედავს საათის და ასევე
წამალის ავათმეცვს).

616. დროა, შვილო, წამალი დალიო. დალიე, შენი
კირიმე, მოგიხდება... მალე კარგათ იქნები, მორ-
ჩები...

608. (ისე გათღაშებს, თითქოს არა სჭერთდეს მთჩქენა).
დავლევ, მამიდა, დავლევ... იქნება მართლა მოვ-
რე?! რა კარგი იქნებოდა, ისე რომ შევიქნებოდე,
მამიდა, როგორც ვიყავი!.. (წამთვდება აიღებს სარ-
ბას და წაისედავს). არა! არა! ეს შეუძლებელია...
ღმერთო, რას დაემსგავსებივარ!?. აღარც ფერი,
აღარც ხორცი, თითქო სიცოცხლის ნიშანიც-კი
აღარ მეტყობა სახეზე!.. როგორი მშვენიერი და
ნათელი იყო ჩემი ბედის განთიადი, და აპა რათ
გადავიქცეცი დღეს!.. მაგრამ არა! ჯერ ყველაფერი
არ გათავებულა: ჩემი სული გრძნობს, რომ მე
კიდევ ვიქნები ბედნიერი, კიდევ ველირსები ჩემი
ვარდენის დანახეა! ველირსები, მაგრამ როგორ?!.
ვეუვარები კიდევ?! არა! არა!.. განქრა ყოველი!..

გამოსვლა მესამე

809

ი გ ი ნ ი ვ ე დ ა გ ხ რ დ ე ნ

316. ნინო! ანგელოზო ჩემო! მე ვარ შენთან, მე ბედ-
შავი, შემომხედე, შემომხედე ერთი!

317. (იგივებს და მოუხვევა) ვარდენ! ვარდენი ხარ?!.
კიდევ მოხვედი, ერთხელ კიდევ ნახე შენი ნინო?!.
მაშ ჩემი სიზმარი მართალი ყოფილა? არ შეგძლ-
ლებივარ განა? მაშ კიდევ შენი ვიქნები, არა
ვარდენ?.

318. დამშვიდლი, შენი ცირიმე, მე აღარ მოგშორდე-
ბი, მაგრამ შემირიცებ-კი ნინო? მაპატიცებ ჩემს
დანაშაულს?.. არა, არ მინდა პატიცება, ლირსი
არა ვარ... არა ვარ ლირსი, რომ შენს წმინდა
არსებას, შენს ნათელ სახეს შევცეკეროდე... მე ...
ავაზაკი... მე ორი ადამიანის მკვლელი...

319. (ბოდავი) ახლა აღარ მცალიან... მამიდა! მამა!
ჩქარა, ჩქარა წავიდეთ საყდარზი, ხვალ ალებაა,
მერე ჯვარის წერი აღარ შეიღლება!.. ვარდენი,
ჩემი ვარდენი მიცდის იქ!.. მამა, გესმის? წამიყ-
ვანეთ, აბა! (ადგება). ლმერთო, ხელ-ახლავ გად-
მომჩედე შენის მოწყალე თვალით! ხელ-ახლავ
დამიძრუნე ჩემი ვარდენ!.. წავიდეთ, წავიდეთ
ჩქარა საყდარზე.

გამოსვლა მეფოხე

ი გ ი ნ ი ვ ე დ ა ჭ ა ქ ს რ ი ა ს

320. (შემთაღებს გარებს) ვარდენი ხომ არ არის აქ?

ტიშ. აქ გახლავს ბატონო. მაგრამ რისთვის მობრძანე-
შულხარ, ჩემს უპედურებას გინდა უყურო და გა-
იხარო, თუ რა გნებავს?

ზაქ. (შემთდის) ტიმოთე ჩემო, შენც მამა ხარ და მეცა...
თუ შენ გეკარგება შვილი, არც მე ვარ უკეთეს
დღეში... ნუ მიმზერ ასე მტრულათ!

ტიშ. რას ბძანებ, ბატონო, განა ღირსი ვარ თქვენის
მობრძანებისა ჩემს ოჯახში!.. მე, თქვენი მონა,
თქვენი ფერხთა მტკერი, როგორ გავხელავ გაწყე-
ნინო... (გამოიცელის ხმას): მაგრამ ჩემი ქალი, ჩემი
ერთათ-ერთი ქალი რომ დამიღუბე, შენ ავო კაცო!
რას მიპირებ აქლა! ვინ მომცემს მე ნინოს მაგი-
ერს?!.. და ეს ყველა შენი ბრალია! გამშორდი
აქედგან, ამ წმინდა ალაგიდან. (ანიშნებს ნინოს ძეს).
წალი, წალი მეთქი გეუბნები!.. (ისევ თავზაან კა-
ჭლჲე). აბა, რა დაბიშავე, ბატონო, რომ ერთათ-
ერთი შეილი მომიკალი!.. (ისევ მრისხანეთ) არა,
როდესაც იმ უცნაურს ხაფანგს უგებდი ამ საცო-
დავებს (ანიშნებს გარდენსა და ნინოზედ) ღმერთი სულ
არ გახსოვდა? (ტირის).

ზაქ. (მრისხანეთ) ტიმოთე! თუმცა შენს სახლში ვარ,
მაგრამ ნუ დაგავიწყდება, ვინცა ვარ... მესმის შე-
ნი გამშარება... მეც შეილის პატრონი ვარ...

ნინო. (გამოიცეიზღუებს) ეს ვისი ხმა მესმის? ვინ არის
აქ?.. ბატონი! ვარდენის მამა!.. ჩემს ქორწილში
მობძანებულა?.. აბა, მალე, მალე წამიკვანეთ
ეკულესიაში, მალე, ხომ თანახმა ხარ, ბატონო?!

ზაქ. ოლონდ კარგათ იყავი, შვილო, და ღმერთმა გა-
კურთხოს მონივე...

6060. (დონე მისდილი). გმადლობ, ბატონო! მაშ წა-
ვიდეთ, ვარდენი მიცდის ეკკლესიაში... რა მშვე-
ნიერათ არის გამოწყობილი თეთრის ტანისამოსით.
(დგება) წამიუვანეთ... მიშველეთ...
816. ნინო! ნინო! აქა ვარ მე, შემომხედე!.. ვეღარ
მიცან?!
6060. (დაციქლება) შენ?! შენ ვინა ხარ? შენ რა გი-
გავს ჩემს ვარდენს?!.. წამიუვანეთ ჩქარა! (წამოდგება
მაგრამ ისევ დასრუსტებული დაჭრისა დაგინზედ).
816. (დაირქება) ღმერთო ზეციერო! რა დაგიშავე ასე-
თი, რომ ჩემი ნინო ვეღარც-კი მცნობს? მე მოგ-
კალ შენ, მე ვარ შენი მკვლელი!
6060. მამიდა! მამა! (უნდა გაიჩიენოს რაღაცა და ივონებს)
ჰო, მამა, ჩემი ხოხობი მომგვარეთ, ვარდენმა რომ
მომიუვანა, აი მაშინ... (ტიმოთე მიდის) როგორ
უყვარდი მაშინ, რა ბეღნიერი ღრო იყო!..
816. ახლაც ისევ მიყვარხარ, ჩემო ნინო!.. (კოცნას
ხელზე).
6060. (გაოცებით). ვარდენ? შენ! ღმერთო მოწყალეო!
გმადლობ, რომ კიდევ გხედავ. (ტიმოთეს მოუქავს
სისიბათ, ნისი მიაუვანინებს ახლო და ხელს გიდებს)
გახსოვს, ვარდენ, ეს ხოხობი, რომ მომიუვანე,
როგორ გიყვარდა მაშინ შენი ნინო?!
816. ღმერთო, ღმერთო! რისთვის მომაღწევინე ამ
დღემდი!..

БІБІО. аձ, ճ՛ման, կցենու և պարարպելու, ուստի Շյբ-
տցու դամօթրողեցնեա... (զագանցութեան կուտօն) ցառժ-
որ... ցատացուսուցլու... դայ, աման մանը ուրու-
ելուս... մը յու... մը... (Վաթության) դրու և յաշոր-
ինութ մուցքմիացու! ահա?... (զամբյուրցյան). աչ! յոն
ահուս յէս, յոն ահուս?!.. ահ մոնձա! ահ վամոցալ!
վարցեն! Շյբ սբճա վացուանոն! Շյբ! ահա! ահ
ցացիՇյբ! ահացու դացանցեց Շյբն տացե! մամա! ծա-
րոնու! մուշցյլցու... մուշցյլցու... վարցենու... վար-
ցենու հեմու... հեմո... (Մուսմուս Շյալամու Պարուս և մա)
ցցեմու!.. դրու!.. Վացուցու. (Ովյան նորջանու) Վա-
ցուցու... (զամբյուրցյան քա ձցացնա). *

Ե Ա Ր Ը Ը.

Թ Յ Ա Զ Յ Ա



Настоящая трагедия, подъ названиемъ «Капканъ», разрѣшена г. помощ-
никаю генерала начальника и по представлению на сценахъ края. Декабря
21 года 1883 г.

Предсѣдатель комитета М. Гакель.

Секретарь И. Меликъ Чубаровъ.

* աթ դրամու Շյեֆորցյան տցուու աշտոնեաց Յյոնճա եացուու.

ს ს მ ა რ თ ვ ე ლ დ ს

დ ე დ ხ ა ქ ა დ ა ქ ა

ტ ვ ი ლ ი ს ი.



თინა, რომი, ბაბილონი, მცხეთა, ბაღდადი,
ტფილისი... მარტო ამ სახელების გაგონება
ჩვენს მეხსიერებაში აშლის ხოლმე აუარებელ
მოგონებას კაცობრიობის წარსულიდან. და
ეს განა არა იმისთვის, რომ ამ ქალაქებში
„ლმერთნი ლმერთობდენ“ და მეფენი
მეფობდენ“, რომ მათ ეჭირათ მთელის სახელმწიფოს
სამართი საჭე და რომ მათი სიძლიერე ანუ სისუსტე,
ბედნიერება ანუ უბედურება მოაწავებდა თვით სა-
ხელმწიფოს აღყვავებასა და ანუ დაცემა-დაბუნებას!
ამიტომაც, ისტორია რომელიმე სამეფოს დედაქალაქისა
არის იგივე ისტორია მთელის სახელმწიფოსი.

წარსულ დრო-უამთა წყვდიადში იკარგება ქართ-
ველ ერის ზოგიერთ ქალაქების დასაბამი. პირველსავე

ქართველებთან ერთად, მრავალთა საუკუნეთა უწინარეს ქრისტეს შობისა, ჩნდებიან დაბაჟალაქნი: ქართლი (არმაზი), მცხეთა, უფლისცისე, თერქე, ეგრისი (ბედია), ქუთაისი, ტერეთი (ხორნაბუჯი იორალაზნის შესართავთან), თრბისი (სამშეილდე), მტკვრისცისე (შემდევ ხუნანი გატებილ ხიდთან დებედა-მტკვარზე), ღეღაცისე, ბოსტან-ქადაქი (რუსთავი ყარაიას), გაჩიჩი (სანალირო ქალაქი სომხითში), ბერ (ჩელეთი, შილდა), თუხირისი („სპერის მდინარეზე, რომელ არს ჭირისხი“), წუნდა (ჯავახეთში), არტანი (ცელად ჰური და შემდევ ქაჯთა ქალაქი), უწინისი და ქასპი.

მესამეოთხე საუკ. ქრ. წინად ამათ მიემატნენ კიდევ: დიმსა და შოთავანი (ააშენა ფარნავაზმა), სერთვისი, ჭალა, ნელაქირი (ნენქარი—ნეკრესი). მცხეთა ამ დროა „დიდი ქალაქი“ იყო და მისს უბნებად ითვლებოდნენ: სარკინე (სარკინეთის მთის სიმაგრე), ციხე-დიდი (ცეკვის ახლოს), სასივი და თვით ქალაქი ქართლიც, რომელ-საც ეწოდა არმაზი და საცა იყო უმთავრესი სალოცავი ქართველებისა — საფლავი ქართლოსისა და აგრეთვე ლმერთნი არმაზი, გაცი და გაიმ.

ქართლ (არმაზ)-მცხეთა ქართლოსის დროითგანუე „თავადობლნენ“ საქართველოში, და ეს თავადობა (რელიგიური და პოლიტიკური უპირატესობა) შერჩი მას მეექვსე საუკუნის ნახევრამდე და ამ დროიდგან კი მისი „თავადობის ერთი წილი — პოლიტიკური უპირატესობა — მიითვისა ტფილისმა.

„ქართლის ცხოვრება“ ტფილისის აშენებას ვახტანგ გორგასალს მიაწერს. მას ეთანხმება ზეპირთქმულობაც: მთელი არე-მარე ტფილისისა ტყით მოცული იყოთ. ერთ დღეს ამ ტყეში ვახტანგ გორგასალი ნა-

დირობდათ. მისმა მწევრებმა ხოხობი ააფრინესო. მისი ქორი ხოხობს გამოედევნათ და ორთავე ფრინველნი მალე გადიკარგნენო. მეოუ მსლებლებითურთ ქორის საძებნელად წავიდათ. ბევრი ძეპნის შემდეგ ნახეს, რომ ქორი და ხოხობი ჩაცვინენულან ერთ წყაროში და ჩახარშულან. ქორი, თურმე, ისეთის სისწრაფით დაცუმოდა ხოხობს, რომ ჰაერში თავი ვეღარ შეემაგრებინა და ბრძყალებში შებოჭილ ხოხობითურთ ძირს წამოსულიყო და საენებულ წყაროში ჩავარდნილიყო. ეს არე-მარე მეფემ კარგად დაათვალიერა და ნახა, რომ ამ შვენიერ ადგილას იყო მრავალი წყარო: გრილი, ტფილი და ცხელი, და ყველას გოგირდის სუნი სდიოდა. მეფეს უთხრეს, ამ წყაროებს სამკურნალო თვისება უნდა ჰქონდეთო. ვახტანგს მოეწონა წყაროებიცა და მათი აღვილ-მდებარეობაც, ააშენა ქალაქი და სახელად, ტფილი წყლების გამო, ტფილის უწოდათ.

მართალია, რომ ტფილისს სახელი სითბოსაგან დაენათლა. ცნება „თბილს“ უწინდელი ქართველები გამოსთვმილნენ ნაირნაირად: ტფილი, თბილი (და შეუმოკლებლად კი ტიფილი, თბილი). და ამიტომ ვამბობთ და ვსწერთ „ტფილის“, „თბილის“. ვარნა თვით ქალაქის აშენებისას და შემდეგ ამისა კიდევ კარგა ხანს ეს სახელი შეუმოკლებლად ცოფილა ხმარებული და „ტიფილის“ რქმევია. და ეს მტკიცდება მით, რომ მეექვე საუკუნეში ბერძენთა მწერლები საქართველოს დედაქალაქს უწოდებენ ტიფლის-ად, და შემდეგში ასრულე უწოდებენ ამ ქალაქს არაპნიცა და თურქნიც (თათარნი). სანს, დასაწყისში ქართულადც „ტიფლისი“ ყოფილა. ვისგან, თუ არა ქართველებისგან ისწავლიდნენ უცხოელნი ამ სახელს? და რომ „ტიფილი“ (იგივე

„თიბილი“), რომლისაგანაც წარმოსდგა „ტიფილისი“ („თიბილისი“), შემდეგში შემოკლებულა და ტფილ (თბილ)-ად გამხდარა, ეს მტკიცდება ამ სიტყვის სვანურ-მეგრულ გამოთქმითაც: მეგრულად „ტიბუ“ და სვანურად „ტებდი“ (და აგრეთვე „ათვი“ თბილს ნიშნავს *).

ჩაიც შეეხება თქმულებას, რომ, ვითომ, ტფილისი პირველად აეშენებიოს ვახტინგ გორგასალს, ეს სარწმუნო არ უნდა იყოს. ქართლის ცხოვრებაში ვპოულობთ საბუთებს ჩვენის აზრის დასამტკიცებლად.

ტფილისი იხსენიება ფარნავაზის დროიდგანვე (ფარნავაზი მეფობდა 302—237 წლ. ქრ. წინად). მისს ცხოვრებაში სწერია: „საერისთავო ხუნანისა არის ბერდუჯის მდინარითვან ტფილისმდე და გაჩიანამდე, რომელ არს გარდაბანი“ (გვ. 31); და კიდევ ამის წინად: „მცხეთოსმა ააშენა მცხეთა და დაიპურა ქვეყანა ტფილისითვან და არაგვითვან ზღვამდე სპერისა“ (გვ. 20).

ტფილისი იყო საზღვარი მცხეთისა და ხუნანის სასპასპეტოებისა. გრძანი (გლძანი), ლილო, მარტყოფი ხუნანამდე იწოდებოდა გარდაბანად. და ამ გარდაბნის მხარეს იყო (და არის) ნაწილები ტფილისისა ისნა, ქალა და შემდეგში გუგაც.

ქართლის ცხოვრებაშივე კითხულობთ: „მოვიდეს სპარსი სომხითს და მოაოჩრეს. შემოვიდეს ქართლს. სპარსთა ერისთავმა ააშენა ტფილისი კართა შორის ციხედ მცხეთისა“. ვარაზ-ბაკურ მეფემ (379—394 წ.)

*) ნუ გვეუტხება შროვინციალურს სიტემები. აი იუნდა მეგრული „წეარი“, რომელიც ნაშნავს წეალს. ჩვენებური „წეარ“ და მეგრული „წეარი“ ერთი და იგივეა.

სპარსთა ერისთავს ხარჯის ძლევა აღუთქვა. და ამის შემდეგ სპარსებმა მეფეს გადასცეს „ციხე ტფილისისა“ და წავიდნენ“ (ქ.-ცხ. გვ. 106).

ამ დროითგან ტფილისს, როგორც სტრატეგიულს სიმაგრეს, ემატება მნიშვნელობა. სპარსნი საქართველოს ასაოხრებლად რომ მოდიან, პირველად სცდილობენ უქი მოიკიდონ ტფილისში.

ვაჩტანგ გორგასლის პაპის დრომდე ქართლი სპარსთა ერისთავის „განსავებელი იყო“ (გვ. 108), ხოლო ეს ერისთავები განაგებდენ აგრეთვე აანსა და მოვაკანს (იქვე). ქართველთა მეფეები ებრძოდენ მათ და ერთერთ ამ ბრძოლაში მოთხრდა ტფილისიც. ხოლო ვაჩტანგი რომ ტახტზე ავიდა, სპარსთა ყაენი კვლავ შემოესია საქართველოს. იბრძოლება დიდხანს. მეფე გამაგრებულ იყო მცხეთაში. „ქართლის ცხოვრება“ ამბობს (გვ. 134): „ოდესმე კვანვლიან ფონი მტკვრისა და შეიბნიან ფონსა ზედა ტყიდისისას, და რომელსამე დღესა მათ სძლიან და რომელსამე მათ“. ბრძოლა მორიგებით გათავდა. ორნივე მეფენი შეიცარნენ „ველსა ზედა ჭალისას, ხოლო ტყიდისა საუკლი და კალაცა მოთხრებულ იყო მაშინ“. მეფეებმა ერთმანეთი მოიკითხეს და გადასწუვიტეს, რომ „ორთავე ერი (სპარს-ქართველნი) თავ-თავის სჯულსა ზედა გარდაუკარ დაშეს“. ამის შემდევ გავიდა რაოდენიმე წელიწადი და ვაჩტანგი შეუდგა გაოხრებულ ტფილისის შენებას.

«მეფე აშენებდა ქალაქსა ტფილისსა და საფუძველი იდენ დაედვა“ (გვ. 146), რომ ყაენმა, ხოსრო I-მა (გამეფდა 531 წ.) მოუიქულის პირით შემოუთვალია: „მოკვდა მამა ჩემი და მეფედ მყო მე ერმან განმან... მოკვდა მე წინაშე შენსა და შენ წარმიქელვ ჩვენ შესვ-

ლასა ჩვენსა საპერქნეთს და მომეც ასული შენი ცოლად” (იქვე). მეფემ უარი შეუთვალა. ყაენი გამოემართა საქართველოსკენ. განჯით გაღმოვიდა ივრის ხეობაში. მოახერა ქიზიყი, ველიციხე და იორჩედ დადგა. ვახტანგი გამაგრდა უჯარმაში. მტრები სახტიკად შეიძნენ იორჩედ. ვახტანგმა ყაენს მოუკლა შეილი და გაუწყვიტა მრავალი მეომარი, გარნა თვითონაც დაიპრა. ყაენი იორჩედ ველარ დადგა და რუსთავს მივიდა. იქითვანაც აიყარა, მოახერა ტფილისი, არმაზის არემარე და სამცხით კარნუ ქალაქს (არზრუმს) წავიდა. იგი შიშობდა ბერძნებთა იმპერატორი არ შექმეოდა უპატრონოდ დარჩენილ სპარსეთს.

მაშასადამე, უწინარეს უამს ტფილისი ყოფილა სოფელი, შემდეგ იგი ციხესიმაგრედ შექმნილა (379 წ.) და მერე ქალაქად ვახტანგ გორგასლის დროს *).

ვახტანგის შეილი დაჩი სცდილობდა გაედიდებინა ტფილისი. მან „განსარულნა ზღუდენი ტფილისისანი და, კითარ ეპრძანა ვახტანგს, იგი შექმნა სახლად სამეუფოდ“. (ჭართ.-ცხ., გვ. 150). „და დაჩის დროსვე ტფილის კაცნი. დასხდებოდეს და მათ წმიდაჲ ეკკლესიად (სიონი) ოლაშენეს“ **).

მეცე ბაკურის დროს საქართველოს თავს დაატყდა დიდი უბედურება: სპარსო თვისი უფლება დაამკვიდრეს ქართლსა, სომხითსა, სიუნიეთა და გუასპურაგანს და

*) ვახტანგ გორგასლის ცხოვრება, საქართველოს ისტორიის მეცნიერთაგან ქორონიგთნის არქივის გამო, ზღაპრულ მიბად მიანხიათ „ქართლის ცხოვრების“ მტრებს. მისი ისტორია საქმად გაშორებული ბგაქვეს და ცალკე დავბეჭდავთ.

**) სამი ქრ. ე. თავარშეიდისა, გვ. 30.

ბაյური ოომ მოკვდა, სპარსელებმა ქართველებს არ
მისცეს ნება ჰყოლოდათ თვისი მეფე. ამიტომ ბაյურის
შეილნი გამაგრდენ კანქთის მთიულეთს და მათნი მონა-
თესავე მფლობელნი კლარჯეთის კლდეებში. ამასთანავე
თვისთვისად განდგნენ ერისთავნი და ხარქს აძლევდნენ
სპარსთა მეფის ორმუზდ 17-ის (579—591 წ.). შეილს
ქასრე II ამბარვებს (591—628 წ.), რომელსაც ეპყრა
რანი და მოვაკანი. ამ უბედურ დროს „მცხეთა ათ-
ხელდებოდა და ტფილისი ეშენებოდა, არმაზნი შემცირ-
დებოდეს და კალაა განდიღნებოდა“ (სამი ქრ., გვ. 34).

შემდეგ ამისა საქართველოს ტახტი რომ იპყრა
გურამ ბაგრატიონმა, „ტფილისის მკერძოთ იწყეს ეკ-
კლესის გება. ნახევარსა იქმოდა ყოველი ერი და ნა-
ხევარსა ერისთავნი“ *) (სამი ქრ., გვ. 34). ქართ.-ცხ.
გვ. 164). „გურამმან გმნააქლა საფუძველი ტფილისის
სიონისა, ხოლო შემდგომად გურამისა განასრულეს ალ-
შენებად ტფილისის სიონისა: ნახევარი ერთმან ვინმე
ქვრივმან დედაყაცმან და ნახევარი ყოველმან ერმან“.

სტეფანოზ I-ის უამს ტფილისი უკავ ისეთი დიდი
და ვრცელი ქალაქი იყო და ისეთი ძლიერი ციხე
ჰქონდა, რომ იგი იტევდა დიდალს ხალხსა და ჯარს,
და შეეძლო კარგა ხანს გაპიგრებოდა ძლევამოსილს
მტერს—საბერძნეთის იმპერატორს ერეკლეს. ხომის

*) სუმბატის ქრონიკაში სწერია: „გურამიდ—ზე ტფი-
ლისისა მავიდრთა ეპმლესისა გებად იწეს, რომლისა ნახე-
ვარსა კოველი ერა აშენებდა და ნახევარსა ერთი ვინმე დე-
დაქაცია“ (სამი ქრ., გვ. 45). თვიმურაზის გართანტით, „გუ-
რამისა განახლდა საფუძველი ტფილისის სიონისა“ (იქმ),
გვ. 46).

მწერალი უხტანესი ამბობს, რომ 595 წ. უკვე ტფილისი იყო უდიდებულესი სატახტო ქალაქი საქართველოსა, იგი იყო სასწაულებრივ შენებული, საუცხოვო და შესანიშნავიო *).

ამავე დროს სპარსეთში მეფობდა იგი ქასრე ॥ ამბარევზი, რომელსაც მომხრებდა სტეფანოზი. მიზეზი სპარს-ბერძენთა ომისა ის იყო, რომ ქასრემ დაიპყრო მთელი მცირე აზია და ეგვიპტე, გაულიტა 90,000 სული ქრისტიანე და თკით საბერძნეთსაც მუქარა შესთვალა. მხნემა და ძლიერმა ერევალე იმპერატორმა დიდალი ლაშქარი გადმოსხა მცირე აზიას და ზედიზედ დაამარცხა ქასრე. მერე იგი წამოვიდა ალბანისაკენ და დაიზამთრა მუღამს (625 წ.). გზა-და-გზა მან შემუსრა ცეცულის-მსახურთა ტაძრები. ქრისტიანე ერნი სიხარულით ეგებებოდნენ ერეკლეს. მეორე წელიწადს იგი შეეიდა სპარსეთს და თავზე კაյალი დაამტვრია მტრებს, მაგრამ შიგ შუაგულს სპარსეთში შექვლა ვერ გამედა, უკან დაიწია, გამოვლო ტიგრა-ევფრატის ხეობანი და ფაზისს მოვიდა და შეიირთა ხაზართა ლაშქარი და მათი ხაყანი ზიპელი, რომელსაც თავის ასულის ევდოკიას სურათი აჩვენა, რადგან იგი იმპერატორს სიძედ უნდოდა. ერეკლე და ზიბელი მოადგნენ ტფილის. აქედგან ერეკლე 70,000 მეომრით შეესია სპარსეთს, დაამარცხა ქასრე, რომელიც გადააჯენა მისმავე შეილმა სიროემა და თკითონ გამეფდა. გაცეცული ქასრე შეიპყრეს და ციხეში ამოპხადეს სული.

ამ ამბებს, მოთხრობილს მსოფლიო ისტორიოსია ჰიმბონის მიერ (ტ. 4, გვ. 509—524), უფრო დაწერი-

* ციმრ. თამ. ი ჩახ., რ. VI, ცр. 271.

ლებით გადმოგვცემენ „ქართველთა და სომეთა შემატი-
ანენი.

ქართლის ცხოვრებით, სპარსთა მეფე ქახეტე რომ
დაიპყრო მცირე აზია და იერუსალიმი და წარიტაცა
„ძელი ცხოვრებისა“, მაშინ სტეფანოზი განუდგა ბერ-
ძნებს და მიემბრო ქასრეს. იმავე ერეკლე დიდის ჯარით
წამოვიდა პირდაპირ საქართველოსკენ და შემოვიდა
სამცხეს, მოვიდა აწყვერს და თავუანი სცა იმ ხატსა,
„რომელი წმ. ღვთის-მშობელს გამოესახა და მიეცა
მოციქულის. ანდრიასათვის და მას მოესცენა და დასვე-
ნებინა მცირესა ეკდერსა შინა აწყვერს“ (ქართ.-ცხ.
გვ. 166). სტეფანოზს გაემაგრებინა ციხე-ქალაქნი და
მტერს მოელოდა ტფილისში. კეისარმა გამოვლო ქარ-
თლი და მოადგა ქალაქს. სტეფანოზი, „მხედარი ქველი
და შემმართებელი დღეთა ყოველთა გამოვიდის კართა
ქალაქისათა და ეპრძოდის ბერძენთა“. ერთს შეტაკე-
ბაში დასჭრეს სტეფანოზი და მოჰკლეს. ერეკლე აიღო
ტფილისი, ხოლო ციხის-თავი გაუმაგრდა მას და მალ-
ლიდგან შემოჰყივლა: „ვაცისა წვერი გასხენ და ვაც-
ბოტისა კისერ გაქცე“. ერეკლე ფრიად განრისხდა და
სთქვა: „ამ კაცმა ბასრობით მიწოდა ვაცბოტად, გარნა
არა არს მისი სიტყვა ცუდ“. მერე მოატანინა წინაა-
წარმეტყველის დანიელის წიგნი და ამოიკითხა შემდეგი
ადგილი: „გამოვიდეს ვაცი დასავლისა და შემუსრნევ
რქანი ვერჩისა აღმოსავლისანი“ *). ამ წინასწარმეტ-

*) შატბერდის პრებულში სწერია: „უხშო ციხისიაუმანი
კალაქთ ტფილისისათა შეუერა ჰერაგდეს გაცილებით“ (საში
ქრ., გვ. 35), ხოლო სუმბატის ქრთინგაში: „...გასხენ წე-
რნი გაცისანი და ვაცბოტისანი“ (იქვე, გვ. 46). სუმბატის

უცელებამგააჩარია კეისარი. და იმედი მისცა, რომ გამარჯვება მას დარჩებოდა. მაგრამ რაღაც თვითონ ეშურებოდა სპარსეთში შესასვლელიად, ამიტომ მრიწვია ბატონიშვილი ადარნასე, ერისთავი კახეთისა, შას მისცა ტფილისი და მთავრობა ქართლისა და უპრძინა აელო ტფილისის ციხე. ადარნასეს შემუედ უინა ჯიბლა და თვითონ წაფიდა გარდაბანს. ადარნასემ და ჯიბლამ გატეხს ციხე ქალაქისა და დაატყვევეს ციხის-თავი, რომელსაც პირი გაუკვეს დრაჟვანით, მერე ტყავი გაჭარდება, და მიაწიეს ერეკლეს გარდაბანს.

აქვე დავურთავთ ცნობას! ამავე საგნის შესახებ კალანთ კათვაწიდან, რადგან ეს მემატიანე იძლევა ზოგიერთ წლილს, რომელსაც არ ისენიებენ სხვა წყარონი.

ჩრდილოეთის კავკასიის მთიულნი თავის ხაყანის ჯიბუს წინამდებოდის არცევდენ მეზობლად მდებარე ქვეუნებს. ერეკლემ ზავი შეჰქრა ჯიბუსთან და მოიწვია იგი წინააღმდეგ ქართველთა. ამის შემდეგ მავინარე მდინარის ტალღამ გადმოხეთქა და მოედვა საქართველოს; მტრები შემოერტყნენ და მიესინენ გაყინვიზებულსა, სააღმ-მიცემოსა, სახელოვანსა და დიდებულ ქალაქ ტფილის. შეიტყო-რა უოველივე ესე იმპერატორმა ერეკლემ, შეაგროვა უოველნი ძალნი თვისის ძლიერებისანი და დაუყონებლივ მოვიდა თავის მოკავშირესთან. მათ ძლვნები შესძლენეს ერთბანეთს და მეტად გაიხარეს. აქ უნდა გენახათ შიში და ზარი იმ ქატა, რომელნიც შემწყვდეულნი იყვნენ. ციხეში;

ქრ.: „აღმოვიდეს გაცი დასაფლის და შემუსინეს რქანი ადმოსაფლისა ვერძისხა“ (იხ. დაბადება, დან., თ. 8, გვ. 3—6).

უკედურება უბედურებაზედ ატყდეპოდათ. შეიტყო-რა
ხოსრომ (ქაქრე II-მ) ორთა ხელმწიფეთა მოსელა, იე-
რიშის მიტანამდე მოაწია შემწყვდეულებსა და ქალაქს
ხელოვანი და მანე მებრძოლი, თკისი სპასპეტი შარგა-
ბაგა და მასთან 1000-მდე რჩეული მხედარი თკისთა
ამაღის კაცთა და დარაჯთაგან. ქალაქის მკვიდრთ,
დაინახეს-რა მათდა მეშველად გამოგზავნილნი ძლიერნი
და ხელოვანნი მეომარნი, გამნევდნენ და დაცინვა და-
უწყეს ორთავე მეფეებს. თუმცა იგინი ხედავდნენ უამ-
რავ ლაშქრობას ჩრდილოეთისას და დასავლეთისას, რო-
მელნიც მოებსავით ჩასდგომოდნენ ქალაქს გარეშემო;
აგრეთვე ხედავდნენ ოთხთვლებიან მანქანებს და სხვა
ფილაკავნებს, (გამოგონილს რომაელთა ოსტატებისა-
გან), რომლებითაც იგინი ნიშან-ამოლებით სტყორცნი-
დნენ ციხის კედლებს და აყრევინებდნენ დიდრონ ქვებს;
თუმცა იგინი ხედავდნენ დიდრონსა ნავტიკებს, გატე-
ნილებს ქვითა და ქვიშით, რომლებითაც მტრები აგუ-
ბებდენ მტკვარს და წყალს ქალაქში აბრუნებდენ,
გარნა, მეუხედავად ამისა, იდგნენ უშიშრად, ერთ-ურთს
ამნევებდნენ და მტრების მიერ დანგრეულ კედლებს.
ხელახლა აშენებდნენ და ამაგრებდნენ. ორივე მეფის
ლაშქარი რომ დაძაბუნდა, უკუქცეულ და ქანკ-გაწ-
ყვეტილ იქმნა, და არა მცირედი რიცხვი მათის ქვეითის
ლაშქრისა გასწყდა პრძოლაში. მეფეთ დაიწყეს თათბირი
და ამბობდნენ: „რად უნდა დავლუპოთ ჩვენი ჯარი;
მართალი არ არის განა, თუ შეგვარით ძლიერი, მისს
სახლსაც წარვსტყვენით, ვითარცა გვსურს. მაშინ დიდ-
მა და მოსისხლე იმპ. ერეკლემ მოისაზრა და მოახერხა,
თუ რა უნდა ექმნათ, და უთხრა კაცსა, მისდამი საშვე-
ლად მოსულსა: „დაბრუნდი ჯარითა შენითა მშვიდობით

ქვეყანასა შენსა ამ წელიწადსა, ვინაიდგან ვხედავთ მოღალულობასა შენსა. შენ ძალ არ გიძს სიცეისა ამა ზაფხულისასა მიაწიო ასურეთის ქვეყანამდე, საცა არის სპარსეთის დედა ქალაქი ტვიგრისის მდინარეზედ. მეორე წელიწადის დაფგომისას, გაივლიან-რა ცხელი თვეები, დაუყონებლივ მოდი აქავე და ჩვენ შევასრულებთ ჩვენს სურვილს. მანამდე მე არ დავიშლი ბრძოლას სპარსეთის ხელმწიფესთან და არ დავაცდი თავზარი არ დავცე მისთა ქვეყანათა და ქვეშევრდომთა, და მანამდე ვიხმარ ეშმაკობას, ვიღრე მას არ მოჰკვდენ მისინივე". ქალაქის მკვიდრთ შეიტყეს-რა, რომ მტერნი დაღალულან და უკუნქცევა განუზრახავთ, უმეტესად გაგულისძნენ და თავისივე დასალუპავი თამაში მოიგონეს: მოიტანეს დიდი გორა, გამოსახეს მასზედ სახე გუნთა მეფისა, — ალაბი სიგრძით და ალაბი სიგანით; წამწამების მაგიერად გაუკეთეს რაოდენიმე მოკვეთილი ტოტი; წვერის აღგილი გაატიტვლეს საზიზრად; ნეტოები წყრთის სიგანისა გაუკეთეს, ტუჩზედ აქა-იქ ჩაურჭეს ბილი. განა ვის შეექლო ეცნო იგი (მახინჯი)! მოიტანეს ის და დასდეს ციხის კედელზედ პირდაპირ მტრისა და ყვიროდნენ: „აი, თქვენი ხელმწიფე, დაბრუნდით და თაყვანი ეცით მას, ეს ჯებუ ხაყანია!“ და ხელში იღებდნენ ლახვრებს და სჩხვლეტდნენ და ჰემირავდნენ გოგრას; ასრევე დასცინოდნენ და ყბად იღებდნენ მეორე მეფესაც, რომელსაც გაჰკიოდნენ: „შენ ხარ საძაგელი და მამათმავალიო“. ამის გამუონე მეფეები ბრაზით სკლებოდნენ, მრისხანებლები, ჯავრს გულში იკლავდნენ, თავს აქნევდნენ და ფიცულობდნენ, რომ ყველა თვისს ქვეშევრდომებს ამოსწყვეტენ, და ჯავრს კი არ შეარჩენენ მტერს იმ შერცხვენისათვის,

რომელიც მიაყენეს მათ. და ორნივე მეფენი გაბრუნ-
დნენ და მუქარით წარვიდნენ. (გვ. 107—109).

(ქახრეს მოკვლის შემდეგ)... უცბად მოუპერა.
ძრიელმა ბორიამ და ეცა ღილა აღმოსავლეთის ზღვასა.
გამოვიდა ველური ჩრდილოეთის ნადირი (ქაზარეველნი
და მათი მეფე) სისხლის მწოველის თავის შეილით შა-
დითურთ. მან უწინარეს ყოვლისა პირი თვისი მიუპ-
რუნა საქართველოსა და ქალაქ ტფილის, და მასში
წინანდელ ვაშვაც კაცთაგან არავინ დაუხვდა და ჰპოვა
მოხერხებული ღრო მაგიერი მიეკო მისის გაწმილები-
სათვის. როდესაც იგი გარს შემოერტყა ქალაქს და
ბრძოლით შეავიწროვა მოქალაქენი, მაშინ ესენიც თავს
დაესხნენ მას და გამწარებულად იბრძოლეს ორი თვე,
თუმცადა ამაო იყო მათი ბრძოლა წინააღმდეგ მოწევ-
ნულის სასიკვდილო გარდაწყვეტილებისა. შიში მათის
სისხლის დაჭუევისა, რომელიც უკვე მოვლინებულ
იყო, ფრიად ჰქენჯნიდა მათ. მაშინ დაიღრიალა საში-
შარმა ნადირმა, ტყვე ჰყო და ანუ წყალსა შინა და-
ახრო მრავალნი მდაბიონი, ტყენი აღავსო ნადირითა
და ჯარი თვისი ნამარცვით. იძრეს მახულნი თვისნი და
ერთად მიესინენ კედლებს და მთელი ეს სიმრავლე
აირია, გადალახა ართმანერთი, ამაღლდა კედლებსა ზე,
და შავშა ჩრდილშა დაჭუარა უპედურნი მკვიდრნი ქა-
ლაქისანი. შემაერთებელნი კავშირნი დასწყდათ, მკლა-
ვები დაუძაბუნდათ; იგინი დამარცხებულ იქმნენ, გან-
შორდენ კედლებს, გარნა ბევრნი მათგან, ვითარუა
ჩიორანი, მომწყვდებულნი მონადირეთა გალიაში, ვერ
მივიდნენ თვის სახლებში, რომ მიეტანათ თავზარდამ-
ცემი და სამწუხარო ამბავი და ებრძანათ თავიანთ საყ-
ვარელ ცოლებისათვის დამალულ იყვნენ და ანუ

ეზრუნათ ნაშობთა თვისთათვის. მშობელთა არ ეცალათ ეფიქტათ შესახებ თვისის მშობლიურ მოვალეობისა. პირიქით, ერთურთს ეჯახებოდნენ და სცდილობდნენ თავშესაფარი ეშოვნათ სახლთა სახურავებზე ანუ განჯინებში. გარნა მრავალნი ჩაიმალნენ წმ. ეკკლესიათა აკლდამებში და მიეყრდნენ წმიდათა წმიდანის კვარცლბეჭს. ოცრა და გმინვა დედათა ისმოდა ისე, ვითარცა ბლავილი ურიცხვ ცხვართა ფარისა. მათ ფეხდაფეხ მისდევდნენ მომკალნი უწყალონი, რომელთა ხელნი რუებრ აღენდენ სისხლს, ხოლო ფეხნი სკულეტ-დენ წაჭცეულთა გვამებს. როდესაც შესწყდა ხმაურობა, გმინვა და კვნესა და როდესაც აღარც ერთი აღარ დარჩა ცოცქლად, მაშინ მხოლოდ სცნეს მტერთა, რომ მათი მახვილნი გაძლნენ. მაშინ მოიუვანეს ორნი მმართველნი, რომელთაგან ერთი იყო სპარსთა მეფის მოხელე და მეორე ქალაქის ადგილობრივი მკვიდრთაგანი, ქართველთა მთავართა შთამომავალი. შეიპყრეს იგინი და მიჰვარეს მეფე ხაყანს და ამან უბრძანა თავისიანებს თვალები და ეთხარათ ტყვეთათვის, რადგან მათ, მეფის გამოსაჯავრებლად მისი სურათი გამოსახეს უთვალებოდ, და შემდეგ იგინი დაახრჩო დიდის ტანჯვით, და გააძრო მათ ტყავი, რომელიც გამოაქნევინა და გააქსებინა თივით და ჩამოჰქიდა ციხის კედლებზე. მტერმა გაძარცვა მთელი ქალაქი, საყდრები და სახლები, შეაგრივა დიდალი და უთვალავი ტალანტი ოქრო და ვერცხლი და წავიდა თავის ქვეყანაში, ხოლო თვისი შვილი შალი წარგზავნა აღოვანის (ალბანია) (იქვე, გვ. 119—120).

ხაზართა მეომარნი, ტფილისის დარბევის შემდეგ, ისე გამდიდრდენ, რომ ხმარობდენ მხოლოდ „ვერც-

ლის ფიალებსა და დოსტაქნებს, ოქროთი დაფერი-
ლებს" (იქვე გვ. 126).

ჯერ ყველა ეს ამბები არც კი დაწყნარებულიყო,
რომ არაბები შემოესივნენ მცირე აზიასა და იქიდგან
სომხეთსა და საქართველოს. ქაზარეველნი და საქართ-
ველოს ერნი ამაოდ ებრძოდნენ არაბებს. მოავიას
ბრძანებით ჰაბიბი, მოსლემას შეიღი, 638 წ. იქერს
დოვინს, ნახევანს, ვაიაძორს და ტფილისს, საცა აწე-
ნებს მაჰმადიანთა მეციხოენეთ. ტფილისი არაბთა მო-
ხარკე ხდება. იგივე არაბნი იპყრობენ ხუნანს, გარდა-
ბანს, სამცხეს და შავშეთს. 717 წელს საქართველოს
იმონავებს იეჩიდი, მოაფგილე ხორასნის მმართველის
სულეიმანისა. 731 წელს ხალიფა ჰიშამი, ნაცელად თა-
ცის ძმის მოსლემისა, მედართმთავრად კაუკასიაში ნიშ-
ნავს მერვან ბენ მოჰამედს (მურვან-ურუ). ამავე წელი-
წალს (731 წ.) ხაზარნი აოხრებენ ტფილის. ამის მი-
ზენად შეიქმნა არილ მოწამის შენიერი ასული შუ-
შან. ამ შუშანის ცოლად შერთვა მოინდომა ქაზარე-
ველთა ხაყანმა და თვისი სურკილი განუცხადა არჩილის.
შვილებს ითანესა და ჯუანშერს. ამათ უარი შეუთვა-
ლეს, რადგან „არა ინგებს შევინება დისა თვისისა
წარმართისაგან“. ხაზართა მეფემ იწყინა. თვისი სპასპე-
ტი ბლუან დიდის ჯარით ჩამოგზავნა კახეთს, საცა
ერთს ციხეში შეფარებულ იქნენ ჯუანშერი და შუ-
შან. ციხე მტრებმა აიღეს, დაატყევეს ორთავე ბა-
ტონიშვილი, წამოვიდნენ და დაეცნენ ტფილის,
რომელიც შემურეს საფუძველითურთ 731 წ. და და-
რიელისკენ გასწიოს. შუშანმა, წარმართის. ცოლობას
სიკვდილი ამჯობინა. ბევედში აქნდა სამსალა. დარი-

ელას რომ მიაწიეს, ამოწოვა სამსალა და მოკვდა.

შემდეგ ამისა მურვან-ყრუ შედის კახეთში, ამარცხებს ალანებს 735 წ. ხაზარებს 737 წ. და ლეკებს 739 წ. (ვახუშტი, გვ. 114, შენ. 1). ამავე დროდან შემოდის საქართველოს სახელწოდება ჯურზ, ჯორზან.

786 წ. 6 იანვარს ქალაქ ტფილის დაედგა ნაოელი წმ. აბოს მოწამებრივის გვირგვინისა. ამ რიცხვს, დღესა პარასკევსა, არაბთ საპყრობილოთგან გამოიყვანეს აბო, ურმით მიიყვანეს მეტების ციხის ძირს, ავლაბრის მეორე ხილთან, „ადგილსა, რომელსა ეწოდების საღოდებელ, რამეთუ მუნ არს საფლავები კაცთა მის ქალაქისათა და მუნ გარდამოილეს იგი ურმია მისგან და დადვეს იგი ქუსყანასა და მოილეს თიკა და შეშა და ნავთი და დაასხეს გუამსა მას ზედა წმიდასა. და ალაგზნეს ცეცხლი და დაწუნეს ხორცნი მოწამისანი ადგილსა მას, რომელ არს აღმოსავლეთით ციხესა ქალაქისა, რომელსა სადილეგო პრევიან, პირსა ზედა კლდისასა, კბოდესა მტკვრისასა, რომელი განვლის აღმოსავლით ქალაქისა“. (სამოთხე, გვ. 346).

აშოტ კურატპალატის უამს (787—826 წ.) რაოდენათმე მოუძლურდნენ არაბნი. აშოტმა თვისი უფლობა განამტკიცა, „სახლად მისა იყო ტფილის და ბარდავი“ (განჯა) და „ტფილის არღარავინ დარჩა სარკინოზთაგანი, თუნიერ ალიშუაბის ძისა“. ბოლო 788 წ. აშოტი და აფხაზთა მეფე თეოდოსი შეებნენ კახეთის მთავარს გრიგოლს, რომლის მომხრე იყენენ ტფილის ამირი ალიშუაბის ძე, მთიულნი და წანარნი. შეიბნენ ქსანზედ. აშოტმა გაიმარჯვა. მას დაემორჩილა ქვეყანა კლარჯეთიდგან ქსნამდე. მაგ-

რამ მალე არაბეთით მოკიდა ხალილ იზიდის ძე და მან ხელახლა დაიპურა სომხითი, ქართლი და პერეთი. აშოტი გაიქცა, მარამ მფრევა დაამარცხეს იგი და დაპულეს არტანუჯის პეტრე-პავლეს ტაძარში.

ალიშუაბის ძის შემდევ ტფილისში ამირობდა საჰაკი იმაველის ძე. მერმე მოკიდა მოპმედ ხალილას ედ. მას არ დაემორ ილა ტფილისის ამირა საჰაკი. მოპმედმა ქართლის მეფევდ დასუა ბაგრატ აშოტის ძე და მის შემწეობით შეეჩა საჰაკის სოფელ რეხას. საჰაკის შეეწირნენ კახეთიდგან გარდაბანელნი. სასტიკი ბრძოლა მოხდა. ვერც ერთმა მარებ ვერ გაიმარჯვა. მოპმედი იყარა და ბარდაცს წავიდა.

ამის მცნობმა ამირა მუმლმა ბაღდადელმა დიდის ჯარით გამოვხაუნა ბულა თურქი, რომელმაც აღაორრა სომხითი და მოადგა ქ. ტფილისს, „რამეთუ არა მორილობდეს“ და მოპკლა ამირა ტფილისისა საჰაკ და შემუსრა ტფილისი და დაწვა ცეკცლითა და მოაოხრა ყოველნი არენი მისნი. ამ ბულამ თავზარი დასცა მთელს კავკასიას, მაგრამ იგი ბაღდადსვე დაიბარეს და მის ადგილას ხალიფამ ამირად დასვა მოპამედ ხალილას ძე, ამის შემდევ ისე შინის ძე, მერე აბრაჰამ, შემდევ ივივე მოპამედ, მერე გაბლუკ, რომელიც შეიცურა მეფე გურამმა და წარგზავნა საბერენეთს. ამის შემდევ საქართველოს სვე-ბელი და მათან ტფილისისაც, თუმცა იქ ამირები კიდევ უფლობდენ, დიდს წარმატებაში შევიდა (ქართლ. ცხ. გვ. 191).

ზემორე ხსენებულ საჰაკის მოკლის შეახებ შემაზიანე თომა არწრუნი სწერს: *) „ამირა საჰაკის არაბთ

შესწამეს დალატი. არაბთ ეგონათ საპაკი სცდილობს დამოუკიდებლობა მოიპოვოს. ამიტომ ხალიფაშ გა- მოგზავნა სისტემის მწოველი ბულა თურქი. არაბთა ლაშქარი ზოადგა ტფილის, აილო იგი და ცეცხლი წაუკიდა. ცეცხლი სწრაფად აბრიალდა, რადგან შენო- ბანი ხისა იყო. ამირა საპაკი წამოისხა წავის ტყავი, ხელში დაიჭირა კვერთა, გამოკიდა ქალაქის იმ კარე- ბიდან, რომელიც იყო სამშვილდისკენ მიმავალს გზა- ზედ, მაგრამ იგი შეიპურეს და წარუდგინეს ბულას. სა- პაკის ცოლმა, შეიტყორა თვისის ქმრის შეპურობა, მოინდომა ეშველა მისთვის. იგი მეტად ლამაზი იყო და ძლიერებითა და თვისის სიმშვენიერით მოხიბლა ბუ- ლა. მისს ქმარს მიენიჭა სიცოცხლე, მაგრამ დროებით ბულა ეტრიადლა საპაკის ცოლს და მოინდომა მეუღ- ლედ დაესვა იგი. ამიტომ მან უბრძანა თავის ჯალა- თებს მოყელათ საპაკი. საპაკეს თავი გააგდებინეს. შემ- დეგში ბულა მოყლულ იქმნა საპაკის ცოლის მიერ".

არაბებმა თვისის მფლობელობის ეამს ფრიად შებ- ლალეს ზნეობა ტფილისის მკიდრთა. თ. არწრუნი ამბობს, რომ უადგილოდ მიმართა წერილობით აღვ- ნიშნო ცველა უსამართლობა ამ ქალაქისა და მისნი ბოროტებანი, რომელიც გარდაემეტა სოდომისა და იერიქოსას. (იქვე, გვ. 274).

არაბთა მწერლების თქმით ტფილისს „ჰერნდა თვისი ობსერვატორია. ეს ობსერვატორია, ალბალ, ცი- ხეში, კალაში, იყო. ტფილისი კავკასიის მხრივ მესამე ქალაქიდ ითვლებოდა: ბარდა, დარუბანდი, ტფილისი. ეს ქალაქი შემოზღუდული იყო ორის გალავნით და შეფენილი იყო მტკვრის აქეთ-იქით მაღლობებზე. მდი- ნარის ერთს ნაპირას სცხოვრობდნენ „ურწმუნონი“

(ქრისტიანენი), რომელთა ტაძრების გუმბათებიდან მოისმოდა ზარის რეკა; მეორე ნაპირას ესახლნენ მაპმადიანი და მათის მიზგითებიდგან მოლები იწვევდნენ „მართლ-მორწმუნეთ“ სალოცავად. სახლების ბანები ერთ-ერთო მიყრილიყვნენ მთის ფერდობებზე. გოგირდიანი ცხელი წყლის წყაროები შეაღენდნენ ქალაქის სიმდიდრეს. ამ აპანოებით სარგებლობდნენ მხოლოდ მაპმადიანნი. თფილის ჰქონდა საქმაო აღებ-მიცემა. ტფილისიდგან გაპქონდათ: თაფლი, ხორბალი, ხალები, მატყლეულის ნაქსოვები, გაპნტილი ბამბა, ბარგის საქონელიდა მონები“. (იქვე. გვ. 274).

ბაგრატ III-ის გამაურთას უკედას ერთ 1014 წ.) საქართველო მეტად ძლიერდება. მემატიანის სუმბატის (მე-XI საუკ.) სიტყვით (სამი ქრ., გვ. 65), ბაგრატ აეუფლა ტაოს, მამულსა თვისსა, და დაიპურა ყოველი კავკასია თვითმშერობელობითა ჯიშეთიდგან ვიდრე გარანგეთამდე, ხოლო ადარბადაგანი (ადრიბეჭანი) და შარვანი (შირვანი) მოარკე ყო სომხითისა ხელმწიფებითა და... მოიყანა კლარჯეთის მეფენი სუმბატ და გურგენ, პატიმარ-უჭინა იგინი ციხეს შინა თმოკვისასა და ალიხუნა ქუეყანანი მათნი“. ტფილისის ამირად მარტო არდილი-ლა დარჩა წინანდელის ამირობისა.

1038 წ. ბაგრატ I-მ ალექ შემოარტყა ტფილისს. ქალაქის მკვიდრო გაუკირდათ შთაკეტილ ქალაქში ცხოვრება და განიზრახეს ქალაქის კარები გაეღლოთ მეფისათვის. ტფილის ამირმა გააკეთებინა ტივები, რომ გაქცეულიყო განჯას. მაგრამ ბოროტმა კაცებმა შუღლი ჩამოაგდეს მეფესა და მის წარჩინებულ თანამოღვაწის ლიპარიტ ორბელიანის შორის. ამიტომ

ბაგრატშა ამირად ტფილისისა იგივე ამირა დაამტკიცა
და თეოთონ განშორდა ქალაქში. მალე მოკედა ტფილი-
სის ამირა და მოქალაქეთ მოისცის მეფე ბაგრატი
და გადასცეს მას ქალაქის კლიტენი. მეფე „შევიდა
ტფილის და დაჯდა სახლსა. საამიროსა და დაიპურა
კალა-ტფილისი, ხოლო ისანი არა მოსცეს და ბრძოლ-
ნენ ძლიერად“. ამ დროს მეფეს ეწვია კახეთის მეფე
გაყი თავის ლაშქრით. ბაგრატი მათ დაუხედა ისანის
ველზედ, „ითაუვანნა იგინი და განუტევნა მშვიდო-
ბით“.

ამავე ხანებში მეტად განძლიერდნენ თურქენი, რო-
მელთაც დაიპურეს მთელი მცირე აზია და საქართვე-
ლოს აღმოსავლეთ-სამხრეთი ქვეყნები. თურქთა სულ-
ტანი ართასარანი უგრძნეულად შემოვიდა საქართვე-
ლოში, დაიპურა თრიალეთი, აილო ახალქალაქი და
ანისი. მას მიეჩნენ განჯის მთავარი ფადლონი, კა-
ხეთის მეფე ალსართანი და შემოპყენენ ქართლს (1068
წ.). სულტანი დადგა სოფელ კარბს და მერე იქიდგან
წამოვიდა, დაიპურა ტფილისი და მისცა იყი ფადლონს,
და თვითონ წავიდა განჯისაკენ. მას ჰყვანდა 500,000
მეომარნი (ქართ. კ. გვ. 231), რომელნიც აოარებ-
დენ ქართლს. მისი დაპრუნების მიზეზი ის იყო, რომ
ბაგრატმა შემოირიკა იგი. გაზაფულის ჟამს აღელდა
მტკვარი ისე, რომ წყალი ვეღარ ეტეოდა მის კალა-
პოტში. დიდშელაპამ წალეკა მტკვრის ნაპირები, და
მტრის აქ დარენილ მეომართაგან მრავალი დაარი. ამავე
დროს ფადლონი მეტად განლალდა, გამპარტავნ-
და და უსკულ ოებას მიპყო ხელი. იწყო „ტფილისის
სიახლესა სადამე გამოკვანებასა ხელოსანთასა“. მეფე
ბაგრატი მოვიდა აფხაზეთიდან და დადგა დიდგორს,

საზაფხულო ბგარაკს. ფადლონმა არად ჩააგდო მეფის დიდგორის დპომა, შეპყარა 33,000 მეომარი, მივიღა ტფილისს და დადგა ველსა ისნიასა. აქ დასტოვა თვისი კარვები და თვითონ შეეიცა ქართლს და რბევა დაუწყო. ბაგრატმა წარგზავნა თვისი მხედრობა შესაპყრობად მტრისა. ფადლონი დამარცხდა და ტყვევ-ქმნილ იქნა. იგი „გასვეს ძელსა“ და დაიპყრეს ტფილისი, ვსაცა „გაამირებასა ლამობდა შიგან ქალაქს მდგომ ინმე“, ბაგრატმა ტფილისი მისცა სითლარაპას, როი მელიც დმანის იდგა და თვითონ დაისაუთრა ციხენი: რუსთავი, ფარცხისი, აგარანი, გრიკოლ-ქმიდანი და ქავაზი და მიიღო 44,010 დრაჟეანი და დაიტევა-მქევალნი (ფადლონის ძმის-წული და განჯის სამნი თავადნი). (გვ. 233). გარნა ფადლონი სულტანის მიერ წარმოგზავნილ ალხაზის შუამდგომლობით განათავისუფლა მეფემ და გაისტუმრა განჯას. მაგრამ ფადლონმა არ მოისვენა. ბაგრატი რომ იმერეთს იყო, ფადლონი მიუიდა და დაიპყრა ციხენი ქავაზი და აგარანი. განრის-ხელული მეფე გადმოვიდა ქართლს. მისი შვილი გიორგი დიდის ჯარით დაეცა ფადლონს, დაამარცხა იგი, მიჰურა გაქცეულ მტერს, მიადგა განჯას, დაიპყრა იგი და „აღიღო ტყვე და ნატყვენავი ურიცხვი“ (გვ. 233).

ტფილისის აღება ციხეებიანად წილად ხვდა დავით აღმაშენებელს. პირველსაც დღეს თვისის ქალაქში შესკლისას მეფის ბრძანებით ჩამოატარებს 500 მაჭმალიანი. ეს მეფე გულჩეილი კაცი იცა და პატივით კპყრობობდა ყელა ტომის კაცს, და თუ 500 მაჭმალიანი ჩამოატარებინა, ეს ალბად იმიტომ, რომ თავზარი დაეცა და შეეშინებინა საქართველოს მოსის ლე მტერნი, რომელნიც არპევა გევდნენ, ულეტავდნენ და აწილკებ-

დენ ერს, გაუმაძლარ მქალსავით სძოვდნენ მის ნაყოფუ ნაშრომს. თუ რაბამ დიდი უნდა ყოფილიყო მაშინდელი ქართველი კაცის ზიტი და მტულვარება მტრისადმი, საჭიროა მოკლედ და ქრონოლოგიურად იღვნეუსხოთ ის ბრძოლანი, რომელიც გადიხადა მეფე დავითმა, ვი- დრე იგი აიღებდა ტფილისს.

დავითი რომ გამეფდა (1089 წ.), მტრებს მაშინ ეკირათ ასისფორნი, კლარჯეთი ზღვის პირამდის, შავ- შეთი, აქარა, სამცხე, ქართლი, არგვეთი, კუონ-დიდი, ტფილისი, მუხრანი, რუსთავი, აგარანი, სამშეილდე, რანი, შაქ-შირვანი. მათვე ივანობის დღეს (1080 წ.) დაეწვათ ქუთაისი, არტანუჯი და კლარჯეთის უდაბ- ნონი.

1105 წ. მეფე დავითმა დაამარცხა განძის ათასები, დაიპყრა და შემოიერთა კახეთი.

1110 წ. აიღო სამშეილდე და ძერნა.

1115 წ. მუხრანი (მუხრანი).

1116 წ. თებერვალს კლარჯეთი ბასიანამდე და კარნიფორამდე.

1117 წ. ციხე გიში (ნუხი) და შირვანის ქალაქი ქალაძორი.

1118 წ. დაიპყრა რახეის (არეზის) ქვეყანა, აგრე- თვე ლორე და აგარანი (ივლისის თვეში) და მეორე დღეს ცის-კარი.

1120 წ. 14 თებერვალს შემუსრა თურქთა ძალი ბოტორას, იქიდგან წავიდა და აიღო შარვანის ქალაქი ყაბალა, მერე 7 მაისს დაიპყრა შარვანი არაპია-ლი- ჟათით ქურდევანამდე და შიშტლანთამდე; ნოემბრის თვეში მეფემ მოსრა თურქნი აშორნას და სევკელამეჯს და „არა დაუტევა მოტირალი კარავთა მათთა“.

1121 წ. მარტის თვეს მეფემ ამოსწყვიტა თურქ-მანი მტკვარსა, გაგსა და ბერდუჯს შორის მდგომარენი; ივნისის თვეში მეფემ დაიპყრა ორაბია და ბარ-დავი (განჯა); ავგისტოს 18 სამი საათის ბრძოლაში დავით მეფემ შემუსრა თურქთა ურიქხევი ლაშქარი და დაიცრა თრიალეთი, მანგლისი და ღიდვორი.

1122 წ. მეფემ აიღო ტფილისი.

1123 წ. მაისს დაამარცხა თურქთა სულტანი და წაართვა შამახი და შემუსრა რანის სულტანი აღრუნ-დული; ივნისის თვეში აიღო გულისტანი.

1124 წ. მარტს აიღო დმანისი; პპრილის თვეში დაამარცხა შაბურან დარუბანდელი და წაართვა ციხენი ღასანი და ხოაზაონდი; მაისს დაიჭირა სომხითის ციხენი გაგი, ტერონაკალი, ქავაზიანი, ნორიბედი, მანასგომნი, ტალინჯაქარი; იქნისს განკლო ჯავახეთი, კოლა, კარ-ნიფოლი, ბასიანი სპერამდის და აქაურობაში დაშო-ნილი თურქობა მოსრა და ტყვე ჰყო; გამოკლო ბურათა-ყური და დასწევა ოლთისი; მოვიდა და დადგა ბოჭა-ნას-წერობედ; ავგისტოს 23 წავიდა ჭნისის ასალებად და დაიპყრა იგი.

ყველა ამ ომების დროს მეფემ ამოულიტა, დაახ-ლოვებით, 600,000 სული მაპმაღიანი, და ამდენი კაკი, ცოდვა ედება თვით მათ სულთნებს, რომელნიც და-ვითს დაცინებით იხსენიებდენ, „ტყვეთა მეფედ“ ჰხალო-დენ, ქართველთა გვარტომის გაქრობასა და ძირიან-ფესვიანად ამოვდებას ემუქრებოდნენ.

შორს-მხედველმა მეფემ ტფილისზე იერიში მიი-ტანა მხოლოდ მაშინ, როდესაც დაიპყრა მის გარეშე-მო მდებარე ძლიერი ციხეები და სიმაკრენი, რომელ-

ნიც ზურგს უმაგრებდენ და გავირვების ეამს შეელოდნენ ხოლმე.

ამ სახით; ტფილისი განთავისუფლდა მტერთაგან 1122 წელს და 400-ის წლის მონების უღელი განაგდო. ქართველთა სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა მის გამო, რომ მათ დაუბრუნდათ დედა-ქალაქი, შვენიერი ტფილისი. მტრების მფლობელობის ეამს ტფილისის ქართველობა დიდს შეწუხებაში იყო. მემატიანე ამბობს (ქართ. ცხ. , ვ. 254), რომ „ქალაქი სავსე იყო სისხლითა ქრისტიანეთითა; ოდესმე ჰყენიან ლავლავი და თვინიერ მიზეზისაცა მოსრნიან რაოდენნი ჰყოვნიან ქრისტეანენი; ხოლო ოდესმე ქარავანსა თანა შემომავალი ქრისტეანენი და ტყვეობად სიკვდილსა მისცნიან, და ესრეთ ისვროდა ქვეყანა მრავალეამ“. ესრეთი ცოტა ქრისტეანეთა ეძვინებოდა სულსა დავითისასაო, დასტენს მემატიანე (ვ. იგიც) და მოვეითხრობს, რომ ერთხელ დიდი ქარავანი შემოვიდა ტფილისს. ქარავანი განჯისა იყო. მას მოჰკვენენ მრავალნი თურქი. მათი ნახირი მოეფინა ავლაპერიდან ლოჭინამდე. მეფე იდგა ავტოლას. 16 კაცი წარგზავნა ლოჭინს და უბრძანა მოეტაცნათ და მოესრათ მტერთა ნახირი. მათ ეკრე ჰყენს. მტრებმა შეუტაცს. 100 თურქი მოეწია ნახირის მომტაცებელთ. სასტიკად შეიცნენ. ამ დროს მეფე წიგნს ჰკითხულობდა. შეიტან-რა ხმაურობა, წიგნი დასტოვა, შებრძანდა ცხენჩე და „მსწრაფლ შთაბრიალდა ეითარ-ცა არწივი და დააბნია ვითარცა კაჯანი, გაელიტა მტერნი, რომელთაგან მცირე ნაწილმა ძლივს შეასწრო ქალაქს.

რაც კი ქალაქში მაჭმადიანობა დარჩა, იმათ პა-

ტივით ეპურობოდა დავით მეფე. არაბთა მწერალი ალ-აინი ამბობს: „მაჰმადიანებმა დავითს სოხოვეს ქრისტიანები სკენთან ერთად აბანოში ნუ შემოვლენო და შეურაცხ-ყოფას ნუ მოგვაყენებენო. დავითმა ესრეთი თხოვნა შეუსრულა მათო. მეფე დავითი და მისი შეკილი დი-მიტრი ყოველდღე მეტიში იარებოდნენ და ისმენდენ სამეფო ლოცვას და ყორანის კითხვასათ. მეფე უხვად აჯილდოებდა მაჰმადიანთა მოძღვრებსა და ქადაგებსო. მან ტფილის¹ში ააშენა ქარკასლები და სადგურები მო-ქადაგეთა, მოლათა და მგოსანთათვის, რომელთაც ულუფასაც უნიშნავდათ. თუ ამათგან ვინმე ტფილისის დატოვებას მოისურვებდა, მეფე გულ-ავსებით ხელა უმართავდა და მგზავრებს ფულს აძლევდა. მაჰმადიანთ უფრო მეტს პატივს სცემდა მეფე, ვიდრე თვით მათნი მთავარნიო * (ვახუშტი, გვ. 185, შენ. 1).

დავითის დროს ვის ხელში იყო ტფილისის ვაჭ-რობა, არა სიანს; მხოლოდ მემატიანე გაკვრით მოიტ-სენიებს (გვ. 249), რომ 1121 წელს, ე. ი. მაშინ,

*) ქართ. ცხ.: „ადაშენა დაფიამბან ქსენონი ადგიდსა შემსკავებულსა და შეენიერსა, რომელსა შინა შექრიბისა მანი თვითოთ სახითა სენითა განცდილი, და მოუმზადა მათ ურავ-დივე სასმარი უნადლენდოდ და უსკებით და განეხინსა შეს-გადნი და სადგაწნი; ხოდოთ თვით მიგიდის, მთიხადნის, მთ-ივათხენის და ამბობის უეჭის თვითოთგულსა, ჟურუფუნებდის შაშები, სწულობდის და ჭარტრიდის, გასამსსეობდის; მთხას სედათა მისეცის მათ ცხედრებსა, სამოსდებსა და საკამადლოა, დართსა კმასაუთველისა; კასაგის უთველი საქმე მათი დიდად შეენიერად და დვითის მსახურებით“. ესრუ სხსათვებს დავითის შემატიანე ჭერ ისევ ტფილისის ადების წინად.

როდესაც ქალაქი ისევ თურქმანთ ეჭირათ, ტფილისისა, განჯისა და ღმანისის ვაკრებმა, დაკითისაგან შევიწროებულებმა, შეიღებეს ზოგმა პირი და ზოგმა ხელები და წაკიდნენ წინაშე თვისის სულთნის და მიუთხრეს მას თვისი გაჭირება.

დაკით აღმაშენებელი გარდაიცალა ტფილისში, საიდგანაც მისი გვამი წაასვენეს და დაასაფლავეს გელათს. (ვახუშტი, გვ. 187).

გიორგი მესამისა და მისის ასულის თამარ მეფის დროს ტფილისი ღიღს წარმატებაში შევიდა, მოშენდა და ლამაზად მოეწყო. ქალაქის განდიდებასა და გაშვენებას ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ მეფენი აქ სცხოვრობდენ აქვე იყო საცხოვრებელი ბინა საქართველოს დიდებულთა, დარბაზისეულთა, სეფე-წულთა, მოხელეთა და ლაშქართა; აქედგანვე მეფენი გაისტუმრებდნენ ხოლმე ლაშქარს დასაპყრობად სხვა და სხვა ქვეყანათა და ერთა, და კოდელი გამარჯვება მტრებზე ქალაქს ავსებდა აუარებელის სიძლიდრითა; ტყცითა, ძროხითა, აქლემ-ჯორითა, ოქრო-ვერცხლითა, თვალ-მარგალიტითა, ხალებითა და ფარდა-ებითა და სხ. და სხ. ამისა გამო ქალაქის ვაკრობაც ფრიდა განადებული იყო. ტფილისის მოვაკრეთ საჭინელი შეჰქონდათ შიკ საქართველოს დაბა-სოფლებშიაც და მეზობლის ქვეუნებშიაც: ოსეთს, კიბილს, ჩაჩანს, დაღისტანს, ჩერქეზს და სხ. რომ ქარეთი დამოკიდებულება ჰქონდა ტფილის გარეშე მდებარე ქვეყნებთან, ამას ნათელს ჰქონდა ის გარემოება, რომ თამარისათვის ქმრის ჩამოსაცვანად ყიფა-აღეთიდვან, წარვზავნეს ქალაქის მკიდრი და დიდებულ ვაქართაგან ზანქან ზორაპეტელი, რომელმაც;

უეჭველია, საქართველო-ყიფჩალეთის სამხედრო გზა
უფრო კარგად იცოდა, ვიდრე სხვათ.

1189 წ. თამარი აღვიდა ტახტზედ და ეკურთხა
მეფედ. გვირგვინი რომ დაადგეს თამარს და ხმალი
შემოარტყეს, შეიტმნა საერთო სიხარული, „ჰკრეს
სპილენძურთა, ბუკთა, ქოსთა და წინწილთა და იყო
ზარი და ზეიმი ქალაქსა შინა. თაყვანი სცეს, დალოცეს
და აღიდეს“.

ტფილისში მეფის სასახლე იყო ისანს. (მეტეხის
ციხეში), რომელიც გადმოჰყურებდა მთელს ქალაქს.
მკვიდრთა სახლები შეფენილი იყო მტკვრის მარჯვ-
ნიერა და მარცხნივს აღმართებსა და გორაკებზე. ძლი-
ერი ციხის რაოდი გადაკლებული იყო მეტეხის გო-
რაკისა და მტკვრის გაღმა სოლოლაკის მთის მწვერვა-
ლებზე, საიდგანაც ჩამოდიოდა ანჩისხატის ეკკლესიამ-
დის და მტკვრამდის. სოლოლაკი, ვანქი, მთაწმინდა,
ვერა, კუკია, ჩუღურეთი და ავლაბარი ციხეს გარეთ
იყვნენ. სოლოლაკი გაშენებული იყო ბალ-ვენახებით.
ვერა, კუკია, ჩუღურეთი, შორეული აკლაბარი და
ნაკოლული ქალაქის ნახირთა საძოვრად და ნაუგდურებად
ითვლებოდა. ყველა ამ. აღგილებში მხოლოდ აქაიქ
მოჩანდნენ თიოთო-ოროლა ეკკლესიები. კუკიის ბოლოს
დიდუბში იყო მეფეთა სასახლე და იქვე საყდარი
ღვთის მშობლისა. თამარ მეფემ ამ ტაბარში დაიწერა
ჯვარი და იქვე გადიხადა თვისი ქორწილი. ეს მოხდა
1193 წელს.

ქორწილის დღეს დიდუბეში შეიყარა დიდალი
ხალხი, ლაშქარი, დიდებულნი, ხელის უფალნი, სამღვ-
დელონი და საერთნი. თავდარიგის მიმცემი იყო თა-
მარის მამიდა რუსულანი, ქვრივი ხვარასნისა და ერა-

კის სულთნისა. ჯერის წერის შემდეგ ლხინი გაიმართა „სრასა დიდუბისასა, სანახებსა ტფილისისასა. ქორწილი ქჩნეს შესატყვისი და შემსგავსებული ხელმწიფობისა და შარავანდელობისა მათისა“. ერის შესაქცევად და გასართობად მოწვეული იყვნენ მსახიობნი, მგოსანნი და მუშაოთნი. ერი დიდს შვებასა და ლხინს მიეცა. ცველას უხაროდა, რადგან დღეს მათს დედოფალს ცხოვრების ამხანაგი გაუტდა, დღეს მათ მიენიჭათ ახოვანი ხელმწიფე დავით სოსლანი ბაგრატიონი. უხაროდათ ობოლოთაცა, გლახაკთა და ქვრივთაც, რადგან იგინი ნუკეშინის-ცემულ და გამღილებულ იქმნენ; უხაროდათ მოვალეთაც, რადგან იგინი განთავისუფლებულ იქმნენ ვალებისაგან; უხაროდათ სამღვდელოთაც, რადგან ხელმწიფე ნეფე-პატარძალმა ეკალესიებს მიანიჭეს აურაცხელი საბორვარი; უხაროდა ლაშქარსაც, გინაიდგან მათ ჰპოვეს საიმედო წინამძლოლი და სპასალართ-სპასალარი.

ქორწილის შემდეგ ორნივე „მნათობნი“, ორნივე „მზენი განმანათლებელნი ყოველთანი“, შემოვიღნენ ტფილის და დასხდნენ „ტახტსა ბედნიერსა“.

ამავე ქორწინებას ასრე აღწერს საერო ლექსი:

საქართველოს დედოფალი, დედა ქართველისა თამარი,
სიმშევიცერია მთხილი, ამომავალი მზის დარი,
დავით სოსლანის შეუდღე, რომელს უმშევისა მან შიარი;
დიდებუში იქორწისა, სადაც რომ საუდარი არი;
სადიმობა გაუმართა,— მთაწყია თვისი ჯარი;
ასი სული წევარი დაკლა და თრასი ჩაშა-ხარი;
დურჭი სულო გაუმაღა, იქნებოდა ასი შეარი;
ქვრივ-თბღებისა უწევალობა თქრთ-გერცხლი დიდი ძალი.

ახლა, როდესაც თამარს გამოუჩინდა პატრონი და საქართველოს დიდი ხელმწიფე, ძნელი იყო ისეთი გან-დგომილების მოხდენა, როგორც ესა ჰქმნა ამას წინაღ „ჯორის სახედ ორ-გონება“ ყუთლუ-არსლანმა, რო-მელმაც მიიბირა უაზნონი, დაიდგა „კარავი ველაა ისანისასა, სანახებსა საგოდებელსა“, და ჰიტიქობდა აქედგან თავისუფლად და დაშოუებიდებლად ემართა ერი. ამასთანავე მან მიიჩემა ამირსპასალარობა და „გ ანემზადა სომეხთა მეფისა ადგილას ლორეს დაჯდომა“. (ქ. ც., გვ. 281). თამარმა შეაპურობინა იგი, გარნა მისნი მომ-ხრენი გარს შემოადგნენ ისანს და სცდილობდნენ, რა-თა გააშვებინონ ყუთლუ-არსლან და არა მიუშვან ვნებალ მისსა. თამარმა არ ინდომა დალუპვა „ჯორის გონება“ კაცისა და მისთა მომხრეთა. მან ორთა დიოფალთა პი-რით ყუთლუს მოსთხოვა მორჩილობა. მეამბოხენი დაწ-ყნარდნენ, მოკიდნენ წინაშე თამარისა და დაკრძომით თაყვანი სცეს მას, და მიცეს პირი ერთგულებისა. ის ორნი დიოფალნი იყვნენ: ერთი ხვაშაქი ცოქელი, დე-და ქართლის ერისთავის რატისა და მეორე კარავ ჯაყული, დედა „აწ მყოფთა“ სამძიეართა.

შემდეგ ამისა დაჯდა თამარი საყდართა ზედა ზე-ამაღლებულთა და იურვა ქვეყნის საქმეთათვის და გაამ-წესა ვაზირნი, სპასპეტნი, ამირ სპასალარი, შეკურკლეთ უხუცესი, მსახურთ უხუცესი, ამილახორი, ჩუნჩერახი (მზარეულთ უხუცესი), ერისთავნი.

დიდს ლაშქრობისას ქართველთა ჯარი შეიყრე-ბოდა ხოლმე ქალაქსა და მის სამხრეთის მარივ ტაბან-მელამდე, ყარაღაჯამდე და ბერდუჯამდე (შდინ. დეპედა). ჯარი რომ თავს მოიყრიდა, ატყობინებდენ თამარს, რომელიც მიბრძანდებოდა-რა სალაშქრო ბანაკს, ლო-

ცავდა ჯარს და ისტუმრებდა საბრძოლველად. ტლევა-
მოსილის ლაშქარის დაბრუნებისას თამარი უხვდებოდა
ჯარს ტაბახმელასა და აგარონს. იკითხავდა ყველას
ცალკ-ცალკე და იწვევდა ქალაქში. თუ ტყვეთა რიცხვი
და დავლა-ალაფი დიდი და უზომო იყო, ყველასა და
ყოველივეს ჩარიგებდნენ ხოლმე დიდ-უბის ველზედ
ტფილისიდგან ავჭალა-გლდანამდის და შემდეგ მათ
დასახედავად გამობრძანდებოდა თამარ დელოფალი. იმ
მაგ, შანქორის ომიდან (1195 წ.) რომ დაბრუნდა ლაშ-
ქარი, მაშინ ამ დიდუბის ველზედ ქალაქის კარიდგან
გლდანამდე გამოფენილ-ჩარიგებულ დაწყობილი იუ-
დროშა ხალიფასი, შემდევ ათაბაგისა, მერე ტყვენი
12,000, ავაზა 40, ცხენი 20,000, ჯორი 7,000, აქლე-
მი 15,000, ყოველი კიდებული; ხოლო „სხვათა სიმ-
დიდიდრეთა და საპურილეთა, ოქროთა და ლართა ვინმცა
უძლო აღრიცხვად“. კველა ამის დახედვის შემდეგ დაბ-
რუნდნენ ქალაქს ყოველნი მოქალაქენი, აღსაფერი
ოქროთი და სამკაულითა, მრავალ-ხახე ჭურჭლითა,
თვალითა პატიოსნითა და უსასყიდლო მარგალიტითა,
ჯაჭვითა, მუხარალითა, ხმლითა, ფერად-ფერად ნაქსო-
ვითა, ოქროსქილილითა, მრავალ-ფერ სურნელითა,
სპილენძითა. და კიდევ იმდენი დარჩა, რომ „სეფენი
აზნაურიანი“ ანაკოფიდან გულის-ტანამდე აღივსნენ
ტყვითა რეულითა და საგანმურნი აღევოთ ოქროითა
და ურიცხვითა პატიოსნითა ჭვითა. ხან და ხან ტყვე
იმდენი მოჰყავდათ, რომ ტყვე კაცი იყიდებოდა ნა-
ლისა და ჩამის ფასად, ხოლო თვალი პატიოსანი იმ-
დენი მოჰქონდათ, რომ მას არა თვლიდნენ, არამედ
„სარწყავით რწყვიდნენ“.

მოსე ჭანაშვილი.

(შემდეგი იქნება).

ბერძნული დაქსენია ქართულად.

პოეტურ თხზულების ერთი ენიდან მეორეზედ გადაება საზოგადოდ ძნელია. მთარგმნელმა ზედმიწევნით უნდა იცოდეს ის ენა, საიდანაც სთარგმნის, ასე რომ წვრილმანიც რამ არ უნდა გამოეპაროს; თავისს საკუთარ ენაში, რომელზედაც გადააქვს უცხოდან, რალა თქმა უნდა, დახელოვნებული უნდა იყოს და ამას გარდა კიდევ ნიჭითაც თანაბარი დედნის დამწერის, რომ გაუსწორდეს; თვარა ისე სიტყვითი სიტყვად გადმოთარგმნა, ცოცქლის მოკვლა და მერე მკვდრის ლვლერწით გადათრევა იქნება.

ამიტომაც საზოგადოდ თარგმანი დედნის ჩრდილია ხოლმე.—ყოველ მთარგმნელს, ზემო-მოხსენებულ ღირსებითაც რომ სრული იყოს, კ. ი. ზედმიწევნით იცოდეს ორივე ენა და ნიჭითაც უტოლდებოდეს დედნის დამწერს, მაინც კიდევ გამოეპარება ის წვლილმანობა, რომელიც შეადგენს თვითოვეულ ხალას განსაკუთრებულ

ბითს სულის საიდუმლო მოძრაობას, და რომელიც მხო-
ლოდ დედნის ავტორს შეეძლო დედის რძესთან ერთად
შეესისხლორუქია, რომ პოეტური ნაწარმოები მოე-
ქარგა და გაესხიეროსნებია. ამას ჩვენ ვამბობთ შესანიშ-
ნავ კლასიკურ თხზულებათა შესახებ, თვარა უმნიშვნე-
ლო და უხეირო რამ თარგმანში რას დაჰკარგავს, თუ
არ მოიგდეს პირიქით! მაგალ. ჩვენი უნიკო ონიპინტრე
რომ ნიჭიერმა მთაჩგმნელმა გადაიღოს უცხო ენაზე,
რასაკვირველია, როგორმე გამოაკაპიტებს, სალაშინსა
ჰკრავს და მოსაწონი იქნება!.. მაგრამ რუსთველის სავ-
სებით გადალება კი მოუხერხებელია. „თუ კი აზრი იგივე
იქნება, სიტყვები შეუცვლელი, ჰანგი მსგავსი, კეთილ-
ხმოვანება დაცული და სხვანი... რატომ არ შეიძლე-
ბაო?“ ეგებო იყოთხოს კინმებ, და აი ჩვენ რას მოვახ-
სენებთ: ჰატტი ანუ მაზინი, ყველას გაგვიცონია, რომ
საოცარი მომღერლები არიან და დღეს ტოლი არა
ჰყავთ! მათი მიშბაძავი კი ბევრია!.. იმღერიან მასევ
რასაც ისინი, იმავე კილოთი, იმავე მიმოხვრითა. ჰან-
გებიც ვითომ იგივეა, მაგრამ მათი მაგიერობა კი მა-
ინც არ შეუძლიათ! — ის საიდუმლო მაღლი, რომელიც
ერთსა აქვს მაღლით მინიჭებული, მეორეზე იმავე
სისწორით აღარ გადადის. ასე რომ ვისაც უნდა მა-
ზინის, ან ჰატტის სიმღერა გაიგოს, უთუოდ მათი პი-
რიდან უნდა მოისმინოს!.. მეტი საშველი არ არის და
უსულო ფონოგრაფიც მაინცა და მაინც ბევრს ვერას
მოეხმარება.

პოეტური ნაწარმოები, ლექსები, ორგვარია: ერთი
აღვიძებს გონებას, ამაღლებს; მერე გადადის გრძნობაზე
და ორივეს ერთად ჰსჭვალავს. მეორე კი — თვითქოს
საქმეც კი არა აქვს რა გონებასთანაო, თავისთვის

უძვრება სულსა და გულში და თვითქმის უნებურად
ჰეიბლავს ადამიანს. ამ უკანასკნელთაგანს ეკუთვნიან
სახალხო მշოსნები; მათი ლექსები უფრო სასიმღერო
არიან, ვიდრე სადეკლამაციო, ხმა-მაღლა საკითხავი, და
მართლაც, მათი კითხების დროს გულში უეჭველად იმ-
ღერის მკითხველი. ამ უკანასკნელი დარგის მշოსნები
იშვიათად იბადებიან, როგორც ინგლისელების ბორნ-
სი, ჯერმანელების ჰეინე, და ოუ გნებავთ კოლუმვიც,
რომელიც რუსის გრძნობა-გონების პირობაზე, ქე-
ბით მოსახსენებელია. ამათთაგანია, მაგრამ უფრო ძლი-
ერი, ფრანსუაჲის მუსანი ბერანჟე, რომელმაც თავი-
სი თანამედროვე საფრანგეთის ყოფა-უხოვრება სასიმ-
ღერო ლექსებით გამოსახა. მისი ლექსები ერთსა და
იმავე დროს კიდევ ატკბობენ და კიდევაც ანალელია-
ნებენ მკითხველს. ჰკითხულობა—გეკინება. მაგრამ იმ
სიცილში რაღაც ეკალიკით იჩელიტება. ყოველ მის
ნათქვაში ლირიზმი და სატირა ერთად არიან შენათ-
ხი და თანასწორის ძლიერებით იმორილებენ მკით-
ხველს. ამგვარი ნაწარმოების სხვა ენაზედ გადაღება
თვითქმის მოუხერხებელია და ვერც არვინ დაიჩვენებს,
რომ ბერანჟე სამაგალითოდ გვაქვს გაღმოლებულიო.
კუროჩქინისა არ იყოს, ზოგიერთი მთარგმნელი ნიჭი-
ერი პოეტები დაუასლოვდენ ბერანჟეს, მაგრამ ისე კი,
როგორც მწერები განთიადს და მეტად კი არ მოხერხ-
დებოდა. ჩვენში პირველად სინჯა გადმოქართულება
მისი გ. მუხრან-ბატონმა. რამოდენიმე ლექსი გაღმოი-
ღო, მაგრამ, რომ შეატყო თავის თავს უვარებისობა,
აიზო ხელი. ჩვენ რამოდენჯერმე ვსინჯეთ, მაგრამ ჩვენი
შრომა ბერანჟეს თავში კეტის დაკვრა გამოდგა და და-
ვანებეთ თავი. ყველას რომ ჩვენთვის მოებაძნა და ხელი

აელო ბერანეეს თარგმნაზე, თქვენი მტერია, ქართველები ისე დაცრიცხლით, როგორც ანდაზა ამბობს: „კარგი არ მაღირსიან და ცუდი არ შაკადრიანო!“ მაგრამ ღმერთმა უშველოს, ჩენსავით არ მოქცეულა ახალგაზდა პოეტი გვაზაეა და ცდილა, რომ ბერანეეს რამოდენიმე ლექსი გადმოელო ქართულად და ცალკე წიგნაკადაც გამოეცა. „არაობას, კარაობა სჯობიაო“ ნათქვამია და ახალგაზდა პოეტიც მაღლობის ღირსია: ეტყობა, რომ რაც კი შეიძლებოდა ბევრი უცდია და უფროხილებია; ბერანეეს შეკიდების რა მოვახსენოთ, და ისე კი ეტყობა ბ. გვაზავას, რომ ნიკი არ აკლია, მაგრამ როგორცა სხანს, იმასაც თანვე სდევს თანამედროველი ქართული დაუდევრობა და ზარმაცობა: დედა ენის ცოდნაში კოჭლობს და ეს სირცხვილია ნიკიერ ქართველისათვის!.. ჯერ-ჯერობით მეტს აღარას ვიტყვით!..

სიტყვაურების თეორია.

ეს სახელმძღვანელო წიგნი, ამ დაკნინებისა და დაცარდის დროს, ჩენებში შესანიშნავი მოვლინებაა და ქართულ ოჯახებში იუცილებელ განძად შესატანი. ამის შემდგენლებს არ ჰქოლებიათ არც ცოდნა, არც ბეჯითობა, არც სხვა რამ, რაც კი რამ საჭიროა ამ გვარ სახელმძღვანელოს შესაღენად. ცხადია, რომ ნიკი კეთილად მოუხმარიათ, მაგრამ სალიტერატურო მინუშების დამატებაში კი ცოტა უსუსტებიათ: თუმცა არც

მათი მინუშები არიან უვარებისი, მაგრამ ჩვენს მწერლობაში მოიპოვებიან უკეთესი სამინუშოები, და ისინი გამოპარვიათ. აგრევე დიდი შეცდომაა გაურჩევლად რაზიკაშვილების ნაწერების სამინუშოდ შემოტანა სახელმძღვანელოში. ამით მე ის კი არ მინდა ვსოდეა, რომ რაზიკაშვილებს ნიჭი აკლდეთ!.. პირაქედ, უხვად არიან მალლით მიმადლებული. ამ კრებულში რომ დაბეჭდილია ვაჟა-ფშაველას პოემა „გოკოთურ და აფშინა“, ერთი უკეთესთაგანია მთლად წევნს მწერლობაში. წვრილმანილექები, როკორც საკუთრად ვაჟასი, ისე მისი ძმის „ბაანასი“ და ოდონი საზოგადოდ სამარტალიტო შაირები არიან!.. პროზა ხომ კიდევ უკეთესი. მაგრამ საწყენი ის არის, რომ განგებ ამახინჯებენ თვითვე მათ ნაწარმოვებს ქართულის გადაჯორჯვე-გადმოჯორჯვით და შიგა და შივ ისეთ რამეებს ახორცმეტებენ, რომ შვენიერებას, საუწმინდუროდ ჰდალვენ!.. ვინ არ იცის, რომ ქართული ენის სამდიდრეს უმეტესად შეადგენენ ზმნები, მათი ულვლილება და მიმოხვრა!.. ვინც ზმნებს ჯეროვანად ვერ ხმარობს, ის უეპველად ქართული ენის უმეტარია!.. და ზმნებს საზოგადოდ, რაზიკაშვილებიც ვერა, ანუ უფრო მართალი იქმნება ვსოდეათ, განზრაა არა ხმარობენ სისწორით. ამახინჯებენ და ეს უკუღმართობა სიტყვიერების გარეგანი სხივ-ცისკროვნება ჰგონიათ!.. მაგალითად:

„გაჭმე, აღუბგის ქვეუანა

ფუკუღები ჩაუხოცავის, (ე. ი. დაუბოდიათ)

წასულა სისხლის დგარით,—

დაგენთში გაურეკავის, (ე. ი. გაურგებიათ). (გვ. 614).

ანუ ეს:

„იქით გავხედნებ— მოქმდა, (ე. ი. გაყისედავ— შთებდა),
შალდა ავხელნებ— ფა არის, (ე. ი. აყისედავ— ფა არის),
და ანუ თედოსი: [გვ. 615].

„შინდორ, შანდორის დედად!

ნიკო შეიბრალოდეთ!

რომ შოგვდეს, თქვენსა კალთაში

შიიღეთ, მიიბაროდეთ,

წუ გახდით საყვავეურონედა,

შვილურად შეინახოდეთ!!“ და სხვანი. (გვ. 618).

ეს ზნები: „ჩაუხოცავის, გაურევავის, გავხედ-
ნებ, ავხედნებ, შეიბრალოდეთ, მიიბაროდეთ“ და სხვ.
აშვარნი, ნეტავი რა ფრაზებია და ღრამატიკულს რო-
მელ კანონთაგანს ეთანხმება?.. არ გაგონებსთ ეს რუ-
სის მოჩორთვილ ქართულს, როდესაც ის წადის მაგი-
ერად „ცაჟდის“ ამბობს და „გავაკეთებ“-ის ნაცვლად
„ბაჟარეტის შე“-ს? გვეტყვიან: „მათ მხარეში, მოქმდი
ხალხი სწორედ მაგრე ხმარობს მაგ სიტყვებს და ეს
პროვინციალიზმია!“ წვენ საზოგადოდ პროვინცია-
ლიზმის წინააღმდეგი არა ვართ!.. სხვა-და-სხვა მხარე-
ებში ბევრი მისთანა სიტყვებია დარენილი, განსაკუთ-
რებით მთა-აღვილებში, რომ მათი გამოქებნა და მითი
წვენი დღეს დაქნინებული ენის შევსება საჭიროა; აგ-
რევე ახალი რამ სიტყვის ხმარება, თუ კი სადმე პრო-
ვინციაში გასპეტაკებულა და დედა-ენის კანონის თანა-
ხმად აღმოცენებულა, მისაბაძავია საყოველთაოდ...
ამგვარ კანონიერ რამეცით, რომ შევასოთ და-გავა-
სუქოთ ქართული ენა, საჭიროც არის. მაგრამ ის, რაც
დედა ენის წინააღმდეგ სხვა-და-სხვა მხარეებში, პრო-

ვინციებში, გადაუმახინჯებიათ და გაუფუჭებიათ, ხელ-
მოსაკიდები კი არა პირ-იქით გასაღევნია!.. მაგალითად,
გურიაში ამბობენ: „ნენა! რას უყუნცულებ? დრო
პაწა შუკიდოთ ცეხლს და ჩა ვსვათ. (დედა! რას უცდი,
დროა შევუკიდოთ ცეცხლს და ჩაი დავლიოთ).“

იმერეთში: დაწები მოსულარიან და აქანეი ჯილა-
რიან. (დები მოსულან და აქ ჯიან, ანუ სხედან).

რაჭაში: ქვე ქნიან ფონ ქვერე ჩემ გოჭუკელას.
(ფონს ქვეით (წყლის პირად) ასო-ასოდ სჭრიან ჩემ
გოჭს).

ქართლში: ჭალაბი თბაზე წავასხი და ჩვენთან
ერთად ფოფულდიაც მოაბორებდა. (სახლობაზატობაზე,
(ანუ ჯვარობაზე, ანუ დღეობაზე) წავიყვანე და ჩვენ-
თან ერთად მღვდლის ცოლიც მოდიოდა). ამგვარი რამ
ყოველ კუთხეშია—ე'ენი ყველა პროეინციალიზმია;
მაგრამ ქართულ ენაში ამგვარი რამების შემოტანა,
აქაო და ჩვენ კუთხეში ასე ხმარობენო, ნუ თუ ენის
გარეუნა არ იქნება? სხვებმაც რომ რაზიკაშვილებსა-
ვით ზმები ამახინჯონ და სწერონ: „ჯილარიან, გაშ-
პა, ქვე ქნიან, მოა?ოტებს“ და სხვანი—ბაბილონის
გოდოლის დაქცევის შედეგი იქნება!... მიუხედავად
ამ წვრილმანი ნაკლისა, მაინც კიდევვიტყვით, რომ ეს

წიგნი ყოველ ქართულ ოჯახისათვის საკიროა, მით
უფრო, რომ შეძენაც აღვილია: სულ ლირს ერთ მა-
ნეთად.

ისტორია საქართველოს გაბრძესისა

წიგნი I

მოქალაქა ქართველთა, შედგენილი რუსულ ენაზე მ. ჭა-
ნაშვილისაგან.

ბევრის თქმა საკირო აღარ არის!.. ამ წიგნის შემ-
დგენელის სახელი ამტკიცებს, რომ ეს თხზულება კარ-
გი რამ უნდა იყოს. ბ. მ. ჯანაშვილი იმ იშვიათ მოლ-
ვაწეთაგანია, რომელნიც დღეს ცოტათი კიდევ გვაგრ-
ნებენ ძველ ქართველ მოღვაწეებს—იმ სატიდეპელ
პირებს, რომელნიც თავ-დადებით შრომობდენ და სას-
ყიდლად ითვლიდენ, საქვეყნო ვალის მოხდით გამოწ-
ვეულ, საიდუმლო სიტკბოებას!....

ანტონ ჭერიშვილის ქადაგებისი

უავლად სამღვდელთის იმერეთის ქასკონისის ბესარიონის
გამოცემა.

მამა-პაპების ზეპირ-გადმონაცემობით, ვის არ ვაუ-
გონია ჩვენში ანტონ ჭერიშვილის ქება-დიდება და
როგორც მცევრ-მეტყველი მქადაგებლის მაღალ საფეხურზე
დგომა?! გადმოცემული გვაქვს აგრე მისსიონერ-პატრის
ნათქვამი მის შესახებ: ერთხელ თურმე ფრანგების პატრის
მისსიონერს, რომელმაც სიონში მოისმინა ქართული
ანტონ კათალიკოსის ქადაგება, სახახლეში ჰქითხეს:
როგორ მოვწონს კათალიკოსის ქიდაგება და ვინ უკე-
თხსად ჰქიდაგებს: ეს თუ ჭყონდიდელიო?.. პატრიმა
მიუგო: კარგი მქადაგებელი ის არის, ვინც თავისს აზრს
დიდსა და პატარასა, ნასწავლება და უსწავლელს ყველას
ერთად ნათლად გააგებიებსო. დიდი საგანი ისე უნდა
დაგრიხოს, დააწვრილოს ორატორმა საჭიროების დროს,
რომ ლირსება-დაუკარგავად ნეების კურწში გააკრი-
ნოსო. ამას ყოლიფერს შემქლებელობს ანტონ ჭერი-
შვილი, და მისებრი მქადაგებელი დასავლეთშიაც
ძვირად მოიპოება საღმეო!“ ეს ყოლიფერი რაც აქამდე
ამბად გაგვიგონია, დღეს შეგვიძლია დავამოწმოთ: კავ-
ლად-სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსის ბესარიონის
წყალობით, რომელმაც კეთილ-ინება რამოდენიმე ქა-
დაგების ცალკე წიგნად გამოცემა. ამ წიგნს შესავალად
მიუძღვის წინა-სიტყვაობა ბ. თ. უორდანიასი, რომე-
ლიც თუმცა ყოველ-გვარ მოღვაწეობას ჭყონდიდლისას
არ ეხება, სრული ბიოგრაფია არ არის, მაგრამ მაინც

კარგი და მოსაწონი რამ არის!.. საგნის სიკეთეს გან-
ხილვის სიკარგეც გამოუშვევია და ორივე, როგორც
ქადაგებანი, ისე წინასიტყვაობა, ერთი მეორეს ათავსე-
ბენ: მას აქედ რაც ეს ქადაგებანი თქმულა ერთ საუ-
კუნეზე მეტია, მაგრამ დღესაც კიდევ, როგორც ენის
მხრით, ისე აზრის სიდიადითაც სამაგალითო მინუშე-
ბად ჩასათვალია!—დღეს რომ ჭითხვის დროს, კაცი
ასე საოცრად იხიბლება, რა უნდა უგრძნოთ იმ დროს
მსმენელებს, რომელთაც ორატორის პირისაგან ესმო-
დათ ცხოველი სიტყვა?—იმათ, ვინც ჩვენს წასრულს
აპუჩად იგდებს, წაიკითხონ და ნახონ, თუ რა მაღალ
ხარისხზე ყოფილა აყვანილი საქართველოში საღმრთო
სიტყვიერება?—და როგორი წარმომადგენლები ჰქოლი-
ათ? შევიდარონ იმათ, რომელთაც დიპლომები ხელში
უჭირავსთ, მაგრამ თავისი საკუთარი კი კუუტ!.. როგორც
თავში, ისე გულშიაც!.. მის ნაცვლად, რომ ჩვენ დღევან-
დელმა ქართველებმა ფარდა აქადოთ და სინათლე მივაუც-
ნოთ, უფროც ვაძნელებთ!.. ვინ იცის, რამდენი ამიტანა,
შეიძლება კიდევ უკეთესიც; საერთო განძი გადმოუციათ
ჩვენ ძველებს ჩვენთვის და სადა ჰყრიან, ჩვენ არც კი
ვიცით. ვინც იმათ გამოებნის და გამოეცემს, ლვთისა და
კაცის სასიამოვნო საქმეს იხამდა!—მაგრამ დღეს ვინ-ლა
ეძებს ან ერთსა და ან მეორეს? ბალეში, სასტუმროებში,
და ათას ამ გვარ საცუნდრუკო რამეებში არასა ვზო-
გავთ! საზანდრების გადასაგდებათ, არტისტების თავზე
გადასაყრელად, ულიკსების შესაწევრად, სამეტიჩროდ
და სამაიმუნოდ არასა ვზოგავთ და ხელშიაც მოგვყვება
ვხარჯოთ!.. და ამ გვარ საშვილიშვილო რამეზე მცირ-

რედსაც ვერ ვიმეტებთ! აი რას ჰქვიან დაკონჯება?!!

ამისთანა დროს ცოტა რამეც დიდათ ჩაითვლება, და

ამიტომაც საქებია ამ წიგნის გამომცემი. გამოცემული

კარგად არის სტამბის მხრითაც. არც ძირია: მანეთ-

ნახევრადა (1,50) ლირს. მხოლოდ გულ-სანაკლო ის

არის, რომ ცოტა გამოუციათ, მხოლოდ ეკულესიების

შესაძენად, მაშინ როდესაც, უფრო მეტი რომ ყოფი-

ლიყო და იაფიც, ერის კაცებიც შეიძენდენ და კარგი

იქნებოდა.

მემკვე ნოამერა, ანუ ხალაფის წანააღმდეგი.

ამბავი ილდიზ-ჯაფიკიდან.

მეორე წელიწადია, რაც ეს პატარა ამჰავი გამო-

ვიდა ცალკე წიგნაკად. ბოლოში რომ „იასე რაჭველი“

არ იყოს მოწერილი, ჩვენ ეს პატარა მოთხრობა ვინმე

ცნობილ, ევროპიელ მწერლის ნაწარმოები გვეკონე-

ბოდა. მართლა რომ ევროპიულ გემოზეა დაუკრილი. ა

კრორი, გაუჭირველად, თვითო-ოროლა კალმის გაკვ-

რით გვითვალისწინებს სტამბოლის ცხოვრებას, მისის

ფარდა-ჩამოფარებულ პარემ-ხანებით. ამ თხზულების

შინაარსი აქ არ მოგვაქვს, „იმიტომ რომ ცნობის მო-

კვარე მკითხველი პირდაპირ მიჰმართავს დედანს და

უკეთაც შეიგნებს. ჩვენ მხოლოდ, ამ თხზულების გა-

მოისობით, ცოტას განჩე გადავუხვევთ და ვიკითხავთ:

ვინ არის ეს „იასე რაჭველი“? — ეს იმ ქართველთაგანია,

ვისთვისაც ბედს ურგუნებია ჩვენი ქვეყნის მოშორება!..

მერე და საშობლოს მოშორება განა დიდი უბედურება
არ არისო? იკითხავს ვინმე. და ჩვენც რასაკვირველია
იმავ აზრისა ვართ: სამუდამოდ, თავის საშობლოს მო-
შორება ნახევარი სიკედილია, მაგრამ დროებითი კი
— მხოლოდ გადახალაჲბა! ეს საზოგადო კანონია, რომე-
ლიც კერძოდ ჩვენ ხალხზე ერთი ორად სურის. ჩვენ
ბევრჯელ გვითქვამს და სხვებსაც, რასაკვირველია, შეუ-
ნიშნავი არ დარებოდათ, რომ იმერელი შინ სხვაა და
გარედ კიდევ სულ სხვა: ერთგან — ცუდი, მეორევან —
კარგი. და რას უნდა მივაწეროთ ეს?.. იმას რომ იმე-
რელი თან-შობილად მდიდარი გრძნობაუგონების შე-
ქონია; მისი ბუნებაც ყოველთვის კარგს მოითოვს,
მაგრამ გარემოება ჰუარაჟს მის წალმართობას და აფუ-
კებს. დღევანდელი ცხოვრების მიმდინარეობა
იმერეთში იმდენად უკუღმართია, რომ
აუზნეურებს იმერელს!.. ის იულებულია, მისი
ბუნების წინააღმდევ იუკუღმართოს, რომ სიცოცხლე
შეირჩინოს და ან კი რა ჰქმნაა? სწორის გზით რომ
წავიდეს, ათასი რამ, ზოგი საკებიაგან განზრან. შე-
მოტანილი და ზოგიც შინაური უგნურების ნაყოფი,
წინ ეღობება, და თუ არ მიუხ-მოუხვია, ხომ დარჩება
საპყრად და სასაცინო ნაცარქექიად! იცია რომ გარს
ისეთი ხალხი ახვევია, რომელიც მას არა ჰზოგავს:
საღაც მოასწრებს იქ ჩაჰკრავს; და თვითონაც იმავ
იარაღს ეპოტინება, რომ მტერი მოიგეროს. თუ ასე
არა ჰქმნად და ფარ-ხმალი დააგდო, დაიღუპება. მაგრამ
იგივე იმერელი ნახეთ სავაგან საღმე, საღაც იმას კო-
კებში არავინ შეპყურებს და ხელს არავინ უშლის?!.
მართლა რომ კაცია, თავისთვის კარგი და სხვისიც გა-
მოსადევია. საზოგადო კანონია, რომ ზოგჯერ ერთის

უკულმართობა მეორესაც გამოიწვევს ხოლმე საუკულ-
მართოდ. ეს თვით ჩვენ თავზედაც გამოგვიცდია: ამას
წინად ერთი უცხო მათხოვარი შემხვდა და გამომიწოდა
ხელი სამოწყალოსათვის; მე შემეძლო რამოდენიმე
გროვი მიმეწოდებია, მაგრამ ხმაც არ გავეცი, გავიარე
ჩემთვის, ვითომ-და ვერც კი შევნიშნე. შინ რომ მივედი
სინიდისმა დამიწყო ქენჯნა!.. გული მეუბნებოდა: რად
ზაიდინე შენი ხასიათისა და ქრისტიანობის წინააღმდეგი
საქმე? შეგეძლო გლახაკისათვის შემწეობა მიგეცა და
უყურადღებოდ კი დასტოვე? ეგებ შიმშილითაც კვდება
ახლა და შენ კი... ამ გვარი რამეები მოსვენებას არ
შაძლევდენ. იმავე დროს გონება მეჩურჩულებოდა: ის
უცხო მათხოვარი, მართალია, დღეს შესაბრალისია,
მავრამ როგორც კი სულს მოიდგავს შენი წყალობით,
ყოველივეს, დაივიწყებს. არც ვიმოყვრებს და არც ვიმეგობ-
რებს, მომბასაც შორს დაიკერს და თუ მოგერია ჩაგ-
ყლაპავს!.. ნურც შენი შვილები მოელიან მაგის შვი-
ლებისაგან სასიკეთოს! შეიძლება შენი შვილები გა-
ანადგურონ და შენ ნამოსახლზე მაგათ გამოჭიმონ
ციხე-გალავანი!.. ეს კიდეც დაგვიმტკიცა ისტორიაშ.
და ხელმეორედ კიდევ წაყრუება და თვალის დახუჭვა
უგნურება იქნება. არა! თუ შენ შენი სამშობლო ჭვე-
ყანა გიცვარს, მისი წარსული არ დაგივიწყებია და მომა-
ვალზედაც ჰფიქრობ, ნუ აჲყვები გულს, ნუ გაიკითხავ იმ
მოყვრულად მოსულს, მაგრამ მერმისისათვის კი სამტროდ
შომზადებულ გარეშეს. იმას არც ბუნება, არც ისტორია,
არც დღევანდელი შისი გარემოება; არ მისცემს ნებას,
რომ სამაგიეროდ შევეკავშირო!... შენი დანით დაგ-
კლავს!.. ასე ეწინააღმდეგებოდენ ჩემი გრძნობა და გონე-
ბა ერთმანეთს.... მე ვიტანჯებოდი და ბოლოს მაინც

ჩემი სურვილის საწინააღმდეგო საქმე ჩავიდინე. არ
გავიკითხე გლახაკი! — ამისი არ იყოს, ბევრი ამ გვარი
რამ უშლის იმერელსაც ხელს, რომ მან თავის სახლში
კარგი რამ ჩაიდინოს. — მე რომ ჩემდა თავად შემეტლოს,
ყოველ იმერელს, დროებით რასაკვირველია, სადმე გა-
ვისტუმრებდი... მოვაშორებდი სამშობლოს, რომ გა-
დახალასებულიყო და ადამიანად დაბრუნებოდა ჩვენს
ქვეყანას. — მაგრამ ადგილიც არის და ადგილიც, იქით-
კენ გავისტუმრებდი, სადაც ადამიანის გრძნობა-გონების
გაუმჯობესობას ფართო სარბიელი აქვს... საზო-
გადოდ, ამ აზიიდან ეკროპისაკენ. სტამბოლი
რა არია?.. სტამბოლი! თურქების სატახტო ქა-
ლაქი, რომელიც ბარბაროზის სახელით არის ყველგან
ცნობილი, მაგრამ იქაც კი, რადგანაც ეკროპიელების
სშირად ხვდებიან, შეეძლია კაცს გრძნობა-გონებას
სასრლო მისცეს და გაიმტკიცოს... აქ შეიძლება მკით-
ხველმა გაიკვირვოს: „საიდან სადაო წმინდა საბაო?“
სად „მეექცე ნომერი“, სად ჩვენებიო? მაგრამ ნუ
დაივიწყებს, რომ ჯერ ჯერობით კიდევ ნამდვილ-გა-
ნათლებისათვის ჩვენი მარეც იგივე კარ-დაკეტილი ჰა-
რემ-ხანაა, სადაც ზნეოპითი საკურისები მაღლოდ სა-
სულტანოზე ჰფიქრობენ...

ქ: რთული დუბანდები.

რთულ უურნალუგაზეთებში ხან და ხან იწერება
ხოლმე ზოგიერთი რამ „გულბათის“ სახელით. და დღეს

კი ცალკე წიგნადაც გამოიცა იმავე „გულბათის“ სახელით „ქართული ლეგენდები“. — „გულბათი“ ფსევდონიმია და რადგანაც ავტორს არა ჰსურს თვისის სახელისა და გვარის გამომუღაწნება — არც ჩვენ გვაქვს უფლება მისი ვინაობა აღვიაროთ. ამას კი ვიტყვით მხოლოდ, რომ ის არის ქართველი, დიდი ჩამომავლობისა და ოჯახის ასული, რომელიც რუსეთში დაბადებულა, იქვე გაზდილა და, რასაკვირველია, ქართული დედა-ენა ვერ შეუსწავლია. მაგრამ უცხო ენებიდან კი რაც გაუგონია და გაუგია მისის სამშობლოს შესახებ, უყურადღებოდ არ დაუგდია — გულსმოდგინებითა და სიცვარულით უდევნებია თვალსცური. შეუსწავლია უფრო, რასაკვირველია, წარსული ჩვენი ცოცვება, და იმ ძველიდან გამოუკრებია ეს „ქართული ლეგენდები“. ეს „ლეგენდები“ დაიპეჭდებიან ჩვენ „კრებულში“ დრო-გამოშვებით. ამის გადმოქართულება იყისრა პატივცემულმა ალექსანდრა მაკარის ასულმა კნეინა მელიქოვისამ, რომლის შვენიერი ნათარგმნი დრუჟინინის მოთხრობა „პოლინკა საკსი“ ერთხელ კიდევაც იყო ქართულ უურნალში დაბეჭილი. დევ, ახლა მაინც იგულისხმონ, იმ ცდომილმა, ქართველ ძველი ოჯახის ასულებმა, რომელნიც თავ-მომწონეობით გაიძახიან: „ჩვენ კარტული არ ვიცით!“ „რაღ გვინდა კარტული?“ და სხვანი, რომ გვარიშვილობა და ხარისხი არა თუ დამცირდება მშობლიურთან დაახლოებით, პირაქებით ამაღლდება: შინაურობაში სიყვარულს მოუპოებს და გარედ პატივის-ცემას. — და მართლაც, ვისაც მამა-პაპების არა სწამეს-რა, შინაურები ეჯავრება, თვის საკუთარ ოჯახის გარეშარია, განაც იმას შეუძლიან სხვისი სიყვარული და გარეშესთან გულ-მართლად შეკედლე-

ბა?! არა!.. ის არის - უგულო და უგულლოებზე დიდი ხანია გადაჭრითა სოქვა რუსთველ მა: „უგულო კაცი ვერ კაცობს, კაცთაგან განაკიდია!“ და ჩვენც ამ კაცთაგან განაკიდ ქალბატონებს მიუჟოთითებთ ამ ორ ოჯახის ასულისაკენ: ერთი მათგანი სამშობლოს გარედ დარჩენილა, მაგრამ იმ სიშორედან კავშირი არ გაუსტოდებია, და ქართულად უძგერია მის გულს!.. მეორე მაღალ საფეხურზე ასულა, მაგრამ აქაც კიდევ, დაუჯდომელად გაუხდია ის დედა ენა, რომლიიააც ლალადებდენ ნინო, თამარ, ქეთევან და ჩვენ ძველ დედათა გუნდი.

აკაგი:



ორი გერმანული გეცნივრის აზრი ქართული
ანბანის შესახებ.

Ueber der Ursprung der Grusinischen Schrift, von Dr. Friedrich Müller,
(Sitzungsberichte der Kais. Akad. d. Wiss. in Wien. Phil.-hist.
Classe. B. CXXXVII). Wien 1897. 8° s. 12).



ქართულ ანბანის შემოდგრავება და დანართული მიუღლდება. 1897 წ.

ამონენილმა მეცნიერმა, მრავალ ენების მცირებელმა და გამოცდილმა დ-რმა ფრიდრიხის მიუღლებრმა ქართულ ანბანსაც მიუძღვნა მოკლე წერილი, რომელიც ვენის აკადემიამ დაბეჭდა თავის სხდომების ანგარიშებში.

ქართულ ანბანის შესახებ ბევრია ნაწერი; მრავალი მეცნიერი ჩვენში და უცხოეთშიც ცდილა და ცდილობს გამოარკვიოს, როდის ან საიდგან წარმოსდგა ქართული ანბანი, მაგრამ გარკვეული და საბოლოოდ გადაწყვეტილი ჯერ ვერც ერთს ვერა უთქვამს რა. ზოგიერთი მეცნიერი ამტკიცებს, ვითომც ქართული

ანბანი წარმომდგარიყოს შერძნულის გაკლენით. ბ. ბროსსე ამბობდა — ქართული ინდოეთის ანბანის მიხედვით არის ოშემდგარი, — მაგრამ ბ. მიულლერი ამაებს საბავშო ოცნებას უწოდებს. მისის აზრით სულ სხვაგან უნდა მოვეძებნოთ ქართულ ანბანის სათავე, თუ გვინდა რამე სამეცნიერო დასკვნას დავადგეთ.

სომხების სიტყვით, — ამბობს ბ. მიულლერი, — ქართული ანბანი შემოიღო მესროპმა, რომელმაც შეაღგინა სომხური ანბანიც. ქართველები კი პირ-იქით იმას ამტკიცებენო, რომ მე-II.I საუკუნეში ქრისტემდის საქართველოს მეფემ ფარნავაზმა შემოიღო უძველესი ქართული ანბანი, — მხედრულიო.

ბ. მიულლერი ჯერ იმას ირკვევს, რომელი ანბანია პირველად შემოღებული, — ხუცური თუ მხედრული, და იმ აზრს აღგება, რომ ხუცური ბევრად უფრო ძველია, და შემდეგში თან-და-თან შეცვლილა მხედრულად. ამის დასამტკიცებლად ერთმანერთში აღარებს ხუცურ და მხედრულ ანბანის 23 ნიშანს (ა, ბ, გ, დ, ე, ზ, თ, ი, ლ, მ, ნ, ო, ჟ, რ, ს, ფ, ქ, ღ, ყ, შ, ძ, ჭ, ჯ.) და ამბობს, რომ მათი მსგავსება ყველასათვის აშკარა უნდა იყოსო. უძველესი ხელთნაწერები რომ შევუდაროთ ხუცურს, აღმაღ დანარჩენ ასოთა მოხაზულობაც აღმოჩნდება ხუცურის მსგავსიო, და-ძენს ბ. მიულლერი.

რაკი ხუცური და მხედრული ორივე ერთია, ამიტომ ან ერთი უნდა იყოს პირველი შემოღებული და ან მეორე. პალეოგრაფიის საერთო კანონების მიხედვით, ბ. მიულლერის აზრით, დაუჯერებელი იქმნებოდა, რომ ჯერ მხედრული შემოელოთ ქართველებს და მერმე მისგან შეედგინათ ნუსხა-ხუცური და ასომთავ-

რული; დაუჯერებელია, ჯერ მრგვალი; გაბდაბმული, უფრო აღვილი. საწერი ანბანი ჰქონდა ქართველებს და მერმე მათ მაგიერ შემოელოთ ოთხკუთხი, მოუხერხებელი ნიშნები. სახოვალო კანონი კი ის არის, რომ რთულიდგან წარმოსდგება მარტივი და ოთხკუთხ წერისაგან მრკვალი.

მაშ პირველად იქმნა შემოლებული ხუცური და ბ. მიულლერის აზრით ამ ხუცურის სათავე, წყარო ქველ ებრაელების, არამედების ანბანი არის, რომელიც ქართველებს შემოულიათ ქრ. წინად მე-III საუკუნეში.

მაკამ ბ. მიულლერი ამასთანავე სომხურ მატიანებაც უჯერებს, ვითომც მესროპს შემოელოს ქართველებისათვის ანბანი და აი ამ ორ ქრისტიანურთის მოწინააღმდეგ აზრის შესათანხმებლად დაუწერია მას თავისი შრომა.

მთელი ქართული ანბანი მესროპის შემოლებული არ უნდა იყოსო, ამჲოპს ბ. მიულლერი. სომხურში და ქართულში ჟკელა ერთი და იგივე ბერაა და საკვირველი იქმნებოდა, რომ მესროპს, რომელმაც იმის წინად შეასრულა თავისი ძნელი შრომა და გამოიგონა სომხური ანბანი, მერმე ქართველებისათვის კიდევ ახალ ანბანის გამოვონება დაეწყო. ქართული ანბანი მესროპის შემოლებული რომ ყოფილიყო, მისი ნიშნები ნამდებილად დაემსგავსებოდა სომხურ ანბანის ნიშნებსო.

მაგრამ ქართული ანბანი არა ჰგავს სომხურს; „ალბად ქართველებს მესროპის მოსკოლამდის უკვე ჸურნიათ შემოლებული საკუთარი ანბანი“, და „დარწმუნებითაც შემიძლია ესთვა, —დასძენს იგი, —ეს უნდა ყოფილიყო არამეული ანბანი ან სხვა რომელიმე მისივე მსგავსიო“.

არამეულს ანბანს რომ შევადაროთ ქართული, მაშინვე შევამჩნევთ მათში მსგავსებას. ქართულის 17 ნიშანი (ა, ბ, გ, დ, ე, ვ, ზ, ც, თ, ი, კ, ლ, ო, ქ, ს, ტ, უ,) მოგვაგონებს არამეულ ანბანის ნიშნებს; ანბანის რიგი ქართულში და არამეულში ერთი და ოფიც არის და ზოგიერთ ნიშნის სახელიც არამეულს, ებრაულს წააგავს და არა ბერძნულს (ზენ, სან, შინ).

ეს საბუთები ბ. მიულლერის აზრით, ნათლად გვიმტკიცებენ, რომ ქართულ ანბანის წყარო არამეულია და ალბად ეს არამეული ანბანი არსებობდა საქართველოში მესროპის მოსვლამდე, და როგორც ქართული მატიანე გადმოგვცემს, შემოღებული იყო ფარნავაზის მიერ ქრ. წინეთ მე-III საუკუნეში.

მესროპმა ეს ანბანი მხოლოდ ცოტაოდნათ შესცვალა და შეავსოო, ამბობს იგი. ერაულში, არამეულში მოკლე ხმოვანი არ იწერება, და ამის მიხედვით არ იწერებოდათ ალბად იმ დროის ქართულშიაც. მესროპმა ქართულს მიუმატა ხმოვანებია გამომხატველი ნიშნები და საამისოდ ისარგებლა ისევ იმავე არამეულ ანბანით, სადაც გრძელ ხმოვანებისათვის არსებობდა განსაკუთრებული ნიშნები.

მესროპის შემოსვლამდის ქართველებს რომ ჰქონდათ ანბანი,—არამეულიდგან პირდაპირ შეუცვლელად გადმოღებული არ ყოფილა. ებრაულს, არამეულს ანბანში ძალიან ცოტა ასოა, ქართულ ენას კი ბევრად მეტი სკირია. ქართულ და სომხურ ანბანის უკანასკნელი ნიშნები (შით დაწყებული) არ არსებობს არამეულში და თვით ამ ორ ენის ანბანში სხვა და სხვა მოხაზულობის არის, ერთმანერთს სრულებით არა ჰგავს.

მესროპის შემოსვლის დროს ქართველების ანბანს რომ
ჰკლებოდა ეს უკანასკნელი ნიშნები, მესროპი ნამდვი-
ლად ახლად გამოუონებულ სომხურ ანბანის ნიშნებს
შემოიღებდა; და ასე თუ არ მოიქცა, ამის მიზეზი
ისევ ის არის, რომ ქართველებს მის მოსკლამდისაც
დიდი ხნის შემოღებული ჰქონიათ ხმარებაში ეს უკა-
ნასკნელი ნიშნები.

ეხლა თავი მოვუყაროთ ბ. მიულლერის ნათქვამს:

1°— მხედრული და ხუცური ერთი და იგივეა,
მხოლოდ ხუცური უფრო ადრეა შემოღებული.

2°— ქართველებს ქრ. წ. მე III საუკ. შემოულიათ
არამეული ანბანი.

3°— ამ ანბანში ქართველებს მესროპის მოსკლამდის,
ჩაუმატებიათ რამდენიმე ნიშანი (9; შით დაწყებული),
რომელიც თვითონვე გამოუკონიათ.

4°— მაგრამ ხმოვანები კი აკლდათ ანბანში და
მესროპმა მიუმატა მათი გამომხატველი ნიშნები, რო-
მელიც ისესხა ისევ იმავე არამეულ ანბანში.

ესლა გავსინჯოთ რამდენად მართალია ბ. მიულ-
ლერი.

ვისაც უკითხავს ხუცური, იმისთვის ცხადია, რომ მხედ-
რულიც და ხუცურიც მართლაც ერთი და იგივეა. მხედრუ-
ლი მხოლოდ მორგვალებული ხუცური ასოებია, გაკრუ-
ლად დაწერილი ხუცური ნიშნები. ბ. მიულლერი მხოლოდ
ეხლანდელს მხედრულს აღარებს ხუცურთან და ამიტომ
ზოგიერთი რამ მისთვის გაუგებრად დარჩენილია: მხო-
ლოდ 23 ნიშანში უნახავს მსგავსება, ეხლა კი, რო-
დესაც მოინახა მე X-XI საუკ. მხედრული და ბ. თა-
ყაიშვილმა გამოსცა კიდეც მე XI საუკ. დაწერილი
ბაგრატ მე IV სიგელი, მხედრულის მსგავსება ხუცურ-

თან უფრო აშკარა ხდება. იმ დროს მხედრული ეხლან-დელზედ უფრო წააგავდა ხუცურს, ზოგიერთი ასო მაშინ სხვა ნაირად იწერებოდა და მხოლოდ შემდეგში შეცვლილა წერის გასაადვილებლად. მაშინდელი მხედ-რული რომ შევუდაროთ ხუცურს, დავინახავთ, რომ პ. მიულლერისაგან შედარებულ 23 ნიშანს გარდა, კიდევ სხვა 11 ნიშანი ნამდვილი ხუცურია (ვ, კ, პ, ტ, უ, ჩ, ც, წ, ხ, კ, ჰ). რჩება. შეუდარებელი კიდევ 4 ნი-შანი (ჭ, ჯ, ჸ, ჴ, ჵ, რ, რომელიც შემთხვევით არ არის ნახმარი სიგელში, მაგრამ რაკი დანარჩენი 34 ნიშანი ხუცურში და მხედრულში ერთმანერთს წააგავს, — ამიტომ ამ ოთხს აღარავითარი მნიშვნელობა არა აქვს.

უწინ მხედრული ეხლანდელზედ უფრო წააგავდა ხუცურ ხელს; მე-XI საუკ. მხედრული არც ისე მორ-გვალებულია, როგორც წვენს დროში, ზოგიერთ მხედ-რულ ნიშანს შემდეგ მობმული კუდი აკლია (ლ, ღ), ზოგი იწერებოდა როგორც ხუცურში (ვ, კ, პ, ჩ, ტ, ც); ერთის სიტყვით თუ არსებობს რაიმე განსხვავება ხუცურსა და მხედრულში, ეს მხოლოდ შემდევი დროის საქმეა. ამიტომ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ პირველად ხუცური ხელი ყოფილა შემოღებული.

იმის შესახებ აქ არას ვიტყვით, თუ რამდენად დასაჯერებელია პ. მიულლერის აზრი, ვითომ ფარნავაზის არამეული ანბანი შემოეღოს ქართველებისთვის. ეპრა-ელეპის ანბანს დიდი გავლენა ჰქონია ბერძნულზედ და სხვა ანბანებზედაც, და არ იქნება საკვირველი, რომ ქართველებსაც ესარგებლათ უკვე არსებულ და იმ დროს მეტად გაუტკელებულ ანბანით. ამასკე ამტკიცებს პ. მიულლერისაგან შედარებული 17 ნიშანიც. მაგრამ ესეც უნდა ვსთქვათ, რომ მისი საბუთები არც ისე

მტკიცეა, და ეს კითხვაც ჯერ კიდევ საბოლოოდ გა-
დაწყვეტილ კითხვად არ უნდა ჩავთვალოთ. თვით ბ.
მიულლერიც ამბობს, რომ უძველესი ქართული მე-IX
საუკ. არისო და ამნაირად პირველად ანბანის შემოღე-
ბის შემდევ გასულა 1200 წელი; ამ 12 საუკუნის
განმავლობაში წერის ნიშნები ნამდვილად შეიცვლე-
ბოდა, და თუ გვინდა რაიმე გადაწყვეტილ აზრს და-
ვადგეთ, უნდა მოკიცადოთ, სანამ მოინახება უუძველესი
ქართული ნაწერები. მანამდე კი ყოველი ჩვენი
მოსაზრება მოსაზრებადვე რჩება და მას სამეცნიერო
დამტკიცება აკლია.

დასაჯერებლად მიგვაჩნია ის აზრიც, რომ ქართ-
ველებს მესროპის მოსულამდევ შემოელოთ ზოგიერთ
ბეგრის გამოსახატავად რამოდენიმე საკუთარი ნიშანი.
დაუჯერებელი და შემუდარი გვგონია მხოლოდ ბ.
მიულლერის უკანასკნელი აზრი, ვითომც მესროპმა ქარ-
თულ ანბანს მოუმატა ხმოვანების გამომხატველი ნიშ-
ნები, შემუდარი იმავე მოსაზრების ძალითაც, რომე-
ლიც წამოაყენა თვით ბ. მიულლერმაც.

ქართველებს ებრაელების ანბანი რომ გადმოელოთ
უთუოდ ეცდებოდენ ესარგებლათ ამ ანბანის ცველა
ნიშნებით და ამასთანავე ქართულ ენის ცველა ბეგრის-
თვის შემოელოთ შესაფერი ნიშანი. სემიტურ ენებში
და არამეულშიაც არსებობს მოკლე და გრძნელი ხმო-
ვანები; მოკლე ხმოვანი სულ არ იწერება და მათლოდ
გრძელ ხმოვანებისათვის არსებობს განსაკუთრებული
ასოები. ქართულში კი ცველა ხმოვანი თანასწორია
სიგრძით, და ქართველები არამეულ ანბანს რომ გად-
მოიღებდენ, უთუოდ წაწყვდებოდენ გრძელ ხმოვანების
გამომხატველ ასოებსაც. საკვიპველი იქნებოდა სწორებ,

რომ მათ ერთის მხრივ მთელი არამეული ანბანი გად-
მოელოთ ხმოვანებს გარდა, და მეორეს მხრივ 7 საუ-
კუნის განმავლობაში მუდამ უხმოვანოდ ეწერათ,
თუმცა ასეთი წერა სრულებით არ შეეფერება
ქართულ ენის ხასიათს, მეტად უხერხულია და თვით
ქართველებიც იგრძნობდენ ამ უხერხულობას. საკვირ-
ველია, რამ აიღულა ასე უცნაურად მოქცეულიყვენ, და
რატომ ერთხელ არის მაინც არ გაახსენდათ, რომ ამ
უხერხულობის მოსასპობელი საშუალება იმავე ანბანში
არის, რომელიც მათ ჰქონდათ გადმოღებული. ნუ თუ
ამისათვის უთუოდ მესრობის მოსვლა იყო საკირო?

არამეულში რომ არ ყოფილიყო კიდეც ხმოვანე-
ბისათვის განსაკუთრებული ნიშნები, ქართველები თვით-
ონაც გამოიგონებდენ მათ მესრობამდე, როგორც
გამოუგონიათ, იმავე ბ. მიულლერის მოწმობით, ანბანის უკანასკნელი ნიშნები. სადაც ერთი ნაკლი შეავსეს,
იქ მეორესაც მოუხერხებდენ შევსებას 6—7 საუკ. გან-
მავლობაში.

მესრობის შემოღებული რომ ყოფილიყო ხმოვა-
ნები ქართულში, ხომ ისევ ახლად გამოგონილ სომ-
ხურს შემოიღებდა? ამნაირად ჰქიტერობს ბ. მიულლე-
რიც, როდესაც მთელ ანბანის შესახებ არის ბაასი,
მაგრამ ავიწყდება ეს მოსაზრება, როდესაც მხოლოდ
ხმოვანებზედ დაიწყებს ლაპარაკს. სომხური და ქართუ-
ლი ხმოვანები კი სრულებით არა ჰგავს ერთმანერთს.

ეს სამი საბუთი სრული საკმარისია იმ აზრის და-
სარღვევად, ვითომც მესრობს შემოეღოს ქართულში
ხმოვანების გამომატველი ნიშნები. დანარენი ანბანი
ეს მ თვით ბ. მიულლერის აზრითაც არ ირის მისი შე-

მოლებული, და ამნაირად მესროპის ღვაწლი ქართულ ანბანის შემოღებაში არარად იქცევა.

მაგრამ ბ. მიულლერს სომხურ მატიანესი სჯერა; სჯერა, რომ ქართულ ანბანს რაღაც აქვს საერთო სომხურთან (მ, ნ, ვ, თ, კ, ლ, რ, ძ-ის მოხაზულობა; ბ, ი, კ, მ, რ, უ, ფ, ჰ-ის სახელები) და პფიქტობს, ყოველივე ეს უთუოდ ქართველებს უნდა ჰქონდეს გადაღებული სომაებისაგან. ამას პფიქტობს და ის კი აკიშუდება, რომ მისი საბუთი ლრპირი არის. ამავე საბუთით, ე. ი. მხოლოდ ორივე ანბანში ზოგიერთ ნიშანთა მსგავსებით, შეგვიძლია ისიც დავამტკიცოთ, რომ ქართველებს კი არა, პირ იქით სომხებს უნდა ჰქონდეს გადაღებული ქართველებისაგან ყოველივე ის, რაიც მათ ქართველებთან აღმოუჩნდებათ საერთო.

Ist die Ähnlichkeit des glagolischen mit dem grusinischen
Alphabet Zufall? von Dr. R. Abicht.

8° s. lith. Lpz 1895. Raimund Gerhard.

გლიცერინუს ქართულ ხნისთვის მაგავსება შემთხვევა-
გონის თუ არა დ-რ რ. აბიხტი. 1895.

ბ. რ. აბიხტის პატარა წიგნაյი გამოიცა 1895 წ.,
ამიტომ მისი გარევა ეხლა, ცოტა არ იყოს, დაგვიანე-
ბულად უნდა ჩავთვალოთ; მაგრამ მისი შინაარსი
ისეთი საგულის ხმოა და ჩვენში ჯერ კიდევ ისე ნაკ-
ლებად ცნობილი, რომ ეს დაგვიანებული გარევა
ეხლაც არ იქმნება ზედმეტი.

ბ. აბიხტს აზრად აქვს, გამოიკვლიოს საიდგან
წარმოსდგა სლავური ანბანი, რომელსაც გლაგოლიცას
უწოდებენ ხოლმე, და დარწმუნებით და გადაჭრით ამ-
ბობს, რომ სლავებს ეს ანბანი გადაუღიათ ქართველე-
ბისაგან. ამ თვეის აზრს ბ. აბიხტი ჯერ თეორიულად
ასაბუთებს. ამტკიცებს, რომ ისტორიულად ეს გადაღება

ძალიან დასაჯერებელია, და მჭრმე საფვითოოდ ადა-
რებს ერთმანეთში გლავოლიცას. და ქართულ ანბანის
ნიშნებსაც.

სლავებს ორი სხვა და სხვა ანბანი ჰქონიათ. გლა-
ვოლიცა და კირილიცა. პირველი ამათში უფრო ძველი
ლია, მე-IX საუკ. გამოვლილი და უწინდელს დროში
უფრო გავრცელებული ყოფილა. ამ როგორ მოვალითქ-
რობს სლავების მატიანე ამ ანბანის გამოვლებას: მეფე
რასტისლავმა სთხოვა ბიზანტიის იმპერატორს მიქაელს
გაეგზავნა მისთვის სარწმუნოების გამავრცელებელი
მასწავლებელი, და იმპერატორმაც გარდასცა ეს თაონა
კონსტანტინე ფილოსოფოსი, რომელიც სტამბოლში
სცხოვრობდა. კონსტანტინე დასთანხმდა წასვლაზედ,
მხოლოდ საკიროდ მიაჩნდა რომ როსტისლავის ერა-
ჰქონოდა თავისი ანბანი, საეკკლესიო წიგნების სათარ-
გმნელად. რამოდენიმე ხნის შემდეგ, ლოკვა-ვედრების
შემდეგ, კონსტანტინემ „უცემ“ შეადგინა კიდეც ანბა-
ნი და სთარგმნა საღვთო წერილი.

ცხადია, ამპობს ბ. აპიხტი, რომ კონსტანტინეს
თავისი ახალი ანბანი არ გამოუვლია; ამას თუთ მა-
ტიანეც მოწმობს, როდესაც მოგვითხრობს, რომ კონს-
ტანტინემ „უცემ“ შეადგინა ანბანი. ამას გარდა ისიც
ვიცით, რომ კონსტანტინეს ეშინოდა, ვად თუ
სხვა თვალით შეხედა ხალხმა ჩემს შრომას და ანბა-
ნის შემოღებისთვის სარწმუნოებრივი მწვალებლობა,
მართლ-მაღიდებლობაზედ გადადგომა დამშამა. იმ დროს
ბევრს სხვა და სხვა ერა ჰქონია ანბანი,—სომაებს,
სპარსელებს, აზრელებს და სხვებსაც, მაგრამ ეკვნი
მართლ-მაღიდებელნი არ იყვნენ. და მათი ანბანი რომ
შემოეღო კონსტანტინესო, ხალხი უთუოდ ეკვის თვალს

ლით შეხედავდა მის ნაშრომს. ამიტომ საფიქტებელია, რომ კონსტანტინე რომელიმე მართლ-მაღიდებელ ერის ანბანს გადმოიღებდა.

იმ დროს ერთ ძველ ხელო-ნაწერის მოწმობით მხოლოდ ორ, მართლ-მაღიდებელ ერის პქონია საკუთარი ანბანი: ბერქნებს და ქართველებს. ამიტომ საფიქტებელია რომ კონსტანტინეც ერთ ერთს მათვანს მომართავდა ანბანის გადმოაღებად.

მაგრამ ბერქნული ანბანის სლავებში აღრევე იყო ცნობილი; როსტისლავს და კონსტანტინესაც უნდოდათ საკვირველი, ხალხისათვის უცრო რამ შემოეღოთ, რომ ეს ახალი ანბანი ყველას პგონებოდა ღვთისავან მონიკებული და ღვთიურ საჩუქრად მიეღო. ასე მოისახენიებს ამ ანბანს იმპერატორი მიქაელი მეფე რასტისლავთან გაგზავნილ წერილში.

ამასთანავე ბერქნულ ანბანში მხოლოდ 24 ნიშანია და ეს სლავურ ენის მრავალ ბგერათა გამოსახატავად საკმარისი არ იყო. ქართული ანბანი კი უფრო რთულია, და მისი 38 ნიშანი სრული საკმარისია სლავურ ენისათვის.

ამიტომ შეიძლება ვითიქროთ, რომ კონსტანტინე ფილისოფოსიც, თუ იცნობდა ქართულ ანბანს, მასეუ მიმართავდა და არა ბერქნულს. ქართულს უფრო გადმოიღებდა, რადგანაც იგი უფრო ვრცელია, და, თვით ქართველი ერიც ცნობილი იყო თავის სიმტკიცით მართლ-მაღიდებელ სარწმუნოების დაცვაში.

იმ დროს ქართველებს ხშირი მისვლა-მოსვლა პქონიათ სტამილთან, პოლიტიკურად და სარწმუნოებაშიაც ქართველი ერი კავშირს არ სწყვეტდა ერთმორწმუნე ბიზანტიასთან და მრავალი ქართველი ბჭყარების გადასახლების გადმოაღებად.

ტონიშვილი და დიდებული სცხოვრებდა და იზდრებოდა ბიზანტიის დედა-ქალაქში და თვით იმპერატორის სასახლეშიაც. ცონსტანტინე ფილოსოფოსი იმპერატორის წიგნთ-საცავის მცველად ყოფილა, ენების ცოდნაში მეტად განვითარებული, და საკვირველი იქმნებოდა, რომ მას ყურადღება არ მიექცია ქართველების თავისებურ ანბანისათვის.

ამნარად ისტორიულია მხრივ რომ შევხედოთ ამ საქმეს, მეტად შესაძლო და საფიქრებელიც ხდება, რომ კონსტანტინეს ნაკისრ შრომის ასასრულებლად უნდა მიემართა ქართულ ანბანისათვის, და რომ სლავების გლაგოლიცა შედგენილია ქართულ ანბანის მიხედვით.

მაგრამ მხოლოდ ეს თეორიული, საზოგადო მოსაზრება საკმარისი არ არის; საჭიროა მას გვერდში ამოვუყენოთ სხვა-გვარი საბუთიც: უნდა შევადაროთ ორივე ანბანი: სლავების გლაგოლიცა და ქართულიც და დავხედოთ თუ მართლა არსებობს მათში რაიმე მსგავსება. ბ. აბიხტი სათვითოდ და დაწვრილებით ადარებს მათ ერთმანეთში და იმ დასკვნას აღვება, რომ გლაგოლიცის ყევლა ნიშანი წააგავს ქართულ ანბანის ნიშნებს მხოლოდ ცოტაოდნათ შეცვლილს და გადასხვაფერებულს.

ამ შეცვლას ბ. აბიხტმა თავისებური კანონებიც გამოუნახა. გლაგოლიცაში ზოგიერთ ქართულ ასოს სხვა მხარესაკენ აქვს მიექცეული თავი; ზოგან ქართუ-

ლის ორი ხაზი შექავშირებული ან ქართულ ანბანის ორი ნიშანი ერთ ნიშნად შედუღებული საზოგადოთ ცველა ნიშანი წერის სიადვილისათვის ცოტაოდნათ გამოცვლილია, ზოგს კუდი აქვს მიბმული თავი, გადი-დებული ან მოკვეცილი.

აქ არ შევვიძლია მკითხველს უფრო დაწვრილებით გადავსცეთ რომელი ქართული ნიშანი და რითი წააგავს გლაგოლიცისას; არ შევვიძლია იმიტომ, რომ ამას მაგალითები სჭირია და საამისოდ კი აუცილებელი საჭიროა მინუშების, გლაგოლიცის ამოჭრა, და ამასთანავე შეუჩევეველი მკითხველი, პალეოგრაფიის ძირითად კანონების არ მცოდნე, ისე ადვილად ვერ მიუხვდება მსგავსებას იქ, საღაც შეჩვეულ-თვალისთვის მსგავსებაც და იგივეოპაც აშეარა არის. მაგრამ რომ შეგვძლებოდა გლაგოლიცის აქ დაბეჭდვა, ყველა ადვილად მიხვდებოდა, რომ ზოგიერთი ნიშანი (ა, ბ, გ, ე, ვ, მ, რ, შ, ხ) მართლაც ნამდვილი ქართული არის, მათლოდ წერის სიადვილისათვის ცოტაოდნათ შეცვლილი.

გლაგოლიცა მ-IX საუკუნეშია შემოღებული; ამ ანბანით დაწერილი უძველესი ხელთ-ნაწერი კი მე-X საუკ. ეკუთვნის. მე-X საუკ. არის ის ქართული წარწერებიც, რომლითაც სარგებლობდა ბ. აბისტი ამ შედარების ღრმას. ეს გარემოება რასაკვირველია მეტად აფერხებს საჭმეს და შედარებას აძნელებს; ერთის საჭ-

კუნის განმაპლობაში გლაგოლიცაც გამოიცვლებოდა
და ქართულიც. ბ. აბიხტი კარგად გრძნობს ამას და
მიმართავს ქართველ საზოგადოებას იმ თხოვნით, რომ
გამოსცენ, თუ მოეძებნებათ უძველესი ქართულ წერის
მინუშები, უფრო მე-VIII და მე-IX საუკუნეები. და ეს
მისი თხოვნა, იმედია, მალე ასრულდება კიდეც, როდე-
საც „კრებულის“ ჩედაჭერია გამოსცემს მ. ჯანაშვილის
მიერ შეგროვებულს პალეოგრაფიულ მინუშებს.

ბ. აბიხტი გლაგოლიცას ხუცურთან ადარებს.
თუმცა იმასაც ამბობს, რომ, მისი აზრით, მხედრულ-
საც უნდა ჰქონოდა გავლენა გლაგოლიცაზედ, მაგრამ
არ გვიჩვენებს კი რომელი ნიშანი გლაგოლიცაში უფ-
რო წააგავს მხედრულს და ვერც იტყოდა, რადგანაც
მას არა ჰქონია უძველეს მხედრულის მინუშები შესა-
დარებლად.

გლაგოლიცა უფრო გაკრული ხელია, და ამიტომ
საფიქრებელიც არის, რომ მას გლაგოლიცაზედ ექმნე-
ბოდა გავლენა. ბაგრატ მე-IV სიგელში შენახული
მე-XI საუკ. მხედრული, რომ შევადაროთ გლაგოლი-
ცას, მსგავსება უფრო თვალ-საჩინო და აშკარა
ხდება.

ამნაირად ბ. აბიხტი იმ დასკვნას აღგება, რომ
სლავებს ქართველებისაგან გადაულიათ თავიანთი ან-
ბანი.

ეს ფაქტი ჩვენთვის მეტად საყურადღებოა, და არც
უნდა დავივიწყოთ არას დროს, რომ ეს ღვაწლი მაინც
მიგვიძლვის სლავების წინაშე: ყოფილა დრო, როდესაც
ჩვენგან სწავლობდენ წერას; იმ დროს შემოქმედებითი
ძალა და ნიკი ბლომად შესწევდა ქართველებს და წარ-
მატების გზაზე სიარულიც ეხერხებოდათ. როდესაც
ყველა გვისაყვედურებს: რაცა გაქვთ სხვებისაგან გად-
მოდებული გაქვთო, ნუ დავივიწყებთ ბ. აბიხტის შრო-
მას და თამამად ვუპასუხოთ, რომ არც ჩვენ ვყოფილ-
ვართ სხვისი ურგები და არიან ისეთნი ტომნიც კა,
ვისთვისაც ჩვენს ანგანს წინა-მძლოლობა გაუწევია.

საუკელი წ' ეკა,

ავგელიანი, მათი პირაობა



თავის გადასახვა.



აეარდნილი თოხარიკით მივაგელვებ ჩემს
ლურჯას, მივჰქმი აღმოსავლეთისაკენ. დი-
ლის კირხლი სახეს მსუსხავს. ლურჯას ორ-
თქლის შუქი გამოქმუვა წეშტოებიდან და
გაშლილ, ასხივებულ ფაფარზე ეხვევა. ავედი
უმწვერვალეს წეკის სიმაღლეზე და შესდგა ყალყზე ჩემი
ლურჯა; თითქოს ისიც ისე გაოუდა, როვორც მე. ჯერ
კიდევ ამოუფალი მზის შუქი, ოდესმე მოქერილი გარ-
დის ფერი, ე'ლა ზაფრანის ფერად ღებავდა აღმოსავ-
ლეთის ტატნების სივრცე-ლაუკარდ ფარჩას. ერთი პა-
ტარა ღრუბლის ნაწყვეტი იქ გალანდული, თითქო
აღუვებული ნაკვერცხალიაო, ელვარებული. შემორჩენილი
გარსკვლავები აფატურებდენ მოზირებულად თვალებს
და იკუტებოდენ. დასაცლეთისაკენ უ'ილობით სახე-მო-
ცატებული, ღამის-თევით ფერ-დაკარგული მთვარე იქ-

ის იყო სპეტაკ ვახტანგის მთებში ჩაპარვას აპირებდა, მაგრამ იმდენს კიდევ აციიანებდა, რომ თეისი საყვარელი მზისათვის ერთი თვალის გადაკერა მაინც მოესწორ. ამოაცოცა აღუვებული სახე მზემაც, და რომ მოატანა თვალი სატრფოს, სირცხვილით და მის გაქცევის გამო გულადაწყვეტით თან გაწითლდა და თან სიყვითლე შეეპარა. მის ელფერ შუქჟე უცნაურად აფერადდენ კავკასიონის ბუმბერაზი ქედები, თითქოს და ატლასის ჩადრები წამოიხურესო, და ჩემს აღმოსავლეთ-ჩრდილოეთისაკენ წამოსხედილნი გარემო მოხურხლულ, თავ-მოყრილ ქედებს, ბორცვებს თითქო მედიდურნი მფარველნი თავზე დაჰყურებდენ. იალბუზის ნათალ ბროლის ერთიან გვირგვინს გარს შემოხვეული როვორც „ჩალმა“ ღრუბელი ნაირ-ნაირ ცხოველ ფერადად ანთებოდა, თითქოს და ცის-სარტყელაების ჭობა გარშემო შემოვლებიაო. ჩემს წინ ირგვლივ და ყველგან ქვენიური სამოთხე გაშლილიყო, ოქროს ფერად გალამაზებული დილის ცხოველ-მყოფელი ნათელით, ფანტასტიურ სანახავს წარმოადგენდა კავკასიონის კვარცხლ-ბეკებიან დაწყებული ვაკე-გორეების წითელ-ყვითელი ტყე-ები, ველები და ირგვლივ და ყველგან საუცხოვოდ და მოხდენით გაფანტული სოფლები. აქედან თავზე დავჩერებივარ თითქმის მთელ იმერეთს. აქა-იქ სოფლებში გამოქათქათოპენ თეთრი კედლები და ალაპლაპებული ჯვრები საყდრებისა. დასავლეთ-ჩრდილოეთისაკენ სანახაობა იყარგება ბურუსში, იქ, საღაც სძინავს შავ-ზღვას. იქამდე ვაკე-ველებში პატარ-პატარა სერები თითქო ზეირთები მწვანედ გაყინულან. სამ-კუთხივ მივლის გარეშემო 3—4 ვერსის მანძილზე ხევები: აღმოსავლეთით და სამხრეთით მდინარე ძირულისა, ჩრდილოე-

თისკეს მდინარე ყვირილისა. სამხრეთიდგან მესმის, თუ როგორ ახმაურებს ძირულის ხევის კლდე-ღრეებს დიდი ორთქლ-მავალის ქლოშინი და სტვენა, ჩრდილოეთი-საკენ კი ყვირილის ხევის პატარა ორთქლ-მავალის კივილი; აღმოსავლეთ-ჩრდილოეთისკენ მიდის და მიღია თვალ-გადუწვედნელი ვაკე თუ ტყე ბუჩქნარიანი, და თუ ეული მინდვრებიანი „საბაურ-საკენ. აგრე დასაულეთისკენ ქორივით დავხერებივარ წევის ეკლესის უზარ-მაზარ ცაცხეს და გარეშემო კალოსავით შემოკრალულ სასაფლაოს. ქსიტინი დაიწყო ციკმა ნიავმა სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ ლიხის მთა-გრეხილებიდან წამოიწერა თითქო მსუბუქი, მქრალი ნისლიანი ღრუბლები და გადმოეშალა სამხრეთით წაზოდვილ ვახტანგის მთა-გრეხილების კვარცილ-ბეჭედ დაფენილ სოფლებს. აი, სიმაღლე წევის ამ წვერისა, საღაც მე ეტლა ვდგევარ: სამ-მხრივ წაზოდვილი უზარ-მაზარი მთები დაჭურებენ წევას, მეოთხე მხარეს კი შევი ზღვისაკენ თვითონ წევა გადადგომია სოფლებს ქედივით. აქედან ჩრდილოეთ-აღმოსავლეთისკენ 3-4 ვერსზე მიღის წევის ვაკე-მინდვრები და თავდება იქ, საღაც აღგილს ქვია „მოქუშნული“. აქედან, საღაც ვდგევარ, „საბაურსკენ“ იწყება „ულეცი“. წევის ულეცი აღმოსავლეთით ისაზღვრება სოფ. შროშათი, დასავ-ლეთით სოფ. წიფლავაკეთი. ამათ შორის სიგანეა 4-5 ვერსამდე. აქ არის სახნავ-სათესი და საბალახო აღგილები სოფლელებისა, აქა-იქ დაფენებაებში ვენახებია, შიგა-და-შიგ ბუჩქნარია, სტეები და იშკიათად ტყეები. ამ ვაკეებზე ძალიან დაშორებული არიან მოსახლეები და ორური, სამსამი გლეხი ერთად ცხოვრობენ ერთ ფუძეში, ისიც კიდევ განაპირო საზღვრებისკენ ქარ-ბუჯისაგან მიფარებულ ბრეკებში. წევის ულევის აღგილების სახელები: მოქუშნულთან „ყვილიპირი“, ყვილიპირს

მოჰყენება „ხშინალი“, ხშინალს „ქანდარა“, ქანდარას „ეწერი“, ეწერს „ბარღნალი“, ბარღნალს „თეთრა-წვერი“ და სხვ.

საღაც მე ვდგევარ, აქედან სამხრეთისაკენ და და-სავლეთისაკენ დაიწყება ოლროუნდრო დაფენებანი წევის წმ. გიორგის საყდრის გასწვრივამდე ირგვლივ. ჯერ ძალიან არ გვერდოვდება, მაგრამ შიგაუდაუშიგ ლელები ჩნდება და მოსახლეობაც აქედან უფრო და უფრო უხშირებს იმ გასწვრივამდე. აქ ერთ ვაკე მინ-დორჩე კვირიკობის თვის 15 რიცხვში (3 დღის გან-მავლობაში) იციან ბაზრობა, კარვობა, კვირიკობა, წევობა. 120 კარვამდეა აქ აშენებულ-გამართული. აქე-დან მესამედი ვერსით უფრო ჭევით დაფენებას ორ-წებად შეჰყება ალმაცერად წევის ბაზარი, რომელიც შედგება 30—40 დურნისაგან და რომელი რიცხვიდან 5—6 დუქანიდა ვაჭრობს, სხვა ცარიელია და დახურუ-ლი. ბაზარს დასავლეთისკენ წამომართვია ლრსართუ-ლიანი ჭეითკირის შენობა, წევის ეკკლესიის სამრევლო სკოლა. აქ სწავლობს დღეს 60 ბავშვე მეტი *). სკო-ლის კედლებზეა მოგდებული ქვის გალავანი საყდრის გარეშემო ვაკეთ შემოკრულ სასაფლაოსი, რომელიც 3—4 ჭევამდე იქნება. ეს სასაფლაო იქამდე საესეა ძე-ლი და ახალი მკვდრებით, რომ ძალიან ხშირად იღე-ბენ ჯერ დაუხრწნელ ცხედრის ტელებს და მის აღ-გილზე დასაფლავებულ მკვდარს აყრიან თავზე. გალა-

*). აქ არის თრი მისწავლებული, ერთი სემენარიელია. ას, ამ ემაწვილის გუდს-შოდვისე დახმარებით და ბავშვის და-უზარებლობით და სასაფლაოთ შევჭრიანე უმეტესი საწილი ქვემო მოუფახიდი ზეპირ-სიტუაციასას.

ვანს უკლის ირგვლივ გზა, და გზას შემორტყმია კიდევ ერთი ნაწილი მჭიდროთ დასახლებულ მოსახლეთა, სახელდობრ ოთიაშეილთა. აქედან და ამის აქლო-მახლო გასწვრივიდან მდინარე ძირულასკენ სამივე კუთხით დაიწყება თავ-დაღმართები, შიგა-და-შიგ საშვავეები, აქ და იქ ტყიან-ჩიგვნარიანი ხრიოკები და, სადაც კი ფქა-მისადგომია, გადალასტული ვენახები. დასავლე-თისკენ ეს ციცაბო თავუღაღმართები ჩააწყდება „გლი-ნაკის დელეს“, რომელიც საზღვრავს ს. წევას სოფელ წიფლავაკისაკენ. სამხრეთით მთელი თავ-დაღმართი, თავის შევაკებული დაფენებაებით თითქმის სულ ვენახებია „კობახოურის“ ღრიანტელის გარდა, და ჩაიკრება „კალაში“. ეს კალა ერთ-ნახევარ ვერსის კუბოკრულ მანძილზე გაშლილი და გარეშე სამოსახლო ეზოებისა სულ დაბლარითაა (ვაზი) მოდებული რკინის გზამდე და მდინარე ძირულამდე. (წევაში სახოვადოდ მაღლარი იშვიათია). სამხრეთ-დასავლეთისკენ კი აიზეინება როგორც კოშკი სალეპით გარს შემორტყმული „კლდე-კარა“, ხატის სასვენებელი, და კლდეებით, ფერწოებით, ჩიგვნარებით დაეშვება, წაზურგულდება და შიკ მდ. ძირულაში შეკორდება.

27 ოქტომბრის (1897 წ.) შემოღამება კლდე-კარაზე:

კინკობის თვეა. (15 ოქტომბრიდან 16 ნოემბრამდე კინკობის თვეს ეძახიან). ღამდება. მე ვდგევარ კლდეკარას ქედზე სამი დახავსული მუსის ქვეშ, რომელთაც ჯერ კიდევ არ ჩამოცუნია ფოთლები. ნიავის ქროლა ისმის. ფოთლების ნძრევა არაა. ძირის, უფსკ-რულში „წითელ-კლდეს“ ძირს უიჩქინის გველივით აქერწლილი თითქო გახელებული, მიღლაკნილ-მოლ-

ლაკნილი ძირულა. სერებზე აქაიქ, ირგვლივ ვერცხლის სირმის ხაზები გამოჰკიაფობენ — ეს წყალი ჩამდგარა ნახნავებში. ფხეჭოებში, საშვავეების თავებზე მოდებული ტყე-ჩიგვნარები წითელ-ყვითლად საოცნებოდ შეფერადებულან. აღმოსავლეთით თავზე წამომდგომია ს. წევის ერთი ნაწილი, ვენახებით მოფენილი, რომელიც ხეებში შესაფრეული ლამაზ-ლამაზი კრელა კრელა სახლებით თავსაკრავით შემოვლებია პატარა ვაკე გორაკს შუბლზე; თითქო ეს თავსაკრავი საქორწილოდ მოლამაზებულ ქალწულის არისო, რომლის თავსაც აშვენებს გვირგვინის ჯვარი. ეს ხეებსა და სახლებს შორის ოქროსავით გამოჩრწყინებული წევის საყდრის ჯვარია. დასავლეთით შენ ახლადა-ახლა ჩასვენებულა ვახტანგის მთების გადაღმა. გადმოღმა მხარე მთა-ბორცუებისა, რომელიც ჩამოტამბულა თოვლით და მოხუცებულის აგრუზულ ვერცხლის თმას მოგაგონებს, კვარცხლ-ბეკების ჭალებზე გაშლილი სოფლები, სადაც აქაიქ მეტალ ლეჩაჭივით გაკრულა კვამლი, როცა თითქოს და მიუბუნდავს წყვდიადს, — მაღლა ცის მოწმენდილ ლაუვარდ ტატნებზე მზის შუქი ისევ ცხოვლად ელვარობს და თითქო ბროლიდან გამოკრილს მთების შვერვალ-გრეხილებს ოქროს ყვავილიან არ-შიებს ავლებსო. შორეულ უფრო მაღალ მშვერვალებზე ბამბასავით აბურთული უზარ-მაზარი ღრუბლები ტყეებამდე დაშლილი ვაკე-სპეტაკ ველებს მოლრეშით დაპურებს. კიდევ უფრო შორს ამოძრავებული, ტყვიასავით მძიმე ღრუბლები ორ-ფერ სახეს იღებენ, ჩამობუმბლულ ხეებს ზედ ეხვევიან, თითქოს და მზად არიან თოვლი გადმოუშვან თვალებიდან. აი, ამ ღროს აქ, ამ მზის შუქით ჯერ კიდევ გავარვალებულ ტატნებზე

საუცხოვო სურათი იხატება. მხისგან თვალ-მოქრილს, თვალამჭვლეულს აგერ სიკრცეში რომ რაღაც უსახო ნათელი, არეულ-დარეული ნიშნები დაეხატება, იმნაირად ოქრო-ალის ფერად,—თუ ღრუბლებიაო, კიდეც ვერ იცნობს კაცი,—წაკვრია ტატნების მსუბუქი, გამჭვირვალე ზოლები. თვალს ჰგონია, ცის გუმბათს გადმოხურვია წყვლიაღ-ლაუვარდის ფერი და ამ ერთ ადგილს ოთხგან თუ ხუთგან ეს თვალ-გადუწვდენელი ფარდა თითქო გახეულა და გუმბათ გადაღმა მუდამ ნათელის შუქით მოელვარე სამოთხეს სარკმლები გაკეთებიაო. ამ ციურს წმინდა ნათელში რაღაც ღუცილი, ფერადების მოძრაობა, დენა თითქოს და მოჩანდა. ამ სასასწაულო სანახაება თვალები მომპარა, გული მომინათლა და დამიტყვევა, რომ ძირულის გასწვრივ, თითქო ძირულას ახელებსო, შხუილ-კივილით გამოებაწრა ორთქლით მატარებელი და გამომარკვია, გამომატხიზლა. რომ იტყვიან, კაცის ხერხი, ოსტატობა ატყვევებს, იმონებს ბუნებასო, ეს მოჩანს აგერ თვალ-საჩინოდ ამ ძირულის შევიწროებაზე. გაღმით სოფ. ილემისკენ შროშის გზა მიჰყება სულ ნაპირ-ნაპირ, გამოღმა კიდევ რკინის ლიანდაგი და ორივე მხრიდან კალაპოტში ამწყვდევენ მდინარეს. მაგრამ როცა მოიმატებს და გადაირევა ძირულა, მაშინ მშვიდობით! გაიგებენ ხოლმე, რასაკვირველია, თუ რა არის სტიქიონი! ერთბაშად მოხვეტავს მიდამოს, კლდესაც-კი!... კალაში შეიქნა სოფლელების ხმაურობა, ძალლების ყეფა, პირუტყვების ბუვილით სამწყესურიდან მოდივილი, და აქ ხეებში დამალული საქლიდან ამოტეხა კვამლმა და ჩანთქა ძელური თვის ტალღებში, იქ ბუხრებიდან აკრაზნენ კახრაკივით მაღლა-მაღლა და გაერთხენ ცას. ჩაწყვდი-

ადდა ხევები, დაბუნდტა მთების კვარცხლ-ბეკი, გაჰქია
დასავლეთის ცის ტანებზე სანახაობა და აღ-
მოსავლეთით სერზე ამოეშვა მკრთალი ცერცხლის
ფერი შუქის შადრევანი. მოინათლა ცა და შემოჯდა,
სერზე ნაზი, მკრთოლვარე სევდით მოღიმარე მთვარე.
ზეცის უსამძლორო გუმბათში გამოკამკაშდენ ვარსკვ-
ლავები, აქა-იქ შეიკრიბნენ ჯგუფ-ჯგუფად და ატეხეს
თვალების ფახური. მე ამ ბუნების სილალეში როგორც
ერთი წვეთი წამი უფსკრულ და უკიდურ ზღვაში ჩა-
ვარდნილი, კოშკივით ამართულ კლდე-კარაზე, ამ ძვე-
ლებურ ხატის სასვენზე, ბედისკან დაჩაგრული, ჩემდა
უნებურად დავერთხე მეჩიდან გაპობილ მუხის ტანზე
გამოკრილ ჯვარის წინ. თვითონ ალარ ვიცოდი, რას
ვევედრებოდი, რა მინდოდა, მაგრამ რაღაც მიუწო-
მელს კივითხოვდი... აი, ეს სოფელი მდებარეობს ზემო
იმერეთში, ქუთაისის გუბერნიაში, შორაპნის მაზრაში
და საზოგადოებაში. დაბა ზესტაფონიდან (ყვირილიდან)
აქამდე არის 10—11 ვერსის მანძილი; დაბა საჩხერემდე,
როგორც ქალაქ ქუთაისამდე 45—50 ვერსამდეა, ძი-
რულის რკინის გზის სადგურამდე—4—5 ვერსია. შრო-
შის, ილემის და წიფლავაკის გარდა ახლო-მახლო
მდებარე სოფლები არიან: ლოსიანთხევი, კლდეეთი,
ფუთი, ვარძია, აჭარა, ლაშე, ბოსლევი, უბისა, მარ-
ტვათუმანი, საქარა, ღილიკოური და სხვ. აგრესუალები,
რომელიც ხალხს გამოუთქვამს ამ სოფლებზე:

აშოგარე წევასა,
გაცი იჭერდა წევარსა.
კაცი რას იჭერ წევარსა?
ასე სჩვევია წევასა.

ამოვიარე იღებსა,
გაცი იქერდა ირებსა.
გაცო, რას იჭირ ირებსა?
ასე სწევება იღებსა.

ამოვიარე შრომისა,
გაცი იქერდა შრომისა.
გაცო, რას იქერ შრომისა?
ასე სწევება შრომისა.

ამოვიარე გარძის,
გაცი აპეთებს პვაწიას.
გაცო, რას აპეთებ პვაწიას?*)
ასე სწევება გარძის.

ამოვიარე საქარას,
გაცი ითხოვდა სამ ფარას,
გაცო, რას ითხოვ სამ ფარას?
ასე სწევება საქარას.

ამოვიარე თერჯოლას,
გაცი ჭამდა თერჯოლას**)
გაცო, რისოდის სტამ თერჯოლას?
ასე სწევება თერჯოლას.

ამოვიარე დვანკითსა,
გაცი იმტვრევდა თავ-შირსა.
გაცო, რას იმტვრებ თავ-შირსა?
ასე სწევება დვანკითსა.

*) ერთი შარცვალი შეტია.

**) ერთი შარცვალით ნაკლებია; ეს მოვლენა ხშირდა
სახალხო პოეზიაში, ჭარმითისას აზრს ამჟაფბინებს ხალხი.

ეს სოფლები და ურიცხვი სხვა ერთი მეორეზე ბალებად არიან მიყოლებულნი. აქაურ სოფელს თითქმის არავითარი მსგავსება არა აქვს ქართლის სოფლებთან. აქ იშვიათია სახლი, ქოხი, რომ ფართო ეტოგარემო არ ერტყას. ასეთია თვით სოფელი წევა გარეშე იმ ერთი ნაწილისა, რომელიც საყდარს არტყია, ქალაქურად გამართულია და სივიწროვეც ეზოსი აწუხებს.

ამ გვარად თანახმად ზემოთ მოყვანილი გარევნულის აწერილობისა სოფელი წევა განიყოფება ორ ძალიან განსხვავებულ ნაწილად— მაღლობ წევად და დაბლობ წევად, მთად და ბარად ანუ კალად. მაღლობი, როგორცა ვსთქვი, ვახტანგის მთების კალთებზე მყოფ ზედა ჩოფლებს უსწორდება თითქმის, მაგალითად სოფელ ვარძიას; დაბლობი, კალა კი თითქმის შორაპნის ციხის (აშენებულია ფანრავაზის დროს) სიშალლეზე არის გაშენებული. ამიტომაც ამ სოფელში ორნაირი ნიადაგია: მაღლა ეწერი, ძირს უფრო ნოკიერი დამძიმებული; ორ-ნაირი ჰავაა: მაღლა ციცი, ძირს ცხელი და მაშ ორნაირი მცენარეულობის ნაყოფია, და თითქმის შესამჩნევად გასარჩევი ხასიათიც და აგებულებაც მცხოვრებლებისა.

ჭვეადაგი მთელი სოფლის, როგორც გვაჩვენებენ ღრმად გათხრილი ღრიანტელები გლინავისა, ლაშიანისა და თვით მდ. ძირულისა, სიპი ლურჯი ქვისაა (გრანიტისა); მას ზემოთ მოპყვება საჩალხე კაჯ-ხრეშიანი ქვა და ამის მაღლა მისდევს წითელი რკინის მაღანი. ეს მაღანი კირ-რეულია, როგორც ის წყობა ქვისა, რომელიც ამ მაღანს მაღლა მიჰყვება და შესდგება „პოლიპებისაგან“ (პაწაწინა ხეჭვოვნებისაგან. ეს ქვა იმ დედა-მიწის კანის შემაგრების ხანაშია შეზავებული, როცა

ამ მაღლობებს ზღვა ჰქონდა. ვინ იცის, იქნება მერეც
აიჭრა წევის ქედი. თუ სლვის ქვეშაც ასე არ იყო
რალა თქმა უნდა აიბერებოდა. ახლა ერთ ალაგას ჭა-
ლისკენ ერთი როყნალი, ვეებერთელა ქვებში ქარი
გამოსტვენს და ხანდისხან კვამლიც ამოჸვება ხოლმეო
ვისაც ამისთანა ქვეპი არ უნახავს, იგი ვერ იქონიებს
ნამდვილ წარმოდგენას იმ დიდ მნიშვნელობაზე, რო-
მელიცა „პოლიპებს“ და სხვა ათას წვრილ-წვრილ
ცხოველებს დედა-მიწის კანის (გაცემებაში) შეზავება-
ში *) ამ ქვის მაღლა მისდევს აყალი, ყვითელი მიწა,
ჭურის საგლენი, თავ საბანი მიწა და მერეც თითქმის
 $\frac{3}{4}$ ალაბის სისქეზე მისდევს მჩატე, კირ-რეული მიწა.
ჭალაში მიწა ნოუიერი მაღლოდ მით არის, რომ აქ
ყოველ წვიმიანობაზე ჩამოდის მაღლობიდან წამონა-
რეცხი ზედა პირი მიწისა და ისედაც. მწირი უფრო
და უფრო, სულ თან და თან უნაყოფიერდება წევის
მაღლობი ნაწილი. ზედი-ზედ 4—5 საყანების დამუ-
შავება მაღლობის ვაკებში და ფერდოებში შეუძლე-
ბელია. შრომის $\frac{1}{3}$ საზღაული აღარ გამოვა. მიწამ
უნდა დაისვენოს ხოლმე. ღრმად დახვნა აქ მიწისა სა-
ზარალოა და მიტომაც, როგორც საზოგადოთ ყველ-
გან იმერეთში, პატარა სახნისით და თოხით მუშაობენ
მამაპაპურად, ძველებურად, ჩვენებურად.

*) ერთა საჭუთარი სპეციალისტი გულაბიგი არ გვაძაღია
ქართველებს. არ არის ერთი განათლებული მხარე, რომ, რაა მის
დედამიწის გულის პირში, წიგნში და რექტუ არ ჰქითსეულობ-
დენს. ჩვენი ხალ-გაზრდა მოწითებულები-და ას გარეშეუკისა
გურადღებას არ აქცევენ. მათი სწავლა უმეტეს ნაწილად დიპ-
ლომისათვისაა, დიპლომი კი განცემულია ცხავრებისათვის.

წევაში ინახება: „ლიგნიტი”, ასპიდის დაფა, ცარცუის ქვა, საჩალხე და შაბის ქვა, კაჟი და სხვათა შორის ქანდარაზე ქვა-ნახშირიც.

მე ცხოვდი, ოომ წევისა და წითლავაკის შუა ჩარღნილი ლრიანტელია და იქ მოსჩერებს, ხან მიცორავს ლიპებზე გლინავის ღელე. ავდრიანობის დროს, ოოგორც ლაშიანის ღელე, აბრუნებს პატარ-პატარა წისქვილებს, და უერთდება მდ. ძირულას რეინის გზის ლიანდაგთან. ამ პატარა ღელეში ბევრი ცარა-ფეხაა, გეელ-ენა, ლომლომა, ვენახა და კიდევ უფრო ბევრი გველ-პაუყია. დალრანტული კიდევეისავსეა ფსვენა-ხვლიკებით, ძლოკეულით, ვაკასეებით, გომფაშოთი და სხვ.

მდინარე ძირულაში ნაშენობს (მაგრამ ვაი ამისთან ნა ნაშენობას—დინამიტებით დიდია და პატარას სულ ელეტენ ხოლმე): წევრა, ბოლო-წითელი (მოდიდო), ქაშაპი, ლლავი, ტოპი, ნაფოტა, ლორჯო და სხვ.

კლდე-ლრეებში ხშირია წყარო და, რაღა თქმაუნდა, იმის და გვარად როგორ ქვეუადავშიაც გამოდის, იმისთანა ლირებისაა. მაგ. „კონკულა“ გამოდის ლურჯ ლიპში და მეტად მსუბუქია, მარგებელი, ზაფხულობით ნამდვილ მთის წყაროს მოვაგონებსთ, ყინვასავითაა, ზამთრობით თილით. რომელიც „პოლივებისაგან“ შეზარებულ კირ-რეულ თეთრ ქვაში გამოდის, როგორც მაგ. ლვალვანი და სხვ. უფრო მჭიდრა, და რომელსაც ერთვის, როკორც მაგ. „უპანის წყარო“— წევის სასაფლაოს წბოლი, პირ და პირ მაქნეულია.

ჩიგვნარები და ტუები თავ-თავის დროზე. გადაჭლილია ხოლმე სხვა-და-სხვა სოკოებით. აქ იცის: ვარყა, წითლია, მიქლია, მანკუვალა, ნიცვი, დედაპერა, ტურიო, წერენო, გუკულის სოკო, გზავრა, ტრედონა,

ქამა, ლვინით, ჯლავანა და შავებისა. აქვე იცის: აბელი, გუდაფშუტა, მინარა (ძილი-ვუდა, ხაშაში) ბალაქე-ულობის ნაყოფი: გოდორა, მარწყვი...

ტყეებში იცის სხვა-და-სხვა გარეული ფრინველები: ბუ, ჟვავი, ყორანი, შაშვი, ბულბული, ნაირ-ნაირი ყარანები: თავ-შავა, ბოლო ცეცხლა, ჩოჩიალა, გუგუ-ლი, მწყერი, ქორი, ორბი, ძერა, ჩხართვი, მესკია, ჭინჭრაქა, ბელურა, ტოროლა, მთის ჩიტი, უივეავი, მეღამურა, კოდარა, მოლალური, გულ-წითელა, კულუმ-ბური და სხვ. იცის იგრეთვე გარეული იხვი, ყანჩი, იშვარი, წყლის შაშვი, კიუტი...

აი, ნადირებიც: მელა, ტურა, კურდლელი, ბუქვი (ზლარბი), სინდიოფალა, მაჩი, მუდო, კვერნა...

ადვილი წარმოსადგენია ნიადაგის-და კულობაზე თუ როგორი ბარაქა უნდა ჰქონდეს აქ მოსავალს და მაშასადამე თვით შრომას. პურის და ლომის თესვა აქ არც ეადვილებათ, არც ეხერხებათ. აქური ჭინახულის სიმინდი, საჭმელია მვადი. მართალია, აქ ლომიოკ მოჭ-ყავო, ცერტიცი, კარტოფილიც, ძაბაც (მამაკალია ლობიო), მაგრამ იმდენი, რომ სათქმელად არა ლირს. აი, კიდევაც რადგან დედა-მიწა მწირია და შრომა იშვია-თად ჯილდოვდება, ისიც მაშინ, როცა წვიმიანი წელი-წადია, რატეგანაც ადგილის სივიწროვეც შემოეპარა მკეთრებთა სიმრაცლის გამო, სიმინდი არაოდეს არ მოდის გასასუიდელი კი არა, საკმარისიც კი; და, რად-განაც ყოველ შემთხვევაში საყიდელი აქეცა გლეხს საჭ-მელი, ერთად-ერთი მისი ცხოვრების სახსარი, წყარო, შრომის ჯეროვანი საზღაური, იქო ღვინო. აქ, რო-გორც საზოვალოთ ზემო-იმერეთში, ძალიან გაბშირე-ბულია ძელთაგანვე მეკვენახეობა; ბეკრია ვენახი. ყურძე-

ნია: დონდლაბი, მწვანე, ციცქა, ქველოური, ოკო, კამური, საფერე, მაისა, კუნძა, ბელია... არ უნდა ვადებოდე, რომ ესთქვა, თუ არ $\frac{2}{3}$, მთელი წევის ზეალაგისა, $\frac{1}{2}$ მაინც უნდა იყოს ვენახი. აქაური ვენახი მართლა რომ ბალია. ვენახშია გაშენებული ყოველ გვარი ხეხილი, რომელიც-კი შეესაბამება აქაურ ჰავას და მოთხოვნილებას: ვაშლი: ბორა, კიტრა, თურა-შაული და შაქარავაშლი; მსხალი საზამთრო, ორშიმო-მსხალი; ქლიავი—გვირილა, მაკრუნცხი, ონტორი, ქანკური, შავ-ქლიავი, წყალუქლიავი, გვერდ-წითელა და სხვ.; ატამი—ჩინჩლა, სახეთქი და სახრავი, ვაშლი, სახეთქი და სახრავი; ალუ-ბალი, თეთრი და შავი კახა-მბალი; ნიგოზი, კერკეტა ნიგოზი; ტყემალი თეთრი და შავი, ღოღნაშო, ალუნჩა; ლელვი—თეთრი და შავი, ბერძული, ჩიტა, საკვირიკობო ლელვი; შინდი; თხილი—ბერძული და ჩიჩა; ბია—მახრჩობელა-ბია, ვაშლა-ბია; ბროწეული, შაქარ-ბროწეული და ცხარე ბროწეული და სხვ. აქვე ვენახებში დანაკელებულ ადგილზე მო-ჰყავთ კიტრი, ცერცი და იშვიათად ნესვი; საზამთრო აქ არ მშიფდება: კვახი, ორშიმო-კვახი, ქინძი, ცერეცი, ოხრახუში და ნიახური და სხვ. საბოსტნედ ცივი ად-გილები უფრო ვარგობენ. საზოგადოთ აქ ხეირიანი ბოსტანი არაა. აქაური ბოსტნეული: პრასი, კლაკვი, შაშკელავი, ზაფრანა, ტალხუნა, პატრიქანი, კამა, პიტნა, ნიახური, პილპილა და სხვ. წითელი ფხალი, კალამფხალი და სხ.

თუმცა ნიახევარი წევისა მართლა ვენახია, დანარ-ჩენის მესამედი თუ იქნება ჩიგვნარი, სტე და ტყე-შეშა აქ დამარჯვებულ, მისადგომ ალაგას საჯენად დად-გმული 10 მანეთია. აქედან სჩანს, რომ ხეტყე განად-

გურებულია. დღეს ხე-ტყისთვის მხოლოდ ის ადგილებია გაშვებული, სადაც ვენახი არ ვარგობს (მაგ. ცივ ადგილებში) და ან ცუდი ფეხ-მისადგომია. ერთი მხარე წევისა „ლაშიანი“, იქ, სადაც „აჭარა“ და წევა ისამზღვრებიან, სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ, გვარიან მანძილზეა მოდებული სტეპით და თუმცა ჯერ ვერ გაუნადგურებიათ, ევ ამიტომ რომ მისადგომი გზა არ უვარგა დღეს-დღეობით. აქაური საშეშე ტყეა: თხმელა, მუხა, რცხილა, წაბლი, კოპიტი; სხვა მცენარეებია: კვინცხა, ბზა, იელი, შექრი (რამე კარგია ამის ყვავილი) კაპარი, ხუმლა, კურნელა (ამაზე იცის მობმა ფითრმა და შემოხვევა სურომ), გულუყრო, ცაცხვი (ორივეს ყვავილი საოფლეა), წიფელა, თხიფხელა, ლაფანი (სალებავია)...

ტყის ხეხილები: სხმარტლი, მოცვი (ამის ფოთლებიდან აქ ბევრ ჩაის აკეთებენ და ჰყიდიან), ჭანტა და კვიჭა ვაშლი, ჯარჭი მსხალი, წაბლი, ხუმლა, მწარე ბალი და სხვ.

კლდე-ლრიანტელებში გარეშე ჩიგვნარისა ბევრ ნაირი გარეული ყვავილი და ბალახია. განთქმულია წევის ხრიოკები ქონდრით. ქონდრის თაფლი ფუთი, ამბობენ 20 მანეთია უცხო ქვეყნების დიდ ქალაქებშით. წევაში კი ცოტაა სკის მიმდევარი, და ისიც სხვათა შორის, აქაური ბალახები, (ფხალეულობა) და ყვავილებია: სადაც ჭაობია, რაც იშვიათადაა, იქ ომბალოა აბიბინებული, (ერთ ალაგს ვაკე-წევაში ეტყვიან „ნაყიდს“. აქ იყო ხოლმე ჭაობები და ტბები. ამ ტბებში დაჭერილი რაღაც ხელიკის მსგავსი ქვე-მძრომი ცხოველი, რომელსაც კუდი ლლავისა ჰქონდა, ჩემთვისაც უჩვენებიათ და უთქვამსთ: ეს არის უწინდებული

დიდი გეელეშაპის ბარტყიო. ქლა გაჰკაფეს თხმელური, დაშრა ტბები, და ისიც გადაშენდაო, სამყურა (ამაზე იტყვიან, ბორკილზე რომ დაადგა გახსნის—გაალებსო. კურდლები სჭამენ), ქვეშ ნიგვზა (ცხელების წამალი) ნიახურია, კაჭკაჭა, ფერიცვალა და შრალას ძირი (სირსკილის წამალი), ფერაცვერა (ჯულაბია, საალბებელი), ანწლი (სალებავს ხდიან ღვინისათვის, არაცხაც ხდიან ანწლიდან), ვირიციტნა (ქოხის აბანოსთვის მოსადულებელი წამალია), ობობა, ქურმუმელა (თავის ტკივილის წამალია), ბარამბა (ქოხის აბანოს წამალია), აბზინდა (მუცლის ტკივილის წამალია), დიყა (მუცლის ტკივილის წამალია), დუ, კულმურა, მრავალძარლვა (მოკრილის წამალია), ყვავი-კუდა (ბავშს რომ უსულო გაუქნდება, მისი წამალია), ენდრო (სალებავია), ხე-სურავანდა (სურავანდის წამალია), კილამურა (ხველების წამალია), გვირილა-ბალახა (რწყილის წამალია), უჯანგარა (მუცლის ტკივილის წამალია), დიკა (მუცლის ტკივილის წამალი), ნარი-ეყალა, ჯინჭარი (გამშრალი ძუძუს მოსადგომი წამალია, ინდოურს ზდიან ამითი), ტლექიანს სისხლის ფურთხებას შეუწყვეტავს, ჭირიან ჭაომებს არჩენს), ძიმწარე (მუცლის ტკივილის, გულზე მოსვლის წამალი), ძირტკბილა (ტველების წამალი), მოლოქი (საყმაწვილოს წამალი), თაგვისარას ძირი და პიტნის ძირი (ჭის წამალი), ქორჩიოტა (ჯულაბია), თეთრი გარეული ვარდი (ზნის წამალია), ფერად-ფერადი ტუხტი (ცხელების წამალია), ყაყაჩო, ყიზილბია, ია, იაია (ჭიკიოტაზე ამოდის წითელი უსუნო ცვავილი და სულ იას აგებულობა აქვს)...

შინაურ ყვავილებში გავრცელებულია მაისის ვარდი და ტუხტი. ხეზე ქვევიან სუროს გარდა კატა-

ბარდა, კრიკინა, კინკარუეა, ეკალა, მაყვალი... მაღლობზე ნაყოფი კარგად ვერ მწიფდება და მუავეა; თვითონ ლვინოც მჭახეა და ულონური, როცა ამავე დროს ქალაში ნაყოფი ძალიანაც მწიფდება, გემოც შვენიერი აქვს და ლვინოც ისე მაგარი და სურნელოვანი დგება, რომ არაფრით არ ჩამოუვარდება განთქმულ სკირისა და კუალითის ლვინოს.

დიახ, ლვინით იყო ლონიერი აქაური მუშაუკაცი. იშვიათი მუშა გლეხი იყო ორილან თოხახუთ საპანემდე მაინც არ გაეყიდა და შინაც სახარჯო ლვინო ბევრი რჩებოდა (სახარჯო ლვინოდ ხმარობენ ნაქაჩს. ნაქაჩს ეტყვიან იმ ლვინოს, რომელიც კეთდება ორ-სამ დღეობით კი არა, მთელი კვირაობითაც გამონაწურ ჩურჩაზე დასახმული წყლიდან). შინაც ლონიერი იყო კაცი და გარედაც: გარედ ფულით, შინ ლვინით. მტერი და მოყვარე იცოდა. სტუმარ-მასპინძლობა განთქმული იყო, მაგრამ ჯერ „მილდიუმ“, ვენაზის ოპმა და მერე ფილოქსერამ გაანადგურა ულები-მუშა. აი, ფილოქსერა ლექსი, ხალხის გამოთქმული:

ფილოქსერას რომ იტევიან,

რა უბედეური უფლიდა:

გენახის ძარში შევდომია,

სტელ წვერობიდი გაუხმია,

უბედეურ ჰატრიანებისოუის

თხერ გუდის შემთუქრია.

მითაფრთხის კაცი მოგახსენოთ,

მამასახლისს და „სუდიას“,

ფილოქსერა დავითხოვთ,

საზოგადო სულ ცუდია.

ჩემ მეტი გზა აღარა გვაქის,

გიუიღოთ თათო გირია;
შავ-ქვესე შაინც გიართ,
გჭამოთ დღიური ჰურია.
ფილტესერამ თქვა წასუსი:
ერთი გიღაცა ფრანცუცი
თვალებში გმასხმის წაშალა;
დღე ჭამა აღარ გგაცადა,
ღამე დაცვიურთას ძილია.
— ფილტესერათ ბატონთ!
საფელამუშე გმახები
ჩაფინასევარი ტკბილია.
— ფელამუშის მოდუდებას
სარჯელი უნდა დიდია.
თბილი შაინც არ შეჭამოთ,
რომ არ დაცუათ პირია.

ამ საშინელმა ღვთის რისხვამ და ქარცეცხლმა ხალხი, ეს მოლიმარე, გულალხეინი, გულ-გაუტეხლად მოლილინე ხალხი დასველიანა, დააბეჭავა, ჯიშეში ფული აღარა აქვს და კურში ღვინო. შინ შასპინძლობის-თვის მოესპო ხალხარი და გარედ გასვლა-გამოსელა-საყიდლისთვის. შრომობს გაბმულ ხარისით თავ-დახრილი, მაგრამ მაღლი არა აქვს და ბარაქა მის უიმედო და უსაზღვრო ოფლის-ლვრას. ფილოქსერამ რომ წელ-კავივით გაუარა ვენახებს და ჯიდაოსავით ამოთუთქა აქა-იქ, ამოხუხა, გლეხი მოიშალა წელს და გულში; გულისგატეხა ჯერ უჩვეუარი უპირებს გულში შეკრას. ეს სტუმრია-მოყვარე გამულელ-გამომვლელს, გლახა-თხოველსაცავი ემალება დღეს. მისი ღილინი მძიმე ამოხვნეშამოკვნესას დაემზავსა.

წეველ მშრომელი გლეხის ფულის შემოსავლის საღსარი ლვინოს გარდა კიდევ შავი-ქვის ხარურმით ზიდვა იყო. ესეც მოუსპო ჭიათურაში რკინის გზის გასვლამ. ეხლა დარჩა რკინის გზაზე დღიურად მუშაობა და სიმინდის მოყვანა. აქ ჩვეულებადაა, რომ ვენასში სიმინდი ითესება ხოლმე. დღეს ირგვლივ და ყველგან ყანის დამუშავებას დაუფათურდენ.

აბა, ვიანგარიშოთ შუა-ხელის გლეხის ცხოვრების გასავალ-შემოსავალი:

1) სამღვდელოების შემოწმებით თითქმის 80 დღეა უქმე-უმუშევარი თუ კანონიერი და თუ უკანონო, როგორც მაგალითად „კოხინჯრობა“, „ელიობა“ და სხვ.;

2) გლეხისთვის უმუშევარი ზოგი მტრისთვის (როგორც მაგალითად საჩივრის დროს), ზოგი მოყვრის-თვის და მკვდრისთვის (როგორც მაგალითად გასვენების, ქალის მოყვანის დროს), ზოგიც ცუდი ამიდების გამო, გამოცდილი გლეხების სიტყვით და საკუთარის დაკვირვებით თითქმის 100 დღე მეტია, (ზამთარიც ამ რიცხვშია).

3) გზების საკეთებლად და საყარაულოდ დასაწყავავია თუ მეტი არა 22 დღე (სამი კვირა);

4) სოფლის სასამართლოში იბარებენ, თუ მთელ საზოგადოებას და თუ ცალკე სოფელს ყრილობისათვის წელიწადში უკანასკნელად, თანახმად გამოცდილ მოსამსახურეთა ჩვენებისა, 30-ჯერ (მთელი დღე იკარგება, სასამართლო შორს არის, 5—6 ვერსზეა).

ოჯახს მიუდის 365 დღიდან უქმად, თავის მიწა-წყლის მიუხედავად 232 დღე; ამნაირად 133 დღე რჩება შრომისთვის, ე. ი. მესამედზე სულ ცოტა მეტი.

ასე რომ ერთი დღის ნაღვაწი სამ დღეს უნდა უყოს. და ზედმეტიც უნდა გადარჩეს. ეს ზედმეტი ასე უნდა განაწილდეს: 1) მღვდლის, საღრამო 2 მან., 2) სახელმწიფო და საფოსტო გადასახადი ერთმანებზე თითქმის 10 მან., თუ არა მეტი; 3) მწერლის, იასოულის და „საალოვო“ (ოჩირის) მიღის ფულად 1 მ. 20 კ.; 4) ბანკის 40 კაპ.; 5) ტან-ფეხი, ჩასაცმელ-დასაგებ-დასახურავი ოჯახისთვის უნდა იანგარიშოთ გაჭირვებულ მდგომარეობაშიაც კი 20 მან. მაინც; 6) ქორწილის-თვის, ნათვლის-თვის; წირვის-თვის, მიცვალებულის სამსახურის-თვის, თუ ჯარის კაცების-თვის ხარჯი ერთი-მეორეზე რომ ვიანგარიშოთ, წელიწადში 20 მან. ნაკლები ხომ აღარ წავა? სხვა წერილმანი ხარჯები რომ არ ვიგულისხმოთ, ესეც კი შეაღევნს 63 მან. 50 კაპ. დღიური ქირარკინის გზაზედ არის 40—50 კაპეიკამდე. თუ იშოენა სამუშევარი 63 მან. და 50 კაპ. დაფუქვას (თუნდა განუწყვეტლადაც რომ ჩავუგდოთ 50 კაპეიკი დღეში) დასჭირდება 127 დღე. მაშ შინ რამდენ ხანს-ლა იმუშაოს, როდესაც მხოლოდ 133 დღე-ლა დარჩენია თავისუფალი! 127 დღის გამოკლებით ეჭვი დღე, ერთი კვირაც აღარ რჩება მარტოსაც კაცის ოჯახს თავისუფალი!... კიდევ კარგი, თუ ან მოძმე ჰყავს და ან შეილი წამოესწრო ოჯახის მამას. მაგრამ საუბედუროდ უნცროსი, როგორც კი ფრთხებს აისხავს, თავისუფალ ცხოვრებას, საკუთარ ოჯახს ეტანება და სახლობა იყოფა, ღარიბდება და იფლება გაჭირვების მორევში მშრომელი გლეხი.

ვიანგარიშოთ ისიც, თუ რას პძლევს მიწის დამუშავება მშრომელს. ერთ ქცევა ადგილზედ სოფ. წევაში ერთი-მეორეზე მოღის ერთ-ნახევარი ძარი ფუჩქ'იანი

სიმინდი და ისიც კარგს წელიწადში. აქაურ ძარ სი-
მინდში გამოვა საში კული, 9 ფუთი; მაშ 1½ იზამს
13½ ფუთს სიმინდს. ფუთი სიმინდი დღეს ლირს 30—
35 კაბეიკი,—ერთი ქცევის კინახული შემოიტანს,
ხულ ბევრი რომა ვსთქვათ, 4 მანეთს.

ოთხ მანეთად უნდა იმუშავოს ერთ ქცევა დღ-
გილზე:

2 დღეს ხარ-ჯაცმა და ხარის წინ გაშძლოლმა პა-
ტარა ბიჭმაც;

3 დღეს ერთმა კაცმა სამარგელად, სამორადოთ,
სამორჩნად;

1 დღეს ერთმა კაცმა მოსატეხად, მოხაურელად
და დასადგმელად;

½ დღეს ხარ-ჯაცმა შინ მისატანად და სტ. ნუ
ვაპსენებთ სათესურს, ღოვეს, და სხვა წვრილმანს. ჯერ
აქედან რა ერგება კაცს, თუ ხარის შრომას დღეში აშ
ოთხი მანეთიდგან და მერე ის ვიგულისხმოთ, რომ
ხშირად სანახევროდ აქვს აღებული ყანა გლეხს და
უეპველად უნდა გავკვირდეთ, როგორ ცხოვრობს სა-
ცოდავი მიწის მუშა! ძნელი წარმოსალგენია ის მდგო-
მარეობა, რომელ შიდაც არის ეს საბრალობელი. აი,
ამაზედ ამბობს ანდაზა: საწყლისათვის, არც გათენებუ-
ლა და არც გათენდებაო!

გულის წვით ალსანიშნია, თუ როგორ იქცევა
ოჯახი ოჯახზე, თუ როგორ ჰქონება, ცივდება კერა.
არა ერთსა და ორს განუტევებია გაძალლებული სუ-
ლი და ცოლ-შვილი დაუყრია ცივუქვაზე, გზა-შარაზე.
არა გვეონია, რომ ბევრი იყოს ისეთი სოფელი, რომ
ამდენი გახიზნული ჰყავდეს სხვა-დასხვა ქვეყნებში და
სოფლებში. (ამას მერეც დავუპრუნდებით). და ეტად

სამწუხაროა, როცა აქაურ ბაზარში ბლავილ-ბლავილით
მოჰყავთ ხარები, ძროხები, ცხვრები და სხვ. ისედაც
უპალახობით დაწუხებული; როდესაც თუნგებს, ქვაბებს,
ტაფებს, ტაშტებს და სხ. მოარიხინებენ გადასახადებ-
ში. როდესაც სამსაჯულოს ბოქაული უწერს მიწა-
წყალს, სახლის ავეჯს, სამუშევარ იარაღს მუშა გლებს.
მთელ წევაში 3—4 მუშა გლეხის ოჯახი არ იქნება,
რომ ვალი არ ჰქონდესთ.

ამ მიწასთან ბრძოლით უნაყოფოდ დარჩენილი,
მოტყუებული გლეხი ყოველისფერს ეტანება: გარბის
სამუშევარზე თუ რკინის გზაში და თუ ქალაქებში,
წვრილ-წვრილად აღებ-მიცემობს: ყიდულობს წურ-
ბელს, ბამბას, ქალაბანს და ჰყიდის სოფელში; გააქვს
შროშიდან სოფლად წვრილ-წვრილი ჭურჭელი და
იქიდან აბრუნებს თუ ყველს, თუ დაკლულ ყვერუ-
ლებს, თუ ლოიოს და თუ სიმინდს. სავათა შორის,
ყასპობა აქ ხშირია.

სამაგიეროდ მესამედი წეველებისა ჩაგანძულია,
მდიდარია. მათი სიმდიდრით გაშენდა ზესტაფონის
და ჭიათურის დუქნები, ესენი არიან უმეტესად ბაზაზები,
ფარჩეულობის მოვაჭრენი. აღებ-მიცემობა წეველებისა
ძევლი საქმეა. ასეც უნდა ყოფილიყო. ბუნება აიძუ-
ლებდა მათ ეს ხელობა აელოთ. მაგრამ ამ უკანასკნელ
ხანებში იმრავლა მათმა ქონებამ ისე, როგორც რიცხ-
ვმა. ამის მიზეზი იყო—1) შავი-ქვის აღმოჩენა და წარ-
მოება, 2) 30% -იდ ფულის გავალება. ეხლა ეს ორივე მო-
ეშალათ, მატრამ ერთხელვე ჩაკუპნავეს ასიგნაციები,
არ დახარჯეს (ხელ-მოკერილები არიან) და დაბინავეს
ხალხში. ხალხი დავალიანებული ჰყავსთ.

შეძლებულთა შვილები იზრდებიან საწავლებლებ-

ში. ბევრი უკვე გამოსულია და დარიგებულიც არიან თვე-თავის საქმეზე თუ მღვდლებათ, თუ მასწავლებლებათ და სხ. შედარებით სხვასთან ამ სოფელს ბლობად გამოუშვია საშუალო სწავლის მექანი პირნი და მომავალში კიდევ უფრო ბევრს უნდა ველოდეთ, რადგანაც საშუალებაზე არის აღზრდის საქმე დამოკიდებული. წეველ გლეხს ესმის, რომ სწავლა საჭიროა და კარგია; მაგრამ ვისაც სალსარი არა აქვს, რა ჰქნას? არა ერთი და ორია ისეთი, რომ სასწავლებლის გასასტუმრებელი ფული არა აქვს, და ძალაუნებურად ხელ-ალებული უნდა იქნეს ბავშების სწავლაზე. კარზე სკოლა აქვს, რიგიანად დაწყობილი სწავლა და მისთვის კი იგი დახურულია! ამას უყურებს მისი მოძმე ვაჭარი და გულუკივადაც უყურებს. სიპრალული მის გულში არ არის, მის თავში ანგარიშია. მაღლი და შებრალება მისთვის ენაა, ცარიელი სიტყვაა. იმისი სადიდებელი და საქები ის არის, ვინც ნდობის ლირსია, იმიტომ რომ ეს ნდობა მისი გამკეთებელი. სწავლას კი იმიტომ აღლევს შვილებს, რომ სხვას არ უნდა ჩამორჩეს. მისი ხელობა ჯიბრია. სწავლა ფულის მტერია, ფიქრობს იგი: სწავლული მხარჯავი და ხელუაშლილიაო. წეველ გლეხს კი საქმე და სარგებლობა სწავლაში ეკულება: ჯარისუაცად თუ წაიყვანეს ჩემი შვილი, იქ ალარ აწვალებენ, ათი-თორმეტი კაცის უფროსობას მისუმენო. ნდობა არც ამასა აქვს სწავლულისა. ეს ან იმიტომაა, რომ გაიძვერა, ხალხის მწოველები და სხ., ვისაც ხალხზე გავლენა აქვთ, თავის პირადი სარგებლობისთვის აძაგებენ მათ ნასწავლ პირებს, ან-და ჰფიქ-რობენ: „გაჭირვებულისთვის არც გათენებულა, არც გათენდებაო“ და რაღაზე ენდოს. მაგალ. ერთ ოთხკლასიან პატიოსან ყმაშვილზე მიუთითეს საზოგადოებას მამასახლისის არჩევანის დროს, მათ კი ისევ უსწავლელი აირჩიეს. „ამას უფრო გავუბედავთო“. რასა-

კვირველია, აქ სწავლულებსაც უნდა მიუძღვდეს ამაში რამე ბრალი.

წევის წმინდის გიორგის ეკკლესიას ჰყავს შემო-
მავალი: წევა, წიფლავაკე, ლაშე, აქარა და სანახში-
რე და ამით არიან ურთიერთთან შინაურებივით დაახ-
ლოვებული. მრევლია წიფლავაკე და წევა.

დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც ამ ეკკლესიაზე
დიდი ამბით იცოდენ ხოლმე გადახდა ძველებურად
დღეობების. თემობაც იცოდენ, სათემო მინდორიც
ქონდათ, აქ ითითებიან ერთ აღვილზე ბაზარში, რომ
აქ იყო დიდი მუხა და ყოველ წირვის შემდეგ ხალხი
აქ გროვდებოდა ხოლმეო. მოხუცები ფიქრობდენ,
ბაასობდენ ქურდებზე, სალახანა ბიჭებზე, თუ როგორ
უნდა აელაგმათ იგინი და სხვ. დიდი ხანი არ არის,
რაც აქ ტურდის სასჯელი კუპრით შეთხუპნა იყო. ხე-
ლებს გაუკრავდენ გაკუპრულს და გაუშვებდენ.

აღდგომის ლიტანიაზე სანახშირლები, განსაკუთ-
რებით გვარად ზიბზიბაძეები (სვანური ხალხია) დიდ
ბუკებს აალვირებდენ; დროშისთვის და გალობისთვის
დიდი ცილობა ჰქონდა ხოლმე ხალხს და ორ-პირად,
სამ-პირად სამ-სამი კაცი გალობდა მშვენიერ კრიმანჭუ-
ლიან ქართულ ძილის პირებს, როგორც საყდარში,
ისე ეკკლესიის გალავანში და სათემოშიაც. აღდგომას
საყდრის გარშემო შემოვლის დროს „ქრისტე აღსდგას“
წინ „ქვა ურიას, ქვა ურიას!“ იძახოდენ და ქვებს უშენ-
დენ ლოდებს. „ქრისტე აღსდგას“ რომ დაასრულე-
ბდენ, დასძახებდენ:

«დათ ერქება ურიასა,
იშ პილწია და მუნიანია;
ცალი კური ჩამოთადეს,

ცალი ისეგი შეარჩინეს.
მაცხოვერშა სედი მიუა,
წაუჩდისა ქინიახედი.

(შემდეგი იქნება)

ს. გაჩქმდებმე.

გასალეგი

ქრისტიანთა დაცუმის და ისლამის გავრცელების ისტორიასა
და საფლეთ საქართველოში.

ნამბობი სხვა და სხვა მოხუკებულ ქართველ მაპმადი-
ანებთაგან.

მურდულის გამაჯაჭარაზე.



ურდულში რომ შესვლა დაიწყება ოსმალთა,
მურდულელებმა იგინიარ შეუშეს. შეპკრეს
მურდულის შესავალი კარი და ოსმალთ
შეუთვალეს:

— მურდულს უბრალოდ ეჩუპებით, მის
ალებას ვერ მოახერხებთ. გინდ რომ აღმო,
ხალხი მაინც არ ჩაგბარდებათ.

— ჩვენ ავიღებთ და ჩაიბარებთ კიდეც. — მიუგეს
ოსმალთა.

— ეს ქვეყანა თამარ დედოფლის არის; ამას ვერა
სახელმწიფო ვერ აიღებს, ჩვენ არავის მიესცემთ ამის
აღების ნებას! მიუგეს მურდულელებმა.

— ევ ჩვენ ვიცით, როგორც ავიღებთ. თქვენ ჩაც
გერიოთ ის ჰქენით, აწი თამარ დედოფალი წამოვეშ-
ველოსით.

— კარგი, აში დაიწყეთ ომი, და ვნახავთ, ვინ ვის
აჯობებს.

ოსმალთ გადასწყვიტეს ომი, მაგრამ ვიღრე იმს
დაიწყებდნენ, მათ განიძრახეს მურლულის მოწინავე
კაცების შესყიდვა. დაიბარეს ეს კაცები და თავიანთი
წალილი განუცხადეს; მაგრამ მურლულელებმა უარი
განუცხადეს.

— ჩვენ როგორ შევიძლებთ თქვენის თხოვნის ას-
რულებას?

— რატომ, მიზეზი რა არის? ჰკითხეს ისმალთა.

— მიზეზი ის გახლავთ, რომ ჩვენ ვიღწვით თქვენს
წინააღმდეგ, ხალხს ჩვენ ვაბრძოლებთ, და აბა ჩვენ რომ
მათ ვუღალატოთ, ეს როგორ იქმნება. მიუგეს ქართ-
ველთა.

— ბეგობას და აღობას მოგცემთ, აილულს, ფულს,
ოლონდ ჩვენი სიტყვა შეასრულეთ.

— ვერ ვიზამთ ამას, ვერ შევასრულებთ. მიუგეს
ქართველთა.

— მაშ დაგაპატიმრებთ.

— დაგვაპატიმრეთ. როგორც გენებოსთ. უთხრეს
ქართველთა.

— დაგხოცავთ და საქმე უფრო ცუდათ წაგივათ.
მიუგეს ისმალთა.

— დაგვხოცეთ, მაგრამ რისთვის და რაზე. ჩვენ თუ
დაგვხოცავთ, ჩვენს გარდა მურლულში სხვებიც არიან
ჩვენზე უკეთესნი. ისინი გაუწევენ წინამძღვრობას. რო-
გორც გერჩიოსთ, ისე ჰქენით.

ისმალთ დააპატიმრეს ეს კაცები და დაუწყეს ტან-
ჯვასწამება, მაგრამ მაინც ვერ დაიყოლიეს. ბოლოს
ესენი დაახრის, ბაწრით. ამათი ამპები მურლულში მი-

ეიდა. ოსმალებს ეგონათ, რომ ეს კაცები რომ დავხოცოთ, მათ შემდეგ მურღულელები თავს დაგვიკრავენ და დაგვმორჩილდებიანი. ეს კაცები ამაგრებენ შათაო. ის კი არა და ამ კაცების დახოცვის მეოხებით მურღულელები უფრო გაგულისძნენ — გაცხარდნენ და ოსმალთ სასტიკი უარი შეუთვალეს. ოსმალთ მალე დაიწყეს მათთან ომი, ომი დიდ ხანს გაგრძელდა, მაგრამ ოსმალთა ვერაფერი გააწყეს; მურღულელებმა ოსმალთა ჯარის უმეტესი ნაწილი გაწყვიტეს, სულ უკან იურინეს. ასეთი დამარცხება ჯარისა მურღულელებისაგან ხშირად მომხდარა ხოლმე. ოსმალებს გაუქნელეს მურღულის აღება. მურღულის ხალხის გმირობას ის უფრო ამხნევებდა და ინახავდა, რადგანაც მურღულში ბატონად ერთი ქართველი მღვდელ-მთავარი იჯდა, რომელიც მართავდა და განაგებდა მურღულის ქართველთა საქმეებს.

ბევრის სისხლის ღვრის შემდევ ოსმალთა სძლიერ მურღულელებს. მთლად აიღეს, მაგრამ დიდის შიშით და ძრწოლით. ოსმალთ უთხრეს:

— თქვენ ოღონდ ჩვენს ხმალს მოენდეთ და სხვაფრიკ თქვენ ჩვენი ფიქრი ნუ გაქვსთ, ჩვენ თქვენ არაფრით შეგაწუხებთ. სხვა ხეობის ქართველებსავით სჯულს არ გამოგაცვლევინებთ. თქვენ ოღონდ ხარჯი გვაძლიეთ.

მურღულელნი დაემორჩილენ მათს სიტყვას და დაიწყეს ცხოვრება. ოსმალთა იწყეს ფეხის გამაგრება. ნელ-ნელა შეისყიდეს აქა-იქ მოწინავე კაცები და უკანასკნელ მურღულის ქართველებს გამოუცხადეს შემდგენ:

— მურღული ოსმალისა არის, თქვენ ქართველე.

ბიც ოსმალისა ხართ, ამიტომ ჩვენ ვითხოვთ, რომ
თქვენ ჩვენი წმინდა სჯული მიიღოთ და გათათრდეთ.

—ოჲ! ჩვენ ზაგას ვერ ვიზამთ. ფვ არ შეგვიძლიან.
მიუგეს ქართველთა.

—ომი მოხდება, დაიღუპებით. საქმე წაგიხდებათ.

—როგორც გერჩიოსთ, დაიწყეთ ომი, ვნახოთ,
როგორ იქმნება ბრძოლის საქმე!

ოსმალთა მალე დაიწყეს ომი; პირველ ხანებში
იძლივნენ, მაგრამ მალე ტრაპიზონის და არზრუმის-
ჯარები მოვიდნენ და ასეთის შეერთებულის ძალით
მურღულს დაუწყეს ომი. მურღულის ერი მოსდრიკეს.
მონების ბორკილი დაადვეს კისერზედ. დამონების
უმაღვე გათათრება უთხრეს, მაგრამ ამათზედ უარი მიი-
ღეს. ოსმალთა მალე მღვდლების გარევა დაიწყეს, მო-
კლე დროის განმივლობაში მურღულში ერთი მღვდე-
ლიც არ დარჩა, თვით მღვდელ-მთავარიც გამოაგდეს.
საჩქაროდ ეკალესიების ნგრევა-დაჭუვაც დაიწყეს. ისე
უწყალოდ და შეუბრალებლად მათ არსად დაუჭუვიათ
ქართველთა სისხლი და ეკალესიები, როგორც მურ-
ღულში. მურღულის ქართველობამ თითქმის ასახელა
თავისი არსებობა; ოქმალნი გააკვირვეს ამათ თავიან-
თის გმირობითა და ბრძოლით. ესენი ოსმალებს სჯუ-
ლის გულისთვის დაუცხრომლად 1780 წლებამდის ებრ-
ძოდნენ. ამ ხანამდე აქ ბევრს სოფელში ქართველნი
ქრისტიანობდნენ; ქრისტიანობისთვის ესენი არც ოსმა-
ლებს უშინდებოდნენ. როგორც შეეძლოთ, ისე ბრძოდ-
ნენ და იღვწიდნენ, მაგრამ ესენიც მობეზრდნენ ბრძო-
ლას და უკანასკნელ მთლად მურღულის ქართველნი
გამაჰმადიანდნენ.

ოსმალნი დაწყნარდენ და მურღულის ქართვე-

ლებს მიუჩინეს მოლა-ხოჯები. მურღულელთ მალე და-ისწავლეს მუსულმანური ლოცვები და ლოცვის წესები. ესენი მალე ისე დახელოვნდნენ, რომ ამათგან ზოგიერთმა ყმაწვილებმა სასულიერო წოდებაში შესვლაც ისურვეს და ამითვის მზადება. მურღულელ ქართველთაგან მალე მოლა-ხოჯებიც გამოვიდნენ. ამათ იწყეს ხალხის მზადება და მაპმადიანობის გავრცელება, მტკიცე ნიადაგზე დამყარება. ამათ ოსმალთა დაუნიშნეს საკუთარი მუდერასი, ამას ჰქონდა თავის „მეჯლიში“ და ეს განაგებდა მურღულის ერის საქმეებს. მუდერასი სხვა მხრის მცხოვრებ მაპმადიან ქართველებს არ ჰყავდათ. მურღულელებს ისმალებმა ასეთი უპირატესობა უფრო შიშის გამო მიანიჭეს, რადგანაც მურღულელების ენვი ჰქონდათ, ქრისტიანობას სწამებდნენ, ეკკლესიების პატივის-ცემას და სხვანი, მაგრამ მათ ვერც ხოჯებით და ვერც მუდერასი ვერაფერი გააწევს. ყოველივე ამაռად დაუშთათ. მურღულელების ზოგი თუ გაათათრეს, ზოგი სულ ვერ გატეხეს.

1840 წ. ოსმალთა დიდის მეცადინეობით შეიტყეს, რომ მურღულში თურმე გათათრებული ქართველები ჩუმად ქრისტიანობდნენ, და ეს ჩუმი ქართველი ქრისტიანები მთელს მურღულის ხეობის ქართველებსაც ამაგრებდნენ სჯულზე, ამათ მიმხრობილი ჰყვანდათ თვით მოლა და ხოჯები. ქრისტიანების რიცხვი აღმოსჩნდა სოფელს გევლეში, თხილაზორჩში, ძანცულას, თასმალოს და რამდენიმეც სხვა სოფლებში. საქმის გამოძიების შემდეგ აღმოსჩნდა, რომ სხენებულ სოფლის ქართველთ სჯულის გულისთვის ასი წელიწადი ოსმალთ

წინათლმდევ უბრძოლისათ და ასი წელიწადიც აშათ
ქრისტიანობა ჩუმად შეუნახავთ.

ერთს დროს ესენი მუსულმანებიც ყოფილან და
საიდუმლო ქრისტიანებიც. მუსლიმანობას დღისით ას-
რულებდნენ; მუსლიმანობა ისე ოსტატურად ეკავათ,
რის გამოც კაცი მათ ვერაფერს - ეჭვა აარომევდა.
ბაირამს, რამაზანს და მუსლიმანობის ასეთ დღესასწა-
ულებს და მარხვებსაც დიღის ამბებით იხდიდნენ, სუ-
ნებსაც სიამოუნებით იხმობდნენ თავიანთს სახლებში,
ერთის სიტყვით კაცს ეს ხალხი ნამდვილ მუსლიმანები
ეკონებოდა, ვერაფერს ეჭვს შეიტანდა მათზე ვინმე.

ქრისტიანობას ჟენი ასრულებდნენ ღამე: მათ
ერთი ოთახი ჰქონდათ ამორჩეული, ეს ოთახი ერთი
მოსახლის ქვეშ იყო გაკეთებული, სარდაფიკით. და-
ნიშნულს დროს ამ ოთახში გროვდებოდნენ და აქ
ლოცულობდნენ ქრისტიანული. ამათ ჰყავდათ მღვდე-
ლი; ეს მღვდელი ტრაპიზონში იყო ნაკურთხი, ბერძნის
ეპისკოპოზისაგან. ეს მღვდელი დღისით ნამდვილი მუს-
ლიმანი იყო და ღამე ქრისტიანი. ერთი კაცის ტანთ-
საცმლით იარებოდა ხალხში. სალოუას ოთახში კი იგი
ფილონით შეიმოსებოდა. მღვდელს ჰყავდა ვაჟი-შვილი,
და ეს ამზადებდა მას, რომ მამის შემდევ მღვდლით
შვილი უნდა წასულიყო. ამათ გვარს წევრთ ასე მო-
უხერხებიათ ხოლმე ყოველთვეს და ესენი ყოფილან
მღვდლებად.

მღვდელი - საეკკლესიო ნიკოებსაც ინახავდა, ბარ-
ძიმიშ ფეშუმს; სამთლებსაც აკეთებდნენ, სამთლებს ში-
შის გამო ცოტას ანთებდნენ, საკმელს კი ხშირად
აკმევდნენ; სხვა რამ საეკკლესიო ნიკოებიც ჰქონიათ,
ნამეტურ ძველი ხატები, მაგრამ ყველა ესენი მათ

სწყობიათ სალოცავ მთახის ერთს დოლაბში, რომლის კარებიც კედელში ისე ოსტატურად ყოფის ტა ჩატანებული, რომ ხამი, უცხო კაცი იმას ვერ გაარჩევდა, ვერას შეატყობდა. საიდუმლო ქრისტიან-კართველები საიდუმლო ლოცვის გარდა მცირედ კარ-შიაც ქრისტიანობდნენ. მაგალითებრ, შობა ღმიეს ამათ იცოდნენ „ალილოს“ თქმა: პატარა ბიჭები ერთად შეიკრიბებოდნენ და აქა-იქ ქართველებთან „ალილოს“ ძახილით წავიდოდნენ; ოსმალთა მოლა-ხოჯები კი ასე ჰფიქრობდნენ, რომ ვითომკ ბაკშვები მღერიანო, ქართველნი უველა ქრისტიანთ დღესასწაულებსაც იგონებ-დნენ ხოლმე და ნამეტურ უქმობდნენ შობას; აღდგო-მას, წყალ-ყურთხევას, ახალ წელიწადს და ელიოპას. ქრისტიანულ მარხვასაც, ინახვდნენ.. საიდუმლო ქრისტიან ქართველებს ერთი ჭანელი ხოჯა და ერთი მოლა გადაეკიდა; ესენი დიდის ოსტატობით ადევნებდნენ მათ თვალ-ყურს და უკანასკნელ დარწმუნდნენ ქართ-ველთა ქრისტიანობაზე. ამიტომ მათ საჩქაროდ და-აბეზღეს ქართველნი. ოსმალოს სასულიერო მთავრო-ბამ მალე კაცები გამოგზავნა; გამოძიება მოახდინეს, და რამდენიმე ბავშვი გატეხეს, რომ იგინი ქრისტია-ნობდენ. პატარები რომ არ გაეტეხათ, დიდრონებთა-გან ვერას შეიტყობდენ. საქმე გამოაშკარავდა-ქრისტიანებთაგან. საქმის დამალვა აღარ იქნებოდა. ამათ მიმართეს ასე:

— ბატონებო, თქვენ რა გეპრიანებათ ჩვენის სჯუ-ლისაგან, ჩვენ ხომ მუსლიმანებიცა ვართ.

— არ შეიძლება, თუ მუსლიმანი ხართ, მუსლიმანი უნდა იყოთ და არა გიაური—ქართველი. გიაური და მუსლიმანი ერთად არ შეიძლება რომ იქმნეს.

— ჩვენ გიაურები არ ვართ, ჩვენ გურჯები ვართ,
მიუგეს ქართველთა.

— თქვენ სუკველას დაგხოცავთ, არც ერთს აღარ
დაგტოვებთ. მიუგეს ოსმალთა.

— ნება თქვენი აღსრულდეს, ხოლო ჩვენ რაც
ვართ ის ვიჭნებით და იმითივე გავსწყდებით.

საქმის გამოძიების და გარკვევის შემდეგ საიდუმლო
ქრისტიანე ქართველები სიკვდილით იქმნენ განკით
ხულნი. დანიშნულს დღეს გაიყვანეს ისინი და ზოგი
სახრმობელაზე ჩამოჰკიდეს და დაახრჩეს, ზოგს თავი
მოჰკვეთეს და ზოგი დაჩქეს; მაგრამ არც ერთმა მათგან-
მა ამ დროს წარბიც არ შეიხარეს. ქართველთა და-
ხოცის შემდეგ ოსმალთა მოსხებნეს სამლოცველო
ოთახიც; იქ იპოვეს ყველა საეკულესიო ნივთები და
წიგნები; წიგნებს ცეცხლი მისცეს და დასწევეს, ოქრო-
ვერცხლის ხატები თვით წაიღეს და დაჰყიდეს, სხვა და
სხვა ნივთები კი თათრებს დაურიგეს, სამლოცველო
ოთახიც მთლად დააქციეს.

ოსმალებმა ესენი ასე უწყალოდ და შეუბრალებ-
ლად მიტომ დასაჯესო, რადგანაც სხვა ქართველების
ეკვიც ჰქონდათო, რომ სხვებიც თუ არიან აქ ვინმე
წუმი ქართველ-ქრისტიანები, იმათ ნახონ ამათი ულეტა,
წავეტა და თავი გაანებონ გიაურობასაო. ზემო ხენე-
ბულ ქრისტიან ქართველთ გარდა სხვებიც ყოფილან
წუმი ქრისტიანები, რომლებიც აქა-იქ სხვა-დასხვა
სოფლებში სცხოვრებდნენ და ჩუმად ქრისტიანობდნენ.
ამათ რა ნახეს თათვიანთ მომენების დიდი ტანჯვა-წა-
შება, შემდეგ თვითონაც განშორდნენ ქრისტიანებს
და სრულიად მუსლიმანობა იწყეს, — მეტი გზა აღარ
ჰქონდათ, რას იზავდნენ! ასე და ამ გვარად მოსპეს

ოსმალებმა მურლულში ქრისტიანობა, აზის მოსპო-
ბის შემდეგაც მურლულელი ქართველნი ქრისტიანულს
წესებს არ სტოკებდნენ თურმე და, ოფორტუ ერთმა ბერ-
ძენმა (ლაზარევმა) მარწმუნა, „ალილოს“ თქმა მურლულ-
ში გათ-თრებულ ქართველთა შვილებს 1870 წლებამ-
დის სკოლნიათ. შობა ღამეს თურმე ესენი ამ ჯოურით
დაიკლილნენ და მიულოცავდნენ იმ ქართველთა ოჯახებს,
საღაც ასეთი მილოცვა მოსწონდათ. ჩვეულებად შერ-
ჩათ კიდევ საღვთოს დაკვლა და წითელი კვერცხების
შელეცვა, მაგრამ ოსმალთა მძღავრობის მეობებით არც ეს
იქმნა დიდხანს დაშთენილი მათში; უკან. სკნელ ომის წი-
ნად ყველა ესენი სასტუკის ბრძანებით იქმნა მათში ალ-
კრძალული და მოსპობილი.

დღეს, მურლულში ქრისტიანობის აღარაფერი ნიშ-
ნებია დაშთენილი; მურლულელნი ნამდვილი ფან ტიკოსები
არიან, მოძულენი ქართველთა და ყველა ქრისტიანების.
უკანასკნელს ომის დროს ყველაზე დიდის ფანატიზმით
ესენი ლმოჩნდნენ. მთელი მურლული ოსმალში წავიდა.

უწყის, რომ მურლულელების მსგავსადვე იბრძოდ-
ნენ ქრისტიანობას დასაფარიავად პარხალის ხეობის ქართ-
ველთ მაჰმადიანთა ზოგიერთი სოფლელებით. ამ საუკუნის
1860 წლებამდის პარხალის ერთს სოფელში ქართველ
მაჰმადიანებს ქრისტიანობაც ეკავათ და საიდუმლოდ
ქრისტიანობდნენ, მღვდლად მათ მღებრაძე ჰყანდათო.
მაგრამ ამათაც შეუტყეს ოსმალებმა და დასჯა დაუპირე-
სო. პარხლელებმა თავი გ. იმართლეს, სიკვდილს გადაჩი-
ნენ, მხოლოდ ქრისტიანობას კი სამუდამოდ გამოეშვი-
დობენ. ამ ცნობას დ. ბაქრაძე და გ. ყაზიბეგიც მოიხ-
სენებენ.

II.

ართვინის (ართვანი) გამაჰადიანება.

(სააშბობი დიდანაში ქრისტიან კათოლიკურთაგან და ქართველ
შაჰმადიანებთაგან).

ლივანის ხევი—ღლეს ლივანიდ იწოდება. ლივანი
ძველად იწყებოდა შესართავთან და აქედან ართვანამდის
მიემართებოდა; ართვანს იქით კი, ანუ ბერთას სამზღვრი-
დან კლარჯეონ დაიწყებოდა. ღლეს აქეთ კლარჯეონის
ხსენება არავინ იცის, ყველა ლივანის უწოდებს ამ ადგი-
ლებს. ყველა ეს ადგილები ძველად საქართველოს მცირდს
საუზრუნველი შედგენდა; აქ ქართველთ ტომით იყო მო-
ფუნილი ლივანის დაბა, ართვინიც ქართველთა მეფე-
თაგან იყო გაკეთებული; ეს ადგილები ძველადვე დაადგა
წარმატების გზას. აქაურნი ქართველნი დარიდგანვე შე-
ეჩივნენ მწიგნიბრობას, ხელოსნობას, მეცნიერების მი-
ყოლას და ღვთის-მეტყველებას. ამ ადგილებში ძველად
შენდებოდნენ მრავალი მონასტერ-ეკველესია და დიდრონი
სასწავლებელნი, რომელთა ნაშთნი დღემდეც შენახულან
აქა-იქ. აქაურნი ქართველნი იყვნენ მეტად მხნე და
ლომ-გულნი, მამულის მოყვარენი და საქართველოსთვის
თავ-დაღებულნი. ამას ხომ ჩვენი ისტორიაც ამტკიცებს.
ამათ დიდხანს იმპოლეს ქართველების გულისთვის პი-
რისპირ ოსმალებთან, მაგრამ უკანასკნელ ესენიც იძლივ-
ნენ,—მუდმივ ომებისაგან დაღალულნი დაემოხჩილნენ
თავინთ კარზე მომდგარს შავს ბედს და მიეცნენ ოსმალ-
თა მონებას.

ოსმალთა მონების ქვეშ შესვლას შედეგად მოჰყვა

მთელი ამ ადგილების გამაპმადიანება, გაშაპმადიანებისოფიც
წამება. ხალხი დიდი უარს იყო გამაპმადიანებაზე, მაგრამ
სხვა არსაიდ. ნ იყო. უკანასკნელ იწყეს გამაპმადიანებადა
რავდენიმე ხნის განმ. ვლობაში მთელი ეს ადგილები, ბერ-
თამდის მცხოვრებნი ქართველნი, მთლად გაამაპმადიანეს.
ამათ შემდევ ბერთას მიაღვნენ. ბერთაში ძველად შვენი-
ერი ეკულესია იყო და ამ ეკულესის დიდი ზე-გავლენა
ჰქონდა ამ მხრის ქართველებზე; ბერთას ხსენება სასტი-
კად ამაგრებდა ქართველთა და ამათ მხნეობით მოსავლა
გამაპმადიანების წინააღმდევ, მაგრამ ესეც შემცირდა უკა-
ნასკნელ. ოსმ. ლთა სტნეს საჭმის ვით რება და მალე ბერ-
თას ტაძარსაც მოხვიცეს ხელი, სამღვდელონი გაძარცვდა
და ეკულესია ჯამეთ გადააკეთეს. ეს ეკულესია ჯამეთ გა-
დაკეთებული დღემდეც სდგას კლარჯეთში.

ქართველთა ოსმალთ წინააღმდევ სასტიკად იწყეს
ბრძოლა; ესენი ბრძოლენ სასტიკად მით უფრო, რადგა-
ნაც ამ მაღალებმა ამარიმომე ქართველნი აქაიქ დასტინჯეს
უწყალოდ. და ამ ტანჯვით იგინი მაინც გაამაპმადიანეს.
ბრძოლენ გმირულად, მაგრამ ბოლოს ქანც-გაწყვეტი-
ლებმ, იწყეს აქეთ-იქით ლტალვა; დაბა და სოფლებში
იწყეს ვერანად ქცევა. ოსმალთ თავიანთ ხრიკები შეაჩე-
რეს, ხალხი დააშოშმინეს. რამდენიმე ხნის შემდეგ ხელ-
ახლავ მოჰკიდეს გამაპმადიანებას ხელი და ქართველებს
დაუწყეს გამაპმადიანება და თი როგორ: ოცი, ოცდა-ათი
სოფელს და უცემოდნენ, ამ სოფლის ხალხს ერთად შეჰ-
ყრიდნენ, გარს ოსმალოს ჯარს შემოაკრავდნენ და თათ-
რობას ეუბნებოდნენ. ქართველთაგან ესმოდათ:

— არ გავთათრდებით, რაც უნდა იქმნეს.

— დაგხოცავთ სუსველის, არც ერთს არ დაგარჩენთ
ცოცხალს. ეუბნებოდნენ ოსმალნი.

— ნება თქვენი გახლდესთ. როგორც გერჩიოთ, ისე
ჰმენით საჭმე.

— ჩვენი ნება და საჭმე თქვენი გამაჰმადიანება არის.
მიუგეს ოსმალთა.

— არა, ჩვენ მაგას ვერ ვიზამთ. ჩვენ თქვენი ნება,
დახოცვის მხრით გითხარით, მიუგეს ქართველთა.

— დახოცა კვუის საჭმე არ არის, საჭმე გამაჰმადია-
ნება არის. ეს აღგილები ჩვენ მიტოს დავიკავეთ, რომ
ქართველნი გავამაჰმადიანოთ და არ ვხოცოთ. ჩვენ მაჳ
მადიანობის გაცრცელება გვინდა, რომ ეს წმინდა სჯული
გავაურცელოთ უსჯულო ქართველებში.

— ჩვენ ვერ ვიზამთ მას, მიუგეს ქართველთა.

— არა გიშავსთ-რა, ჩვენ შეგაჩვევთ, გასწავლით ყცე-
ლაფერს. მიუგეს ოსმალთა. მაგრამ ქართველნი მაინც არ
თანხმდებოდნენ.

ლიგანელ კლარჯელებისთვის დადვა დიდი უბედუ-
რების დღეები. აქ მცხოვრებ ქართველობას გარს აუარე-
ბელი ოსმალოდან მოსული ჯარები შემოეკრა, და იწყეს
ქართველების დევნა და პატიმრება მოხუცებულნი ქარ-
თველნი დედაკაცნი და მამაკაცნი ხმა-მალლა პყვიროდნენ
ტირილით.

— არ გავთათრდებით, ვაი ჩვენს თავს, ჩვენს ბედს,
უნდა გაგვაძიმადიანონ ძალით, ღმერთო ნუ გვიწყენ,
გვაძეტიე! პატიმარ ქართველებს მოუყარეს ერთად თავი
და უველა ესენი წყობა-წყობა მოპყვანდათ არიგინის
ხადის გვერდით, რომელი ხიდიც ჭოროხზე იდგა. აქ აყე-
ნებდნენ ქართველთა და გარს ჯარის კაცნი სცავდნენ.

პყრობილ ქართველთა პირდაპირ, ხიდის გვერდით,
ერთ ალაგას დაასვენეს ერთი ძველი ქართველთა ხატი,
რომელსაც ქართველნი დიდს პატივს სცემდნენ. ეს ხატი

ართვინის ეკულესიისთვის წერთმიათ ოსმალებს. ხატის გვერდით იყო თავ-ხაკვეთი ქვი და იდგნენ ჯალათები თავ-საკვეთით აღმურვილი. პყრობილ ქართველთაგან სამ-ს, მნი მოჰყვანდათ ქართველთა ხატის წინაშე და გაკრძალვით აყენებდნენ და თან ეუბნებოდნენ:

— თათრდები თუ არა? თუ თათრდები ხომ კაი, თუ არა და აი თავ-ხაკვეთი და ჯალათი.

— არ ფავთათრდები, არა და არა შეუტიეს მრავალთა.

— აბა მაშ თავები ამათ, იყვირეს ოსმალთა, და ჯალათის წინ წააყენეს პყრობილი ქართველთაგანი და მოჰკვეთეს თავი, და დაჭრილი კოროხში გადაყარეს. ქართველთა ნახეს მეგობრის წამება სჯულის გულისათვის. ესენი შეჰქრონენ, შეჰინდნენ, მცირს დახანება სთხოვეს. ამათ მისცეს მათ ნება. იგინი დაფრქრდნენ. ბოლოს უთხრეს:

— გავთათრდებით, მეტი გზა არ არის.

— ძალიან კარგი, მაშ თუ გათათრდება გინდათ, აგერი იმ ხატს მიაფურთხეთ, რომ ჩვენ დავრწმუნდეთ თქვენს გათათრებაზე.

— ხატს რაღა, ზე მივაფურთხოთ, იგი რას ვიშვებათ თქვენ ან ჩვენ, რა გინდათ მისენ, რომ მივაფურთხოთ?

— რომ ჩვენ დავრწმუნდეთ თქვენს გათათრებაზე, თუ არა და, უამისოდ ჩვენ ვერ ვირწმუნებთ თქვენს გათათრებას. ქართველთა მიუგეს:

ჩვენ გავთათრდებით, მაგრამ ხატს ვერ მივაფურთხებთ.

— ვერა და დაიხოცებით. მიუგეს ოსმალთა მრისხანებით.

— ნება თქვენი აღსრულდეს, როგორც გერჩიოსთ ასე ჰქენით, ჩვენ არ შევშინდებით; და რავდენიშე ქართ-

ველო პურიბილნი წარსდგნენ წინა, და მოპკვეთებს ამათ
თავები და გადაჲყარეს ჭორობში. ამ მოწამეების სიკვდილი
და წამება რა ნახეს მრავალთა, ესენი შეშინდნენ, იწყეს
დრტვინვა, თავის დანანება და ამიტომ მრავალთა იწყეს
ოსმალთა ბრძანების აღსრულება და ხატზედ მიფურთხება.
ხატზე მიფურთხების შემდევ მიმფურთხებას ათავისუფლებ-
ლნენ და იქვე ათათხებდნენ. ორი დღის განმავლობაში
რვას ქართველს მოსჭრეს თავი და გადაჲყარეს ჭორობში,
რომელთაც ვერ გაბედეს ხატზედ მიფურთხება. ზოგნი კი
ასახელებენ, რომ ათას ოთხას კაცს მოსჭრეს თავიო.

ასე და ამ გვარად ართვინის ჩილი გვერდით დიდ-
ძალი ქართველობა გაწყვეტილა ოსმალთა წინაშე ბრძა-
ლაში მაჰმადიანობის გამო. ერთ დღეს თურმე რვას
ჟატზედ მეტს მოსჭრეს თავი ქართველთაო, ვინც დაზრჩა
ისინი გაათათრებათ და მათში ისეთის სასტიკის შაშიანო-
ბით დამკვიდრეს მუსლიმანობათ.

აქაური ქართველნი შეტად კუვიანნი და მნენი იყვ-
ნენ. ბევრმა ამათგან იწყეს კათოლიკეთ თავის აღიარება,
ზოგმა სომხობა და ამით გადირჩინეს თავი. წამებისაგან,
რადგანაც ოსმალნი კათოლიკებსა და სომხებს არ იტან-
დნენ ძალას. რადგანაც კათოლიკეთთ თვეთ პაპი მფარვე-
ლობდა. პაპის სულთანთან პირობაც ჰქონდა შეკრული.
სომხებს კი ხმას არ სცემდნენ, რადგანაც მათი მორიდებაც
არ ჰქონდათ. მარტოდ ქართველებს მტრობდნენ, რომ
ამათ საქართველოს მეფესა და ერთან კავშირი ირა ჰქო-
ნდათ.

ამ ადგილებში ქართველნი გათათრდნენ, მაგრამ
ქრისტიანობას მაინც არ სტოვებდნენ, საიდუმლოდ ქრის-
ტიანობდნენ. ეს ამბები ოსმალთა შეიტყეს, ამიტომ ამათ
ქართველებს სასტიკად უწყეს დევნა და ტანჯვა-წამება.

უკანასკნელი საქმე იქამდის მივიღა, რომ ლივანელ და
კლარჯელ ქართველებს ქართულს ენაზე ლაპარაკაც კი
დაუშალეს. ქართულს ენაზე ლაპარაკის დაშლამ დიდი
ზედ-გავლენა იქონია ქართველებზე და ამიტომ ამათ
ლტოლვა იწყეს საქართველოს იმ ადგილებისკენ, სადაც
ქართველი მეფე იჯდა, ქართველთა გამგეობა იყო. ოს-
მალთა მაღლ მოიღეს ამის წინააღმდეგი ძალა და იარაღი;
ამათ ოსმალოს ჯარი დაახვიდს ქართველებს გარს და
სასტიკის მუქარებით აუწყებდნენ თავიანთს ბრძანებას.
ვინც თანახმანი იყვნენ ბრძანების — ისათ სტოვებდნენ
თავისუფლად და ვინც წინააღმდეგი იყო, იმას აპატიმ-
რებდნენ; წინააღმდეგ პირებს ერთად აგროვებდნენ და
ბოლოს ყველა ამაო მისირში რეკავლნენ. ამ გარეკილ
ქართველების ადგილებზე კი ნ მდვილს ოსმალებს ასახ-
ლებდნენ. აი ამ მიზეზით აიხსნება, რომ ლივანის ხევის
დასასრულს მრავალს ალაგას, სოფლებში, დღეს ქართუ-
ლი ენა აღარ სუფევს, და ზოგიერთს სოფლებში მცხოვ-
რებნი ოსმალურად ლაპარაკობდნ. ამ მრავალ ოსმალთა
ჩეოხებით ზოგიერთ სოფლებში თვით მცეიდრთ ქართ-
ველთა მცხოვრებაც დაკარგეს თავიანთი დედა-ენა. ოს-
მალთა ნატურაც ეს იყო. ამისთვის ბრძოლნენ იგინი. აი
ამიტომ არის დღეს ლივანის ხევის დასასრულს ადგილებ-
ში ქართული ენა მრავალს ალაგას მოსპობილი. აქ ისიც
უნდა ითქვას, რომ ლივანის ხევს იქით, კარგა გზას რომ
გასცილდებით, იქითა მხრის სოფლებში კი ყველგან
ქართული ენა სუფევს. ლივანის ხევიდან წაყვანილ და
გადასახლებულ ქართველთა რიცხვით ძველად სავსე
ყოფილა მისირი, შაშა და დიარბექირი. ეს ასევე მარწმუ-
ნა აღრე აქცვისთაველზა ჰუსეინ ხაბაზ ჭ მჯარადემ, სახალ-

ხო მელექსემ, რომელიც დიარბექირს და სსენებულს აღ-
გილებში 20 წელიწადი ყაჩაღად იყო გავარდნილი.

აი უმთავრესი მიხესები იმისა, რომ ართვინის ახლო-
მახლო ქართული ენა ზოგიერთ სოფლებში სრულიად
მოისპო.

ქ. ქ.

(შემდგარი აქცება)

ԱՐԻՌՈԼ-ՑՈՒՑՈ. 1)

(Սովոր. արշակունյաց համար Տ. Թումանյանի մոտ.)

(Ուժական պատճենագիր).

առասու քայլութ հրաշքեա²⁾ օգածարցա. Եցօն-ծուռ՛՛³⁾,
ծալոնտան⁴⁾ հայուրո մորհօնս— „մողաքեմարց գասազոր՛՛⁵⁾
— մառ, արհուն, մոցեմարոտ, չըր մա առնս, նոր տպուս!
արհունմա წամուսեա: „Մեմոյահմետ ծերու-ցուցու.
Մոնա-պմբես ցագամուսեց, հոմելու մարչաց ծովու...
յրտո մատրանի Շեմուկըրա... ով մոյսեֆրո, Կարմունս մոն՛՛⁶⁾.
լույսեմա սլուրդուլո Շեքենց— „մոցաւու արհուն ցոյս“.
հրաշքեմ Մեմոացինա ծարոնի՛՛ Շուկուլս գրաւ Յունա.
յրտո արհունմայ Շյեսեա: „Եվանու հրաշուլու սախեց զուս:
Նոց մոցպուազ լու նոց լացարիցն, նոց լուրու յուն
ցասեազ Յունա!“
ամենա սրունդ Շյոյնա... արհուն հաջա լուրի տերուն՛՛.
Կուսու մայացարունո Շուկու օգածեֆրո ցասազոր՛՛!

1) Ըստ մշտի-և տունտմունու մա և նունական մշտական
մասն հասաց տունի մշտի, մուս քանակութեա յիշելու առաջական
տարրեա և այս մշտի մասն մշտի կանոնական մասն է առաջական
միջազգ-դպտին գույքաց պատճենագիր! Մուս եւնական մշտի մասն
տամամաւ գույքաց պատճենագիր; Հասաց մշտի մասն մուս գագառի մասն
յայլաց մշտի մասն օյտու, — ամենա յայլաց.

2) Ըստ մշտի մասն է առաջական մասն է առաջական.

3) Եղանակու սրունդու նյութանութեան մասն է առաջական.

4) Ըստ մշտի տունտմունու. „սասամու զուրու մասն է առաջական,
մասն մասն, տարածութ սիմի մասն է առաջական“, — ամենա
կանոն-ցագութեան մասն.

5) Քարունա սրունդու է առաջական, առաջական առանձին
հարացայլու մասն է առաջական մասն.

— არ გებრალები, ხასია?! დამიკოდეს ბერი-კვიცი!

— ნუ გეშინია, ბატონი! თოფის სროლა მარჯვე ვაცი.
ხოსია მაჭავარინანი მიუჩინჩდა მუხლის ძირში.

მოუშვა ხოსიაშ თოფი, შეახეთქა ფიშტო მუჭუში.
ამოილო ასი ოქრო, ში ჩაუდვა ჯიბის-ყურუშ⁶⁾.

ბერმა-კვიცმა⁷⁾ სოქვა საწყალმა: რა იმედს მეუბნებოდი.
ამას რა მომატიქრებდა, თუ საფრად გამიკეთებდი!

შეიდი თოფის ტყვია მომხვდა, ძალად ვერ გავმრთელ-
დებოდი.

აქიცების რა ბრალია? ვერ შემაწყობზენ წებოთი.

მეჯინიბის ჯავრი ჩამყვა... ნეუა, მას მაინც ვრგებოდი!
დილის ადრე ადგებოდა, წელს დამიზელდა ერბოთი.

ლიტრა ქერს, რომ ამიდებდა, მას შემაჭმევდა გემოთი!
აღმართში ვიყავ მერანი, დაღმართში დავგოგდებოდი—

ასი ფრთა ჩიგვი მენახა, მშეერივით გავგოგდებოდი,

სიპ ქვაზე მეჭერება, შუბივით დავკავდებოდი,

ათას შხარ თხრილზე მივეგდე, რწყილივით გაგიხტებოდი.

სადაც თოფის სროლა იყო, მე შენი შიშით ვქრებოდი,

ათას ზარბაზნის სროლაზე, მე ვგონებ, დაგიბროხებოდი?!
ზადი რომ არსად მჭინია, ოთხივ ფეხ-ქვეშ მჭირდა ოფაო⁸⁾,

ყვავო, ყორანო, რა გრჯოდა, შენ ჩემი ხორცით ძლომაო!

6) არჩილშვა სოსიასი.

7) „ბერი კვიცი“ არჩილის წერის სისეფია. „დამის-
მისაში“ ერთ სინ-კულტურულ დადგროვაზე ნადის მსუბუქს და-
დადარებულ საპეს უწოდებენ: „ბერი-კვიცას ნაკადულებათ: არჩი-
ლი, ბერ-ბერიცს ამ კლდეჭუდ დასტენებდა.“

8) ცეკვის სიტყიფარია.

ნათლის-მცემელი და გლასაკი

(დებენდა)

ერთს ქვეყანას ერთსა გლახას ჩოხის კინკი ენატრება,
წავიდეთ და მოვიყენოთ — ჩვენი მწყეში შეიქნება.

აქნება ღვთისყან ბრძანება — გლახას შეილი გაუჩნდება.

შვალი წელიწადი გადის, უნათლავი დაურჩება.

დალოცვილი ქრისტე-ლმერთი ნათლი-მცემელს ეუბნება:

— გლახას შეილი გაუნათლე, თუ შენ გლ.ხა გებრალება.

— მოვუნათლავ, მაგრამ გლახა ბოლოს გამიკოხტავდება.

წაბრძნდა ნათლი-მცემელი, გლახის კარზე ჩამოხტება,

ნათლი-დედა სიშიშვლითა კარის უკან ამოდგება:

სიგლახაკით ნათლი-მამა ზეზე ველარ წამოდგება!

სვინა სახლში შეიწვიეს, გლახას შეილი გაუნათლა.

— ნათლი-დედა! ნათლი-მამა! სვინა! პური ეშიცნება.

— ლმერამა იცის, ჩემო სვინავ, შენთვის სულა ამომს უება!

მაგრამ რა ვჰქნა?...

გავა შვალი წელიწადა, პურის ყანა არ მდებია.

არც შეავს ხარი, რომ შევაბა; არცა ფური მეწველება,

გადა! ახა ფიცხლავ ჯვარი — ყოვლის ფერი მოეცემა!

ანთებული კელაპტრები ყოველ კუთხით ენათება;

მარმარილოს კოშკებზედა თვალი აღარ გადაწვდება!

ობოლი წყარო, წისქვილი გლახას ბაღში გაშენდება.

— ადექ და ბელელს დახედე — პური ბევრი დაგიხვდება.

ადექ და კურებს დახედე — ღვინო წითლად დაგიხვდება.

ათასი თავი კამბარი საღამოს კარზე მოდგება.

მურასა ტანისამოსი დაკეცილი დაგიხვდება.

ცხრა ტყაოსანი მოახლე ნათლი-დედას ეახლება.

— მისრის ქალაქის ხელმწიფე ნათესავად გაგიხდება,

— ეგე სვი და ეგე სჭამე — ულეველი შეგექნება;
ათხე ერთი ლმერან შესწირე, — ისიც ლმერანა იაშება.
თუ ათხე ვერ გაიმეტო, ოცხე ყაბული იქნება.
უთარგმნებდა, უბრძანებდა — ნათლი-დედას ავიწყდება.
— ლმერთმა იცის, ჩემო სვინა! ეს დოვლათი რა მიჩნდება!!

წავიდა ნათლის-მცემელი.

წელიწაზი გამოვიდა, ნათლულს აღარ ესტუმრება,
დალოცვილი ქაისტე-ლმერთი ნათლი-მცემელს ეუბნება:
— წადი, შენს ნათლულს ეწვიე: ნახე, როგორ დაგიხვდება.
წაბრძანდა ნათლი-მცემელი გლახის ბალში ჩამოხტება,
— ნათლი დედა, ნათლი-მამა! სვინას პური ეშივნება.

— ადე, ქალო, კარს გახედე — რა მალ-მალე დაეთრევა!
— ნათლი-დედა, ნათლი-მამა, სვინას ეგ არ ეკადრება!

სვინა სახლში შეიწვიეს, დეუბანზე ჩამოჯდება.

ნათლი-მამა სიკახტავით ზეზე აღარ წამოდგება.

ნათლი-დედა წამოდვება — შეისა შუქი თან აჟყვება.

საღამოს უამი შეიქნა, სვინას ვახშაშ უკეთებენ.

იმას რომ ერთი ცხვარი ჰყავს... რომ ვიამბო, მეზარება!
ოთხიკუთხებით კოჭლი არის, ორიკუთხებით ბრძანა იქნება.
ამდენი სატკიცრაუნი — მისი ხორცი არ იჭვება!

— თვალ-მართალი ლმერთს შესწირე — ბრძანა და კოჭლი
გამთელდება.

ნათლი-დედა, ნათლი-მამა, სვინას ეგ არ ეკადრება!

— გეკადრება და ეგ წამე, თორემ... კარი გაგევლება.

შემოწყირა ნათლი-მცემელი, ფიცხლად კარი გაიარა.

— თუ შემოწყირა, სულ... რაღა ვჲქნა! ამოვწყდები შიმშილითა!
დალონდა ნათლი-მცემელი — „წავახდინო? როგორ? რა
ვჲქნა? მე მირონი მეწამება“.

დააჭირა ყავარჯენი — სახლი მტკერად გაადინა, —

დღესაც შიდის დანაშრეტი... ზღვა და კუპრი აღადგინა!

სისხლი მისი ენდროთ იქცა, — თხრის კაცი და არ ილევა:

ომანი მისნი — ბალახათა: ძროხა სძოეს და არ ილევა. —

ეს ამბავი ამის მომენტის არასოდეს დაელევა!

გ ა მ ღ ც ა ნ ე ბ ი

(სოფ არგვეთაში ჩაწერილი მისივე).

აზიდღა-აზიდა პიშიძა, დოშეეთ აბრეშემისა —
“ხედ ადგას ცისე-ქალაქი, საძირკველი აქვს რეინია.

(ქოშები).

ალი გიხურს, განი გიხურს; საფუარი გითახთახებს.
— (ყალიონი).

ადგისა, მაღისა, თავ-მოკერული ხალტათა,
განც ამას გერ კამოაცნობს, მაღწა და კლასათა.
— ხალტა.

ამ ჩემს ჰატათა საედარში თრა სატა ასევენა.
— (ნიგვზის კაკალი).

ამ ჩემს ჰაწა საედარსა
შეტრა:ლე, გუტრია:ლე, კარი უკრიად გერ გუნახე.
— (კვერცხი).

ასე უიუავ შეც, როგორც ახლა შენ,
ასე გახდი შენ, როგორც ახლა მე.
— (კრუნი და წიწილები).

ასიანისა მთაზედა ასი ცხევარი მოგოგავს,
ერთ ნეკრს ფეხი მოტეხია, უკედა იმას უკურებს.
— (დგიმ — სავარცხელი).

ასლაშაზა მე შეჭაა, ასი ტყავი მაცეია,
აბრეშემის ქართორი თაგზე გადამსხია.
— (სიმინდის ტარო).

ატა-ტოშარა, ბატა-ტოშარა,
სასედს რომ გეტშვი, გვარს მიტომ არა.
— ტო არა.

აცაცუნა, ბაცაცუნა — ბატონისაც და უმასაც უნდა.
— საცერი.

ბაბუ წეგს და ბაბუს სძინაფს, ბაბუს წეერი მიწაშია.
— პრასი.

ბეჭრჯელ შნატრობენ, გულით შელიან,
როცა მოვალ კი—იმაღებან.

წვიმა.

იჩერ-იჩერ გორაზე, პუპრი ამოდენაზე.

ქიანჭველები.

იგერ-იგერ სურზედა წითელი ჭაში ჯშვია.

ნიკვ—სოკოა.

ელია, ღორღომელია, შიწაში ჩამირთმელია.

სახვნელი.

ერთი ბდია—შერ ადგება,

ერთი სტას და ვერ გადება,

ერთი დადის—ვერ დაჯდება.

— ნაცარი, ცეცლი, კვამლი.

ერთი თხა შეავდა ბელათ, ზურტე გაეძვა ენათ,

შისმა სიტევაშ და შასუხმა ქვეყანას შეავერათ.

სასწორი.

ერთი რაშ სულიერია—შერ დარჩევ რხილშია,

ცალი სარი დაუკირავს, უბავია შირშია.

ტკიბა.

ერთი ფრანგელი შოფრინავს, უფრთო, უთვალთ, უუშრო,

ჭარ, თუ ვერ დავიწერთ! არა და... როგორ ვშეურთ?

ბურია.

ეს რა არის?—შასრა არის, შასრას უგან ფარა არის—

ფარა მოჰედილი არის.

ტუჩ-ბილი.

ეს ჩემი თეორი ქათაში ღელე-ღელე დაკარგიტობი.

ქაფი.

ზეცას ავაგდე ასარი—გეგუთს ჩავაგდე ფიცარი.

?

ზეცას ქოთანი ჰეილია ნიგძისა და განისათ,

შად აწევია მისა-ბარეალი თიგნისა და კრავისათ.

ბროწეული.

თავი სეში, თხელი შესვი,
სქედი—შენის მშედარი და ცოცხალია.

— სკა. თაფლი და სანთელი.
თავ-სერჩი, ბოლო-ნაშეგალი, რატომ ვერ იცან შემალი.
— მამალი.

მამა—კოჭიდი, დედა—ლამაზი, შვილი ბი ტიშა.
— ვაზი, ყურძენი და ლვინო.

შე ვერიდი და შენ ბი სტაშდი,
რცემუშას (ცუმას) რაღას შემართლები.
— სამრკიც-საცრი.

შიდის-მოდის ქარაგანი, ან უბჯება ქალაბანი.
— კარი და კოჭები.

შოგიდა შარავანდედი, ვითა ლამპარი ენთების,
ცეცილისა საპერწელები აბედი, არ მოეკიდების,
არც არა სამკაულია, არც ზენდუქშა ჩაიდების,
ამისა გამომცნობელი უბრურად არ ჩაითვლების.
— ციცრათელა.

თასი კაცი სისლის აშენებს, ერთი გარეშემო უვლის.
— წინდა და წინდის ჩირი.

ორისაგან თორმეტია, თოსისაგან—ოცდა თოსი,
სახევარი რგისა არის, სახევარი—რქა და სორცი.
— ნალ-ლურსმანი და ცხენის ფოლები.

საბტელს უბან მგანია, დედა-შიწა მოსია.
— მუდო.

უსულო არის თოსულად სულიერისა მშობელი,
შვილისა შობს, დედა მოკვდება—ქიირია გამომცნობელი.
— კვერცხი და წიწილა.

უსულო და უფხო—წელისა ნადირი.
— წურბელა.

ქალი იჯდა ტახტაზედა, ცეცილის ისროდა კალთაზედა.
— წისქვილი.

სოველი გაცი შიწვა-შოწვა, ბასკვინჩელა ზეზე არის.
რწყილი.

შავი არის ჟაშუივითა, აბიანება ძაღლივითა;
გაცის დამით თამაშებს, ქამანჩა და სტეირივითა.
რწყილი.

შემოფურუ კერიას—ხელი მოვჭიაღედრენიას.
ჯინჭარი.

შიგნი—ათასი, გარედ—ატლასი.
ბრძოლი.

შანდა, შვიდი-შინდის ძირი, შეპრული და შებეჭდილი,
შერც შე გავხსნი, გერც სხვა გახსნის, გერც გაორგა
შეფის-შეიღა!

დიდ მარხვა.
ჩემი პატარა მასანა, ხან გაიცინები—ხან არა.

ციცინათელა

ჩემი პატარა ბაჭია, სირბილით არის შაგეა.
თიბისტარი.

ძირი ნედლი, შეა—ხელი, წვერთ აბრძლა ლებული.
— ალება დიდ-მარხვა და ალდომა.

წაიქცა ჭირე, შაესა ჭიანჩელა.
ლორი და გოპები

წითელი სირის ნაწლებები ბალასი არ აშოსულა.
ჩე გაფთალე ხისა, არ ნაფორისა—

შედიან და გამოდიან ანგალისის ღვთისა.
სკა და ფუტკარი.

ხეგარ, ხე მრუდებ გასრდალი, ვერ შემომწვდება ნაღარი,
უნ მოდი ენკენის თვეში, თუ ვერ გაჭამო სადაღა!
ლელვი.

ჭერ აქება მარნილის უკიდი ქალაქის მაღიოდა.
ალი და კვამლი.

